სპორტი და ახალგაზრდობა 2013

SPORT AND YOUTH

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
ყოველწლიური გამოცემა

MINISTRY OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA
ANNUAL EDITION

მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

საგამომცემლო ჯგუფი
ალექსანდრე მაისურაძე,
ოთარ მაღლაკელიძე, გიორგი ჭანიშვილი,
ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ჩხეიძე,
თამარ ყულუმბეგაშვილი, ვახტანგ შატაიძე,
ზაალ ანჯაფარიძე, გრიგოლ გურასაშვილი,
ირმა კახურაშვილი, ჯემალ კასრაძე,
ხათუნა ჯანგირაშვილი, ცისანა ალავიძე,
ეკა კვიტაშვილი, კახა ბერიძე

გამოსაცემად მოამზადა
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ

ჟურნალში გამოყენებულია
ალექსანდრე კოტორაშვილის,
თამარ ყულუმბეგაშვილის,
ხატია ჯიჯეიშვილის, ბადრი
კეთილაძის, გიორგი ჭანიშვილის,
ავთანდილ გურასაშვილის,
კახა ბერიძის ფოტოები.

The edition is prepared for publi shing by
GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

ISSN 1512-1208

სპორტი და ახალგაზრდობა – დიდი გამოწვევები

2013 წლის შედეგებზე და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი.**

– ჩვენ ყველამ ერთად საკმაოდ რთული წელიწადი მოვიტოვეთ უკან. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ახალი გუნდის მოსვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ბოლომდე უნდა მიგვეყვანა უკვე არსებული პროექტები და ასევე ოპტიმალურად მოგვეხდინა სამინისტროს ახალი მენეჯმენტის ფორმირება, უმტკივნეულოდ გაგვეტარებინა სამინისტროში მომუშავე პროფესიონალი კადრების ინტეგრირების პროცესი ახალ თანამშრომლებთან და ხელმძღვანელობასთან, რაც წარმატებით განხორციელდა. რეორგანიზაციის პროცესში ყველაფერი გაკეთდა სამუშაო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, პარალელურად კი – სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვისთვის, რათა სამუშაო რიტმი არ დარღვეულიყო და ამით სპორტის განვითარებაზე და ახალგაზრდულ პროგრამებზე ზრუნვა არ შეფერხებულიყო. მსურს ყველა თანამშრომელს მადლობა გადავუხადო გაწეული საქმიანობისათვის, ძალისხმევისა და პროფესიონალიზმისათვის.

– საინტერესოდ ჩატარდა არჩევნები სპორტულ ფედერაციებში, იყო ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობაც...

– ჩვენი გუნდის სამინისტროს ხელმძღვანელობაში მოსვლის დღიდან განვაცხადეთ, რომ სპორტული კუთხით ამოსავალი წერტილი პირველ რიგში იქნებოდა სპორტული ფედერაციების დეპოლიტიზირება და დეცენტრალიზაცია. ჩვენი პოლიტიკა სპორტში ამ მიმართულებით ვითარდება და, ვფიქრობ, მოხერხდა კიდეც სპორტული სამყაროს პოლიტიკური ზეწოლისაგან გათავისუფლება. არჩევნები ჩატარდა 30-მდე სპორტულ ფედერაციაში. საარჩევნო ყრილობებზე კანდიდატთა სიმრავლე და კონკურენტული გარემო აქამდე ნამდვილად უცხო იყო. რა თქმა უნდა, გვქონდა პრობლემებიც და საარჩევნო პერიპეტიებისას პიროვნული დაპირისპირებებიც მრავლად იყო, თუმცა სამინისტრომ იხელმძღვანელა ფედერაციის შიდა საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპით და შემოიფარგლა რეკომენდაციებით.

– 2013 წლის სპორტულ სეზონს მთლიანობაში როგორ შეაფასებთ?

– სპორტული შედეგებით ინდივიდუალურ სახეობებში უფრო მეტად ვართ განებივრებულები და, ტრადიციულად, ძირითადი მედლები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ამჯერადაც ძიუდოისტებისა და მოჭიდავეების ხარჯზე მოვიპოვეთ. განსაკუთრებულად მსურს აღვნიშნო ძიუდოს ეროვნული გუნდის წარმატება, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. ასევე მნიშვნელოვანი იყო გუნდურ სახეობებში ნაჩვენები შედეგიც – მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მიღწევები, კალათბურთელთა მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატზე, წყალბურთელთა ნაკრების მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად, ხელბურთის ეროვნული ნაკრების აღდგენა და საქართველოში მსოფლიოს 19-წლამდელთა ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოპოვება. გამოვყოფ სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების წარმატებას საერთაშორისო შეჯიბრებებზე. 2013 წლის მანძილზე ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, სხვა საერთაშორისო ტურნი-

რებზე ჯამში ქართველმა სპორტსმენებმა 500-მდე მედალი მოიპოვეს, მათ შორის – 130-მდე ოქროს მედალი.

– სამინისტროს მთავარი პრიორიტეტებიდან განსაკუთრებით რა მიმართულებებს გამოარჩევთ?

– პირველ რიგში, სპორტულ ინფრასტრუქტურას, რაც ამოსავალი წერტილია, თუმცა სამინისტროსთვის ყველა პრიორიტეტი უპირველესია და აქ რიგითობა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობაა. უმნიშვნელოვანესია მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობა, სპორტის მასობრიობა, საზოგადოების სპორტში ჩართულობა, სტუდენტური და ბავშვთა სპორტის განვითარება და ასე შემდეგ. ასევე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სპორტული განათლება, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება სპორტში. შექმნილია სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, სადაც სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. 2014 წლის ბოლოს ჩვენ უკვე უნდა გვქონდეს ახალი კანონი სპორტის შესახებ. სამინისტრო აქტიური იყო ახალგაზრდული კუთხით მუშაობისას. გამოიყო 12 პრიორიტეტული მიმართულება და განხორციელდა არაერთი საინტერესო პროექტი ჩვენი ახალგაზრდული დეპარტამენტის და დაქვემდებარებული უწყებების ორგანიზებით. მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა საერთაშორისო მიმართულებითაც, გვქონდა ოფიციალური ვიზიტები, შეხვედრები კოლეგა მინისტრებთან, სხვადასხვა ქვეყნების ელჩებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, გაფორმდა მემორანდუმები სამინისტროებთან.

– სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2014 წლიდან შეძლებს სტუდენტების მიღებას?

– ჩვენი გუნდის სამინისტროში მოსვლისთანავე დავისახეთ მიზნად, რომ 2007 წელს გაუქმებული სპორტის აკადემიის ბაზაზე აღდგენილიყო ახალი უნივერსიტეტი. მოვლენები საკმაოდ სწრაფად განვითარდა და მიზანს მივაღწიეთ. 2013 წელს საქართველოს მთავრობამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო და პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით, ოფიციალურად დაფუძნდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, უნივერსიტეტის სრულად ამოქმედება 2014 წლის სასწავლო სეზონისათვის იგეგმება.

– 2014 წლიდან საქართველო მნიშვნელოვანი სპორტული გამოწვევების წინაშე დადგება. როგორ მიმდინარეობს მზადების პროცესი ამ კუთხით?

– 2014 წლიდან არაერთი საერთაშორისო ტურნირი მოგველის. აღსანიშნავია თბილისის გრან-პრი ძიუდოში, მძლეოსნობაში, ფარიკაობასა და წყალბურთში გასამართი ევროპის გუნდური და ასაკობრივი ჩემპიონატები, ჭადრაკში ქალთა მსოფლიო გრან-პრი და ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი, ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირები და ასე შემდეგ.

მალე გაიმართება ზამთრის ოლიმპიური თამაშები სოჭში. ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს სპორტული დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ თამაშებში, სამთავრობო დელეგაცია კი სოჭში არ გაემგზავრება. ვთვლით, რომ პოლიტიკა არ უნდა ერეოდეს სპორტში, საქართველოს დროშა კი ყოველთვის ამაყად უნდა ფრიალებდეს ოლიმპიურ თამაშებზე. ასევე 2014 წლიდან ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად ვიწყებთ 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ეტაპს. შეიქმნება საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მიმდინარე პროცესებს. ოლიმპიურ ციკლში ჩვენ გველის ნანჯინგის ზაფხულის მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები, შემდგომ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ფესტივალი თბილისში და ყველაზე მთავარი სპორტული ფორუმი – რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშები.

მსხვილი პროექტებიდან გამოვყოფ რაგბის, ფეხბურთის, კალათბურთის, ოლიმპიური მოძრაობის განვითრების სახელმწიფო პროგრამებს, რაც გულისხმობს კლუბების გაძლიერებას, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მომძლავრებას, მწვრთნელთა განათლებას და ასე შემდეგ. ვფიქრობ, აუცილებელია ფეხბურთის სტრუქტრის რეორგანიზება. აქტიურად ვთანაშრომლობთ უეფასთან და ფეხბურთის ფედერაციასთან. 2013 წლის მიწურულს მქონდა შეხვედრა უეფას პრეზიდენტთან – მიშელ პლატინისთან, რომელმაც დაგვიდასტურა პატივისცემა და მხარდაჭერა იმ პროექტების განხორციელებაში, რასაც უახლოეს მომავალში ვგეგმავთ. ვფიქრობ, 2014 წლიდან რამდენიმე პროექტის დაწყება შესაძლებელი იქნება.

– რა მდგომარეობაა ახალი სტადიონების და დარბაზების, ზოგადად ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის თვალსაზრისით?

– ამ მიმართულებით დაწყებულია კონკრეტული პროექტები. წყალტუბოში აშენდება ახალი საფეხბურთო სტადიონი დამხმარე სავარჯიშო მოედნით. 2017 წლის ხელბურთის მსოფლიო 19-წლამდელთა ჩემპიონატისათვის საქართველოს სხვადახვა ქალაქში აიგება 4 ახალი სპორტის სასახლე. სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდება სპორტის სამინისტროს სპორტულ დარბაზებს, ახალ იერსახეს მიიღებს მიხეილ კეკელიძის სახელობის სპორტული არენა და ასევე დიდუბეში არსებული კალათბურთის სავარჯიშო ცენტრი.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის სპორტული ბაზების სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. მერიასთან თანხმდება სპორტული ობიექტების გადანაწილების საკითხი, დაგეგმილია ახალი აუზის მშენებლობა, ერთ-ერთ მსხვილ კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება თბილისის ზღვის ტერიტორაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე, ახალი სპორტული ობიექტის და მძლეოსნობის სტადიონის მშენებლობაზე, თბილისის ზღვის ტერიტრიაზე ეწყობა ოლიმპიური სოფელი ფესტივალისთვის. ეს ყოველივე სამომავლოდ მოგვცემს წინაპირობას იმისთვის, რომ თბილისს დავუბრუნოთ ის სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც წლების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გაიყიდა და გასხვისდა.

– როგორ გაგრძელდება მთავრობის თანადგომა სპორტის მიმართ?

– სპორტის დაფინანსება თითქმის 100 პროცენტით სახელმწიფოს ხარჯზე მოდის. რა თქმა უნდა, გაგრძელდება სახელმწიფო მხარდაჭერის პროექტები. ამიტომ ჩვენ უნდა შევძლოთ თანხების მიზნობრივად მობილიზება როგორც მაღალი მიღწევების, ასევე მასობრივი სპორტისათვის, მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი კერძო ბიზნესს და მოვიზიდოთ მეტი დაფინანსება სპორტისათვის. მთავრობის დადგენილებით, მინისტრთა კაბინეტმა დააამტკიცა ჩვენს მიერ წარდგენილი განახლებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ქართველ სპორტსმენთა პრემირებას და წახალისებას, რაც გაზრდის მათ მოტივაციას მაღალი მიღწევების სპორტში. დარწმუნებული ვარ, რომ სწორი მართვით, გამართული, მიზანმიმართული მუშაობით და ერთიანობით, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ, როგორც სპორტის, ასევე ახალგაზრდული მიმართულებებით. ჩვენ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე და მჯერა, რომ შევძლებთ დასახული მიზნების განხორციელებას.

გიორგი ჭანიშვილი

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ.
ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. 25-28 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲞᲐᲞᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(60 კგ) – ოქრო

ᲚᲐᲨᲐ ᲨᲐᲕᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(66 კგ) – ოქრო

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(81 კგ) – ოქრო

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲢᲐᲢᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(73 კგ) – ვერცხლი

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ
(90 კგ) – ვერცხლი

ᲐᲓᲐᲛ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(+100 კგ) – ვერცხლი

ᲖᲔᲒᲔᲓᲐ ᲠᲔᲩᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(73 კგ) – ბრინჯაო

ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲝ ᲔᲕᲠᲝᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

2014 ᲬᲚᲘ ქართული ძიუდოსთვის უმნიშვნელოვანესი ცვლილებით დაიწყო. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ნაკრები ირაკლი უზნაძეს ჩააბარა. სპეციალისტს, რომელსაც ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად იქამდე არასოდეს ემუშავა, წინ სერიოზული გამოცდა ელოდა – სამიოდ თვეში ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე უნდა ეჭიდავა. ამასთან, ორი გამოცდილი ძიუდოისტიც გამოაკლდა: ბეთქილ შუკვანმა (60 კგ) უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა, ლევან ჟორჟოლიანმა (100 კგ) კი კარიერა დაასრულა და იგი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა ვიცე-პრეზიდენტად აირჩია.

მოსამზადებელ პერიოდში, უზნაძის გაწვრთნილი გუნდი საერთაშორისო ტურნირებზე სტაბილურად წარმატებულად გამოვიდა. სადებიუტო ევროპირველობაზე კი ნაკრების თავკაცს ისეთი შედეგი ჰქონდა, ნებისმიერი გამოცდილი მწვრთნელი ინატრებდა – შვიდი წონითი კატეგორიიდან ექვსში ფინალში ქართველი ძიუდოისტი გავიდა.

ბუდაპეშტური ოთხდღიანი ევროპირველობის პირველი დღე საქართველოს ნაკრებმა მაქსიმალური შედეგით დაასრულა. უნგრულ ტატამზე მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდა. სამი ქალებში, ორი – კაცებში. ქართულ განაცხადში ქალთა ნაკრების არც ერთი წევრი არ იყო. კაცთა გუნდიდან კი კიმონოები ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და ლაშა შავდათუაშვილმა (66 კგ) მოირგეს და ორივე ევროპული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ამირან პაპინაშვილი

პაპინაშვილი ევროპის ჩემპიონატზე პირველ ნომრად იყო განთესილი და საქმეში პირდაპირ მეორე წრიდან – მერვედფინალიდან ჩაერთო, აზერბაიჯანის ნაკრების წევრ ვუგარ შირინლისთან შეხვედრით, რომელიც შებოჭვით მოიგო. შემდეგ ჩეხი პაველ პეტრიკოვი და ბრიტანელი ეშლი მაკკენზი ჩამოიშორა. ოქროს მედალი და ბუდაპეშტის საჭიდაო დარბაზში საქართველოს ჰიმნის მოსმენის უფლება კი, შვეიცარიელი ლუდოვიკ ჩამარტინის იოლად ძლევით მოიპოვა – ჯერ იუკოზე დასცა მეტოქე, შემდეგ კი წმინდა გდებაც შეასრულა.

ფინალში პაპინაშვილმა შვეიცარიელი ლუდოვიკ ჩამარტინი ჯერ იუკოზე დასცა, შემდეგ კი წმინდა გდებაც შეასრულა

ლაშა შავდათუაშვილის ვაზარი კამალ ხან-მაგომედოვთან (რუსეთი) ფინალურ ბრძოლაში

შავდათუაშვილმა მძიმედ დაიწყო – პირველ წრეში ბელგიელ იასპერ ლეფევრთან სამი წუთის შემდეგ ვაზარ-იუკოს აგებდა და მხოლოდ ამის მერე შეძლო ჯერ საპასუხო ვაზარის აღება, შემდეგ კი მეტოქის შებოჭვა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლონდონისგან განსხვავებით, ბუდაპეშტში გდებებიც გაუშვა, მაგრამ ტაქტიკურად გამართული ჭიდაობისა და მშვენიერი ფიზმომზადების ხარჯზე, საწადელს მაინც მიაღწია. მერვედფინალში რუმინელ რემუს მირჩეა ლაზეას იუკოთი გასცდა. მერე კი უნგრელი ბენცე ზამბორი და აზერბაიჯანელი ნიჰათ შიხალიზადე იპონ-იპონ ჩამოიცილა. გადამწყვეტ შეხვედრაში შავდათუაშვილმა რუსეთის ნაკრების წევრ კამალ ხან-მაგომედოვს ვაზარით სძლია.

მეორე საჭიდაო დღეც საქართველოს ჰიმნით დაგვირგვინდა. ჩემპიონატი წაუგებლად ჩაამთავრა 81 კილოგრამში მოჭიდავე ავთანდილ ჭრიკიშვილმა. პირველ ნომრად განთესილმა ქართველმა ძიუდოისტმა შეჯიბრება ესტონელი გეორგი ლადოგინის ვაზარით ძლევით გახსნა. მერვედფინალში პორტუგალიელ კარლოს ლუზის ერთ წუთში მოუმთავრა საქმე, ლამაზი გდებით. მეოთხედფინალში მონტენეგროელ სრჟან მრვალიევიჩთან ძირითადი დრო უქულოდ ჩაამთავრა, მაგრამ ოქროს დროის დაწყებისთანავე მეტოქე იპონით ჩამოიცილა.

ფინალის საგზური ჭრიკიშვილმა უილეთოდ მოიპოვა – ბელგიელ ჟოაკიმ ბოტიეს აქტიურობით აჯობა და თავისი ერთი გაფრთხილების წილ სამი შიდო მიაღებინა. საჩემპიონო ბრძოლაში სულაც ერთადერთი შიდო აღმოჩნდა გადამწყვეტი – ჭრიკიშვილმა ხორვატი ტომისლავ მარიანოვიჩი მსაჯს მესამე წუთზე გააფრთხილებინა და უპირატესობა ბოლომდე მშვიდად შეინარჩუნა.

ამავე წონაში ტატამზე ლევან წიკლაურიც გავიდა, მაგრამ საპრიზო სამეულამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა – რეპეშაჟის ფი-

ავთანდილ ჭრიკიშვილი ხორვატ ტომისლავ მარიანოვიჩთან ფინალში ბოლომდე აქტიურად ჭიდაობდა

ვარლამ ლიპარტელიანი

ზებედა რეხვიაშვილი

ადამ ოქრუაშვილი

ნუგზარ ტატალაშვილი ფინალში

ნალში, ჟოაკიმ ბოტიესთან ოქროს დროში იუკოთი წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

73 კილოგრამშიც ორმა ქართველმა მოირგო კიმონო და ორივემ მედალი აიღო. ნუგზარ ტატალაშვილი სლოვენიელი ტადეუ ცეჰის, ბელარუსი ალექსეი რამანჩუკის, რუსეთის ნაკრების წევრ მურატ კოძოკოვისა და ბელგიელი დირკ ვან ტიჩელტის ძლევის შემდეგ, ფინალში სლოვენიელ როკ დრაკშიჩთან თანაბარ ბრძოლაში იუკოთი დამარცხდა.

ზებედა რეხვიაშვილმა ოქრო-ვერცხლის შანსი მეოთხედფინალში დაკარგა. რეპეშაჟში კი ორივე შეხვედრა მოიგო და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. გადამწყვეტ ბრძოლაში ბელგიელ დირკ ვან ტიჩელტს მეხუთე წუთზე მოუმთავრა საქმე.

ინდივიდუალური პირველობის დასკვნითი დღე ირაკლი უზნაძის გაწვრთნილი გუნდისთვის წინა ორ დღესთან შედარებით, ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა. კაცების ბოლო სამი წონითი კატეგორია ისე ჩამთავრდა, დარბაზში საქართველოს ჰიმნი არ გაჟღერებულა. არადა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ორ ქართველ ძიუდოისტს თითო გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდა.

ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) უნგრეთში ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა, მაგრამ ზედიზედ მეორე ოქროს მოპოვებაში ხელი უხერხულმა მეტოქემ – რუსმა კირილ დენისოვმა შეუშალა. ფინალამდე ლიპარტელიანმა შვეიცარიელი სირილ გროსკლაუსი, ჰოლანდიელი ჯილომ ელმონი, ლიტველი კაროლის ბაუზა და რუსი კირილ ვოპროსოვი დაამარცხა.

მესამე ვერცხლი საქართველოს ნაკრებს მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა მოუტანა. იგი ტურნირზე მეორე ნომრად იყო განთესილი და წინასწარვე გახდა ცნობილი, რომ პირველ ნომერსა და უმთავრეს ფავორიტს, ევროპის 2-გზის, მსოფლიოს 4-გზისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ტედი რინერს ფინალამდე არ შეხვდებოდა.

ჩემპიონატი სწორედ ლოგიკური ფინალით დაგვირგვინდა, სადაც ოქრუაშვილმა უილეთო ბრძოლაში გაფრთხილებებით 1:3 წააგო. ნეიტრალურ გულშემატკივართა უმრავლესობა ქართველ მძიმეწონოსანს გულშემატკივრობდა და მსაჯის გადაწყვეტილებებიც არაერთხელ გააპროტესტეს. რინერთან დაჭიდებამდე, ადამ ოქრუაშვილმა ბელარუსი ალექსანდრ ვახავიაკი, ფრანგი ჟან-სებასტიან ბონვუასინი და სლოვენიელი მატიაჟ სერაჟი ჩამოიშორა.

ბუდაპეშტურ ტატამზე 100 კილოგრამში მოჭიდავე დავით ლორიაშვილიც გავიდა, მაგრამ სადებიუტო ევროპირველობას საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშა.

სამ-სამი ოქრო-ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით საქართველოს ნაკრებმა ინდივიდუალური პირველობის საერთო გუნდურ ჩათვლაში კაცებში ყველა კონკურენტს დიდი უპირატესობით გაუსწრო. ამასთან, ქალებისა და კაცების ერთობლივი შედეგების მიხედვითაც პირველი ადგილი დაიკავა.

ევროპის გუნდური ჩემპიონატი.
ბუდაპეშტი. 28 აპრილი

საქართველოს ნაკრები
ოქრო

ამირან პაპინაშვილი (60 კგ)
ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ)
ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ)
ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ)
ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ)
ლევან წიკლაური (81 კგ)
ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ)
ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ)
ნოდარ მეტრეველი (+100 კგ)

გუნდური ტრიუმფი

უნგრულ ევროპირველობაზე ინდივიდუალურ ჩათვლაში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდურ ჩემპიონატზეც გაიბრწყინა და ბუდაპეშტის გრანდიოზულ სპორტულ დარბაზში შეკრებილ მაყურებლებს საქართველოს ჰიმნი ერთხელაც მოასმენინა. ირაკლი უზნაძის გაწვრთნილი გუნდი 15 ქვეყნის ნაკრებს შორის თავიდანვე უმთავრესი ფავორიტი იყო, ბუდაპეშტში ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა და მორიგი ტიტული შთამბეჭდავი ჭიდაობით მოიპოვა.

ევროპის 2013 წლის პირველობის მსგავსად, ქართველებმა ფინალში ისევ რუსები დაამარცხეს. საბოლოო შედეგზე არანაკლებ საამაყო იყო გუნდის საოცარი საბრძოლო ჟინის ნახვა. მთელი ფინალის განმავლობაში საქართველოს ნაკრების ძიუდოისტები და დელეგაციის წევრები ტატამზე მყოფ თანამემამულეს შეუდარებელი ქომაგობით იმხელა მუხტს აძლევდნენ, წაგება წარმოუდგენელი იყო.

ფინალამდე უზნაძის ხუთეულმა უნგრეთისა და ჰოლანდიის ნაკრებებს ერთნაირი ანგარიშით – 4:1 მოუგო. გადამწყვეტი ბრძოლა კი რუსებისთვის სასურველი სცენარით დაიწყო – ლაშა შავდათუაშვილმა (66 კგ) მიხაილ პულიაევთან წააგო. ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ) მუსა მოგუშკოვს უნგრულ ევროპირველობაზე მეორედ დაეჭიდა, ისევ აჯობა და საერთო ანგარიში გაათანაბრა. ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) სირაჟუდინ მაგომედოვის ძლევით საქართველო წინ გაიყვანა. ჩემპიონობა კი გუნდს ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) გაუნაღდა, გრიგორი სულემინთან მოპოვებული მოგებით. ადამ ოქრუაშვილმა (+90 კგ) უპირატესობა უფრო შთამბეჭდავი გახადა – რენატ საიდოვს აჯობა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:1.

კაცების პარალელურად ევროპის გუნდური პირველობა ქალებშიც გაიმართა. ჩემპიონი ჰოლანდია გახდა, რომელმაც ფინალში საფრანგეთს აჯობა.

***ირაკლი უზნაძე:** „ნაკრები ევროპის ჩემპიონატს კარგად მომზადებული შეხვდა და ბიჭებმა მშვენივრად იჭიდავეს, საერთო შედეგითაც, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ მაინც იყო ეპიზოდები, რომლებზეც გული დამწყდა. მაგალითად, ინდივიდუალურ პირველობაზე, სულ ადვილად შეიძლებოდა, 73 ან 81 კილოგრამებში ქართული ფინალი ყოფილიყო.“*

ოთარ მაღლაკელიძე

EXCELLENT EURO DEBUT

EUROPEAN CHAMPIONSHIP
BUDAPEST APRIL 25-28, 2013

AMIRAN PAPINASHVILI (60 KG) – GOLD
LASHA SHAVDATUASHVILI (66 KG) – GOLD
AVTANDIL CHRIKISHVILI (81 KG) – GOLD
NUGZAR TATALASHVILI (73 KG) – SILVER
VARLAM LIPARTELIANI (90 KG) – SILVER
ADAM OKRUASHVILI (+100 KG) – SILVER
ZEBEDA REKHVIASHVILI (73 KG) – BRONZE

The 2014 sport season was marked by significant changes for Georgian Judo. Leadership of the National Judo Federation confided the coaching of the national combined team to Irakli Uznadze. The specialist who had never worked as a chief coach to the national team faced a very serious test – in three months the national team had to fight at European championship. Nevertheless, the chief coach in his debut at the European championship achieved the results, which any experienced coach would dream of. Georgian Judokas reached final in the six of seven weight classes.

The first day of European championship in Budapest resulted in two gold medals won by Georgian Judokas Amiran Papinashvili (60kg) and Lasha Shavdatuashvili (66 kg). Papinashvili was slated as number one at the championship and engaged in the contest right from the second round. In 1/8 final he won the duel with Vugar Shirinli (Azerbaijan) and then beat Pavel Petrikov (Czech Republic) and Ashley Mackenzie (England). The victory over Ludovic Chamartin (Switzerland) brought Amiran golden medal and the pleasure to listen to the Georgian national anthem in the wrestling hall of Budapest.

Shavdatuashvili beat Jasper Lefebvre (Belgium) in the first round and defeated Remus Mirchea Lazea (Romania) by Yuko in the 1/8 final. Then he beat by Ippon Bentze Zambori (Hungary) and Nihat Shikhalzade (Azerbaijan). Shavdatuashvili won the final duel against Kamal Khan-Magomedov (Russia) by Vasari and brought the second gold to the national team.

The audience heard Georgian national anthem yet on the second day of the championship. Avtandil Chrikishvili (81 kg) was unbeatable during the whole tournament. He started to move to the gold medal by beating Georgi Ladogin (Estonia) by Was-ari. Then he beat Carlos Luzi (Portugal) during a minute by spectacular throw. In the ¼ final Chrikishvili defeated Srzhan Mrvalievich (Montenegro) with Ippon and then beat Joachim Botie (Belgium) Thanks to more proactive fighting. In the decisive final duel the Georgian Judoka defeated Tomislav Marianovich (Croatia) and became gold medalist.

Two Georgian entrants participated in the 73 kg weight class and both of them became prize-winners. Nugzar Tatalashvili won silver and Zebeda Rekhviashvili took bronze. On the last day of individuals contest Varlam Liparteliani (90 kg) and heavyweight Adam Okruashvili (+100) brought silver medals to the Georgian team.

With three gold, three silver and one bronze medals Georgian national team outmatched all competitors with considerable advantage in the team contest of men' individuals championship. Georgian team occupied the first place by the aggregated results of men and women contests.

TEAM TRIUMPH

After the excellent performance at the individuals' championship, Georgian Judo national team shined at the team championship and gave the audience in the Budapest's grand sport hall the opportunity to hear the Georgian anthem once again. The team coached by Irakli Uznadze was considered a favorite among the 15 national teams from the very beginning. The team arrived in Budapest as current European champion and maintained the title by impressive wrestling.

Like the 2013 European championship, the Georgians faced the Russians in the final and defeated them. The watching of surprising battling mood of the team was as worthwhile as the final result of the contest. Defeat of Georgian team was unimaginable if remember that fervent support, which Georgian Judokas on tatami were receiving from their colleagues and members of the delegation during the whole course of final duels.

On its way to the final the five-member Georgian team beat national teams of Hungary and Poland with the same score 4:1. The decisive final contest began with advantage of the Russians. Lasha Shavdatuashvili (66 kg) lost to Mikhail Puliaev. Zebeda Rekhviashvili (73 kg) equalized the score by beating Musa Mogushkov whom he fought for the second time during the championship. Avtandil Chrikishvili (81 kg) advanced the Georgian team by defeating Sirazhudin Magomedov. Varlam Liparteliani (90 kg) secured victory for the team by beating Grigori Sulemin. Adam Okruashvili made the advantage even more convincing. He defeated Renat Saidov and made the final score 4:1

OTAR MAGLAKELIDZE

მსოფლიოს ჩემპიონატი.
რიო დე ჟანეირო.
26 აგვისტო – 1 სექტემბერი

ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) – ვერცხლი

ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) – ვერცხლი

ორი ფინალი

ვარლამ ლიპარტელიანს ერთი ნაბიჯი დააკლდა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრომდე

ევროპირველობის ტრიუმფატორი საქართველოს ნაკრები რიო დე ჟანეიროში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც თითქმის იგივე შემადგენლობით ჩავიდა. მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ სატურნირო განაცხადში ერთადერთი ცვლილება განახორციელა – 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით ლორიაშვილის ნაცვლად ლევან ჟორჟოლიანი დააყენა, რომელმაც რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ტატამზე დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

ქართულმა გუნდმა თავი არც ბრაზილიურ ტატამზე შეირცხვინა, მაგრამ შეჯიბრებამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც დატოვა – უზნაძის შეგირდებმა ინდივიდუალურ პირველობაზე ორი ფინალი იჭიდავეს და ორივე წააგეს. უმაღლეს ტიტულამდე თითო ნაბიჯი ავთანდილ ჭრიკიშვილს (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანს (90 კგ) დააკლდათ.

ჭრიკიშვილი ბრაზილიურ ტატამზე ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში გავიდა. შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო და ბელარუს ალექსანდრ სტიაშენკას წუთსა და 15 წამში მოუმთავრა საქმე. არგენტინელი ემანუელ ლუცენტისა და ირანელ ამირ გასემ ნეჯადს ორ-ორი წუთი აკმარა. ფრანგი ალენ შმიტი ილეთად შესრულებულ იპონს კი გაექცა, მაგრამ ქართველის წინაშე იმდენად უსუსური გამოჩნდა, ორ წუთში ოთხი გაფრთხილება მიიღო და ნაადრევად დამარცხდა.

ნახევარფინალში ჭრიკიშვილმა საწადელს საფინალო სირენამდე ათიოდ წამით ადრე მიაღწია, ევროპის და მსოფლიოს 2009 წლის რუსი ჩემპიონის – ივან ნიფონტოვისთვის შესრულებული მტკივნეული ილეთით, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო ჭიდაობა, სწორედ ამ შეხვედრაში აჩვენა. ავთანდილი უპირატესობას პირველივე წამებიდან დაეუფლა და გადამწყვეტ მომენტამდე, მოწინააღმდეგე ერთხელ იუკოზეც დააგდო.

სეზონის ოქროს დუბლის შესრულებას ქართველ ძიუდოისტს ფრანგი ლუის პიეტრის ძლევაღა აშორებდა. ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ პიეტრის, ამავე ტიტულების და პლუს უფროსებში ევროპის ჩემპიონატის მომგები ჭრიკიშვილი, მსოფლიოს ჩემპიონატამდე 6 თვით ადრეც დაეჭიდა, დიუსელდორფის დიდი პრიზის მერვედფინალში და იპონით მოუგო.

ბრაზილიაში ქართველი ძიუდოისტი თავიდანვე დაწინაურდა იუკოდ შეფასებული გდებით. მეორე წუთის მიწურულს კი ფრანგმა ვაზარით შეხვედრა სათავისოდ შეატრიალა. დარჩენილ სამ წუთში, ჭიდაობა ჭრიკიშვილს მიჰყავდა, მაგრამ ილეთი ვეღარ შეასრულა. ერთადერთი, რაც შეძლო, მეტოქეს პასიურობისთვის სამი შიდო მიაღებინა. ერთი გაფრთხილებაც და ლუის პიეტრის მოხსნიდნენ, მაგრამ შეხვედრა სასურველ ფინიშამდე მიიყვანა.

ვარლამ ლიპარტელიანმა მთავარი ბრძოლა ნახევარფინალში გადაიტანა, უხერხულზე უხერხულ მეტოქესთან, რუს კირილ დენისოვთან, რომელთანაც ბრაზილიურ ჩემპიონატამდე ხუთჯერ ჰქონდა ნაჭიდავები და ერთხელაც ვერ მოეგო. რევანში შედგა, თან ძალიან ეფექტური – პირველ ნომრად განთესილმა ქართველმა დენისოვი 82 წამში ორჯერ დააგდო ვაზარზე.

სამწუხაროდ, ეს გამარჯვება ვარლამ ლიპარტელიანისთვის ბოლო აღმოჩნდა ბრაზილიურ ტატამზე – ფინალში კუბელ ეშლი გონზალესს დაეჭიდა და ამ უკანასკნელმა წლევანდელ პარიზის საერთაშორისო

ავთანდილ ჭრიკიშვილს ოქროს დუბლის შესრულებას ფრანგი ლუის პიეტრის ძლევაღა აშორებდა

ტურნირზე წაგების გამო აიღო რევანში. საფრანგეთში ლიპარტელიანმა ილეთით იმარჯვა, რიოში კი შეხვედრის ბედი ერთადერთმა შიდომ გადაწყვიტა. ხუთი წუთის განმავლობაში მსაჯმა ქართველი ძიუდოისტი ორჯერ გააფრთხილა, კუბელს კი ერთით ნაკლები შენიშვნა აკმარა.

დენისოვთან და გონზალესთან დაჭიდებამდე ლიპარტელიანმა ფრანგ ლუდოვიკ გობერს ფრთხილი ჭიდაობით, მეოთხე წუთზე აღებული ვაზარით აჯობა. მერვედფინალში გერმანელი მარკ ოდენტალი წუთნახევარში, ულამაზესი გდებით გააკრა ტატამს. მეოთხედფინალში კი შვედ ჟოაკიმ დვარბის საქმე უილეთოდ მოუმთავრა – ზედმეტად ფრთხილ და მუდამ გაქცევაზე მოფიქრალ მოწინააღმდეგეს სამ წუთში ოთხი შიდო მიაღებინა.

ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) მსოფლიოს პირველობაზე სამეულში შესვლის შანსი ბოლო მომენტში დაკარგა. ისიც რეიტინგის ლიდერის რანგში შეხვდა სეზონის უმთავრეს შეჯიბრებას და ბრწყინვალედაც დაიწყო – თურქი აჰმეთ საჰინ კაბას შებოჭვით. გერმანელ ტობიას ენგელმაიერს ორი იუკოთი გასცდა. ყაზახ ასხატ ტელმანოვს იშვიათი სილამაზის მოგვერდით.

ოქრო-ვერცხლის შანსი კი ნახევარფინალში დაიკარგა, საფინალო სირენამდე 24 წამით ადრე. პაპინაშვილი მონღოლ ამარტუვშინ დაშდავაას გაფრთხილებებით 3:1 უგებდა, როდესაც, მოულოდნელად ბეჭებზე დავარდა.

„ბრინჯაოს ფინალში“ გადართულმა ქართველმა მსუბუქწონოსანმა, მორიგი იპონი აზერბაიჯანელი ორხან საფაროვისგან იწვნია, საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

ანალოგიური შედეგი აჩვენა ადამ ოქრუაშვილმა (+100 კგ). ირაკლი უზნაძის გაწვრთნილი გუნდის უმძიმესი წევრი ევროპირველობის ფინალში განცდილი მარცხის შემდეგ ტედი რინერს რევანშს დაჰპირდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ფრანგმა გოლიათმა მოიგო, თან გაცილებით ადვილად, ვიდრე წინა შეხვედრაში.

ქართულ-ფრანგული დაპირისპირება ნახევარფინალში შედგა. რინერმა პირველივე გააქტიურება ვაზარით დაასრულა და ზედ შებოჭვაც მიაყოლა.

ამ შეხვედრებამდე ადამ ოქრუაშვილმა სამოელი დერეკ სუა, პოლონელი მაციეჟ სარნაცკი და რუსი ალექსანდრ მიხაილინი ისე ჩამოიშორა, ჭიდაობისთვის განკუთვნილი ხუთი წუთი სრულად ერთხელაც არ გამოუყენებია. რეპეშაჟის ფინალში კი მოულოდნელად, ტუნისელ ფაიცელ ჯაბალაჰთან უშანსოდ წააგო.

ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ) რიო დე ჟანეიროს ტატამზე მხოლოდ ორჯერ გავიდა. მისთვის დაუძლეველი ზღუდე ბრიტანელი კოლინ ოუტსი აღმოჩნდა, ვისაც ლაშამ ლონდონის ოლიმპიური თამაშების მეოთხედფინალში ოქროს დროში შებოჭვით მოუგო. რიო დე ჟანეიროში ოუტსმა სრულფასოვანი რევანში აიღო, მეოთხე წუთის მიწურულს შესრულებული სუფთა გდებით. იმ ეპიზოდში ლაშა შავდათუაშვილი წამიერად მოდუნდა.

იპონამდე ქართველმა ძიუდოისტმა მსაჯისგან სამი შიდო მიიღო, აქედან ორი აბსოლუტურად უსამართლოდ. არაობიექტურობა ისე აშკარად გამოჩნდა, არ შევცდებით, შავდათუაშვილის წამიერი მოდუნების ერთერთ მთავარ მიზეზად ცუდ მსაჯობას თუ დავასახელებთ. თუმცა... უმაღლესი კლასის სპორტსმენი ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც მომზადებული უნდა შეხვდეს.

ზებედა რეხვიაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე 73 კგ) და ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ) მსოფლიოს პირველობას მერვედფინალიდან გამოეთიშნენ. ლევან წიკლაური (81 კგ) კი მეთექვსმეტედფინალს ვერ გასცდა. რეხვიაშვილი სლოვენიელ როკ დრაკშიჩთან დამარცხდა, ტატალაშვილი – ყაზახ დასტან იკიბაიევთან, ჟორჟოლიანი – ფრანგ სირილ მარესთან, ხოლო წიკლაური – მონღოლ უგანბაატარ ოტგონბაატართან.

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ინდივიდუალური ჩემპიონატის საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-5 ადგილი დაიკავა. თუმცა, მთავარი გუნდური პირველობა ჯერ წინ იყო.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ირაკლი უზნაძე – 2013 წლის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი

TWO FINALISTS

WORLD CHAMPIONSHIP
Rio de Janeiro August 26-September 1, 2013

AVTANDIL CHRIKISHVILI (81 KG) – SILVER
VARLAM LIPARTELIANI (90 KG) – SILVER

Georgian judokas wrestled in the two finals of the world championship and sustained regrettable defeats in both duels. Avtandil Chrikishvili (81 kg) and Varlam Liparteliani (90 kg) were one step away from gold medals. Chrikishvili participated in the championship as acting champion. He engaged in the tournament from the second round and beat Alexander Stiashenka (Belarus) for only 15 seconds. Then it took him two minutes for each of his contenders – Emanuel Lucenti (Argentina), Amir Gasem Nedjad (Iran) and Allen Shmitsor (France).

Chrikishvili won the semifinal duel when only ten seconds remained before the final siren. He beat 2009 world and Europe champion Ivan Nifontov (Russia) by painful hold. Avtandil gained advantage from the very beginning of the duel and maintained it up to the very end. One time he threw the opponent down and won Yuko.

Chrikishvili had to defeat Loic Pietri (France) in the final to make golden double in this season. Avtandil advanced at the beginning by the throw assessed as Yuko. At the end of the second minute the French judoka reversed the duel to his advantage by Waza-ari. Chrikishvili was dominating the duel for the remaining three minutes but he could not make a move. The only he achieved was three Shido imposed on his contender for passivity.

Varlam Liparteliani fought his main battle in the semifinal against Kirill Denisov (Russia) with whom he had wrestled five times before and lost all duels. Liparteliani make full and effective requital. During 82 seconds he twice threw down Denisov with the moves awarded by Waza-ari. Unfortunately, that was the last success of Liparteliani at the championship. He fought Asley Gonzalez (Cuba) in the final duel and lost. The Cuban judoka made requital for his defeat by Liparteliani at the international tournament in Paris this year. The fate of the duel was decided by the single warning Shido. During the five minutes referee warned the Georgian judoka twice while the Cuban was warned only once.

Amiran Papinashvili (60 kg), acting champion of Europe, lost the chance to become prize-winner of the world championship at the very last moment. He came to the championship as a leader of the rating and made an impressive start by beating Akhmet Sahin Kaba (Turkey) with hold. Then he beat Tobias Engelmayer with two Yukos and defeated Askhat Telmanov (Kazakhstan) by spectacular throw.

Papinashvili lost the chance to win either silver or gold in the semifinal when 24 seconds were remaining before the final siren. Papinashvili had the advantage of 3:1 over Amartushin Dashdavaa (Mongolia) thanks to Shidos imposed on his contender. However, he unexpectedly overlooked the contender's move which threw him down. Finally, Papinashvili occupied the fifth place.

Adam Okruashvili (+100 kg) showed the same result. The Georgian heavyweight promised requital to Teddy Riner (France) for the defeat in the final of European championship. However, the French judoka turned out stronger and defeated Okruashvili even easier than in the previous duel. They fought in the semifinal. Riner ended the first attack with Waza-ari and followed it by hold.

Lasha Shavdatuashvili (66 kg), champion of Olympics and Europe, appeared on tatami in Rio-de-Janeiro only twice. Lasha lost duel against Colin Oates (Great Britain) whom he defeated in the quarterfinal at the 2012 Olympic Games in London. Oates made a full requital in Rio-de-Janeiro by Ippon at the fourth minute of the duel when Shavdatuashvili relaxed for a second.

Zebeda Rekhviashvili, Nugzar Tatalashvili (both 73 kg) and Levan Zhorzholiani (100kg) dropped out of the championship from 1/8 final. Levan Tsiklauri (81 kg) could not pass 1/16 final round.

The Georgian national team occupied the fifth place in the individuals' contest of the championship. However, the main event such as teams' contest was ahead.

OTAR MAGLAKELIDZE

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. რიო დე ჟანეირო. 1 სექტემბერი

ამირან პაპინაშვილი (60 კგ)
ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ)
ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ)
ზეგედა რეხვიაშვილი (73 კგ)
ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ)
ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ)
ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ)

ადამ ოქრუაშვილი – ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი). ამ გდებამ გადაწყვიტა გუნდური ფინალის ბედი

კიდევ ერთი გუნდური ოქრო

2013 წელს ევროპის ჩემპიონატის მსგავსად, მსოფლიოს პირველობაც საქართველოს ნაკრების ტრიუმფით და საქართველოს ჰიმნით დაგვირგვინდა. ირაკლი უზნაძის გაწვრთნილმა გუნდმა თავისი რეალური ძალა რიო დე ჟანეიროშიც დაამტკიცა, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მოგებით.

შეჯიბრებაში სულ თექვსმეტი ქვეყნის ნაკრები ჩაერთო. გასული წლების ანალოგიური ტურნირებისგან განსხვავებით, გუნდების თავკაცებმა შემადგენლობები ძირითადად პირველი ნომრებით დააკომპლექტეს.

კენჭისყრაში საქართველოს ნაკრებს აშკარად არ გაუმართლა. მერვედფინალშივე ერთ-ერთ ფავორიტს, საფრანგეთს დაუპირისპირდა. შეხვედრა ფრანგების კარნახით დაიწყო – ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ) დავიდ ლაროშთან ვაზარ-იუკოთი დამარცხდა. საერთო ანგარიში ნუგზარ ტატალაშვილმა (73 კგ) გაათანაბრა, პიერ დუპრას ერთადერთი შიდოთი ძლევით.

ყველაზე სინტერესო დაპირისპირება 81 კილოგრამში შედგა, სადაც მსოფლიოს ინდივიდუალური პირველობის ფინალი განმეორდა და ავთანდილ ჭრიკიშვილმა ლუის პიეტრის ღირსეული რევანში აუღო. ქართველმა ძიუდოისტმა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი სულ რაღაც წუთნახევარში ორჯერ დააგდო ვაზარზე და საქართველოს ნაკრები დააწინაურა. მეოთხედფინალის საგზური გუნდს ვარლამ ლიპარტელიანმა გაუნაღდა, აქსელ კლერჟეს ძლევით. ეს უკანასკნელი მსაჯმა ფეხში შესვლის წესის დარღვევისთვის მოხსნა.

მძიმეწონოსანთა დაპირისპირებამ აზრი დაკარგა, მაგრამ ერთი დიდი დამატებითი დატვირთვა მაინც შერჩა – ადამ ოქრუაშვილი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ტედი რინერს კიდევ ერთხელ დაეჭიდა. სამწუხაროდ, ისევ წააგო. საქართველომ საწყისი ეტაპი 3:2-ით გაიარა.

მეოთხედფინალში ქართული ხუთეული მონღოლეთის ნაკრებს დაეჭიდა. გამარჯვებული ამ შემთხვევაშიც პირველი ოთხი წონის დაპირისპირების შემდეგ გამოვლინდა.

ირაკლი უზნაძემ შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა – შავდათუაშვილი ამირან პაპინაშვილით ჩაანაცვლა, ხოლო ტატალაშვილი ზეგედა რეხვიაშვილით.

თავიდან მონღოლები დაწინაურდნენ, მას შემდეგ, რაც ტუმურხულეგ დავაადორჟმა პაპინაშვილს ერთადერთი გაფრთხილებით აჯობა. რეხვიაშვილმა უხვტიტულა მეტოქეს ცაგაანბაატარ ჰაშბაატარს სამ წუთში შესრულებული ორი ვაზარით მოუმთავრა საქმე. ავთანდილ ჭრიკიშვილმა ნიამ ოჩირ საინიარგალს შიდოებით 2:1 მოუგო და საერთო ანგარიშიც 2:1 გახადა. ვარლამ ლიპარტელიანმა კი ნახევარფინალში გამსვლელი გამარჯვება ცოგტგერელ ხუთაგთან სუფთა გდებით მოიპოვა. თანაგუნდელებს არც ადამ ოქრუაშვილი ჩამორჩა და ნაიდან ტუვშინბაიარი ორწუთნახევარში დასცა ბეჭებზე.

გასამდა – საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია

ნახევარფინალში საქართველოს ნაკრების სატურნირო გზა იაპონიისას უერთდებოდა, მაგრამ ძიუდოს ფუძემდებლებმა მოულოდნელად წაიფორხილეს და მათი მძლეველი უზბეკები დადგნენ ქართველი ძიუდოისტების პირისპირ.

წინა ეტაპების მსგავსად, პირველ წონით კატეგორიაში ისევ დავმარცხდით. ლაშა შავდათუაშვილი რიშოდ სობიროვთან მეორე წუთზე ვაზარზე დავარდა. მალევე, სუფთა გდებაზეც წამოეგო. ნუგზარ ტატალაშვილმა მირალი შარიპოვისთვის ოქროს დროში შესრულებული იუკოთი გაათანაბრა საერთო ანგარიში. ავთანდილ ჭრიკიშვილმა ნაკრები იახიო იმამოვის ძლევით დააწინაურა. ჯერ ვაზარზე დააგდო მეტოქე, შემდეგ კი, მეორე წუთის მიწურულს, მორიგი ეფექტური გდებით ბეჭებზეც გააკრა. ვარლამ ლიპარტელიანმა ერხინ დონიოროვი ორ წუთში შებოჭა და ფინალის საგზურიც გაუნაღდა გუნდს. ადამ ოქრუაშვილმა კიდევ ერთ უმოტივაციო შეხვედრაში საიდ ყურბანოვს პირველსავე წუთზე მოუმთავრა საქმე.

სატურნირო ბადის მეორე მხარეს ყველას რუსებმა აჯობეს და მორიგი ქართულ-რუსული ფინალური დაპირისპირებაც შედგა.

გადამწყვეტი ბრძოლა ლაშა შავდათუაშვილისა და ალიმ გადანოვის შეხვედრით დაიწყო. ქართველმა ევროპის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩვეული ჭიდაობის ჩვენება ვერც ამჯერად მოახერხა – მეტოქის იუკო და ვაზარი გამოეპარა. საერთო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც ზებედა რეხვიაშვილი მურად კოძოკოვთან სუფთა გდებით დამარცხდა. არადა ქართველი ძიუდოისტი საბედისწერო ილეთამდე არნახულ უპირატესობას ფლობდა – მეტოქეს ვაზარს და ორ იუკოს უგებდა. ერთ ეპიზოდში კი გადანოვის შებოჭვით ძლევამდე 4 წამი დააკლდა. რეხვიაშვილს თავისუფლად შეეძლო, საფინალო სირენამდე თავი მშვიდად დაეცვა, მაგრამ საქმის ვადაზე ადრე მომთავრება მოინდომა და დაისაჯა – 0:2.

წინ კი კიდევ სამი წონითი კატეგორია იყო და რუსებს ერთი გამარჯვებაც ჰყოფნიდათ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ზეიმის მოლოდინით აჟიტირებულებს ორქულიანი უპირატესობა ავთანდილ ჭრიკიშვილმა შეუმცირა, სირაჟუდინ მაგომედოვის დამარცხებით. ქართველმა ძიუდოისტმა გაფრთხილებებით 2:1 მოიგო. უილეთოდ ჩამთავრდა ვარლამ ლიპარტელიანისა და კირილ დენისოვის ბრძოლაც და ამ შემთხვევაშიც, შეხვედრის ბედი ერთით მეტმა შიდომ გადაწყვიტა. საბედნიეროდ, ისევ ჩვენებურის სასარგებლოდ.

ფინალის ბედი ადამ ოქრუაშვილისა და ალექსანდრ მიხაილინის დაჭიდებამ გადაწყვიტა. ქართველმა მძიმეწონოსანმა უხვტიტულა მეტოქე რიო დე ჟანეიროში ორ დღეში მეორედ გაამწარა.

შეხვედრის შუაწელს ოქრუაშვილი გაფრთხილებით იგებდა, მაგრამ ეს უპირატესობა არ იკმარა, აქტიურად შეუტია და ნაადრევად დაღლილი მოწინააღმდეგე პარტერში გადაიყვანა. იქ კი უპრობლემოდ შებოჭა. საქართველოს ნაკრებმა 3:2 მოიგო და მსოფლიოს რიო დე ჟანეიროს კვარცხლბეკიდან გადმოხედა.

ბრინჯაოს მედლები იაპონიამ და უზბეკეთმა მოიპოვეს.

„საქართველოს ნაკრები მსოფლიოში ყველაზე მეგობრული და ერთ მუშტად შეკრული გუნდია. რა თქმა უნდა, ყველაზე ძლიერიც და ეს აგერ უკვე მერამდენედ დამტკიცდა,“ – უთხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ჟურნალისტებს მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებისთანავე.

ოთარ მაღლაკელიძე

ONE MORE TRIUMPHANT TEAM VICTORY

Like 2013 European championship in judo, the world championship-2013 was crowned with the triumphant victory of Georgian national judo team and Georgian national anthem. The Georgian team coached by Irakli Uznadze reaffirmed its actual strength in Rio-de-Janeiro by winning the world teams' championship.

The lot was not favorable for the Georgian team. The Georgians faced in the 1/8 final the French team considered one of the favorites of the tournament. The French team gained initiative at the beginning of the contest when David Larose beat Lasha Shavdatuashvili (66 kg) by Waza-ari and Yuko. Then Nugzar Tatalashvili (73 kg) equalized the score by beating Pierre Duprat with a single Shido. The most interesting duel was held in the 81 kg weight category, which repeated the final of the individuals' world championship. Avtandil Chrikishvili requited for the defeat from Loic Pietri to whom he lost the final duel several days ago. It took the Georgian judoka a minute and a half to gain two Waza-aris by two beautiful throws and advance Georgian team in score. Varlam Liparteliani secured for the Georgian team the ticket to the quarterfinal by defeating Axel Klerje.

The Georgian team fought the Mongols in the quarterfinal. The Mongols won the first duel. However, the Georgian judokas won the rest of the duels with the advantage of 4:1. The Georgians defeated the Uzbek team with the same score 4:1 in the semifinal contest.

The decisive fight for the title of world champion was between the Georgian and Russian national teams. The beginning was not promising because Lasha Shavdatuashvili lost the duel against Alim Gadanov and Zebeda Rekhviashvili was defeated with Ippon by Murad Kodzokov. The duels in three weight categories were ahead and the Russians needed only one victory to gain the title of world champion team. They already anticipated celebration. However, Avtandil Chrikishvili cooled down their enthusiasm by shortening the Russian's two-point advantage. The Georgian judoka beat Sirazudin Magomedov 2:1 by Shidos imposed on the Russian Judoka. The duel between Varlam Liparteliani and Kirill Denisov also ended without any move. The fate of the duel was decided by the number of Shidos, which fortunately was in favor of the Georgian judoka.

The duel between Adam Okruashvili and Alexander Mikhailin decided the winner of the final. The Georgian heavyweight beat his titled contender for the second time during the world championship days in Rio-de-Janeiro. Okruashvili was winning the duel by Shido given to his contender. However, he was not content with this advantage. Okruashvili proactively attacked his tired contender, turned him down and then grasped easily. The Georgian team won the final contest 3:2 and climbed on the winner's pedestal. Uzbek and Japanese teams won bronze medals.

OTAR MAGLAKELIDZE

ტაისონა

ძიუდოისტ ბექა ღვინიაშვილისთვის (90) წლევანდელი სეზონიც ისეთივე წარმატებული აღმოჩნდა, როგორიც 2011 წლისა – მაშინდელის მსგავსად, ახლაც თავისი ასაკის ყველა პირველხარისხოვანი შეჯიბრება მოიგო. 2011 წელს ღვინიაშვილი ჭაბუკებში გამოდიოდა და მაშინ გაიმარჯვა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში, წლეულს კი ახალგაზრდებში გამოდის, სადაც იმარჯვა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში პირად პირველობაზე, მსოფლიოს გუნდურ ტურნირში. თან, მაშინდელის მსგავსად, ამჯერადაც უკლებლივ ყველა შეხვედრა იპონით მოიგო. განსხვავება მხოლოდ რაოდენობაშია – მაშინ თუ 17 ორთაბრძოლა ჩაატარა, ამჯერად 14 გამართა. ლიუბლიანაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ისე მოხდა, რომ პირადსა და გუნდურში ზედიზედ მოუწია ჭიდაობა, მაგრამ ამას მასზე უარყოფითი გავლენა ოდნავადაც არ მოუხდენია და ყველა შეხვედრაში კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა. როგორია – 2 დღეში 9 იპონი! ამ ფაქტზე საუბრისას სამართლიანად თქვა ახალგაზრდულის თავკაცმა გია გუგავამ, რაღა უნდა ვილაპარაკო მეტი მასზეო.

წლევანდელი სეზონი ღვინიაშვილის კარიერაში გარდამტეხია – მან სრულად დაიმკვიდრა თავი ახალგაზრდებში და დასძლია ის ჩავარდნა, რაც შარშან, ჭაბუკებიდან გადმოსვლის შემდეგ ჰქონდა. თუმცა უშანსოდ არც მაშინ ყოფილა – გავიდა 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატისა და რამდენიმე „ევროპის ღია თასის“ ფინალში, თუმცა მაინც ვერ იყო ძველებურად შეუჩერებელი ფალავანი. ამას ის რამდენიმე წაგებული ფინალიც მოწმობს, მაგრამ ამასაც ჰქონდა თავისი მიზეზი – ახალი ასაკი, ახალი მეტოქეები, რომლებიც აღემატებოდნენ ასაკითაც, ჯანითაც, ახალი წესები და ახალი მოთხოვნები... ჭაბუკებიდან ახალგაზრდებში ადაპტაცია ხომ ბევრად ძნელია, ვიდრე – ახალგაზრდებიდან უფროსებში, ამას კი ორი სერიოზული პრობლემა დაემატა – წონის დაკლება და ახალი წესები. ასაკთან ერთად მას წონაც საგრძნობლად ემატებოდა. მით უფრო, ბუნებამ ჯანიც მოჰმადლა და ძვალმსხვილი ბიჭია. ამიტომ სულ უფრო უჭირდა 81 კილოგრამში დაკლება. წესების ცვლილებამაც სერიოზულად დაარტყა, რამაც მისი 1-2 კოზირი შეიწირა, მაგრამ ტალანტი იმიტომაა გამორჩეული, რომ ადვილად ახერხებს ადაპტირებას და ბექამაც, ცოტაოდენი გაჭიანურების მიუხედავად, მაინც წარმატებით დასძლია ეს პროცესი. მით უფრო, ახალი წესებით ძიუდო ახლოა ქართულ ჭიდაობასთან, რომელიც ღვინიაშვილისთვის მშობლიურია.

შარშანდელი სეზონის მიწურულს, საქართველოს ჩემპიონატზე ის საბოლოოდ დაემშვიდობა ძველ წონას და 90-ში გადავიდა, რაც დროული ნაბიჯი აღმოჩნდა. შედეგად, მისი ჭიდაობა დაიხვეწა და დაიბრუნა ადრინდელი სისადავე, მოხდენილობა და სიძლიერე. ჯერ კიდევ ბევრია სავარჯიშო ახალ წესებზე, ჩავლებებზე, მაგრამ მის ჭიდაობაში კვლავ იგრძნობა რეზერვი და სიძლიერე, რითაც ყოველთვის თავზარს სცემდა მეტოქეებს. სიმართლე გითხრათ, ის იმდენად სწრაფად იგებს შეხვედრებს, ბევრი დაკვირვების საშუალებას არ გვაძლევს. ჩინებული ინტუიციის დამსახურებით, იშვიათად ჰკარგავს ქულებს, ხოლო კარგი ფიზიკური მომზადებისა და სისწრაფის, ტექნიკის ხარჯზე მუდამ ახერხებს ინიციტივის ხელში აღებას. წლეულს ერთი თვისებაც გამოავლინა – სამივე ზემოდასახელებულ ტურნირზე დასკვნითი, ბოლო შეხვედრა ერთნაირი სცენარით მოიგო: ფიზიკური ძალის წყალობით მეტოქეები იოლად ჩაჰყავდა ტატამზე, იქ კი მარტივად და უპრობლემოდ ბოჭავდა...

მას ტყუილად არ ეძახიან მეტსახელად „ტაისონას“ – ის მართლაც ამართლებს ამ თიკუნს. ბედნიერია მწვრთნელი, რომელსაც გუნდში ასეთი ტალანტი ჰყავს, ტალანტი, რომელსაც მუდამ გარანტირებული მოგება აქვს აქტივში.

ირაკლი თავაძე

გამარჯვების სეზონი

**ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 2013 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲒᲘᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲡ ᲒᲐᲬᲕᲠᲗᲘᲜᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ 22–24 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲠᲐᲔᲕᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ 10 ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ 5–ᲛᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ ᲛᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲑᲔᲥᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (90 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲗᲣᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ (100 ᲙᲒ) ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ. ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲣᲒᲐᲕᲐᲡᲐ (73 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ (+100 ᲙᲒ) ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲗᲘᲗᲝ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲜᲔᲜ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ (+100 ᲙᲒ) ᲙᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲓᲐᲡᲯᲔᲠᲓᲐ.

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონი – საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები



ᲚᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲮᲕᲘᲛᲘᲐᲜᲛᲐ (60 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲝᲗᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (100 ᲙᲒ) ᲠᲔᲞᲔᲨᲐᲟᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲬᲐᲐᲒᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔ-5 ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ. ᲕᲐᲟᲐ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (60 ᲙᲒ), ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ (81 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲚᲐᲨᲐ ᲢᲐᲕᲔᲚᲣᲠᲘ (90 ᲙᲒ) ᲙᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲔᲗᲘᲨᲜᲔᲜ. 55 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ.

ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲚᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲭᲘᲓᲐᲕᲐ ᲑᲔᲥᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲓᲣᲑᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ. ᲚᲔᲠᲘ ᲭᲔᲚᲘᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲔᲑᲘ ᲘᲠᲒᲣᲜᲔᲡ. ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ, ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲙᲠᲘᲕᲝᲑᲝᲙᲝᲕᲗᲐᲜ ᲬᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ. ᲐᲛ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲨᲔᲓ�გᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔᲡ ᲐᲯᲝᲑᲐ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔᲛ ᲛᲔ-5 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ. ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲓᲐᲜᲕᲔ �გᲐᲛᲝᲔᲗᲘᲨᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 100 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ �გᲣᲠᲐᲛ ᲗᲣᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲐᲯᲛᲐ ᲛᲔ-ᲢᲝᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ-

ბექა ღვინიაშვილი

გურამ თუშიშვილი

მარიამ ჯანაშვილი

ში პირველად, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი გაიმართა. ვაჟთა შორის საქმეში 16 ქვეყნის ნაკრები ჩაერთო.

თუკი აქამდე ძიუდოს გუნდური შეჯიბრებები ძირითადად ქართულ-რუსული ფინალით მთავრდებოდა ხოლმე, ახალგაზრდებში სწორედ ამ დაპირისპირებით დაიწყო. გუგავას ხუთეულმა კელიხაშვილის, მარგიანისა და ღვინიაშვილის მიერ აღებული ქულების წყალობით 3:2 იმარჯვა. ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტის ძლევის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მონღოლეთსა და სლოვენიას მშრალი ანგარიშით გასცდა. თავიანთი შეხვედრები მოიგეს კელიხაშვილმა, გუგავამ, მარგიანმა, ღვინიაშვილმა და მატიაშვილმა.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ ქართველები და ბერძნები დადგნენ. შეხვედრა საქართველოს ნაკრებისთვის არასასურველი სცენარით დაიწყო – კელიხაშვილი ახალგაზრდებს შორის ევროპის 3-გზის ჩემპიონ გეორგიოს აზოიდისთან გაფრთხილებებით დამარცხდა. ანგარიში ფრიდონ გიგანმა გაათანაბრა რომან მუსტოპულოსის ვაზარ-იუკოთი ძლევით. მუტოპულოსი ვეტერანი ქართველი ძიუდოისტის გიორგი რევაზიშვილის ვაჟია და წლეულს 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა. სლოვენიურ მსოფლიოს პირველობაზე კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 81 კილოგრამში ბერძნებს ხუთეულში კიდევ ერთი საიმედო ძიუდოისტი ჰყავდათ – მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ალექსიოს ნტანაციდისი, მაგრამ ფინალში ვერც მან გაუმართლათ. მარგიანმა ტიტულოვანი მეტოქე წუთნახევარში ვაზარზე დააგდო და უპირატესობა საფინალო სირენამდე მშვიდად შეინარჩუნა.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გამნაღდებელი ქულა საქართველოს ნაკრებს ღვინიაშვილმა მოუტანა. ევროპის და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა გეორგიოს მალიაროპულოსი წუთნახევარში ვაზარზე დააგდო და შებოჭა. მატიაშვილმა საბოლოო ანგარიში – 4:1 დავიდ კარაკლიდისთვის შესრულებული ეფექტური სუფთა გდებით დააფიქსირა. აქვე ერთი საინტერესო დეტალიც, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მძიმე წონაში მონაწილე რომ არ ჰყოლოდა, მსოფლიოს ჩემპიონი მაინც გახდებოდა. ლუბლიანური მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დაიხურა.

ჭაბუკთა ნაკრებმა სეზონის ორ უმთავრეს შეჯიბრებაზე ერთადერთი ოქროს მედალი აიღო. 8-11 აგვისტოს მაიამიში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე კობა მჭედლიშვილმა უმაღლესი ტიტული მოიპოვა. რობიზონ ბეგლარაშვილსა (50 კგ) და თამაზ კირაკოზაშვილს (73 კგ) კი მსოფლიოს ჩემპიონობამდე ფინალის მოგებაღა დააკლდათ.

ამ სამეულმა მსოფლიოს პირველობამდე თვენახევრით ადრე, ევროპის ჩემპიონატზეც (ტალინი. 21-23 ივნისი) მოახერხა საპრიზო ადგილის დაკავება. ირაკლი ცირეკიძის განვრთნილმა გუნდმა ესტონური ტატამიდან სულ 4 მედალი გამოიტანა და ოთხივე ბრინჯაოსი. ბეგლარაშვილის, მჭედლიშვილისა და კირაკოზაშვილის გარდა კვარცხლბეკზე დავით რამაზაშვილი (90 კგ) ავიდა.

სეზონის ერთ-ერთი მთავარი გამარჯვება კი გია თენაძისა და კახა მოცრაძის განვრთნილი იუნიორ გოგონათა ნაკრების შედეგიანობა იყო. 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე მზია ბებოშვილმა ტალინურ ევროპირველობაზე დამოუკიდებელი ქართული ძიუდოს ისტორიაში, პირველი მედალი – ბრინჯაო მოიპოვა. ამ წარმატებიდან ერთ დღეში კი მარიამ ჯანაშვილმა (52 კგ) თამასა უმაღლეს წერტილამდე ასწია – ევროპის ჩემპიონი გახდა. ამასთან, ისე შთამბეჭდავად იჭიდავა, საწყისი ეტაპებიდანვე გამოიკვეთა, რომ მისი მომგები არავინ იყო. 17 წლის ქართველმა ძიუდოისტმა ოქროს გზა ოთხი იპონით გაიარა.

ჯანაშვილმა თავისი ძალა მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამტკიცა, როდესაც სეზონის ოქროს დუბლამდე ერთადერთი გამარჯვება დააკლდა. მზია ბებოშვილმა კი მე-5 ადგილი დაიკავა.

ოთარ მაღლაკელიძე

გაკეთებული და გასაკეთებელი

ინტერვიუ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან – ზურაბ აზმაიფარაშვილთან.

– ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ 2013 წელს, როგორც მინისტრის პირველი მოადგილე?

– ჩემი აზრით, სამინისტროს მთავარი ამოცანა 2013 წლისთვის იყო ორივე სფეროს, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპოლიტიზაცია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ორივე მიმართულებით წარმატებას მივაღწიეთ. მთელი წლის განმავლობაში სამინისტრო ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და არ ერეოდა ფედერაციების საქმიანობაში, თითქმის ყველა ფედერაციაში არჩევნები ჯანსაღ და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა, რაც თავისთავად დიდი წარმატებაა, თუ წინა წლების გამოცდილებას გავითვალისწინებთ, იგივეს თქმა შემიძლია ახალგაზრდულ სექტორზეც. სამინისტრო არ ჩარეულა არც ერთი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ახალგაზრდებთან და ვახორციელებთ ერთობლივ პროექტებს, თუმცა მათ შიდა საქმეებში არანაირად არ ვერევით.

ანალოგიური სიტუაციაა სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში, რომელიც მთლიანად პოლიტიზირებული იყო. ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ეს გამოჩნდა „მომავლის ბანაკის“ მაგალითზეც. ბანაკი ღია იყო მთელი საზოგადოებისათვის და ყველამ კარგად დაინახა, თუ რამხელა სხვაობა მივიღეთ წინა წლებთან შედარებით. ზოგადად, ვცდილობთ ცენტრი მაქსიმალურად დავტვირთოთ სხვადასხვა აქტივობებით, განსაკუთრებით არაფორმალური განათლების კუთხით.

მინდა აღვნიშნო ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის აქტიური საქმიანობა 2013 წლის განმავლობაში: ჩატარდა არაერთი ღონისძიება იმისთვის, რომ საზოგადოებას გაეგო ფონდის არსებობის შესახებ. სამწუხაროდ, აქამდე ეს პრობლემაც იდგა დღის წესრიგში. მეორე მხრივ, აქტიურმა საინფორმაციო კამპანიამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების დაინტერესებას და შედეგად 2013 წელს ფონდში უპრეცედენტო რაოდენობის პროექტი იქნა წარმოდგენილი.

– როგორ ფიქრობთ, არის რამე ისეთი, რისი განხორციელებაც სამინისტროს 2013 წელს სურდა თუმცა ვერ მოახერხა და რა მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2014 წელს?

– სამწუხაროდ, არის გარკვეული საკითხები, რომელთა განხორციელებაც ვერ მოხერხდა დასახული გეგმის შესაბამისად. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე. ყველა ის რეფორმა, რაც განხორციელდა სასახლეში, ემსახურებოდა არსებული პრობლემების მოგვარებას, თუმცა კომუნიკაციის ნაკლებობის გამო საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა საკმაოდ ნეგატიურად მიიღო ეს ინფორმაცია. ყველასთვის ცნობილია, რომ სასახლის მთავარი პრობლემა არასაკმარისი ფინანსებია, ეს ჩვენთვისაც ნათელია და მომავალ წელს სწორედ ამ მიმართულებით ვაპირებთ აქტიურად მუშაობას. სასახლეში 350 ადამიანია დასაქმებული და მომავალი წლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება ამ ყველასთვის პატივსაცემ და საყვარელ ადამიანებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება და მათი პრობლემების მოგვარება.

ზოგადად, როდესაც ჩვენ დავიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა გადანაწილებულიყო სამინისტროს პრიორიტეტები და რაში უნდა დახარჯულიყო ფინანსები, გადავწყვიტეთ, არ გაგვეკეთებინა აქცენტი მხოლოდ გასართობ ღონისძიებებზე, თუმცა მაინც აღსანიშნავია, რომ ჩატარდა რამდენიმე საკმაოდ წარმატებული ფესტივალი და კონცერტი, სადაც უამრავმა ახალგაზრდამ შეძლო თავისი ნიჭის გამოვლენა. მთავარ მიმართულებად ავირჩიეთ სოციალური პრობლემატიკა და იმ ახალგაზრდების მხარდაჭერა, რომელთაც წლების მანძილზე არასათანადო ყურადღება ეთმობოდათ.

ვეკო კვარაცხელია

13–14 სექტემბერს სტეფანწმინდამ სპორტის ექსტრემალურ სახეობებში REDBULL GERGETI 2013-ს უმასპინძლა. ოთხი სპორტსმენისგან დაკომპლექტებული გუნდები მდინარეზე კაიაკით დაშვებაში, მეკლდეურობაში, სამთო ველორბოლასა და სამთო სირბილში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. სანახაობა, რომელიც უდავოდ თვალსასეირო გამოდგა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

REDBULL GERGETI 2013

პირველად კაიაკერები დაეშვნენ: მათ მდინარე თერგზე 8-კილომეტრიანი დისტანცია დასძლიეს. შემდეგ მეკლდეურების ჯერი დადგა, 30 მეტრის სიმაღლის კედლის გავლის შემდეგ კი ესტაფეტა ველომრბოლებმა გადაიბარეს. სამთო ველოსიპედით 12 კილომეტრის დაძლევის შემდეგ სამთო მორბენალთა ჯერი დადგა, რომლებმაც 7-კილომეტრიანი გარბენი გერგეტის ველზე დაასრულეს. შეჯიბრება საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

ტურნირის ორგანიზატორებმა მონაწილეთა წინაშე რთული ამოცანა დასახეს, მთლიანი ტრასის დაძლევას დიდი გამძლეობა და გამოცდილება სჭირდებოდა. საბოლოოდ პირველი ადგილი და 3000 ლარი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გუნდმა მოიპოვა. მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები თურქმა სპორტსმენებმა დაიკავეს, მესამე ადგილი კი აზერბაიჯანის გუნდს ერგო. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს სტეფანწმინდის სასტუმრო „რუმსმა“ უმასპინძლა.

ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი დაესწრო და გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები დააჯილდოვა და ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა.

„ჩვენ ამ პროექტს მხარი დავუჭირეთ, რადგან ვთვლით, რომ ასეთი შეჯიბრებები ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა. საერთოდ, ექსტრემალურ სპორტს ბევრი მოყვარული ჰყავს, გულშემატკივარი ასეთი სანახაობით დიდ სიამოვნებას იღებს. შეჯიბრება ძალიან საინტერესო გამოდგა და მოხარული ვარ, რომ პირველი პრიზი ჩვენი სამინისტროს გუნდმა მოიპოვა“, – განაცხადა ლევან ყიფიანმა. REDBULL GERGETI 2013-ის ორგანიზატორთა განცხადებით, შეჯიბრება ტრადიციული გახდება და მთავარი ჯილდოც კვლავ სტეფანწმინდაში გათამაშდება.

ნიკა კოპალიანი

ჭიდაობა
ევროპის ჩემპიონატი
თბილისი. 19–24 მარტი

თავისუფალი ჭიდაობა

გიორგი ედიშერაშვილი
(55 კგ) – ოქრო
დავით მარსაგიშვილი
(84 კგ) – ოქრო
ვლადიმერ ხინჩეგაშვილი
(60 კგ) – ბრინჯაო
გენო პეტრიაშვილი
(120 კგ) – ბრინჯაო

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ზურაბ დათუნაშვილი
(74 კგ) – ვერცხლი
ვლადიმერ გეგეშიძე
(84 კგ) – ვერცხლი
გურამ ფერსელიძე
(120 კგ) – ბრინჯაო

ქართული კვირეული

2013 წლის 19–24 მარტს, დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად, საქართველომ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. სპორტის სასახლეში გაშლილ ხალიჩებზე კონტინენტის ჩემპიონ-პრიზიორები თავისუფალ, ქალთა და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში გამოვლინდნენ. საქართველოს ნაკრებს, ტრადიციულად, მონაწილე მხოლოდ მამაკაცებში ჰყავდა, სადაც სულ 56 მედალი გათამაშდა და აქედან 7 საქართველოში დარჩა.

14 სპორტსმენიდან 7-ის კვარცხლბეკზე ასვლა ურიგო შედეგი რომ არაა, ფაქტია, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც ყველას დარჩა – გულშემატკივრებს, სპორტსმენებს, მწვრთნელებს თუ ჭიდაობის სპეციალისტებს. საქართველოს ნაკრებებმა გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გასვლა ვერ შეძლეს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა კი შეჯიბრება ოქროს გარეშე ჩაამთავრეს.

ევროპირველობა ჭიდაობის ევროპის ფედერაციის (სელა) გენერალური ასამბლეით გაიხსნა, რომელზეც მოქმედ პრეზიდენტ ცენო ცენოვს უფლებამოსილების ვადა 2016 წლამდე გაუგრძელეს.

დამსწრეთ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ საქართველოში ჩამოსვლისთვის მადლობა გადაუხადა და მაღალ დონეზე ორგანიზებულ ევროპირველობას დაჰპირდა. საჭიდაო სამყაროს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნენად ლალოვიჩიც მიესალმა. ეს 18 მარტს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ მოხდა. მეორე დღეს კი სტუმარ-მასპინძლებმა სპორტის სასახლეში გადაინაცვლეს.

19 მარტი – არაქართული დასაწყისი

ექვსდღიანი თბილისური ჩემპიონატის პირველი დღე სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილი მაყურებლისთვის ერთობ მოსაწყენი გამოდგა. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები, შეჯიბრებას საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშნენ. უცხოელების ჭიდაობა კი ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა, რასაც პირველ ყოვლისა ამ სახეობის ცუდი სანახაობრივი მხარით ავხსნით. შეხვედრების უმეტესობა ისე მთავრდებოდა, უშუალოდ ჭიდაობისას ილეთის შესრულებას ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებდა. ქულებს ძირითადად ის სპორტსმენები იღებდნენ, ვისაც გამჭვირვალე ლანგრიდან ამოღებული ბურთულიდან სასურველი ფერი ამოუვიდოდა. ეს მას მეტოქის ფეხში შესვლის უპირატესობას აძლევდა, რაც მინიმუმ 90 პროცენტით გარანტირებულ ქულას და პერიოდის მოგებას ნიშნავდა. ჰოდა, ამ სასაცილო წესის გადამკიდე, საბოლოოდ, გამარჯვებული ის მხარე რჩებოდა, რომელსაც უკეთესი ყისმათი ჰქონდა.

რევაზ მინდორაშვილის გაწვრთნილი გუნდის წევრთაგან პირველები ხალიჩაზე კონსტანტინე ხაბალაშვილი (66 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (96 კგ) გავიდნენ. ხაბალაშვილმა ალბანელი ვილსონ ნდრეგონი უპრობლემოდ ჩამოიცილა (4:0 2:0), მაგრამ რუსეთის სახელით მოჭიდავე ილიას ბეკბულატოვს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია (1:4 0:1). ოდიკაძეც მხოლოდ ორჯერ გავიდა ხალიჩაზე და მისთვისაც რუსი მეტოქე აღმოჩნდა დაუძლეველი ზღუდე, ოღონდ ამ წარუმატებლობის ერთ-ერთი

მიზეზი ზემოთ ნახსენები ბურთულის წესი იყო. ქართველმა მოჭიდავემ ვლადისლავ ბაიცაევს პირველი პერიოდი გამთანაბრებელი ქულის უპირატესობით მოუგო. მეორე ორწუთეული კი უქულოდ დასრულდა და ბაიცაევმა ლანგრიდან თავისი ფორმის ფერი ბურთულა ამოაძვრინა. შესაბამისად, წონასწორობაც აღადგინა. გადამწყვეტ პერიოდში კი ქართველი მოჭიდავე პასიურობის გამო მიღებული გაფრთხილებით დამარცხდა. ამ შეხვედრამდე ოდიკაძემ ბელარუსი ივან იანკოუსკის ძლევა მოასწრო.

ისღა დაგვრჩენოდა, ბეკბულატოვისა და ბაიცაევის ფინალში გასვლას დავლოდებოდით, რაც ხაბალაშვილს და ოდიკაძეს ბრინჯაოს მედლისკენ მიმავალ გზას გაუხსნიდა, მაგრამ ორივე რუსმა მალევე წაიფორხილა.

ქართველები სპორტის სასახლის არენაზე წინასწარი ეტაპის შეხვედრების დასრულების შემდეგაც გავიდნენ, ოღონდ მომღერლები და მოცეკვავეები, ტურნირის ოფიციალური გახსნის ცერემონიალზე. საღამო ანსამბლებმა, „შვიდკაცამ“ და „ერისიონმა“ გაალამაზეს. დამსწრეთ საქართველოს, ევროპისა და საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციების პრეზიდენტებმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიმართეს. ფილას ხელმძღვანელმა ნენად ლალოვიჩმა ბიძინა ივანიშვილს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო გადასცა. გახსნის ცერემონიალის მიწურულს კი სცენაზე სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი ავიდა და იუბილარ ვეტერან ქართველ მოჭიდავეებს – გურამ საღარაძესა და ლევან თედიაშვილს სპორტის რაინდის წოდებები მიანიჭა და შესაბამისი ჯილდოები გადასცა.

20 მარტი – პირველი მედლები

მეორე საჭიდაო დღე საქართველოს ნაკრებისთვის გაცილებით წარმატებული გამოდგა. საქმეში ორი უმსუბუქესი წონითი კატეგორიის მოჭიდავე ჩაერთო და ორივემ მედალი მოიპოვა. გიორგი ედიშერაშვილმა (55 კგ) შეჯიბრება წაუგებლად ჩაამთავრა და ევროპის ჩემპიონი გახდა. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60 კგ) კი ბრინჯაოს დასჯერდა.

ედიშერაშვილმა ოქროს გზაზე უმთავრეს ფავორიტებად მიჩნეული მოჭიდავეები ჩამოიშორა. პირველ წრეში აზერბაიჯანელ იაშარ ალიევს სამპერიოდიან დაძაბულ ორთაბრძოლაში აჯობა (1:2 1:0 2:0). ფრანგ ზოჰეირ ელ ოუარაქს სძლია (1:0 1:0). ნახევარფინალში კი რუს არტიომ გებეკოვს ასევე ორ სეტში მოუმთავრა საქმე (1:0 5:2).

ფინალი გაცილებით დაძაბული გამოდგა. უქულოდ გალეული პირველი პერიოდის შემდეგ, ბურთულის ფერში გიორგის მეტოქეს – ბელარუს ვლადისლავ ანდრეევს გაუმართლა და ფეხში შესვლის უპირატესობაც შეირგო. მომდევნო პერიოდები ტრიბუნების საოცარი მხარდაჭერით შეგულიანებული ქართველი მსუბუქწონოსნის უპირატესობით წარიმართა – მეორე ორწუთეულში ედიშერაშვილმა მეტოქის გაფრთხილებით მიღებული ქულით გაათანაბრა საერთო ანგარიში, გადამწყვეტ პერიოდში კი 0:1 შეატრიალა სათავისოდ. ერთი ქულა ილეთით მიითვალა, ერთიც ამ ილეთის გამპროტესტებელი ბელარუსი მწვრთნელების მსაჯებისგან დასჯით და სპორტის სასახლეში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

ედიშერაშვილის ტრიუმფიდან ათიოდ წუთში ტრიბუნები ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ააგუგუნა – რეპეშაჟის ფინალში თურქ მუნირ რეცეპ აკტაშს პატარა ბავშვივით გაუსწორდა (3:1 6:0). ამ სპორტსმენის ოქროს გარეშე დარჩენა კი მნიშვნელოვანწილად უსამართლობის ბრალია. მსაჯების არაობიექტურობა ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. მიზეზი საჭიდაო განრიგია, რომლის მიხედვითაც ხინჩეგაშვილს დაახლოებით ნახევარსაათიან ინტერვალში სამი მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა. ნახევარფინალს მისი მეტოქე, ევროპის აწ უკვე სამგზის ჩემპიონი ოპან სატი გაცილებით დასვენებული შეხვდა. პარალელურად მიმდინარე ქალთა ჩემპიონატის მონაწილეები კი ლამის გაცივდნენ თავიანთი შეხვედრების ლოდინში. ცხადია, გაჩნდა ეჭვი, რომ განრიგი სპეციალურად იყო აწეწილი, მაგრამ აბა ამ ეჭვზე საუბარს რაღა აზრი ჰქონდა.

ნახევარფინალში გამოჩნდა, რომ ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ესტონელ ალექსანდრ ბასკაკოვთან (3:0 7:0) და აზერბაიჯანელ გაჯი ალიევთან (1:0 2:6 3:1) ბრძოლების შემდეგ ძალების ბოლომდე აღდგენა ვერ მოასწრო. პირველ პერიოდში გარისკა, მაგრამ კონტრ-ილეთზე წამოეგო და ჩამორჩენის სათავისოდ შეტრიალება ვეღარ შეძლო. მეორე ორწუთეულში საქმე ბურთულამდე მივიდა. ფორტუნამ ოპან სატს გაუღიმა და მან შანსი გამოიყენა.

21 სექტემბერი – ხუციშვილის სასწაული და პეტრიაშვილის სიურპრიზი

ევროპირველობის მესამე დღე ქართული ჭიდაობის მოყვარულებისთვის შედეგებით ვერა, მაგრამ ემოციურად წინა დღეებზე დატვირთული გამოდგა.

ბიძინა ივანიშვილს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო ნენად ლალოვიჩმა გადასცა

მინისტრი ლევან ყიფიანი და ქართული სპორტის რაინდები – გურამ საღარაძე და ლევან თედიაშვილი

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე დავით ხუციშვილმა სამეულში შესვლა ვერ შეძლო, თუმცა ის კი მოახერხა, რომ თავდადებული და ეფექტური ჭიდაობით ყველა აალაპარაკა. ავსტრიელი ფილიპ კრეპაჟის ადვილად ძლევის (1:0, 5:0) შემდეგ, ქართველ მოჭიდავეს მერვედფინალში უმთავრეს კონკურენტთან, რუსეთის ნაკრების ყაბარდოელ წევრ ანიუარ გედუევთან ჭიდაობისას მხარი ამოუვარდა და ძირითად ბადეში გამოსვლაც დაასრულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გედუევი ფინალში გავიდა, დათოს ბრინჯაოს გზა გაეხსნა.

გიორგი ედიშერაშვილმა ჩემპიონატი წაუგებლად ჩაამთავრა და ჯილდოდ ოქროს მედალი მიიღო

პოლონელ ტომაშ როგიშთან შეხვედრა ჩვეულად, აქტიურად დაიწყო და მშვიდად დაწინაურდა, როდესაც მხარი ისევ ამოუვარდა. შედეგად, პოლონელმა პერიოდი სათავისოდ შეატრიალა 4:3. თითქოს, ხუციშვილის ხალიჩაზე დაბრუნებას აზრიც აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც გავიდა და... სასწაული მოახდინა – მოწინააღმდეგეს ცალი ხელით ზედიზედ ორი პერიოდი მოუგო. მსაჯმა გამარჯვებულ ქართველ მოჭიდავეს ხელი ვერ ააწევინა.

თხუთმეტიოდე წუთში, ტრავმირებული ხუციშვილი უკვე ახალი მოწინააღმდეგის, ბულგარელი ლეონიდ ბაზანის პირისპირ იდგა. ერთი ხელი ისევ გათიშული ჰქონდა. მეორეთი კი მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიებასაც ახერხებდა და შიგადაშიგ სახიფათო კონტრშეტევის წამოწყებასაც ცდილობდა. მსაჯმა კი ჩათვალა, რომ ქართველი ზედმეტად პასიურობდა და გააფრთხილა, ხოლო ბაზანს ქულა აჩუქა. პერიოდის მიწურულს, დარბაზი ხუციშვილის მიერ შესრულებული მორიგი შთამბეჭდავი ილეთის შემდეგ ახმაურდა. მსაჯმა კვლავ საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო – ხუციშვილს ქულა აკმარა. 1:1-ით პერიოდი ბულგარელმა მოიგო. ბოლო ქულის უპირატესობა ქულამ და გაფრთხილებამ გადაწონა. უსამართლობა იმდენად აშკარა იყო, თვით ევროპის ჭიდაობის ფედერაციის რამდენიმე წევრმაც კი ანიშნა ქართველ მწვრთნელებს, რომ მომენტი გაეპროტესტებინათ. ალეკო კახნიაშვილმა, რომელიც ხუციშვილის პირადი მწვრთნელიცაა, ხალიჩაზე გასაპროტესტებელი კვადრატი შეაგდო, მაგრამ ხალიჩის მსაჯი ისე აქტიურად იცავდა თავის პოზიციას, როგორც ჩანს, ქართველი მოჭიდავეც დააეჭვა და პროტესტზე უარი ათქმევინა. საბოლოოდ, პერიოდი ბაზანს დარჩა და მეორე ორწუთეულში უკვე უპრობლემოდ მიაღწია მიზანს. აღშფოთებული გულშემატკივარი კი შეხვედრის დასრულების შემდეგაც დიდხანს აპროტესტებდა მომხდარს. მათ ხასიათი ცოტა ხანში ნაკრების დებიუტანტმა გენო პეტრიაშვილმა გამოუკეთა.

18 წლის მძიმეწონოსანმა ეროვნულ გუნდში ადგილი ევროპირველობამდე რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს ჩემპიონობით მოიპოვა. თან შიდა კონკურენციის ფავორიტებს – დავით მოძმანაშვილსა და გიორგი საკანდელიძეს პირად შეხვედრებში აჯობა. თავისი რეალური ძალა პეტრიაშვილმა ევროხალიჩაზეც დაამტკიცა, მაგრამ უმაღლეს ტიტულამდე ამ რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება დააკლდა.

მაკედონიელი ბობან დანოვის ადვილად ძლევის (1:0 4:0) შემდეგ, რუსეთის ნაკრების წევრ მაგომედგაჯი ნურასულოვს მსოფლიოს 2013 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე განცდილი მარცხისთვის აუღო ღირსეული რევანში (3:2 7:0) და ნახევარფინალში გავიდა. იქ კი უკრაინის სახელით მოჭიდავე ოს ალენ ზასეევთან ვეღარას გახდა. ამ უკანასკნელმა, გამართული ტაქტიკური ჭიდაობის ხარჯზე დამაჯერებლად მოიგო. გენო პეტრიაშვილმა კი რეპეშაჟის ფინალში გადაინაცვლა და გერმანელ ნიკ მატუჰინს ორ პერიოდში (4:2 5:0) სძლია.

22 მარტი – ნანატრი რევანში

„დასანანია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ვერცხლი ავიღე. ოქროსაც აუცილებლად მოვიპოვებ და ანზორ ურიშევსაც ისე მოვუგებ, მსაჯებმა ვერაფერი მოიგონონ“ – თქვა დავით მარსაგიშვილმა თბილისურ ევროპირველობამდე ზუსტად ორი წლით ადრე, დორტმუნდში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებისთანავე. მაშინ მან ფინალში რუსეთის ნაკრების წევრთან შეხვედრა ალალად მოიგო, მაგრამ მსაჯთა მაგიდამ უკვე მოპოვებული ოქრო შეხვედრის დასრულების შემდეგ აბსოლუტურად გაურკვეველი მიზეზით ცხვირწინ ააცალა.

ედიშერაშვილმა ფინალი ვლადისლავ ანდრეევს (ბელარუსი) მოუგო

დავით მარსაგიშვილმა (მარჯვნივ) მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული

მარსაგიშვილი ევროპის ჩემპიონი იმ განცხადების გაკეთებიდან ერთ წელიწადში გახდა, მაგრამ ურიშევთან დაჭიდების გარეშე. წლეულს კი ნანატრი რევანშითაც გაიხარა და ტიტულის ზედიზედ მეორედ მოგებითაც.

ქართულ-რუსული დაპირისპირება ნახევარფინალში შედგა. იქამდე დავით მარსაგიშვილმა ავსტრიელი დომინიკ კლაუს პეტერი (7:0 7:0) და რუმინელი ანდრეი ვიქტორ ფრანტი (1:0 6:0) ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა.

ურიშევთან შეხვედრის პირველი რაუნდის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა, რომელიც მსაჯმა მარსაგიშვილს პასიური მეტოქის გაფრთხილების გამო მიანიჭა. მეორე პერიოდში ანზორ ურიშევი გააქტიურდა და ქულის აღებაც შეძლო. მალევე მარსაგიშვილმა 3-ქულიანი კონტრ-ილეთით ანგარიში სათავისოდ შეატრიალა და რახან საფინალო სირენამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა (დაახლოებით ოციოდ წამი), რუსეთის ნაკრების მწვრთნელებმა ისევ მსაჯების ხარჯზე სცადეს ფონს გასვლა – ილეთი გააპროტესტეს, მაგრამ ამჯერად უსამართლობამ აღარ იზეიმა. უსაფუძვლო პროტესტის გამო ურიშევი კიდევ ერთი ქულით დაისაჯა, რამაც რუსები ისე აღაშფოთა, ერთ-ერთმა მწვრთნელმა ხალიჩის მსაჯს სათვალე ესროლა. მთავარმა მწვრთნელმა სულაც საცემად გაიწია. იმ ტრიბუნიდან კი, სადაც ყაბარდოელებს გაეშალათ თავიანთი დროშა, მსაჯის მიმართულებით პლასტმასის ბოთლები ისროლეს. სავარაუდოდ, სტუმრების ამოცანა მასპინძელთა პროვოკაციაზე წამოგება იყო, მაგრამ საბედნიეროდ, დაძაბულობა ქართველი გულშემატკივრების ჩარევის გარეშე განიმუხტა.

მარსაგიშვილი ფინალში გავიდა, სადაც სომხეთის სახელით მოჭიდავე მუსა მურთაზალიევს აუღელვებლად აჯობა (2:0 2:0).

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში 44 ქულა დააგროვა და მხოლოდ 53-ქულიან რუსეთს ჩამორჩა. მესამე ადგილი კი უკრაინამ დაიკავა 41 ქულით.

23 მარტი – მძიმე სტარტი

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან განსხვავებით, ბერძენ-რომაელებს შვიდი წონითი კატეგორიის დასანომრად მხოლოდ ორი დღე მისცეს.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ სატურნიროდ ზუსტად ის შემადგენლობა შეკრიბა, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე რომ იახლა. ლონდონში მის-

დავით მარსაგიშვილი

მა გუნდმა ვერცხლი და ბრინჯაო აიღო, თბილისში კი ბრიტანული მონაგარი ერთი ვერცხლით გააუმჯობესა, ოღონდ ისე, რომ ოლიმპიური პრიზიორები – რევაზ ლაშხი (60 კგ) და მანუჩარ ცხადაია (66 კგ) ევროპირველობაზე სამეულს მიღმა დარჩნენ.

ლაშხმა ჩვეულად დაიწყო – პირველი ორი წრე უდანაკარგოდ გაიარა – სერბ კრისტიან ფრისს 5:1 4:1 მოუგო, ხორვატ ტონომირ სოკოლს – 1:0 2:0. პირველი ხარვეზი კი მეოთხედფინალში გამოჩნდა, რუსეთის ნაკრების წევრ ივან კუილაკოვთან დაჭიდებისას. ქართველმა მოჭიდავემ პირველი ორწუთეული აქტიურად ჩაატარა და იმარჯვა კიდეც – 3:1, მაგრამ მეორეში დაღლა დაეტყო. მსაჯმა ოდნავი გაპასიურებაც არ აპატია, უმალ გაფრთხილებით და მეტოქისთვის მიცემული ქულით დასაჯა. დასკვნით პერიოდში, რევაზ ლაშხი თავის ილეთზე მოჰყვა – მოწინააღმდეგეს გდება გაუკეთა, მაგრამ ქვემოდან მოექცა. ნახევარფინალში გამსვლელის ბედი, სწორედ ამ სამმა ქულამ გადაწყვიტა. ლაშხი მალე დამამშვიდებელ ეტაპზე გადაერთო, მაგრამ სლოვაკეთის ნაკრების წევრ იშტვან ლევაის ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

საკუთარ კედლებში საჩემპიონოდ განწყობილი და მოულოდნელი მარცხით იმედგაცრუებული სპორტსმენისთვის, ბრინჯაოს ფრონტზე გადართვა საკმაოდ მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა რომ იქნებოდა, ცხადია, მაგრამ სავარაუდოდ, მარტო განწყობის გაფუჭება არ იყო მორიგი ჩავარდნის მიზეზი. მწვრთნელთა შტაბმა წარუმატებლობა ახალი წესებით ახსნა, რომლების შესახებაც ევროპული ჭიდაობის ხელმძღვანელებს გუნდების დამრიგებლებისთვის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე უცნობებიათ.

სიახლეს რომ ყველაზე ცუდად ალღო ქართველებმა აუღეს, ლაშა გოგიტაძის (55 კგ) ჭიდაობისასაც გამოჩნდა. თურქ ფათიჰ უჩუნკუსთან მერვედფინალური შეხვედრის ბოლოს მასპინძელთა შვიდეულის უმსუბუქეს წევრს მწვრთნელები კარნახობდნენ, რა წესი არ უნდა დაერღვია, რათა გაფრთხილება არ მიეღო. სამწუხაროდ, მსაჯის სასჯელს მაინც ვერ გადაურჩა და სწორედ გაფრთხილების გამო გამოეთიშა შეჯიბრებას.

დავით ხინჩეგაშვილი

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე სოსო ჯაბიძემ ჩემპიონატი უკრაინელი ვოლოდიმირ ვასილიევის შთამბეჭდავად ძლევით (6:3 2:0) გახსნა, მაგრამ მერვედფინალში ევროპის შარშანდელ ჩემპიონთან, სომეხ არტურ ალექსანიანთან უშანსოდ წააგო (0:5 0:6) და მას შემდეგ, რაც ალექსანიანი ფინალში გავიდა, ბრინჯაოს ფრონტზე გადაერთო. შვედი ფრედერიკ სტეფან შონი კი ჩამოიცილა, მაგრამ რეპეშაჟის ნახევარფინალში თურქ ჩენკ ილდიმთან დაპირისპირებისას (0:1 0:2) ისე დაიქანცა, არათუ ბრძოლის სათავისოდ შეტრიალების, ხეირიანი წინააღმდეგობის თავიც აღარ ჰქონდა.

პირველ დღეს დილის პროგრამიდან ფინალურ ბლოკში მხოლოდ გურამ ფერსელიძე (120 კგ) გადავიდა. ნაკრების უმძიმესი წევრი არა მარტო შედეგით, ჭიდაობის ხარისხითაც თანაგუნდელებზე ერთი თავით მაღლა იდგა. არადა, კენჭისყრაში ყველაზე მეტად სწორედ მას არ გაუმართლა – 17 მონაწილეს შორის იმ ერთადერთ წყვილში მოხვდა, რომელმაც ჩემპიონატი პირველივე წრიდან დაიწყო. ამასთან, მერვედფინალში გასასვლელად, ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს, ჰეიკი ნაბის დაუპირისპირდა. ოლიმპიური თამაშების ესტონელ ფინალისტს ფერსელიძე მინიმალური ანგარიშით მოგებული ორი პერიოდით გასცდა. შემდეგ

დავით ხუციშვილი – უმედლო გმირი

კი ხორვატი მარკო კოსკევიჩი და სლოვაკი დავიდ ლენგიელიც პერიოდ-დაუკარგავად ჩამოიშორა.

ერთადერთი მოჭიდავე, ვისთანაც ვერც გურამ ფერსელიძემ და ვერც სხვა მძიმეწონოსნებმა ვერაფერი გააწყვეს, თურქი რიზა კაიაალპი იყო. ევროპისა და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან, რომელსაც თურქეთიდან საგანგებოდ მის მხარდასაჭერად ჩამოსული გულშემატკივართა ჯგუფი ამხნევებდა, ქართველმა მოჭიდავემ უშანსოდ წააგო. რეპეშაჟის ფინალში კი გურამ ფერსელიძემ ბელარუსის სახელით მოჭიდავე იოსებ ჩუგოშვილთან დაძაბულ ბრძოლაში 1:0 2:1 იმარჯვა.

24 მარტი – ორი დასანანი ფინალი

ჩემპიონატის დასკვნით დღეს ხალიჩაზე 3 ქართველი გავიდა და ორმა მათგანმა ფინალში იჭიდავა, მესამეს კი საპრიზო სამეულამდე ერთადერთი გამარჯვება დააკლდა.

ზურაბ დათუნაშვილი (74 კგ) უმაღლეს ტიტულამდე რუსეთის ნაკრების წევრმა – ევროპის, მსოფლიოსა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა რომან ვლასოვმა არ მიუშვა. ფინალურ შეხვედრაში ორი უქულო პერიოდი ვიხილეთ და ჩოქბჯენით ორჯერვე ვლასოვმა იხეირა. ჯერ თავი დაიცვა, მერე კი თავად წარმატებით გამოიყენა შანსი.

ფინალის გზაზე დათუნაშვილმა სამი მოწინააღმდეგე ჩამოიშორა: უნგრელი ბალინტ კორპასი (1:0 3:1), ხორვატი ბოზო სტარჩევიჩი (2:0 1:0) და გერმანელი პასკალ ეიზელი (2:0 7:2).

ვლადიმერ გეგეშიძე (84 კგ) გადამწყვეტ ბრძოლამდე ისე მივიდა, არათუ პერიოდი, ერთი ქულაც არ დაუკარგავს. შეჯიბრებაში მერვედფინალიდან ჩაერთო, სადაც რუმინელ ანდრიან მოკანუს 1:0 6:0 მოუგო. მეოთხედფინალში ევროპის შარშანდელ ჩემპიონს, ბულგარელ ხრისტო მარინოვს ორივე ორწუთეულში მინიმალური ანგარიშით სძლია. ნახევარფინალში სომეხ არტურ შაჰინიანს პირველსავე პერიოდში სუფთად მოუგო.

ევროპის ჩემპიონის ტიტულამდე გეგეშიძეს ერთადერთი პერიოდის მოგება დააკლდა. უფრო ზუსტად კი, სულ რამდენიმე წამი. უხვტიტულა რუს ალექსეი მიშინთან სამპერიოდიანი ბრძოლის დასკვნითი პერიოდი უილეთოდ ჩამთავრდა. ქართველმა მოჭიდავემ ჩოქბჯენში თავად ჩადგომა აირჩია, რადგან წინა პერიოდში სწორედ ამ გზით მიაღწია მიზანს. მაგრამ მიშინმა საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე მეტოქის დატრიალება მაინც შეძლო და ევროპის ჩემპიონის ტიტული მეექვსედ მოიპოვა.

ცნობისთვის, ფინალის სამივე ორწუთეული 0:0 დამთავრდა. პირველში ვლადიმერ გეგეშიძემ ვერ შეძლო მეტოქის ხეირიანად დაძვრა, მეორეში – თავი დაიძვრინა და ზემოდან მოქცევით 2 ქულა აიღო. მესამეში კი...

მანუჩარ ცხადაიამ (66 კგ) ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, რუს ადამ კურაკთან წაგებით. ამ შეხვედრამდე ცხადაიამ პოლონელ ტომაშ სვიერკისა (1:0 1:0) და ხორვატ დომინიკ ეტლინგერს (5:0 0:1 6:0) აჯობა. დამამშვიდებელ ეტაპზე კი მოლდოველი იონ ლუჩიტას ძლევის (1:0 0:1 1:0), შემდეგ, რეპეშაჟის ფინალში აზერბაიჯანელ ჰუსეინ ალიევთან (1:1 2:1 0:2) დამარცხდა და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას რუსეთის ნაკრებმა აჯობა, მე-2 ადგილზე ბულგარეთი გავიდა, საქართველოს კი მე-3 პოზიცია ერგო.

გზავნილი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს

ქართულ ევროპის ჩემპიონატს ერთი დამატებითი დატვირთვაც ახლდა. „შევუნარჩუნოთ ოლიმპიურ თამაშებს ჭიდაობა“ – ამ სახელწოდების აქციის ფარგლებში შეიქმნა ბანერი, რომელსაც ხელი ჭიდაობის საერთაშორისო და ევროპის ფედერაციების ხელმძღვანელებმა, მოქმედმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა, ასევე საქართველოსა და ბევრი სხვა ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციების წარმომადგენლებმა მოაწერეს. პირველი ხელმოწერის უფლება წამოწყების ორგანიზატორებმა ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალზე მისულ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მისცეს. აქციას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვიც შეუერთდნენ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭიდაობის დატოვების საბოლოო გადაწყვეტილება თბილისური ევროპირველობიდან ექვს თვეში მიიღო.

გენო პეტრიაშვილი – 19 წლის მედალოსანი



ჭიდაობს ვლადიმერ გეგეშიძე (ზემოდან)

ევროშეჯამება

თბილისური ევროპირველობა საერთაშორისო და ევროპის ჭიდაობის ფედერაციებმა დადებითად შეაფასეს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ტურნირის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე დამსწრეთ აუწყა, რომ ნენად ლალოვიჩმა და ცენო ცენოვმა მზადყოფნა გამოთქვეს, უახლოეს ოთხწლიან ციკლში თბილისში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაზეც იმსჯელონ.

„ყველას გილოცავთ, დაკისრებულ მოვალეობას თავი ბრწყინვალედ გავართვით. ცუდს ვერც სპორტულ შედეგზე ვიტყვი. ორივე სტილში ერთად 7 მედალი მოვიპოვეთ, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ასეთი მიღწევა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასოდეს გვქონია“ – განაცხადა ლუკა კურტანიძემ.

ოთარ მაღლაკელიძე

გურამ ფერსელიძე (მარცხნივ)



GEORGIAN WEEK

EUROPEAN CHAMPIONSHIP
Tbilisi. March 19-24, 2013

FREESTYLE WRESTLING

GIORGI EDISHERASHVILI (55 KG) – GOLD
DAVID MARSAGISHVILI (84 KG) – GOLD
VLADIMER KHINCHEGASHVILI (60 KG) – BRONZE
GENO PETRIASHVILI (120 KG) – BRONZE

GRECO-ROMAN WRESTLING

ZURAB DATUNASHVILI (74 KG) – SILVER
VLADIMER GEGESHIDZE (84 KG) – SILVER
GURAM FERSELIDZE (120 KG) – BRONZE

During March 19-24, 2013, Georgia has played host to the championship of European for the first time since its state independence. The tournaments held in Tbilisi Sport Palace revealed champions and medalists of Europe in Greco-Roman, freestyle wrestling and women wrestling. The Georgian national team was traditionally represented only by men. Out of 56 medals of the championship 7 stayed in Georgia.

It is not a bad result when seven of 14 members of the national team climb on the pedestal of prizewinners. However, the sense of discontent prevailed among the fans, wrestlers, coaches and specialists. The Georgian teams could not win in the teams' competition. Moreover, Greco-Roman wrestlers ended the championship without gold medal.

The first day of the six-day long championship turned out quite boring for the spectators who gathered in Tbilisi Sports Palace. Members of Georgian national team of freestyle wrestlers dropped out of the contest at the early stage. Watching the wrestling by foreign entrants was not interesting for the Georgian spectators. This happened because of poor entertaining effect of this type of sport, first of all. Most of the duels were ending without making a move by any of the contestants.

The Georgian team coached by Revaz Mindorashvili showed poor performance at the beginning. Constantine Khabalashvili

(66kg) and Elizbar Odikadze (96kg) were entrants of the first round. However, they dropped out of the tournament quite soon.

The tournament in the Sports Palace was decorated and beautified by Georgian singers and dancers, including the internationally acclaimed ensembles "Shvidkatsa" and "Erisioni." Georgian Prime Minister Bidzina Ivanishvili, presidents of Georgian, European and international federations of wrestling addressed the audience with welcoming speeches. President of FILA Nenad Lalovich handed over Ivanishvili the top award of FILA.

The second day of the championship was more successful for the Georgian team. Both entrants in the lightweight category won medals. Giorgi Edisherashvili (55 kg) won gold and became champion of Europe. Vladimer Khinchegashvili (60kg) won bronze.

On his way to the gold medal Edisherashvili beat (1:2 1:0 2:0) Iashar Aliev (Azerbaijan) in a tough duel. Then he (1:0 1:0) defeated Zoheir El Oarakh (France). In the semifinal it took Edisherashvili only two sets to beat (1:0 5:2) Artiom Gebekov (Russia). Despite the final duel with Vladislav Andreev (Belarus) was far more tensed Edisherashvili managed to clear this hurdle as well. He has achieved the most important success in his career by winning European championship. Vladimer Khinchegashvili made buzz at the stands just ten minutes after Edisherashvili's triumph. He easily beat (3:1 6:0) Munir Recep Aktash (Turkey) in the Repechage round.

The injury incurred in the 1/8 final duel hindered David Khutsishvili (74 kg) to win medal. The team's debutant Geno Petriashvili improved somehow the mood of Georgian fans. The 18-year old Georgian heavyweight wrestler easily beat (1:0 4:0) Boban Danov (Macedonia) and then made requital (3:2 7:0) with Magomedgadji Nurasulov (Russia) for the defeat at the 2013 world youth championship. Petriashvili, however, was less successful in the semifinal duel against Alan Zaseev (Ukraine). Petriashvili switched to the Repechage round and beat Nik Matuhin (Germany) in two sets (4:2 5:0).

On the fourth day of the Euro-championship David Marsagishvili (84 kg) won his second gold medal. His most tough contest came to the semifinal against Anzor Urishev (Russia). Marsagishvili won a point in the first round for the passivity of his challenger. He won the duel with score 3:1 and passed to the final. David easily beat Musa Murtazaliev (2:0 2:0) in the final duel. In the previous contests Marsagishvili defeated (7:0 7:0) Dominique Klaus Peter (Austria) and the Romanian Andre Viktor Frant (1:0 6:0). The Georgian national team of freestyle wrestlers scored 44 points in the teams' contest and lagged behind only the Russian team, which garnered 53 points. The Ukrainian team with 41 points was the third.

The composition of Georgian national team of Greco-Roman wrestlers coached by Begi Darchia was the same as at the 2012 London Olympic Games where the team gained silver and bronze medals. The team improved its 'British' result in Tbilisi by one additional silver medal. However, Olympic prizewinners Revaz Lashkhi (60 kg) and Manuchar Tskhadaya (66 kg) were left out of the awards at the Tbilisi Euro-championship.

Only Guram Ferseladze (120 kg) managed to pass to the next stage of the contest. He won bronze by beating 1:0 2:1 Ioseb Chugoshvili (Belarus) in the tough duel in the Repechage round.

Three Georgian wrestlers appeared on the mat in the concluding day of the championship and two of them wrestled in the final. The third entrant was short of only one victory to gain bronze.

Zurab Datunashvili (74 kg) failed to win gold because of losing the duel against Roman Vlasov (Russia), champion of the world, European and London Olympics. The two periods of the final duel ended without any point. However, Vlasov succeeded twice in the "par terre" position. He defended himself from the opponent's attack and then successfully used the chance. Vladimer Gegeshidze (84 kg) reached the final without losing a single point. However, he lost the final duel against the titled challenger Alexei Mishin (Russia).

FILA and European Federation of Wrestling gave positive assessment to the European championship in Tbilisi. Luka Kurtanidze, president of Georgian Federation of Wrestling, told the concluding news conference that officials of international wrestling federations expressed readiness to discuss conducting one of the world championships in Tbilisi during the coming four years.

OTAR MAGLAKELIDZE

Zurab Datunashvili



თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიოს ჩემპიონატი ბუდაპეშტი. 16–18 სექტემბერი

გენო პეტრიაშვილი (120 კგ) – ბრინჯაო



გენო პეტრიაშვილი

უკეთესის მოლოდინში

2005 წელს, თავისუფალი სტილით მოჭიდავე რევაზ მინდორაშვილი ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. გამარჯვებიდან რვა წლის თავზე, ისევ ბუდაპეშტში, ყველა დიდი ტიტულის მომგებ ქართველ სპორტსმენს უკვე ნაკრების მთავარი მწვრთნელის ამპლუაში მიეცა მსოფლიოს ოქროთი გახარების შანსი, მაგრამ მის მიერ დამოძღვრილმა გუნდმა სეზონის უმთავრესი შეჯიბრება ქართული საზომით საკმაოდ მოკრძალებული შედეგით – ერთი ბრინჯაოს მედლით დაასრულა.

მინდორაშვილის მიერ სატურნირო განაცხადში შეყვანილი შვიდი მოჭიდავიდან ოთხს მსოფლიოს პირველობაზე იქამდე ერთხელაც არ ეჭიდავა. მათგან, შედარებით გამოცდილი მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი იყო, რომელიც წლეულს ევროპირველობაზეც გამოვიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მსოფლიოს კვარცხლბეკზეც სწორედ პეტრიაშვილი ავიდა, ევროპირველობის დარად, ისევ მესამე საფეხურზე.

19 წლის გორელმა მოჭიდავემ ოქროვერცხლის შანსი ნახევარფინალში დაკარგა, რუსეთის ნაკრების გამოცდილ წევრ ჰაჯიმურატ გაცალოვთან წაგებით. პეტრიაშვილმა შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ წუთში, მეტოქე ჩოქბჯენში გადაიყვანა და 2:0 დაწინაურდა. უმალ, უპირატესობის გაზრდა გადაწყვიტა და გაცალოვის დატრიალება სცადა, მაგრამ ბეჭებზე აღმოჩნდა და თავი ვეღარ დაიძვრინა. რომ არა ეს ელემენტარული შეცდომა და მეტოქის მაღალი კლასი და გამოცდილება, ქართველი მძიმეწონოსანი მორიგ ეფექტურ მოგებას მიითვლიდა.

ამ ბრძოლამდე გენო პეტრიაშვილმა ორი შთამბეჭდავი გამარჯვების მოპოვება მოასწრო – შეჯიბრებაში მეორე წრიდან, მერვედფინალიდან ჩაერთო და ინდოელ ჰიტენდერ ჰიტენდერს 47 წამი აკმარა 8 ქულის ასაღებად. რუმინელ დანიელ ჩინტოანს წუთსა და 55 წამში გაუსწორდა – 7:0. არც ჩინელი ჟივეი დენგი დაინდო რეპეშაჟის ფინალში – 4 წუთში 10:3 მოუგო.

გენო პეტრიაშვილის გარდა, მსოფლიოს პირველობაზე პირველად იჭიდავეს ლევან ქელეხსაშვილმა (66 კგ), იაკობ მაქარაშვილმა (74 კგ) და დავით ქერაშვილმა (96 კგ). შიდა კონკურენციაში სულ რამდენიმე თვის გალიდერებული მოჭიდავეები, მართალია, ბუდაპეშტში სამეულს მიღმა დარჩნენ, მაგრამ დებიუტის კვალობაზე საკმაოდ დამაჯერებლად გამოვიდნენ – ბრინჯაოს მედლამდე სამივეს თითო გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდა.

ქელეხსაშვილი ძირითად ბადეში ინდოელი არუნ კუმარისა (7:0 54 წამში) და ბელარუსი ალექსანდრ კონტოიევის (7:5) ძლევის შემდეგ, ნახევარფინალამდე მივიდა, მაგრამ ოქრო-ვერცხლის შანსი ევროპის და ახლა უკვე მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან, სომეხ დავიდ საფარიანთან წაგებით დაკარგა. მეტოქესთან შედარებით გამოუცდე-

ლი ქართველი მოჭიდავე მეორე პერიოდის დასაწყისში 5 ქულით (1:6) აგებდა, მაგრამ ჟინიანი ჭიდაობისა და კარგი ფიზიკური მომზადების ხარჯზე აკრიფა ქულები და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მეტი ვერ მოასწრო. ლევან ქელეხსაშვილმა კარგი ფიზმომზადება რეპეშაჟის ფინალშიც დაგვანახა – რუსეთის ნაკრების წევრ მაგომედ ყურბანალიევს ხუთქულიანი ჩამორჩენა მინიმუმამდე დაუყვანა, მაგრამ საწადელს ვერც მასთან მიაღწია – საბოლოოდ ყურბანალიევმა 7:5 მოიგო და მაშინ, როცა საქართველოს ნაკრების დებიუტანტი დასანანი მარცხის გამო ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, რუსეთის ნაკრების წევრს მწვრთნელები ასულიერებდნენ.

დავით ქერაშვილი დამამშვიდებელ ეტაპზე მეოთხედფინალიდან გადაერთო. უმაღლესი ტიტულისკენ მიმავალი გზა მასაც მომავალმა ჩემპიონმა, ირანელმა რეზა იაზდანიმ ჩაუკეტა – 2:8. იქამდე ქართველმა მოჭიდავემ სამხრეთკორეელ ჯაეგანგ კიმსა (2:1) და ალბანელ ეგზონ შალას (12:5) აჯობა. „ბრინჯაოს ნახევარფინალში“ ევროპის ბრინჯაოს პრიზიორს, ბელარუს ივან იანკოუსკის გასცდა (9:7). გადამწყვეტ ბრძოლაში კი ევროპის წლევანდელ ჩემპიონთან, უკრაინელ პავლო ოლეინიკთან ვეღარას გახდა – 2:10.

იაკობ მაქარაშვილმა ძირითად ბადეში კანადელი ევან ჯეიმს მაკდონალდი 8:5 დაამარცხა და მეთექვსმეტედფინალში გავიდა, სადაც ირანელ ეზატოლაჰ აბას აკბარიზარინკოლაეისთან უშანსოდ წააგო (0:7). რეპეშაჟში მოლდოველ ალექსანდრუ ბურკას (8:0), კუბელ იუნიერკი ბლანკო მორასა (4:2) და იაპონელ სოსუკე ტაკატანის (6:4) აჯობა. „ბრინჯაოს ფინალში“ კი უზბეკეთის ნაკრების წევრ რაშიდ ყურბანოვთან (4:11) დაკარგა მედალი.

ქართველი გულშემატკივრების მთავარი იმედები, რა გასაკვირია, ევროპის მოქმედ ჩემპიონებზე – გიორგი ედიშერაშვილსა (55 კგ) და დავით მარსაგიშვილზე (84 კგ), ლონდონის ოლიმპიური თამაშების ფინალისტ ვლადიმერ ხინჩეგაშვილზე (60 კგ) მყარდებოდა, მაგრამ მეოთხედფინალს ვერც ერთი მათგანი ვერ გასცდა. მერე ვერც მათმა მომგებებმა იყოჩაღეს და გამოცდილი ქართველი მოჭიდავეები სამეულს მიღმა დატოვეს.

ედიშერაშვილის წარუმატებლობა თავად მასზე და მის მეტოქეზე მეტად, მსაჯის დამსახურება უფროა – მეოთხედფინალში ქართველმა მსუბუქწონოსანმა ტიტულიან რუს მეტოქესთან ნარიმან ისრაპილოვთან 15:19 წააგო. არადა, ქულები რომ ცოტა სამართლიანად დათვლილიყო, საქართველოს ნაკრების წევრს საგრძნობი უპირატესობით უნდა ემარჯვა. ამ შეხვედრამდე ედიშერაშვილმა სომეხ მიჰრან ჯაბურიანს (6:2) და ესპანეთის სახელით მოჭიდავე ლევან მეტრეველი-ვართანოვს (4:1) მოუგო.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილისთვის დაუძლეველი ზღუდე მეოთხედფინალი და მონღოლი ნიამ-ოჩირ ენხსაიხანი აღმოჩნდა (5:8). შეხვედრის მიწურულს, მაშინ როდესაც ანგარიში 4:5 იყო, ქართველმა მოჭიდავემ გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო და ერთი შეხედვით დაასრულა კიდეც, მაგრამ ამ ეპიზოდში მოწინააღმდეგეც აქტიურად იყო ჩართული და მსაჯებმა ხინჩეგაშვილს ქულა აკმარეს, ხოლო ლაშგარის 2 ქულა მისცეს. საფინალო სირენამდე 3 წამი რჩებოდა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა მსაჯების გადაწყვეტილება გააპროტესტეს, მაგრამ ამაოდ. მეოთხედფინალამდე, ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო. პერუელ აბელ გერალდ პასტორ ჰერერასთან მძიმე ბრძოლა გადაიტანა და 9:6 იმარჯვა, ხოლო სამხრეთკორეელ სეუნგ-ჩულ ლის 8:0 აჯობა.

დავით მარსაგიშვილი (84 კგ) ჩემპიონატს მერვედფინალიდან გამოეთიშა, ირანელ ეხსან ნასერ ლაშგარისთან შეხვედრით. პირველი პერიოდის შემდეგ, ევროპის ქართველ ჩემპიონს სამქულიანი უპირატესობა (3:0) ჰქონდა და თითქოს საგანგაშოც არაფერი იყო, მაგრამ მეორე სამწუთეულში მარსაგიშვილს დაღლა დაეტყო, ინიციატივა მოწინააღმდეგეს დაუთმო და 18 წამით ადრე, მაშინ, როდესაც უკვე 3:8-ს აგებდა, ბრძოლა შეწყვიტა. ამ მარცხამდე დავით მარსაგიშვილმა ორი შეხვედრა ჩაატარა – ჩემპიონატი ბულგარელი ნიკოლაი პასლარის ძლევით (5:0) გახსნა. ამერიკელ კეით მაიკლ გავინს კი წუთი და 15 წამი აკმარა – 8:0.

ოთარ მაღლაკელიძე

იაკობ მაქარაშვილი



IN EXPECTATION OF BETTER

FREESTYLE WRESTLING WORLD CHAMPIONSHIP
Budapest, September 16-18, 2013

GENO PETRIASHVILI (120 KG) – BRONZE

In 2005, Georgian freestyle wrestler Revaz Mindorashvili became world champion at the tournament in Budapest. Eight years after that victory he had a chance to be happy with the gold medal as a coach of the Georgian national team at the world championship in Budapest. However, the team under his leadership finished the world championship, the main tournament of the season, with a quite modest result. The team managed to win only one bronze medal.

Four of the seven wrestlers whom Mindorashvili included in the national combined team have never wrestled at the world championships before. Geno Petriashvili was the most experienced among them. He won bronze at the European championship this year and repeated that success at the world championship.

The 19-year old Petriashvili from the city of Gori lost the chance to win either gold or silver after the defeat from the experienced Russian wrestler Hajimurat Gatsalov. Petriashvili advanced 2:0 in a half minute after beginning of the duel. He decided to increase the advantage quickly and attempted to conduct another move against the opponent. Instead, he found himself pushed down on his shoulders after the opponent's counter-move. Petriashvili could not struggle out of his opponent's hold and lost the duel.

Prior to this duel Petriashvili managed to win two impressive victories. It took him 47 seconds to win 8 points in the duel with Hitender Hitender (India). Then he convincingly beat 7:0 Daniel Chintoan (Romania). Petriashvili defeated Zi-Vei-Deng (China) 10:3 for 4 minutes in the Repechage final.

OTAR MAGLAKELIDZE

ექვსი უმედლო დებიუტი

გიორგი ცირეკიძე

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, ბუდაპეშტურ მსოფლიოს ჩემპიონატში ბერძენ-რომაელები ჩაერთნენ. გუნდის ახალმა თავკაცმა ოთარ ტატიშვილმა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელების დირექტივა გაითვალისწინა და შემადგენლობა მხოლოდ საქართველოს თასის მფლობელებით დააკომპლექტა. ამის გამო, შვიდეულს მიღმა არაერთი გამოცდილი სპორტსმენი დარჩა.

მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში შეყვანილ სპორტსმენთაგან უმაღლესი დონის შეჯიბრებებზე ჭიდაობის გამოცდილება მხოლოდ რევაზ ლაშხს (60 კგ) ჰქონდა. ცხადია, გულშემატკივართა მთავარი იმედებიც სწორედ მასზე მყარდებოდა, მაგრამ... ევროპის 2011 წლის ჩემპიონი და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალისტი მსოფლიოს ჩემპიონატს პირველივე წრიდან გამოეთიშა – იაპონელ კაზუმა კურამოტოსთან ვერას გახდა (0:5). მალევე ბრინჯაოს შანსიც გაქრა, მას შემდეგ, რაც იაპონელმა ფინალამდე წაიფორხილა.

ბაჩანა ფუტკარაძე (55 კგ) და საჩინო დავითაიაც (66 კგ) თითო შეხვედრით დაემშვიდობნენ ჩემპიონატს. ფუტკარაძე საქმეში მეორე წრიდან ჩაერთო და ეგვიპტელ ჰაითემ აჰმედ ფაჰმი მაჰმუდთან უშანსოდ წააგო (0:8). დავითაია კი პირველსავე წრეში 2:3 დამარცხდა ნორვეგიელ მარიუს ბლომსტადლი ტომესენთან.

ილია გულბათაშვილმა (74 კგ), ვასილ იმერლიშვილმა (96 კგ) და ლევან არაბულმა (120 კგ) შედარებით უკეთ კი იჭიდავეს, მაგრამ შეჯიბრებაზე გამოსვლა მათაც ძირითად ბადეში განცდილი მარცხით დაასრულეს.

გულბათაშვილმა ჩემპიონატი გერმანელი ფლორიან ნოიმაიერის (1:0) ძლევით გახსნა და უკრაინელ მიკოლა დარაგანთან წაგებით (0:7) დაასრულა. ამ შეხვედრებს შორის კი ლატვიელ ალექსანდრს ვისნაკოვსს აჯობა (5:3).

იმერლიშვილმა ჰოლანდიის ნაკრების წევრი მეჰდი აბასი დაზმირი კი ჩამოიშორა (5:0), მაგრამ ფინელ ტიმო ანტერო კალიოსთან ვეღარას გახდა (1:2).

არაბულმა ლიტველ მინდაუგას მიზგაიტისთან მოპოვებულ გამარჯვებას (4:3) გერმანელ ედუარდ პოპთან მარცხი (4:6) მოაყოლა.

ქართული შვიდეულიდან ყველაზე ყოჩაღად გიორგი ცირეკიძემ (84 კგ) იჭიდავა. მართალია, კვარცხლბეკამდე ვერც ის მივიდა, მაგრამ დებიუტის კვალობაზე საკმაოდ კარგად გაისარჯა. ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაერთო და უკრაინელ ვასილ რაჩიბას აჯობა (2:1), უზბეკ რუსტამ ასაკალოვსაც გასცდა (3:2), მაგრამ მეოთხედფინალი ვეღარ დაძლია – აზერბაიჯანის ნაკრების წევრ სამან აჰმან ტაჰმასებმა ცირეკიძესაც მოუგო (7:0), ნახევარფინალშიც იმარჯვა და ქართველ მოჭიდავეს დამამშვიდებელი ეტაპის გზა გაუხსნა. ბრინჯაომდე ცირეკიძეს ორი ნაბიჯი რჩებოდა, მაგრამ პირველ მეტოქესთან – უნგრელ ვიქტორ ლორინცთან წარმატებისთვის ძალა აღარ ეყო (0:7) და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა.

ბუდაპეშტიდან დაბრუნებულმა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ განაცხადა, რომ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებთან პრეტენზია არ აქვს, რადგან შვიდი წონითი კატეგორიიდან ექვსში დებიუტანტს მოუწია ხალიჩაზე გასვლა. რევაზ ლაშხს კი ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებს და მისი ადგილი ერთი წონითი კატეგორიით მაღლა – 74 კილოგრამშიაო.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოთარ ტატიშვილის შეფასებით კი მსოფლიოს ჩემპიონატი 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებელი ციკლის პირველი საფეხური იყო.

ოთარ მაღლაკელიძე



იაკობ ქაჯაია

მძიმე ოქროს სეზონი

4 ოქრო, 6 ვერცხლი და 15 ბრინჯაო – ასეთია ახალგაზრდა და ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრებების საერთო წლიური მონაგარი. აქედან 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 9 ბრინჯაო თავისუფალი სტილით მოჭიდავეებზე მოდის და ორივე უმაღლესი სინჯის მედალი ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრების წევრ გენო პეტრიაშვილის (120 კგ) ანგარიშზეა.

19 წლის მძიმეწონოსანმა სეზონი უფროსებს შორის საქართველოს ჩემპიონატის მოგებით გახსნა და ეროვნულ ნაკრებშიც დამკვიდრდა. სადებიუტო ევროპირველობაზეც წარმატებულად გამოვიდა – მესამე ადგილი დაიკავა. მაისიდან კი თავის ასაკობრივ ჯგუფში გადა-

ერთო და უმაღლესი მწვერვალები ისე დაიპყრო, ღირსეულ წინააღმდეგობას ვერავისგან წააწყდა.

6-7 ივლისს სკოპიეში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე პეტრიაშვილმა ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ოთხივეში ვადაზე ადრე მიაღწია გამარჯვებას. თან ისე, რომ არც ერთი მეტოქისთვის არათუ პერიოდი, ერთი ქულაც არ დაუთმია.

ბერძენ ატამპაზაკის ხატალამპოსს 30 წამი აკმარა 8 ქულის ასაღებად, სომეხ ჰამლეტ აბრაჰამიანს 7:0 სძლია, ნახევარფინალში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი აზერბაიჯანელი ალი მაგომედდაბიროვი 8:0-ით დატოვა ფინალს მიღმა. გადამწყვეტ შეხვედრაში კი უკრაინელ ანდრეი ვლასოვს 2 წუთსა და 20 წამში აუგროვა 8 ქულა.

ევროპირველობიდან ერთ თვეში გენო პეტრიაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზეც (სოფია. 17-18 აგვისტო) დაამტკიცა, რომ თანატოლებს შორის რეალური კონკურენტი არ ჰყავს. საჩემპიონო აღმართს გერმანიის ნაკრების წევრ ილია ლიტვინოვის ძლევით (11:2) შეუყვა. ტუნისელ სლიმ ტრაბელსს 7:0 მოუგო, კანადელ სანი დინსას – 8:0, რუსეთის სახელით მოჭიდავე გიორგი გოგაევთან ორი პერიოდი დასჭირდა (6:4 5:0), ფინალში კი ირანელი აბდულა გომი ავილი წუთსა და 53 წამში დაამარცხა (7:0).

ახალგაზრდული ნაკრების წევრთაგან 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე დავით ბუზიაშვილმაც სეზონის ორივე



გენო პეტრიაშვილი

მთავარ შეჯიბრებაზე აიღო მედალი. ევროპირველობაზე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, მსოფლიოზე კი ფინალში დამარცხდა. ევროხალიჩიდან გიორგი გოგშელიძის გუნდმა სულ სამი მედალი გამოიტანა. პეტრიაშვილისა და ბუზიაშვილის გარდა კვარცხლბეკზე ლაშა გიგაშვილი ავიდა – მესამე საფეხურზე, 74 კილოგრამში.

მსოფლიოს პირველობაზე სამეულში ბექა ბუჯიაშვილი (55 კგ) და შოთა ფარტენაძე (60 კგ) შევიდნენ – ორივე მესამე ადგილით.

ემზარიოს ბენტინიდისის გაწვრთნილმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებმა სეზონის უმთავრესი შეჯიბრებები სამ-სამი მედლით, ოღონდ ოქროს გარეშე ჩაამთავრა. 18-19 ივნისს ჩერნოგორიაში გამართულ ევროპირველობაზე ალექსანდრე კილაძე (42 კგ), შმაგი თოდუა (46 კგ) და რამაზ ზოიძე (58 კგ) ბრინჯაოს დაეუფლნენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე (სერბეთი. 24-25 აგვისტო) ზოიძემ ერთი საფეხურით მაღლა აიწია, ხოლო ირაკლი მხეიძე (50 კგ) და გივი მაჭარაშვილი (100 კგ) მესამე ადგილზე გავიდნენ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ასაკობრივმა ნაგრებებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 12 მედალი (2 ოქრო, 4 ვერცხლი, 6 ბრინჯაო) მოიხვეჭა. ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროკონკურენციაში (მაკედონია. 2-3 ივლისი) ხვავრიელად იჭიდავა – გუნდის რვა წევრიდან ხუთმა მედალი მოიპოვა.

მძიმეწონოსანი იაკობ ქაჯაია ევროპის ჩემპიონი გახდა, ამასთან, ოთხივე ჩატარებული შეხვედრა ისე მოიგო, ერთი ქულაც კი არ დაუკარგავს. შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო და სლოვაკ დავიდ ჩეჩს 7:0 სძლია. რუმინელ ტიბერიუ ალექსანდრუ ბარბაზანს 4:0 აკმარა, ბელარუსის სახელით მოჭიდავე გიორგი ჩუგაშვილსა და ლიტველ მანტას კნისტაუტასს კი ერთნაირი ანგარიშით – 7:0 აჯობა.

ირაკლი შავაძეს (50 კგ) უმაღლეს ტიტულამდე ფინალის მოგება დააკლდა. ლაშა გობაძე (74 კგ), რობერტ ქობლიაშვილი (84 კგ) და კუკური კირცხალია (96 კგ) კი ბრინჯაოებს დასჯერდნენ. ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში 51 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

13-14 აგვისტოს, სოფიაში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართა და ქართველი ბერძენ-რომაელები ოდენ 66 კილოგრამში მოჭიდავე შმაგი ბოლქვაძის ვერცხლს დასჯერდნენ.

ჭაბუკთა ნაკრებმა ევროპირველობა (ჩერნოგორია. 22-23 ივნისი) ოთხი მედლით ჩაამთავრა. ჩემპიონის ტიტულთან ყველაზე ახლოს გიორგი კურტანიძე (54 კგ) და ლევან ქავჟარაძე (58 კგ) მივიდნენ – ორივე ფინალში გავიდა, მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება ვეღარ შეძლეს და ვერცხლს დასჯერდნენ. თემურ შავაძემ (46 კგ) და ზვიად პატარიძემ (100 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ზვიად პატარიძე

20-21 აგვისტოს სერბეთში ჭაბუკები უკვე მსოფლიოს კონკურენციაში ჩაერთნენ. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით ბედინაძემ შეჯიბრების განაცხადში ევროპირველობაზე ნაჭიდავები ათი შეგირდიდან ექვსი შეიყვანა. ოთხი კი სხვა კანდიდატით ჩაანაცვლა. ქართულმა გუნდმა ორი მედალი მოიპოვა. თავი ისევ იმ მოჭიდავეებმა გამოიჩინეს, ვინაც ევროხალიჩაზეც იყოჩაღა.

ზვიად პატარიძემ ხუთი შეხვედრა ჩაატარა, ყველა პერიოდ-დაუკარგავად მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ოქროს გზაზე ქართველმა მოჭიდავემ ყაზახი სალავატ ახმეტკალიევი (0:1 3:0), ბულგარელი ევგენი გენჩევი (6:0), აზერბაიჯანელი ადამბეკ სიდიკოვი, რუსი ვლას დუბროვინი (3:3 2:0) და სერბი ბობან ზივანოვიჩი (6:3) ჩამოიშორა. ლევან ქავჟარაძემ ევროპულ ვერცხლს მსოფლიოს ბრინჯაო მიამატა.

ირაკლი თარხნიშვილი (76 კგ) ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ნახევარფინალამდე მივიდა. შემდეგ კი ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და ორივე ტურნირი მეხუთე ადგილით დაასრულა. ანალოგიური შედეგი ჰქონდა მინდია ბოლქვაძეს (63 კგ) ევროპირველობაზე.

2013 წლის სეზონში საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მიერ მოპოვებული ოთხივე ოქროს მედალი მძიმე წონაში მოჭიდავეთა ანგარიშზეა.

ოთარ მაღლაკელიძე

სამბო
ევროპის ჩემპიონატი
კრემო. 17–21 მაისი

ვახტანგ ჩიდრაშვილი – ვერცხლი
ნიკოლოზ კუცია – ვერცხლი
ნოდარ მეტრეველი – ვერცხლი
უშანგი კუზანაშვილი – ბრინჯაო
კახა მამულაშვილი – ბრინჯაო
ლაშა გურული – ბრინჯაო
შორენა შარაძე – ბრინჯაო

ოქროს დასასრული

სამბისტებმა ომახიანად დაწყებული სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს – მსოფლიოს ჩემპიონატზე სამივე სინჯის ექვსი მედალი მოიპოვეს. სანქტ-პეტერბურგში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ქართული ჰიმნი ორჯერ აჟღერდა – ოქროს მედლები ვახტანგ ჩიდრაშვილმა და ლევან ნახუცრიშვილმა მოიპოვეს და ქართული სამბოს მონაგარი კიდევ უფრო გაამდიდრეს.

12-14 აპრილს კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ქართველმა ფალავნებმა იმდენი მედლები მოაგროვეს, შეიძლება კაცს სათვალავი აერიოს. ხუმრობა ხომ არ არის, ორივე ნაკრების წევრებმა ჯამში 6 ოქროს, 2 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და საქართველოში მედლებით და თასებით დახუნძლულები დაბრუნდნენ. ოქროს დაეუფლნენ ლუხუმ ჩხვიმიანი, ბექა ტუღუში, მიხეილ მეზურნიშვილი, უშანგი მარგიანი, თორნიკე ნაგლიაშვილი და თორნიკე ჭოველიძე.

17-21 მაისს იტალიის ქალაქმა კრემომ უფროსი ასაკის სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ქართველმა ფალავნებმა ევროპირველობაზე 3 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჯონდო მუზაშვილის ბიჭებს საჩემპიონო შეხვედრებში ხელი მოეცარათ – ზოგმა თავად დააკლო რაღაც, ზოგსაც მეტოქემ ალალად აჯობა. ასეა თუ ისე, ევროპირველობაზე ოქროს გარეშე დავრჩით, რაც გულდასაწყვეტიც არის და უჩვეულოც – ქომაგი სამბისტებისგან ოქროს მედლებს ისეა მიჩვეული, ნაკრების ოქროს გარეშე დარჩენას ძნელად ეგუება. როდესაც გუნდი სამ ფინალურ შეხვედრას აგებს, შეცდომები პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ეძებოს. მსაჯები, უიღბლობა... მარცხის გასამართლებლად საბაბის მოძიება იოლია, თუმცა ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ გუნდი ფსიქოლოგიურად სათანადო დონეზე მომზადებული ვერ იყო, სხვანაირად სამი ფინალის წაგებას ვერაფრით ავხსნით. ფინალში იჭიდავეს ვახტანგ ჩიდრაშვილმა, ნიკოლოზ კუციამ და ნოდარ მეტრეველმა.

14-15 სექტემბერს ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩატარებულ კადეტ სამბისტთა ევროპირველობაზე ჩვენმა გუნდმა 1 ოქროს, 4 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ჭაბუკ ფალავნებს უფროსების დარი ამბავი შეემთხვათ – ოთხი ფინალი წააგეს და ოქროს მედლები სხვებს დაუთმეს.

ახალგაზრდულმა, ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრებებმა 11-14 ოქტომბერს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე 3 ოქროს, 5 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედალი მოიპო-

სამბო
მსოფლიოს ჩემპიონატი
კრემო. 17–21 მაისი

ვახტანგ ჩიდრაშვილი – ოქრო
ლევან ნახუცრიშვილი – ოქრო
ლაშა გურული – ვერცხლი
კახა მამულაშვილი – ბრინჯაო
ნოდარ მეტრეველი – ბრინჯაო
ირინე ლეონიძე – ბრინჯაო

ვეს. ყველაზე შედეგიანად ჭაბუკთა გუნდმა იჭიდავა, სადაც ათი წონითი კატეგორიიდან მედლის მოპოვება 8 სპორტსმენმა შეძლო. ჭაბუკებმა მთავარ მწვრთნელ – მირიან პავლიაშვილის ხელმძღვანელობით ჯამში 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო აიღეს. ამ ასაკობრივ კატეგორიაში მსოფლიო პირველობაზე 17 ნაკრები მონაწილეობდა.

ვახტანგ ჩიდრაშვილი

მსოფლიოს ჩემპიონი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე გიორგი მეტრეველი გახდა. ფინალის გზაზე მან ბერძენი ნიკოს ივანიდისი, ბელარუსი ალეგ ნაჰორნი და ყაზახი აირბეკ აიმაგამბეტოვი დაამარცხა, გადამწყვეტ ბრძოლაში კი რუს პაველ ტერეხოვს აჯობა. ირაკლი კუპატაძეს (52 კგ) და აპოლონ ზურაბიანს (75 კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად ფინალის მოგება დააკლდათ. კუპატაძე დასკვნით შეხვედრაში მონღოლ ბაიარა ამარტუვშინთან დამარცხდა, ხოლო ზურაბიანი – რუს მიხაილ ვოდოვსკოვთან. თორნიკე ჭოველიძე (65 კგ), გიგა ნოზაძე (70 კგ), ირაკლი გოგია (81 კგ), ჯონი ჭითანავა (87 კგ) და გიორგი ლაზუაშვილი (+87 კგ) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ. ახალგაზრდული ნაკრების ანგარიშზე, რომელსაც ავთანდილ ცინცაძე წვრთნის, 1 ოქრო და 3-3 ვერცხლი და ბრინჯაოა. ტურნირი წაუგებლად უშანგი მარგიანმა იჭიდავა. 82 კილოგრამში მოჭიდავე ქართველმა ჩემპიონატი უკრაინელი იური პოჟარის ძლევით გახსნა. შემდეგ საბერძნეთის ნაკრების ფალავანს ივანე გომართელს და ყაზახ იერასულ კაირბეკს მოუგო, ფინალში კი მოლდოველ გენადი პრეტივატს აჯობა.

სამ უმძიმეს წონაში საქართველოს ნაკრების წევრებმა ფინალში იჭიდავეს. თეიმურაზ ხაჩიძემ (90 კგ) გადამწყვეტ ბრძოლაში ტაჯიკ კომრონ შოჰუსტოპირიონთან წააგო, თორნიკე ოთინაშვილმა (100 კგ) – რუს დიმიტრი ტორგაშოვთან, ხოლო გუგა კიბორძალიძემ (+100 კგ) – რუს ედგარ ტსმერეკასთან. გიორგი მელქუაშვილი (48 კგ), თორნიკე მუზაშვილი (57 კგ) და მიხეილ მეზურნიშვილი (74 კგ) ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. ბექა ტუღუში (68 კგ) რეპეშაჟის ფინალამდე მივიდა და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა. ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობაზე 15-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

ვაჟების პარალელურად, მსოფლიოს ჩემპიონ-პრიზიორები გოგონებმაც გამოავლინეს. ყველაზე შთამბეჭდავად მძიმეწონოსანმა ელენე ქებაძემ იჭიდავა – სერბი მალისა ზაბიჩი, რუსი ანასტასია ტრაპეზნიკოვა და ბულგარელი სიან ხრის-

ლევან ნახუცრიშვილი

ტოვა ჩამოიშორა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ნინო მარტიაშვილი (60 კგ) და თეა სუხიტაშვილი (68 კგ) ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. ჭაბუკთა და ვაჟთა ახალგაზრდულმა ნაკრებებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს, ჩემპიონი ორივე ასაკობრივ ჯგუფში რუსეთი გახდა. ოქტომბერში სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ლიპარტელიანი სამბოს საერთაშორისო ფედერაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

22-24 ნოემბერს, რუსეთის ქალაქ სანქტ-პეტერბურგში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. ქართველმა სამბისტებმა მსოფლიოს პირველობაზე საუცხოო შედეგი აჩვენეს და 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ) და ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ) მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლს დასჯერდა ლაშა გურული (100 კგ), კახა მამულაშვილმა (74 კგ) და მძიმეწონოსანმა ნოდარ მეტრეველმა ბრინჯაო მოიპოვეს. ქალთა შორის ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა მძიმეწონოსანმა ირინე ლეონიძემაც.

ნიკა კოპალიანი

GOLDEN FINISH

Georgian Sambo national team finished the optimistically started season being in high spirits. They won six medals at the world championship, including golden, silver and bronze. Georgian national anthem was played twice at the world championship held in St. Petersburg (Russia). Vakhtang Chidrashvili and Levan Nakhutsrishvili won gold medals and enriched assets of Georgian Sambo.

Georgian young Sambo wrestlers collected surprisingly big number of medals at the European youth and junior championships in Limassol (Cyprus) during April 12-14. Both national teams gained six gold, two silver and ten bronze medals and came back to Georgia with medals and cups. Lukhum Chkvimiani, Beka Tugushi, Mikheil Mezurnishvili, Ushangi Margiani, Tornike Nagliashvili and Tornike Chovelidze won gold medals.

During May 17-21, Kremo (Italy) hosted European adults' championship in Sambo. The Georgian team won three silver and four bronze medals. Vakhtang Chidrashvili, Nikoloz Kutsia and Nodar Metreveli became silver medalists.

The youth, junior and women national teams of Georgia gained three gold, five silver and ten bronze medals at the world championship held in Salonika (Greece) for October 11-14. Giorgi Metreveli (60kg) became world champion among the juniors. Irakli Kupatadze (52 kg) and Apolon Zurabiani (75 kg) won silver. Tornike Chovelidze (65 kg), Giga Nozadze (70 kg), Irakli Gogia (81kg), Joni Chitanava (87 kg) and Giorgi Lazuashvili (+87 kg) gained only bronze awards. The youth team coached by Avtandil Tsintsadze won one gold, three silver and three bronze medals. Ushangi Margiani (82 kg) was unbeatable during the whole tournament. Members of the Georgian team reached final in the three heavyweight categories. Teimuraz Khachidze (90 kg) lost duel against Komron Shohustopirion (Tajikistan). Tornike Otinashvili (100 kg) was beaten by Dimitri Torgashov (Russia) and Guga Kibordzalidze (+100 kg) was defeated by Edgar Tsemereka (Russia). Giorgi Melkuashvili (48 kg), Tornike Muzashvili (57 kg) and Mikheil Mezurnishvili (74 kg) became bronze medalists.

Georgian women Sambo wrestlers also became prizewinners like their men colleagues. The performance of heavyweight Elene Kebadze was most impressive. She beat consequently Malisa Zabich (Serbia), Anastasia Trapeznikova (Russia) and Sian Khristova (Bulgaria) and became the world champion. Nino Martiashvili (60 kg) and Tea Sukhitashvili (68 kg) became bronze medalists.

During November 22-24, the world championship in Sambo took place in St. Petersburg (Russia) where Georgian national combined team showed the excellent result. They won two gold, one silver and three bronze medals. Vakhtang Chidrashvili (57 kg) and Levan Nakhutsrishvili (68 kg) became world champions. Lasha Guruli (100 kg) lost the final duel and gained silver. Kakha Mamulashvili (74kg) and heavyweight Nodar Metreveli won bronze. The heavyweight Irina Leonidze won bronze in the women contest.

პაატა ღვინიაშვილი – ქართველთა ფალავანი

ქართული ჭიდაობის ტურნირი „ფალავნობა“ ყოველ წელს ტარდება და ქომაგის განსაკუთრებულ ინტერესს და მოწონებას იწვევს. ფალავნობის შეჯიბრი წლეულსაც გაიმართა და წინამორბედებზე ერთი-ორად უკეთესი და თვალსაჩინო იყო. ფალავნობა – 2013 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ქართული ჭიდაობის ფედერაციის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით, 15 დეკემბერს ცირკში ჩატარდა.

ტურნირში საქართველოს ყველა რეგიონის 70-მდე სპორტსმენი ჩაერთო. ქართული ჭიდაობის ტურნირი 4 წონით კატეგორიაში – 80, 90, 100 და მძიმე კატეგორიებში გაიმართა, რის შემდეგაც აბსოლუტური ფალავნობა ჩატარდა. ფალავნობაში მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული 4 წონითი კატეგორიის ფინალისტებმა და მესამე ადგილზე გასულმა 12-მა სპორტსმენმა. 80 კილოგრამში ზურაბ ნოზაძემ იჩემპიონა, 90 კგ-ში პირველობა ბექა ღვინიაშვილმა არავის დაუთმო, 100 კილოგრამში კი საუკეთესო გიორგი ნოზაძე გახდა, მძიმე წონაში კი ჩემპიონობა ლევან მატიაშვილმა მოიპოვა. **2013 წლის ფალავანი ქართლელი პაატა ღვინიაშვილი გახდა. მან ფინალში გიორგი ნოზაძე დაამარცხა.** ქართული ჭიდაობის ტურნირის გამარჯვებულებმა თასებთან და მედლებთან ერთად, ფულადი ჯილდოები მიიღეს. აბსოლუტურ ფალავნობაში გამარჯვებულს კი პრიზად ავტომობილი – მერსედეს Mercedes-Benz ML გადაეცა. მთლიანი ტურნირის საპრიზო ფონდი 35 000 ლარი იყო, რამაც, ცხადია, ფალავნობის მიმართ ინტერესი გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ვებ-გვერდზე განხორციელდა ტრანსლაცია, ხოლო ფინალური შეხვედრები ტელეკომპანია „აფხაზეთის ხმის“ პირდაპირ ეთერში გადაიცა.

ნიკა კოპაძე

80 კგ – ზურაბ ნოზაძე (ხაშური)
90 კგ – ბექა ღვინიაშვილი (გორი)
100 კგ – გიორგი ნოზაძე (ხაშური)
+100 კგ – ლევან მატიაშვილი (საგარეჯო)

სერიოზული ვახლავდი

ავთანდილ ჭრიკიშვილისთვის (81) წლევანდელი სეზონი გამორჩეული გამოდგა – მოიგო ევროპის ჩემპიონატი პირადშიც და გუნდურშიც, მსოფლიოზე კი პირადში ფინალში გავიდა, ხოლო გუნდურში ჩემპიონი გახდა. თავისთავად მშვენიერი შედეგებია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ 22 წლის ძიუდოისტისთვის ეს ყველაფერი მხოლოდ კარიერის დასაწყისია და მთავარი გამარჯვებები ჯერ კიდევ წინ ელოდება.

არადა, თუნდაც ერთი წლის წინ მისგან ასეთ წარმატებას ვერც წარმოვიდგენდით და მხოლოდ იმაზე ვმსჯელობდით, რამ გამოიწვია ავთოს რამდენიმეწლიანი ჩავარდნა და დასძლევდა თუ ვერა კრიზისს... საბედნიეროდ, დასძლია, რადგან წლეულს ზედმეტი ფიზიკური დატვირთვებისგანაც გათავისუფლდა და იმ სტრესისგანაც, რასაც ნაკრების ადრინდელი მწვრთნელი ახვევდა თავს ახალი საჭიდაო სტილით. პირადად მომისმენია მისი პრეტენზია – რაც ვიცი, იმის გაკეთება მეშინია, მწვრთნელმა არ მიყვიროსო.

ამ ზეწოლისგან გათავისუფლება უმალ დაეტყო – უკვე იანვარში საქვეყნოდ ცნობილი პარიზული „დიდი მუზარადის“ ფინალში გავიდა, ორიოდ კვირაში კი დიუსელდორფის „დიდი პრიზი“ მოიგო, რასაც ევროპის ჩემპიონატზე გაბრწყინება მოჰყვა. თუმცა მხოლოდ დამრიგებლის ცვლა ან დატვირთვების შემცირება ვერ უშველიდა, რომ არა ახალი მთავარი მწვრთნელის – ირაკლი უზნაძის ფაქტორი, რომელმაც რამდენიმე თვეში ვითარება რადიკალურად გარდაქმნა – სპორტსმენის შესაძლებლობები ხომ უფრო გონივრულად გადაანაწილა, საჭიდაო სტილიც შეიცვალა, ოღონდ ის ახალ წესებს მოარგო, თორემ სრულიად სხვა ჭიდაობის შესწავლა არ დაუვალებია. პირიქით – სხვათა მსგავსად, მასაც მისცა საშუალება, ქართულ სტილში ეჭიდავა. ერთი სიტყვით, ჭრიკიშვილი ევროპის ჩემპიონატს სრულიად გახსნილი შეხვდა და ბუდაპეშტში იფრინა კიდეც ტატამზე... მას თვალშისაცემი პროგრესი ჰქონდა ფიზიკურ მზადებაში, რაც თუნდაც წინა სეზონში მისთვის მთავარი „აქილევსის ქუსლი“ იყო.

ეს პროგრესი მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაგრძელდა, სადაც ადრინდელ კარგ თვისებებთან ერთად უჩვეულო კოორდინაციაც გამოავლინა. მას ტექნიკა და ილეთის გრძნობა არასოდეს აკლდა. ევროპაზე ის ჭიდაობდა მწვრთნელის მონახაზის შესაბამისად – ცდილობდა, თავიდანვე აეღო ჩავლება და დასაწყისიდანვე მოეპოვებინა უპირატესობა, რასაც მთელი შეხვედრა ინარჩუნებდა ხოლმე... მისი აგრესიული, შემტევი სტილი მეტოქეებს ილეთის გაკეთების ბევრ შანსს არც უტოვებდა, მაგრამ თუ მოხდებოდა და ათასში ერთხელ შეტევაც გაეპარებოდა, ზემოაღნიშნული კოორდინაციის დამსახურებით ყოველთვის ახერხებდა თავდახსნას – რამდენჯერმე ჰაერში ისე ამოტრიალდა, თქვენი მოწონებული... ბრაზილიაში საწყისი შეხვედრები იმდენად სწრაფად მოიგო, შეფასების საშუალებასაც არ გვაძლევდა.

თუმცა ფინალი მაინც წააგო ფრანგ ლოის პიეტრისთან. როგორც თავად ამბობს, ამის მიზეზი დაღლილობაა – რუს ივან ნიფონტოვთან უმძიმესი ნახევარფინალის შემდეგ მალევე მოუწია ფინალში ასპარეზობა. „ძალიან რთული შეხვედრები მქონდა. განსაკუთრებით – ნახევარფინალსა და ფინალში. საჩემპიონო ბრძოლაში გამარჯვებისთვის არაფერი დამიკლია, მაგრამ ნიფონტოვის შემდეგ მეტისმეტად მალე მომინია ჭიდაობა, დასასვენებლად დრო არ მეყო. 15-20 წუთი კიდევ რომ მქონოდა, ფინალში სულ სხვა ჭიდაობა იქნებოდა. ნიფონტოვთან პაექრობა ძალიან ძნელი იყო – ტატამიდან რომ გამოვედი, მაჯები დაბერილი და დალურჯებული მქონდა, თითებს ვერ ვამოძრავებდი. პრაქტიკულად, ბოლო ორი ბრძოლა 15-წუთიანი ინტერვალით გავმართე. ამიტომ ფინალში შესაძლებლობების მხოლოდ 50 პროცენტი გამოვავლინე, თორემ პიეტრისთან მანამდეც მომიგია და ორიოდ დღეში გუნდურშიც ვაჯობე“ – თქვა ტურნირის შემდეგ „ლელოსთან“ ინტერვიუში ჭრიკიშვილმა.

ეტყობა, მართლაც დაღლილობა იყო პიეტრისთან წაგების მიზეზი, რადგან ჩვენებურმა ვერც თავად შეცვალა სტილი და ვერც ფრანგს დაუპირისპირა

რამე, რომელიც კარგად მომზადებული დაუხვდა ფინალში – საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი მისი ჭიდაობა და გადავლების ყოველ მცდელობას კისრულს უპირისპირებდა, რამაც საბოლოოდ წარმატებაც მოუტანა. თუმცა მსაჯმაც აშკარად დაინდო მეტოქე, რომელიც მეოთხე გაფრთხილებას და მოხსნას ნამდვილად იმსახურებდა. პიეტრისთან მოგების წამალი ჭრიკიშვილმა გუნდურში გვიჩვენა, როცა ახლოდან, მყარი ჩავლებით მას მანევრირების საშუალება მოუსპო. გუნდურში ჭრიკიშვილმა განსაკუთრებით ფინალში იყოჩაღა რუსებთან, როცა 0:2-ზე მესამე, ძალზე პრინციპული და ფსიქოლოგიურად უძნელესი შეხვედრა მოიგო ევროპის ორგზის ჩემპიონ სირაზუდინ მაგომედოვთან და დიდ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი.

გუნდურშივე, ოღონდ მონღოლეთთან, ნიამ-ოშირ სიანჯარგალთან გაფრთხილებებით მოგების შემდეგ მოხდა ფაქტი, რაც სიმპტომურია მისი ხასიათისთვის – ქულა რატომ ვერ გავაკეთეო, ამას იმდენად განიცდიდა, რომ უზნაძემ გვარიანდ დატუქსა, მთავარია, მოიგე და რაღა განერვიულებსო... წლეულს თითქოს უფრო პრაგმატულად ჭიდაობს ანუ შედეგზე და არა სანახაობაზე; შეისისხლხორცა და დაიწყო ჩოქბჯენში ჭიდაობა (ამან მოუტანა შებოჭვა ნიფონტოვთან), მაგრამ ჯერ მაინც გული უძგერს ლამაზ გდებაზე, ტექნიკურ ფანდებზე... მის ასაკში ეს არცაა გასაკვირი, მაგრამ, იმედია, თანდათან უფრო მეტად მოუხდის ხარკს პრაგმატიზმს, როგორც ეს, ბოლოს და ბოლოს, ვალერი ლიპარტელიანმა (90) გააკეთა.

„დღეისათვის ტაქტიკური შეცდომით თუ წავაგებ, თორემ წონაში ჩემთვის უხერხული მეტოქე არავინაა. ბუნებრივია, შეიძლება, კიდევ წავაგო – სპორტში გამორიცხული არაფერია, მაგრამ მეტოქეებს რომ ვუყურებ, ჩემზე ძლიერი არ მეგულება. მხოლოდ კორეელ მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ კი-ჯაე ბუმს გამოვყოფ, თუმცა მას კორეაში ერთობლივ ვარჯიშებზე ვეჭიდავებოდი და ღონით ვჯობივარ," – ესეც ავთანდილ ჭრიკიშვილის სიტყვებია, ისევ მსოფლიოს პირველობის შემდეგ „ლელოსთან" ნათქვამი და ძნელია, არ დაეთანხმო... ასაკის მიუხედავად, მას უკვე მოუგია იმავე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ ნიფონტოვთან, ზემოხსენებულ მაგომედოვთან (თანაც – სამჯერ), პიეტრისთან და სხვებთან, ეს კი წონის ლიდერობაზე სერიოზული განაცხადია.

ირაკლი თავაძე

EARNEST CLAIM

This year's sport season has turned out particularly successful for the young Georgian judoka Avtandil Chrikishvili (81 kg). He won championship of Europe in both individuals and team contests, won silver at the world championship and became world champion in the teams contest. The results are truly excellent for the 22-year sportsman at the outset of his sport career given that main achievements and victories are ahead of him.

Chrikishvili's progress started at the championship of Europe and continued at the world championship where he showcased the unique sense of coordination along with other sport skills. He has never lacked the sense of techniques and resource of specific wrestling moves. At the championship of Europe he was wrestling according to the coach's instructions trying to gain advantage at the very beginning and maintain it for the entire duel. His opponents were not standing much chance of making moves against Chrikishvili's aggressive style of attack. But he had always succeeded in saving the situation thanks to the abovementioned excellent coordination. He could save the situation even in the rare cases of overlooking the opponents' moves. At the 2013 world championship in Brazil Chrikishvili won the starting duels so quickly that we had no time to evaluate them. However, Avtandil lost the final duel against the French Loic Pietri. Avtandil says that overstrain especially after a tough semifinal against Ivan Nifontov (Russia) was the main reason behind the defeat. He had to go to the final duel right after the semifinal. "I had very hard duels particularly in semifinal and final. I did my utmost to win the championship, but after the duel with Nifontov I had to go tatami very soon without sufficient time to have a rest, Chrikishvili said in an interview with "Lelo" sports newspaper after the tournament.

However, Chrikishvili made requital with Pietri during the teams' contest with France. He deprived the opponent of the opportunity to maneuver by using a near hold. Chrikishvili was particularly dexterous in the final of teams' contest against Russia. When the score was 0:2 in favor of Russia Chrikishvili won the principal and psychologically tough duel against twice champion of Europe Sirazudin Magomedov. He thereby paved the way to the ultimate victory of the Georgian national team in this contest.

"Nowadays, I may lose a duel only because of tactical mistakes. I don't see any inconvenient challenger for me in my weight category. I watch my competitors and none of them I consider to be stronger. The Korean Ki-Jae-Bom, twice world champion and winner of Olympics, is the only challenger whom I would single out. However, I wrestled him in Korea and found that I exceled him in strength. Of course, I can lose some duels because nothing is excluded in sports, "Chrikishvili said when interviewed by "Lelo." It is hard to disagree with him. Despite young age he already defeated the world and European champion Nifonotov, he beat three times the titled judoka Magomedov, he also beat Pietri and other experienced competitors. This is an earnest claim for the leadership in his weight category.

IRAKLI TAVADZE

ევროპული გზით

2013 წელს სამინისტროს მთავარ პრიორიტეტებსა და სამომავლო გეგმებზე, ასევე სხვადასხვა აქტუალურ თემაზე გვესაუბრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე.**

– სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლა კალენდარული წლის მიწურულს დაემთხვა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც დასრულდა ლონდონის ოლიმპიური თამაშების ოთხწლიანი ციკლი და სპორტულ ფედერაციებს საანგარიშო-სააარჩევნო ყრილობებზე უნდა შეეჯამებინათ განვლილი მუშაობა, აერჩიათ ახალი პრეზიდენტები და მესვეურები. რამდენიმე საარჩევნო ყრილობამ პრობლემების ფონზე ჩაიარა, თუმცა სამინისტრო ფედერაციების საქმეებში არ ჩარეულა და მათი მისამართით მიცემული რეკომენდაციებით შემოიფარგლა, რამაც კონკურენტული და დემოკრატიული გარემოს შექმნას შეუწყო ხელი. გასული წლის მანძილზე, სპორტულ ფედერაციებს ჩვენი გეგმები გავაცანით, გამგეობებისა და აღმასკომის წევრებს მივაწოდეთ ინფორმაცია იმ ძირითადი მიზნებისა და პრიორიტეტების შესახებ, რის განხორციელებასაც ეტაპობრივად ვაპირებთ. გავმართეთ არაერთი შეხვედრა სპორტული ფედერაციებისათვის სპორტის სამომავლო განვითარების კონცეფციის და ზოგადად, სპორტის პოლიტიკის გასაცნობად. ჩავატრეთ შეხვედრები რეგიონებში სპორტზე პასუხისმგებელ პირებთან, გვქონდა გასვლითი ვიზიტებიც. სპორტულ საზოგადოებას ავუხსენით, რომ 2013 წელი იქნებოდა გარდამავალი ეტაპი მიზნობრივ დაფინანსებაზე გადასასვლელად.

2013 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სამთავრობო უწყებათაშორისი საბჭო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის ხელმძღვანელობით. საბჭოს ძირითადი ამოცანებია – სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბება, საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის და სპორტის განვითარების პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავება, ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემაში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა, ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა, საქართველოში სპორტული განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება. წლის მანძილზე გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის, ასევე ჩამოყალიბდა თემატური ჯგუფები. მთლიანობაში, საბჭომ უნდა შეიმუშაოს პოლიტიკური დოკუმენტი, რომლითაც სამომავლოდ იხელმძღვანელებენ სპორტული ფედერაციები თუ ასოციაციები, კლუბები თუ სამთავრობო და კერძო სტრუქტურები.

სამინისტროს ინიციატივით, აღდგა ურთიერთობა ევროპის საბჭოს პროგრამა „ეპასთან“ და 2013 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო „ეპას“ ეგიდით ორგანიზებულ შეხვედრებზე, განხილვებსა და სხდომებზე სტრასბურგში, პარიზსა და ბრიუსელში. ასევე გამოსარჩევია ბერლინში, UNESCO-ს ეგიდით ჩატარებული ფიზიკური განათლებისა და სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრებისა და ოფიციალური თანამდებობების პირთა მე-5 საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ყურადღების გამახვილება სპორტის ფასეულობებსა და ღირებულებებზე.

მსურს გამოვარჩიო სამინისტროს ინიციატივით და ევროკავშირის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით თბილისში ორგანიზებული 2-დღიანი სემინარი თემაზე – „სახელმწიფო შიდა თანამშრომლობის ასპექტები ევროპის კონვენციის დებულებების ფარგლებში”. მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს მონაწილეობა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს – WADA-ს ორგანიზებით და ასევე ევროპის საბჭოს ჩართულობით მოწყობილ კონფერენციებსა თუ კონგრესებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მინისტრთან ერთად ჩვენი ვიზიტი მონაკოში საერთაშორისო ფორუმზე – „მშვიდობა და სპორტი“.

ჩვენი უპირველესი პრიორიტეტებია სპორტის ინფრასტრუქტურა, სპორტული განათლება და სპორტული კანონმდებლობა, მასობრივი სპორტი. საქართველოში სპორტულ ბაზებთან დაკავშირებული მრავალწლიანი პრობლემა საბოლოოდ უნდა მოგვარდეს, რაც სპორტის მასობრიობას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ეს რთული პროცესია, თუმცა ეტაპობრივად უნდა გადავჭრათ ეს პრობლემები.

სპორტის ახალ კანონში, რომელიც მუშავდება, რამდენიმე მიმართულება გამოიყოფა: მაღალი მიღწევების სპორტი, სპორტი ყველასათვის, ბავშვთა და სტუდენტური სპორტი, ეროვნული ჩემპიონატები და პირველობები, თასის გათამაშება, რომელიც ქვეყნის სახეა საერთაშორისო სარბიელზე. დასახელებული პირამიდა ევროპის სასპორტო მოდელს წარმოადგენს და დიდი ხანია აპრობირებულია. ასეთი პირამიდისთვის მყარ საფუძველს ქმნის სასპორტო სკოლები და სპორტული კლუბები. მიმაჩნია, რომ კლუბურ სისტემაზე გადასვლის პროცესი სულ უფრო აქტიური უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაში.

უნდა გააქტიურდნენ სპორტული ფედერაციებიც. მათგან ჩვენ კონკრეტულ ინფორმაციებს ვითხოვთ – რამდენი სპორტსმენი ჰყავთ რეგისტირებული, როგორ წარმოუდგენიათ დარგის მომავალი, რა მიაჩნიათ პრიორიტეტად, რა პრობლემები აქვთ მასობრივ, ვეტერანთა და ბავშვთა სპორტში, როგორი კონტაქტები აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ასე შემდეგ. ასევე ვთხოვთ მათ მოაწესრიგონ წესდებები და თანხვედრაში მოიყვანონ საქართველოს კანონმდებლობასთან. სპორტული ფედერაციების ძირითადი დამფინანსებელი სახელმწიფოა, ასე რომ, ჩვენ არსებული რეალობის ზუსტი სურათი უნდა გვქონდეს და ხარვეზების შემთხვევაში, მათი გამოსწორებისათვის ვიზრუნოთ. 2007 წელს გაუქმებულმა სპორტის აკადემიამ, რაც შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული იყო ქართული სპოორტის მიმართ, სხვა უარყოფით გამოვლინებებთან ერთად, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა უკმარისობაც მოგვცა შედეგად. სპორტის აკადემიის ბაზაზე, 2013 წელს სპორტის უნივერსიტეტი დავაფუძნეთ და 2014 წლიდან სასწავლო პროცესს განვაახლებთ.

სამინისტროში შევქმენით ანალიტიკური დეპარტამენტი, რომლის ინიციატივით, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიზნით, პირველად საქართველოში ჩატარდა სხვადასხვა კვლევა. მათ შორის, გამოსარჩევია „საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში", რომელიც ჩვენი დაკვეთით აქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევის ცენტრმა მოამზადა. კვლევის მიზანი იყო საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების შესწავლა. მოსახლეობის ინტერესების შესახებ ინფორმაციის მოძიება საშუალებას გვაძლევს სამომავლო გეგმების განსაზღვრისას ზუსტი კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელოთ. და ბოლოს, მსურს აღვნიშნო მედიის როლის შესახებ სპორტში. სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სპორტულ მედიასთან, თუმცა, ვფიქრობ სამომავლოდ უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო სპორტის პოპულარიზაციის და პროპაგანდისათვის, რაც საქართველოს დადებითი იმიჯით წარმოჩენას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს.

გიორგი ჭანიშვილი

მესამე ოლიმპიადა

ქართველმა მოციგურავემ ელენე გედევანიშვილმა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე უხეიროდ ისრიალა და ათეულშიც კი ვერ შეაბიჯა. ჩვენ მოციგურავეს ხასიათის გამოკეთების და ქომაგის გახარების საშუალება გერმანიაში სექტემბრის მიწურულს მიეცა, როცა სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირზე ისრიალა და ოლიმპიადის საგზური დაისაკუთრა.

იანვრის მიწურულს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ელენე გედევანიშვილი უმედლოდ დარჩა. ევროპირველობის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა ორი გამოსვლის ჯამში მხოლოდ მე-14 ადგილი დაიკავა. ელენე ზაგრებში ახალი პროგრამით წარსდგა: მოკლე პროგრამაში „შინდლერის სიამ" 48,75 ქულა და მე-16 ადგილი მოუტანა, ფინალში კი „დონ კიხოტით" 93,96 ქულა მიიღო, მე-11 ადგილი დაიჭირა და საბოლოოდ 14-ზე გავიდა.

10-17 მარტს კანადის ქალაქ კვებეკში გამართული მსოფლოს ჩემპიონატი გედევანიშვილისთვის კიდევ უფრო წარუმატებელი გამოდგა. ქართველმა მოციგურავემ მხოლოდ 29-ე ადგილის დაკავება შეძლო. გედევანიშვილს აკლდა სითამამე და კონცენტრაცია, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ასეთი დონის შეჯიბრებებზე. ელენემ მობილიზება სექტემბრის მიწურულს მოახერხა. ჩვენმა მოციგურავემ გერმანიის ქალაქ ობერსტდორფში გამართულ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირზე მე-6 ადგილი დაიკავა, რაც ლიცენზიის მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა. ობერსტდორფში ძირითადად ის სპორტსმენები გამოვიდნენ, რომელთაც გასულ სალიცენზიო შეჯიბრებებზე ხელი მოეცარათ. გედევანიშვილმა მოკლე პროგრამაში 51.59 ქულით მე-6 შედეგი აჩვენა, თავისუფალ პროგრამაში კი 93.21 ქულით მე-7 გახლდათ. ჯამში, ქართველმა მოციგურავემ 144.80 ქულა მოაგროვა და მე-6 შედეგი აჩვენა.

გერმანიაში ლიცენზიები წყვილთა შორისაც გათამაშდა, სადაც ოთარ ჯაფარიძის და ანგელინა ტელეგინას წყვილი გამოვიდა. ლიცენზიის მოსაპოვებლად 22 დუეტი იბრძოდა, რომელთაგან ოლიმპიადაზე გამგზავრების უფლება 5-მა საუკეთესომ მიიღო. მოკლე პროგრამის შემდეგ, ჯაფარიძე-ტელეგინას წყვილი 45.47 ქულით საერთო ჩათვლაში მე-13 ადგილზე იყო, საკვალიფიკაციოში კი – მეცხრეზე. ჩვენმა დუეტმა თავისუფალ პროგრამაში 73.19 ქულით მე-10 შედეგი აჩვენა. საბოლოოდ, ჯაფარიძემ და ტელეგინამ 118.66 ქულა მიითვალეს და სალიცენზიო ზონაში გასულ ესპანურ წყვილს მხოლოდ 1.1 ქულით ჩამორჩნენ – ესპანელები მე-8 ადგილზე გავიდნენ. ამგვარად, ფიგურულ ციგურაობაში საქართველოს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე ერთადერთი წარმომადგენელი ეყოლება.

ოთარ მხეიძე

ელიტისკენ

რაგბი წესების და ტრადიციის თამაშია. აქ უმნიშვნელო დეტალსაც კი დიდ ყურადღებას უთმობენ. ბევრისთვის გაუგებარია რაგბში არსებული ბიუროკრატიული ბარიერები, არაერთი გუნდის წინ რომ აღმართულა. ამ გუნდებს შორის არის საქართველოს ნაკრებიც, რომელიც წლებია ბობოლებთან თამაშს ითხოვს. „ბორჯღალოსნები“ ნოემბერში ელიტის ბინადარ სამოას ეთამაშნენ. ამ კლასის გუნდთან გაჯიბრება მისწრებაა, თუმცა სეზონში ერთი ასეთი მატჩი საერთო სურათს ვერ ცვლის. საქართველოს ნაკრებმა განვითარების ერთი ეტაპი დაასრულა, გრანდებთან სათამაშოდ მომწიფდა, ახალ ეტაპზე გადასასვლელად კი სახელიან გუნდებთან პაექრობა სჭირდება. მათთან შეხვედრის გზა რაგბის მაღალჩინოსანთა სურვილებზე გადის. გაგვიღებენ კარს, მოგვცემენ ბობოლებთან ჭიდილის საშუალებას, მაშინ ზრდას და განვითარებას ხელს ბევრიც ვერაფერი შეუშლის.

ევროპის ერთა თასის მეექვსე ტიტული

უსიამოვნო ტრადიციად იქცა – საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშებას მძიმედ, უჩვეულოდ უხალისოდ იწყებს. აბა, სხვა რა ჰქვია იმას, როცა უსახელო ბელგიის ნაკრები მთელი თამაში ნერვებს გაგლეჯინებს და პირველ ტაიმს სულაც მოგიგებს. ქართველი მორაგბეები მასპინძლებისგან ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ – ბელგია ერთა თასის დებიუტანტია, მაგრამ შემადგენლობაში რამდენიმე ნატურალიზებული ფრანგი მორაგბე ჰყავს, რომლებიც საფრანგეთში საკმაოდ კარგად თამაშობენ. 2 თებერვალს ბრიუსელში გამართული შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა საბოლოოდ 17:13 მოიგო, მაგრამ მთელი თამაში ბეწვის ხიდზე იარა. ქართული ლელოები მამუკა გორგოძის და ლევან ჩილაჩავას ანგარიშზეა, ორი გარდასახვა და ერთი ჯარიმა მერაბ კვირიკაშვილმა მიითვალა.

9 თებერვალს „ბორჯღალოსნები“ პორტუგალიას „ლოკომოტივზე“ დაუხვდნენ. „ლობუშები“ საქართველოს ნაკრებისთვის უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდნენ – თითქმის ყოველთვის ახერხებენ ქართველების თამაშის არევას და შეხვედრის მიწურულამდე ინტრიგის შენარჩუნებას. ასე მოხდა ამჯერდაც, მილტონ ჰეიგის გუნდმა ტაიმი 7:3 მოიგო, მაგრამ მეორე ნახევრიდან უპირატესობა მიზანდასახულად გაამყარა და 25:12 გაიმარჯვა. სტუმრებს ნამდვილ რისხვად ნაცადი თედო ზიბზიბაძე მოევლინა – მან ორი ლამაზი ლელო მიითვალა, ერთხელ მეტოქის დალელოვება კი ლაშა ხმალაძემ შეძლო. ორ-ორი გარდასახვა და ჯარიმა ზუსტად დაარტყა მერაბ კვირიკაშვილმა.

23 თებერვალს რუსეთის ნაკრებმა ქართველ „ბორჯღალოსნებს“ სოჭში

ევროპის ერთა თასი. საქართველო – პორტუგალია 25:12

ევროპის ერთა თასი. საქართველო – რუსეთი 23:9

უმასპინძლა. ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი არც ღირს. თამაში მძიმე გამოდგა, რაზეც პირველი ტაიმის ანგარიშიც მეტყველებს – 3:6. მეორე ნახევარში ყველაფერი დალაგდა, კლასმა და ნიჭმა თავისი ჰქნა, „ბორჯღალოსნებმა“ იძალეს – 23:9. რუსეთის ნაკრები ურიგო გუნდი როდია, მაგრამ ქართველებთან თამაშს მსაჯის სასტვენამდე აგებს, ფსიქოლოგიურად მარცხდება. არადა, რუსებს ქართველებთან მოგება უზომოდ უნდათ, იმდენად უნდათ, რომ უკადრებელიც არაერთხელ იკადრეს. რაგბის თემში არსებული დაუწერელი კანონებიც კი დაარღვიეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოდის. ქართულმა „ბორჯღალმა“ რუსულ „დათვს“ სასიკვდილო ჭრილობა მეორე ნახევარში მიაყენა. ღელოები ვიქტორ კოლელიშვილმა და დავით ქუბრიაშვილმა დადეს, ორი გარდასახვა და სამი ჯარიმა მერაბ კვირიკაშვილმა მიითვალა.

9 მარტს ჰეიგის გუნდმა ესპანეთს „ლოკომოტივზე“ უმასპინძლა. გასაგებია, რომ მადრიდული მარცხისთვის ახალ ზელანდიელ სპეციალისტს და „ბორჯღალოსნებს“ რევანში ჰქონდათ ასაღები, მაგრამ მაინც „მეტისმეტი“ ჰქნეს და ესპანელი „ლომები“ 61:18 დაამარცხეს. არ იფიქროთ, რომ „ბორჯღალოსანთა“ ასეთი გულიანი თამაში მარტო რევანშის წყურვილმა განაპირობა. ჯიგრიანი, ხალისიანი რაგბის საბურთაოდ ქართველებს სხვა მიზეზიც ჰქონდათ – ბიჭებმა სტაჟიანი მორაგბე და კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე ნაკრებიდან გააცილეს.

16 მარტს რუმინეთმა საქართველოს ნაკრებს ბუქარესტში უმასპინძლა. ერთა თასზე საქართველოს მთავარი ფავორიტი „მუხის ფოთოლია“ და სხვაგვარად ვერც იქნება. გინდ ტრადიციებით, გინდ კლასით და ჯანით რუმინეთი სხვებზე ერთი თავით მაღლა დგას, რაც ბუქარესტშიც გამოჩნდა. ჰეიგის გუნდმა საკმაოდ კარგად ითამაშა, უპირატესობასაც ფლობდა და მოგებაც შეეძლო, მაგრამ თამაში 9:9 დაამთავრა. ეს ფრე ხელს აძლევდა საქართველოს – ჩვენმა ბიჭებმა 2013 წლის გათამაშება ხომ მოიგეს და რუმინელებთან საცილო ანთიმოზ ივერიელის თასიც დაიტოვეს. ამას გარდა, ერთა თასზე გამარჯვებით „ბორჯღალოსნები“ ნაბიჯით მიუახლოვდნენ 2015 წლის მსოფლიო თასის ფინალს, რომლის საგზურსაც ერთა თასის ორი წლის შედეგების ჯამით ორი საუკეთესო გუნდი მიიღებს. ინგლისში გამგზავრების შანსს დაიტოვებს მესამე გუნდიც, ოღონდ, მას მიზნის მისაღწევად გრძელი გზის გავლა მოუწევს – რეპეშაჟში აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის გუნდების წინააღმდეგობა ექნება დასაძლევი.

ევროპის ერთა თასი. საქართველო – ესპანეთი 61:18

ტესტ-მატჩი. საქართველო – კანადა 19:15

ირბ–ს თბილისის თასი

7-16 ივნისს „ავჭალის“ სარაგბო სტადიონმა ირბი-ს თბილისის თასს უმასპინძლა. ეს არის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც რაგბის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცთა გადაწყვეტილებით, ამიერიდან საქართველოში ყოველ წელს ჩატარდება და ჩვენი ბიჭების დაოსტატება-ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. ახალი თაობის და ნაკრების უახლოესი რეზერვის გამოსაცდელად ამაზე უკეთესი ამბის მოფიქრება ძნელად თუ გამოვიდოდა. წლევანდელ ტურნირში საქართველოს, ურუგვაის, სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო და ირლანდიის მზარდმა ნაკრებებმა ითამაშეს. 7 ივნისს საქართველოს ნაკრები ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით ირლანდიას ეთამაშა და გვარიანადაც აჯანჯღარა, პირველი ტაიმი 10:6 მოუგო, მაგრამ მერე სტუმართა გააზრებულ, სხარტ შეტევებს ვეღარ გაუმკლავდა და 15:20 დამარცხდა. ლელოებით ნაკრების ვეტერანი გიორგი ჩხაიძე და ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სტაჟიანი წევრი თამაზ მჭედლიძე გამოირჩნენ. მერაბ კვირიკაშვილის არ ყოფნაში დამრტყმელობა ბექა წიკლაურმა ითავა და გარდასახვა-საჯარიმო გაიტანა. ამავე დღეს სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებმა ურუგვაი 37:9 დაჯაბნა. 11 ივნისს საქართველომ ურუგვაის იოლად აჯობა – 27:3. ლელოები ალექსანდრე თოდუამ, თედო ზიბზიბაძემ და გიორგი ნემსაძემ გაიტანეს. სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო ბექა წიკლაურმა შეასრულა. სამხრეთ აფრიკელებმა ირლანდია 19:8 დაამარცხეს. 16 ივნისს საქართველომ აფრიკელ მორაგბეებს მაგარი ბრძოლა გაუჩაღა, მაგრამ უფრო ნაცად და ფხიან აფრიკელებთან 16:21 დამარცხდნენ. ლელო ლევან ჩილაჩავამ მიითვალა, ერთი გარდასახვა და სამი საჯარიმო კი – ბექა წიკლაურმა. ირლანდიამ ურუგვაი 42:33 დაჩაგრა. თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები გახდა.

ტესტი არგენტინასთან

ქართველმა „ბორჯღალოსნებმა“ მთელი კონტინენტი გადასერეს და 22 ივნისს არგენტინაში სათამაშოდ ჩავიდნენ. არგენტინა შესაშურ პროგრესს განიცდის, „ოთხ ერში“ გაერთიანება აშკარად მოუხდა და მსოფლიოს გრანდებს ხშირად ტოლსწორადაც ეთამაშება. მათთან გაჯიბრება და ძალების გამოცდა ქართველი მორაგბეებისთვისაც საშური საქმე იყო, ათასობით კილომეტრის გავლას ვინღა ჩიოდა. არგენტინა-საქართველოს დაპირისპირება სტადიონ „ბისენტენიალზე“ გაიმართა და არგენტინის გამარჯვებით დასრულდა – 29:18. მილტონ ჰეიგის გუნდმა პირველი ტაიმი 12:9 მოიგო, თუმცა მატჩის მეორე ნახევარში უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და დამარცხდა. ტერიტორიასა და ბურთის ფლობაში ქართველთა მცირედი უპირატესობა აღინიშნა, მაგრამ „ბორჯღალოსნები“ ხშირად ჯარიმდებოდნენ, რასაც რამდენიმეჯერ საკუთარი შერკინების დათმობაც მოჰყვა. ჩვენ გუნდს

ოთხი საჯარიმო და ერთი არეკნი ბექა წიკლაურმა შეძინა, ერთი ჯარიმაც ლაშა მალაღურაძემ გაიტანა.

ასაკობრივი ნაკრებები

15 და 18 მაისს 19-წლამდელთა ნაკრებმა „შევარდენის“ სარაგბო ბაზაზე ინგლისის საგრაფოთა 20-წლამდელთა ნაკრებებთან ამხანაგური შეხვედრები გამართა. პირველი მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ჩვენს ახალგაზრდებს ცოტა მეტი რომ ეყოჩაღათ, უდავოდ მოიგებდნენ. ამ თამაშში სტუმრებმა 16:14 გაიმარჯვეს, განმეორებითი შეხვედრაც მათი უპირატესობით დასრულდა – 25:13.

22-30 მარტს საფრანგეთის ქალაქმა გრენობლმა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელზეც ელიტარული ნაკრებებიც თამაშობენ. ილია მაისურაძის გუნდი ტურნირში მეოთხედფინალიდან ჩაება და ირლანდიის ნაკრებთან საოცარი მატჩი 27:31 დათმო. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ქართულ რაგბზე შექმნილი მცდარი სტერეოტიპი დაამსხვრიეს და გაშლილი, ხელდახელ რაგბი ითამაშეს, მაგრამ ამ მატჩის მოსაგებად იღბალი დააკლადათ. ჩვენს გუნდში ლელოებით თორნიკე ბუბუტეიშვილი, ჟორა მღებრიშვილი და ბექა გორგაძე გამოირჩნენ. სამი გარდასახვა და ორი ჯარიმა რევაზ ჯინჭველაშვილმა გაიტანა.

ირლანდიასთან ტოლ-სწორად თამაში რომ შემთხვევითობა არ იყო, ეს იტალიასთან დაპირისპირებაში გამოჩნდა. „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქე 17:12 დაამარცხეს და ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს. თამაში უკომპრომისო გამოდგა და ინტრიგა ბოლო წამამდე შეინარჩუნა. ჩვენს 18-წლამდელთა ნაკრებს ოქროს ქულები ლელოებით ზაურ ხარებავამ და ბადრი ალხაზაშვილმა მოუტანეს, ორი გარდასახვა და ერთი ჯარიმა კი რევაზ ჯინჭველაშვილმა მიითვალა.

ორი უმძიმესი მატჩის შემდეგ, ჩვენმა ნაკრებმა ევროპირველობის დასკვნითი შეხვედრა უელსთან 0:50 წააგო.

26 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით, ლისაბონმა 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ტურნირის მნიშვნელობას გათამაშების დებულება ზრდიდა – ჩემპიონი გუნდი 2014 წლის აპრილში ჰონგ კონგში გასამართ 20-წლამდელთა მსოფლიო ალაფის საგზურს იღებდა. ლისაბონურ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, პორტუგალიის, ბელგიის, ესპანეთის, რუმინეთის, რუსეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის გუნდებმა. 27 ოქტომბერს ქართველები მეოთხედფინალურ შეხვედრაში ჩეხეთის ნაკრებს ეთამაშნენ და იოლად – 69:8 დაამარცხეს.

ტესტ-მატჩი. საქართველო – სამოა 16:15

თბილისის „ლელო“ – საქართველოს 2013 წლის ჩემპიონი

19-წლამდელები ნახევარფინალში ესპანეთს დაუპირისპირდნენ და მეტოქის მიმართ მსაჯის კეთილგანწყობაც არად ჩააგდეს – 31:3 გაიმარჯვეს. ფინალური შეხვედრა 2 ნოემბერს გაიმართა. ქართველები ბელგიის ნაკრებს ეთამაშნენ, 32:6 დაამარცხეს და ევროპის ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო ალაფის საგზური დაისაკუთრეს. ფინალურ მატჩში გამოჩნდა, რომ ამ დივიზიონში ქართველთა ტოლ-სწორი მეტოქე არ მოიძებნება – „ბორჯღალოსნები“ ყველა ნაკრებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ.

შვიდკაცა ნაკრები

22-24 მარტს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ჰონკონგში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა – იამაიკას დამაჯერებლად (27:17) მოუგო, ბრაზილიის ნაკრებს დაუზავდა (17:17), რითაც მომდევნო ეტაპის საგზური მოიპოვა, შესაბამისად მწვრთნელებმა თავს უფლება მისცეს შემადგენლობა გადაეხალისებინათ და ძალები დაეზოგათ, რამაც იაპონიასთან 7:26 მარცხი განაპირობა. კახა ალანიას გუნდს მომდევნო შეხვედრა კვლავ იაპონელებთან მოუწია და ამჯერად 17:0 გაიმარჯვა, ტონგასთან 7:19 მარცხის შემდეგ კი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

8 ივნისს შვიდკაცას ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ლიონში გრან-პრიზე ითამაშა, რომელიც სხვა სპეციფიკით გამოირჩევა – გუნდს ერთ დღეში შვიდი თამაშის ჩატარება უწევს, რაც უდიდეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას მოითხოვს. როგორც ჩანს, ასეთი ტემპისთვის ფეხის აწყობა ალანიას შეგირდებმა ვერ შეძლეს და მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს, უკრაინის ნაკრებთან – 34:5.

28-30 ივნისს მოსკოვმა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელზეც საქართველოს შვიდკაცას ნაკრებმაც ითამაშა და მსოფლიოს გრანდებთან ჭიდილში თავი ღირსეულად წარმოაჩინა. ქართველ მორაგბეებს დ-ჯგუფში მეტოქეებად აშშ-ს, კანადის და მომავალი ჩემპიონი – ახალი ზელანდიის ნაკრები ჰყავდათ. კახა ალანიას გუნდმა პირველი მატჩი აშშ-ს ნაკრებთან გამართა და მოგების შანსს ბოლო მომენტამდე ინარჩუნებდა, თუმცა 19:26 წაგო. ახალ ზელანდიასთან შეხვედრაში ჩვენმა ბიჭებმა შემართებით ითამაშეს, მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა და 7:26 დამარცხდნენ. ამის შემდეგ კანადასთან კიდევ ერთი მარცხი იწვნიეს – 19:26. ალანიას გუნდი ჯგუფში დარჩა და უკეთესი ადგილის დასაკავებლად ბრძოლაში ჩაება, სადაც ჰონგ კონგის ნაკრები 31:10 დაჯაბნა, იაპონიის ნაკრებთან კი მე-17 ადგილისთვის შეხვედრაში 21:24 დამარცხდა. შესაბამისად, ოცეულში მოხვედრით დაკმაყოფილდა.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონობას ზეიმობს

საქართველოს ჩემპიონატი

26 მაისს საქართველოს 23-ე ეროვნული ჩემპიონატის ფინალურ მატჩს „შევარდენის“ სტადიონმა უმასპინძლა. ფინალური დაპირისპირება თბილისის „ლელოსა“ და „არმიას“ შორის გაიმართა და გულშემატკივრის მოლოდინი სრულად გაამართლა – შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოვიდა, გამარჯვება კი „ლელოს“ დარჩა. ლევან მაისაშვილის გუნდმა 16:10 მოიგო და მეტოქეს, რომელიც მოქმედი ჩემპიონის რანგში თამაშობდა, „ბზის თასი“ ჩამოართვა. „ლელოს“ ქულები ერთი კაცის ანგარიშზეა – ირაკლი ყიასაშვილმა ლელო გაიტანა, გარდასახვა და სამი საჯარიმოც ზუსტად დაჰკრა. არმიელთაგან ლელო გიორგი შკინინმა დაამიწა, გარდასახვა-ჯარიმა კი ბახვა კობახიძემ მიითვალა.

სახელმწიფოს დახმარება კლუბებს

ქართულ კლუბებს ახალი სეზონის დაწყებამდე ფინანსური პრობლემა შეექმნათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემპიონატის ჩაშლის საფრთხე გაჩნდა. გამოუვალი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი სახელმწიფოს მხარდაჭერა იყო – სხვა შემთხვევაში კლუბები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, ჩემპიონატი ჩაიშლებოდა, რაც თავის მხრივ ქართული რაგბის რეგრესს გამოიწვევდა. სახელმწიფომ კეთილი ნება გამოიჩინა და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის რაგბის კლუბებისათვის დამატებითი ინვესტიცია განახორციელა. ეს სასიხარულო ამბავი 29 ივლისს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის და რაგბის კლუბების შეხვედრაზე გაცხადდა, რომელსაც რაგბის კავშირის თავკაცობაც დაესწრო. უმაღლესი ლიგის 12-მა კლუბმა დამატებით 300-300 ათასი ლარი მიიღო, რომელიც სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის გადაჭრას მოახმარა – ზოგმა მოედანი კეთილმოაწყო, ზოგმაც ინვენტარის და ხელფასების პრობლემა მოაგვარა. ჩემპიონატი არ ჩაშლილა, პირიქით ახალი შემართებით დაიწო...

მამუკა გორგოძის ოსკარი

ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გამოცემა „მიდი ოლიმპიკი“ საფრანგეთში ყველაზე პრესტიჟულ სარაგბო გაზეთს წარმოადგენს, რომელიც 1954 წლიდან, ყოველწლიურად, „სარაგბო ოსკარით“ აჯილდოებს საფრანგეთის „ტოპ 14“-ში და „ჰეინიკენის თასზე“ გამორჩეულ მორაგბეს. 26 მარტს „მიდი ოლიმპიკმა“, ჯილდოს არსებობის ისტორიაში „ოსკარით“ პირველად დააჯილდოვა ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მორაგბე, „ბორჯღალოსნებისა“ და ფრანგული „მონპელიეს“ ლიდერი მამუკა გორგოძე. „მიდი ოლიმპიკს“ მამუკა გორგოძისათვის ადრეც მიუნიჭებია ჯილდო – „საფრანგეთში მოთამაშე საუკეთესო ლეგიონერი.“ აღსანიშნავია, რომ მამუკა არა მხოლოდ პირველი ქართველი მორაგბეა, ვისაც „ოსკარი“ მიენიჭა, არამედ პირველი ისეთი ნაკრების მორაგბე, რომელიც არ მონაწილეობს ექვსი ერის თასზე. მამუკა გორგოძისთვის წარმატებული სეზონი შემოდგომითაც გაგრძელდა. ქართველმა გოლიათმა ოქტომბერში ფრანგული ლიგის გრანდ „ტულონთან“ 3+1-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ახალ გუნდში მომავალი სეზონიდან ითამაშებს. 29 წლის გორგოძე „ტულონში“ მსოფლიო დონის სხვა ვარსკვლავებთან ერთად უმაღლესი ტიტულებისათვის იბრძოლებს. საინტერესოა, რომ გორგოძემ „მონპელიეში“ ბოლო 9 სეზონი გაატარა, ქართველი მორაგბის საკუთარ რიგებში ხილვა კი ფრანგული ლიგის სხვა გრანდებს – „პერპინიანს“ და „კლერმონსაც“ სურდათ, მაგრამ მამუკამ არჩევანი ტულონელების სასარგებლოდ გააკეთა.

ლეგიონერები

18 მაისს საქართველოს ნაკრების და ფრანგული „ტულონის“ შერკინების ბურჯი დავით ქუბრიაშვილი „ჰაინეკენის თასის“ გამარჯვებული გახდა. ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის „ჰაინეკენის თასის“ ფინალში დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კოტე მიქაუტაძის „ტულონმა“ დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის „კლერმონი“ 16:15 დაამარცხა.

მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა მორაგბემ ეს პრესტიჟული ჯილდო პირველად მოიპოვა და მე-18 ქვეყნის წარმომადგენელი გახდა, რომელსაც „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში გაუმარჯვია. კოტე მიქაუტაძესა და ლევან ჩილაჩავას „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების მატჩებში მონაწილეობა არ მიუღიათ და ვერც ფინალური დაპირისპირების განაცხადში მოხვდნენ, ქუბრიაშვილმა კი, 9-დან 8 შეხვედრაში ითამაშა, ფინალში მოედანზე 76-ე წუთზე გამოჩნდა

GILBERT
RMG
Gold
TRAFIGURA
8
1
6

და საკუთარ გუნდს დარჩენილ სამ წუთში მეტოქის იერიშების მოგერიებაში დაეხმარა. „კლერმონის“ სასტარტო შემადგენლობაში იყო დავით ზირაქაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი კი განაცხადში ვერ მოხვდა.

ნოემბრის ტესტები

ნოემბერში „ბორჯღალოსნებმა“ სამი ტესტ-მატჩი გამართეს, ორი მატჩი – ძველ და კარგად ნაცნობ მეტოქესთან – კანადის და აშშ-ს ნაკრებებთან, ერთიც ელიტარული გუნდების წარმომადგენელ სამოასთან. 9 ნოემბერს ქართულ-კანადურ დაპირისპირებას ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. გადამწყვეტი გამოდგა მატჩის ერთადერთი ლელო, რომელიც თამაშის მეორე ნახევარში თედო ზიბზიბაძემ მრავალფაზიანი შეტევის შემდეგ დაამინა. ოთხი ჯარიმა და ერთი გარდასახვა ჰეიგის გუნდს მერაბ კვირიკაშვილმა მოუტანა – 19:15. ეს იყო სასიხარულო გამარჯვება პრინციპულ მეტოქესთან, რომელმაც მსოფლიო თასის საგზური უკვე დაიბევა.

16 ნოემბერს საქართველოს ნაკრებმა აშშ-ს რუსთავის სარაგბო სტადიონზე უმასპინძლა და მოგებული თამაში წააგო. „ბორჯღალოსნებმა“ რამდენიმე წამი გამარჯვებაც კი იზეიმეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ – 23:25. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ჰეიგის გუნდმა თამაში წაიყვანა, 10:0 დაწინაურდა, მაგრამ მერე ბევრი შეცდომა დაუშვა და თამაშის შემობრუნება ბოლოსკენღა შეძლო. ქართველები ძირითადი დროის დასრულების შემდეგ 23:22 იგებდნენ. თითქოს ყველაფერი დამთავრებულ იყო. კვირიკაშვილმა ბურთი გვერდით ხაზს იქით შეგნებულად გადაიტანა. თუმცა, მსაჯი სხვანაირად ფიქრობდა – ბრძანება გასცა, დრო კიდევ არის თამაში გააგრძელეთო, რითაც ამერიკელებმა კარგად ისარგებლეს – დერეფანი მოიგეს, ბურთი გაათამაშეს და საეჭვო ჯარიმით, რომელიც მსაჯმა კოტე მიქაუტაძის თამაშში გვერდიდან შესვლის გამო დანიშნა, ბოლო წამზე გამარჯვება წაგგვლიჯეს...

23 ნოემბერს მილტონ ჰეიგის გუნდმა „ლოკომოტივზე“ სამოას უძლიერეს ნაკრებს უმასპინძლა. „ბორჯღალოსნებმა“ კლასიანი მეტოქე, უკომპრომისო ბრძოლაში 16:15 დაამარცხეს და ელიტისკენ ღონიერი ნაბიჯი გადადგეს. გულშემატკივართა შეძახილებით შეგულიანებულმა ქართველმა მორაგბეებმა მთელი თამაში თავგამოდებით იბრძოლეს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს. ამ დრომდე საქართველოს ნაკრებს ასეთი ძლიერი ნაკრებისთვის არ მოუგია – „ბორჯღალოსნებმა“ ელიტარული ათეულის წარმომადგენელი პირველად დაამარცხეს. მილტონ ჰეიგის გუნდს ლელო მერაბ შარიქაძემ მოუტანა, გარდასახვა და სამი საჯარიმო კი ზუსტად მერაბ კვირიკაშვილმა დაარტყა.

ლექსო მაისურაძე

თბილისის თასი. კაპიტნების ოფიციალური ფოტო

2013 წელს საქართველოს ნაკრების ორმა მოთამაშემ პრესტიჟული ევროპული ჯილდოები მიიღო: დავით ქუბლიაშვილი ფრანგულ „ტულონთან“ ერთად „ჰაინეკენის თასს“ დაეუფლა, მამუკა გორგოძეს კი პრესტიჟული ფრანგული სარაგბო გაზეთის – „მიდი ოლიმპიკის“ სარაგბო „ოსკარი“ გადაეცა

***გია ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი: „ძალიან დაძაბული და საინტერსო სეზონი გამოდგა. მნიშვნელოვანია, რომ ფინიშზე სამოასთან მართლაც ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ. შესანიშნავი გულშემატკივრობა იყო და მადლობა ყველას, ვინც მხარში დაგვიდგა. დიდ ძალას მატებს ბიჭებს ეს მხარდაჭერა. წმინდა გიორგის მადლიც შეგვეწია და დიდება უფალს. ჩვენ მსოფლიოს მერვე გუნდს მოვუგეთ, მაგრამ ხვალ შესაძლოა მეორე დონის გუნდთან დავმარცხდეთ. ეს ნორმალური პროცესია და სწორედ ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვვითარდეთ. დღეს მოხდა სასწაული და საქართველოს ნაკრებმა სენსაცია მოახდინა. მე ჩვენი გუნდის ასეთი შემოქმედებითი თამაში არ მინახავს, ამ მოგებით რაგბის დიდ ოჯახში უდიდესი პატივისცემა მოვიპოვეთ და ახლა ასჯერ მეტი მუშაობაა საჭირო, რათა ეს პატივისცემა შევინარჩუნოთ.“*

***მარკ იგანი**, რაგბის საერთაშორისო საბჭოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე: „ნოემბრის ტესტებს ქართული რაგბისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მატჩებმა ქართველებს დიდი გამოცდილება შესძინა. მინდა ქართველ ქომაგებს მივულოცო სამოასთან დიდი გამარჯვება. ეს წარმატება დამსახურებული იყო. ეს იყო სწორი და მიზანმიმართული მუშაობის შედეგი. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თუ სწორ პრიორიტეტებს აირჩევ, თუ სწორი გზით ივლი, მიუღწეველი არაფერია. პირადად მე, როგორც მეორე დონის სარაგბო ქვეყნების კურატორი, ძალიან კმაყოფილი ვარ. ინვესტიციამ, რომელივ ქართული რაგბისთვის გავიღეთ, გაამართლა. ქართველებმა ფურორი მოახდინეს. საქართველოს აქვს საფუძვლიანი პრეტენზია, რომ უფრო მაღალ დონეზე ითამაშოს, ვიდრე ევროპის ერთა თასის გათამაშებაა...“*

ჯუნგლების ბუკი

9 მარტს „ბორჯღალოსნებმა“ ესპანეთის ნაკრები რომ დაამარცხეს, ქომაგი ტრიბუნებს კმაყოფილი ტოვებდა. ხარობდნენ მორაგბეებიც, თუმცა მოედნიდან გაორებული გრძნობით გადიოდნენ – იმ დღეს ეროვნულ ნაკრებს კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე დაემშვიდობა. „აბუ“ – როგორც მას მეგობრები მიმართავენ, ნაკრებიდან წავიდა. ბიჭებმა მისი წავლა უზომოდ განიცადეს, პრინციპში სხვანაირად არც შეიძლებოდა, აბუს მხარდამხარ თამაშს სხვა გემო და ეშხი ჰქონდა, სხვა ელფერი დაჰკრავდა.

85 კეპი ეროვნულ გუნდში, აქედან 38 – კაპიტნის სამკლაურით. ორივე მაჩვენებელი სარეკორდოა. ამას დაამატეთ 5-ჯერ მოგებული ერთა თასი და სამჯერ ნათამაშები მსოფლიოს თასი. საკმარისზე მეტი მიზეზია საიმისოდ, რომ სპორტსმენი შეიყვარო და დააფასო, მაგრამ ქართველ ქომაგს და თანაგუნდელებს აბუ მაინც თავისი ხასიათის – სიალალის, უღალატობის და გულწრფელობის გამო უყვარდათ. მორაგბისგან თავგანწირული თამაში როგორ უნდა გაგიკვირდეს, მაგრამ აბუ მაინც გამორჩეულად გულიანი კაცია, საოცრად ჯიგრიანი თამაში იცოდა. ერთხელ მაინც თუ გინახავთ, როგორ ამხნევებდა თანაგუნდელებს, როგორ ხდებოდა თითოეული მორაგბის გამარჯვების თუ მარცხის თანაზიარი, მიხვდებით რასაც ვგულისხმობთ...

2010 წელს გამართული საქართველო – აშშ-ს თბილისური მატჩი გეხსომებათ. ირაკლი აბუსერიძემ მაშინ პატარა სასწაული მოახდინა, ნამდვილი კაპიტნის დარი თამაში აჩვენა – რომ არა მისი გარჯა „ბორჯღალოსნები“ იმ შეხვედრას ვერ მოიგებდნენ. აბუმ ნაკრები დატოვა, მაგრამ შორს არ წასულა. მისი ხასიათის და გამოცდილების პატრონი სხვაგან ვერც წავიდოდა. გუნდში დარჩა და ქართული რაგბის საქმეს მოედნის მიღმა აკეთებს.

GEORGIAN RUGBY MOVING TO ELITE

SIXTH VICTORY AT THE EUROPEAN NATIONS CUP

This year Georgian national rugby team has won the European Nations Cup for the sixth time. In the starting match in Brussels on February 2, the Georgians beat the Belgian team 17:13. Mamuka Gorgodze and Levan Chilachava made tries on the opponent's half of field. Merab Kvirikashvili successfully performed two conversions and penalty kick.

On February 9, Georgian "Lelos" hosted the Portuguese team on the 'Locomotive" stadium. The Portuguese team has formed as a quite inconvenient contender for the Georgians. They were able to spoil the play of the Georgians almost all the time and carry on an intrigue up to the very end of the match. The same has happened this time. The Georgian team coached by Milton Haig won the first half 7:3 and gained full advantage in the second half having won the match with convincing score 25:12. The experienced Tedo Zibzibadze appeared as a true terror of the opponents. He made two spectacular tries. Lasha Khmaladze managed to make one try. Merab Kvirikashvili performed two conversions and one successful penalty kick.

On February 23, Russian national team hosted the Georgian in Sochi. The match turned out quite hard and the Russians won the first half 3:6. However, the second half put everything in their places because the higher class and diligence of the Georgian "Lelos" did their job. The Georgian team won the match 23:9. The circumstances have formed such way that Russian team is at a psychological disadvantage against Georgia. Georgian "Lelos" wounded mortally the Russian "bears" in the second half. Viktor Kolelishvili and David Kubriashvili made tries. Merab Kvirikashvili scored two conversions and three penalty kicks.

On March 9, the Georgian national team hosted Spanish team on the "Locomotive" stadium. The Georgian "Lelos" were starving for requital for the defeat in Spain. The Georgian tried hard and defeated the Spanish "Lions" 61:18. The Georgians had another reason for playing enthusiastically. That day the team gave send-off to the veteran rugby player and the team captain Irakli Abuseridze.

On March 16, Romania hosted Georgian team in Bucharest. The Romanian "Oak Leaf" is one of the main challengers of Georgia at the Nations Cup tournament. The Romanian team is superior to other contenders in traditions, playing class and strength. They displayed this superiority during the match in Bucharest. The Georgian team played quite well. It held the advantage for some time giving a chance to win the game. However, the game ended in a draw 9:9 which played into the hands of Georgia. The Georgian "Lelos" not only won the 2013 tournament but retained Antimoz Iverieli Cup in the contest with the Romanian team. Besides, by the victory at the Nations Cup Georgian "Lelos" drew nearer to the 2015 world cup final. The ticket to the final will go the two best teams according to the sum of the results for two-years at the Nations Cup.

IRB TBILISI CUP

"Avchala" rugby stadium played host to IRB Tbilisi Cup for June 7-16. This is international tournament, which will be held in Georgia annually according to the decision of IRB leadership. This year's tournament saw national teams of Georgia, Uruguay, South African presidential team and Irish team. On June 7, the Georgian team played against Irish and shook it fairly. The Georgians won the first half 10:6, but lost the game 15:20 because could not resist smart and targeted attacks of the guest team. On June 11, the Georgian team easily beat 27:3 the team from Uruguay. On June 16, Georgian team fought on equal footing with South African team but lost the game 16:21 against the more experienced contestant. The South African presidential team became winner of Tbilisi international tournament.

TEST WITH ARGENTINA

Georgian "Lelos" crossed the entire continent and arrived in Argentina on June 22 to play with the local national team. Argentina is showing an enviable progress in rugby. The unification in the "Four Nations" club has been of benefit to the team, which often plays on equal footing with the world rugby

grands. Therefore, the competition with the Argentinians and standing the test was beneficial for the Georgian team as well. It was worth indeed to cover thousands of kilometers for this. The match between Georgian and Argentinian teams took place at the "Bisentenial" stadium and ended with the Argentinians's victory of 29:18. The Georgians won the first half 12:9 but they could not hold the advantage and lost the game finally.

CHAMPIONS

Lisbon played host to the U-19 European championship. The importance of the tournament was predetermined by its provision giving the winner team a ticket to the U-20 IRB world rugby trophy in Hong-Kong. The teams from Georgia, Portugal, Belgium, Spain, Romania, Russia, Poland and Czech Republic took part in the Lisbon tournament. On October 27, the Georgians easily beat the Czech team 69:8 in the quartwerfinal. Then the Georgians faced Spanish team in the semifinal and won the match 31:3 despite biased referring. In the final match on November 2 the Georgians played against the Belgian team and beat it 32:6. By this victory the Georgian team won both European championship and the world trophy. The final match showed that the Georgian team does not have an equal in strength competitor in this division and the "Lelos" were unquestionable leader in this group.

"OSCAR" GOES TO MAMUKA GORGODZE

The French daily rugby edition "Midi Olympique" is one of the most prestigious rugby newspapers in France, which awards with the Rugby Oscar the most outstanding player at French Top 14 premiership and at the Heineken cup since 1954.

On March 26, 2013, for the first time of the award's existence, the Midi Olympique awarded the Oscar to Mamuka Gorgodze, one of the most outstanding Georgian Rugby Players, leader of the Georgian Lelos and the French top side Montpellier club. Midi Olypmpique awarded Mamuka earlier with the title of The Best Foreign Player of the French Top Premiership. It is worth to mention that Mamuka Gorgodze is not just the first Georgian rugger player, who has been honored with the Oscar. He is the first rugby player of the national team, which does not participate in the Six Nations' Cup. The successful for Gorgodze season continued in the fall. In October, the Georgian rugger player signed 3+1 contract with the French top club "Toulon" and will play for the new club next year.

WINNER OF "HEINEKEN CUP"

On May 18, David Kubriashvili, bulwark of Georgian national team and the French "Toulon" became a winner. In the final of the most prestigious European clubs tournament Heineken Cup "Toulon" with David Kubriashvili beat 16:15 "Clermont" where Georgian rugger players David Zirakashvili and Viktor Kolelishvili play. Is noteworthy, the Georgian rugby player won this prestigious award for the first time. He has become a representative of the 18th country who has ever won the Heineken Cup

NOVEMBER TESTS

Georgian "Lelos" conducted three test matches in November. On November 9, the national stadium played host to the match Georgia vs. Canada. The try made Tedo Zibzibadze in the second half of the match after the multi-stage attack turned out decisive. Merab Kvirikashvili performed four successful penalty kicks and one conversion. The Georgian team won the game 19:15. That was a very joyful victory over the serious competitor. The latter has already gained a ticket to the world cup.

On November 16, the Georgian team hosted the US team at the rugby stadium in Rustavi and lost the game, which was almost won by them. The "Lelos" lost the game 23:25. The Georgian team advanced in score 10:0 from the outset of the match. However, the team made many mistakes afterwards and managed to reverse the course of the match only by the end. The Georgians were winning the match 23:22 after expiration of the regular time. It seemed that everything has ended. Kvirikashvili deliberately moved the ball beyond the sideline. However, the referee judged other way and ordered to continue the game. The Americans took advantage of this opportunity. They won the corridor, played the ball and deprived the Georgian team of the victory at the very last second due to the questionable penalty kick awarded by the referee.

On November 23, the Georgian "Lelos" coached by Milton Haig played host to the very strong team of Samoa at the "Locomotive" stadium and won the game with score 16:15. That was a historical victory by the Georgian national team over the representative of Rugby elite group.

LEXO MAISURADZE

ქართული ნიავი სლოვენიაში

თავს გადავახტით, ხორვატიას – ვერა

– ევრობასკეტის წინ ლიტვის ნაკრებმა ბოლო რეპეტიცია ქართველებთან გაიარა, – გვითხრა ლეგენდარულმა არვიდას საბონისმა სლოვენიაში ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის მსვლელობისას, – ჩვენი კალათბურთელები და სპეციალისტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ თქვენს გუნდთან გაიმარჯვებდნენ, რადგან საქართველოს NBA-ის ორი კალათბურთელი აკლდა – თორნიკე შენგელია და ზაზა ფაჩულია. მათი არყოფნის გამო თამაშის სიმძიმე ძირითადად 4-5 კალათბურთელზე გადადიოდა, მაგრამ...

ბოდით არვიდას საბონისის ნათქვამი აქ გავწყვიტოთ და ამ ქვეთავის ბოლოს განვაგრძოთ. მისი სიტყვებიდანაც ჩანს, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს ნაკრები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა: აპრილში აქილევსის მყესის ოპერაცია გაიკეთა ზაზა ფაჩულიამ და ექიმებმა 6-თვიანი დასვენება გამოუწერეს – ვარჯიშს ოქტომბრიდან უნდა შეუდგეო. თორნიკემ მენისკის ოპერაცია ივლისში გადაიტანა და 4 სექტემბრამდე, ევრობასკეტის დაწყებამდე ვერც მან მოასწრო რეაბილიტაცია. ფაჩულიამ სლოვენიის ბილეთი მაინც აიღო, რომ მეგობრები ტრიბუნებიდან გაემხნევებინა, მაგრამ აღდგენითი პროცესის შეფერხების გამო, „მილუოკის“ ხელმძღვანელობამ ამერიკაში დარჩენა სთხოვა.

მანუჩარ მარკოიშვილის მორიგი გარღვევა

ევროგასკეტი 2013
ფინალური ეტაპი

C ჯგუფი
ცელიე (სლოვენია)

4 სექტემბერი
საქართველო–პოლონეთი 84:67
20:14, 19:8, 16:15, 29:30
საქართველო: ცინცაძე (34წ. 11ქ. 7პ. 3მ), ფაცაცია (13წ. 4მ), მარკოიშვილი (32წ. 18ქ. 3მ. 3ჩ), სანიკიძე (31წ. 23ქ. 6მ), შერმადინი (29წ. 13ქ. 9მ. 2პ); მეტრეველი (3წ. 2ქ), ფხაკაძე (3წ), სანაძე (1წ), ბურჯანაძე (6წ. 2ქ. 3მ), ჰიკმანი (27წ. 9ქ. 4პ), ლეჟავა (9წ. 3ქ), ცქიტიშვილი (10წ. 3ქ).

5 სექტემბერი
ხორვატია–საქართველო 77:76
17:15, 18:19, 15:18, 27:24
საქართველო: ცინცაძე (36წ. 25ქ. 3მ. 5პ), შერმადინი (34წ. 10ქ. 9მ), მარკოიშვილი (34წ. 4ქ), ფაცაცია (9წ), სანიკიძე (33წ. 15ქ. 7მ); ბურჯანაძე (9წ. 2ქ), ჰიკმანი (27წ. 20ქ. 3მ), ლეჟავა (10წ), ცქიტიშვილი (3წ).

7 სექტემბერი
სლოვენია–საქართველო 72:68
13:19, 31:13, 10:14, 18:22
საქართველო: ცინცაძე (36წ. 10ქ. 6პ), მარკოიშვილი (35წ. 10ქ. 5მ. 3პ), ფაცაცია (16წ. 2ქ. 3მ), სანიკიძე (37წ. 17ქ. 13მ) შერმადინი (29წ. 7ქ. 5მ); ბურჯანაძე (3წ), ჰიკმანი (29წ. 19ქ. 7მ. 2ჩ), ლეჟავა (4წ. 2ქ), ცქიტიშვილი (11წ. 1ქ. 4მ).

8 სექტემბერი
ჩეხეთი–საქართველო 95:79
26:15, 28:20, 21:19, 20:25
საქართველო: ცინცაძე (38წ. 20ქ. 4მ. 6პ), შერმადინი (28წ. 18ქ. 9მ), მარკოიშვილი (32წ. 20ქ. 3პ), ფაცაცია (14წ. 3ქ. 4მ), სანიკიძე (36წ. 10ქ. 5მ); მეტრეველი (2წ), სანაძე (5წ), ბურჯანაძე (4წ. 2ქ), ჰიკმანი (26წ. 4ქ. 5მ), ლეჟავა (5წ. 2ქ), ცქიტიშვილი (11წ. 4ქ).

9 სექტემბერი
საქართველო–ესპანეთი 59:83
17:17, 12:24, 10:21, 20:21
საქართველო: ცინცაძე (32წ. 6ქ. 5პ), შერმადინი (25წ. 10ქ. 4მ), ჰიკმანი (26წ. 7ქ. 5მ), ფაცაცია (14წ. 3ქ), სანიკიძე (24წ. 8ქ. 4მ); მეტრეველი (16წ. 4ქ. 4მ), ფხაკაძე (2წ) სანაძე (24წ. 7ქ. 3მ), ბურჯანაძე (5წ. 2ქ), ლეჟავა (22წ. 7ქ. 5მ), ცქიტიშვილი (9წ. 5ქ. 3მ).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე (2012 წელს) საქართველოს ნაკრები 6-7 კალათბურთელით თამაშობდა და ბოლო პერიოდს თითქმის ყოველთვის აგებდა, გამოჩნდა ბევრი სკეპტიკოსი, რომელიც შიშით უყურებდა ევრობასკეტისკენ ზაზასა და თორნიკეს გარეშე მიმავალ „ჯვაროსნებს“ – შევრცხვებითო. ლიტველ ვარსკვლავ არვიდას საბონისს სიტყვა აქ დავამთავრებინოთ:

– ...მაგრამ, ბევრისთვის მოულოდნელად სავსე ტრიბუნების წინაშე ქართველებმა ლიტველები კინაღამ შეგვარცხვინეს. დიდი ჩამორჩენა აღმოგვიფხვრეს და ბოლო წამებზე მოგებამდე ცოტა დააკლდათ. ხომ გახსოვთ, შეხვედრა 77:77 დასრულდა და გამარჯვებისთვის ოვერტაიმი დაგვჭირდა. თამაში ყველამ ისწავლაო, საქართველოზე ვერ ვიტყვით, რადგან თქვენს ქვეყანაში მდიდარი საკალათბურთო ტრადიციებია და თამაში ყოველთვის იცოდით. ამაში ამხანაგურმა მატჩმაც დაგვარწმუნა და ევრობასკეტზე ქართველთა გამოსვლამაც. ხორვატიასთან მოსაგები მატჩი გქონდათ, რომელიც ბევრს შეცვლიდა.

ცნობისთვის: 22 სექტემბერს ლიტვის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, საფრანგეთთან დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ზემოთ ნახსენები ხორვატები მეოთხე ადგილზე გავიდნენ, ხოლო მესამენი ესპანელები იყვნენ. საქართველო კი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ჯგუფის საუკეთესო სამ გუნდს შორის ვერ მოხვდა და გამოსვლა პირველ ეტაპზე დაასრულა.

და მაინც, როგორ მოახერხა საქართველოს ნაკრებმა ორი წამყვანი კალათბურთელის გარეშე შარშანდელზე უკეთესი თამაშის ჩვენება? ვიდრე პასუხს მოვისმენდეთ, სლოვენიის ქალაქ ცელიეში შევიაროთ, მოვკალათდეთ „ზლატოროგ არენას“ ტრიბუნაზე, ვნახოთ როგორ ითამაშა ჯერ პოლონეთთან, ხორვატიასთან, სლოვენიასთან, ჩეხეთთან და ესპანეთთან. დასკვნა კი ბოლოს გამოვიტანოთ.

გაუერმანი: აქ რა გვინდა?! VS პოლონეთი

სერბი იგორ კოკოშკოვი ჩვენს ნაკრებს 2009 წლის შემდეგ უდგას სათავეში. მან ევრობასკეტის შემდეგ, ცელიეში თქვა: საქართველო ის გუნდია, სადაც მწვრთნელი უნდა მიჰყვეს კალათბურთელებს და არა პირიქითო. ჩვენ მაინც ბატონ იგორს მივყვეთ. მისი სიტყვები მოვისმინოთ და თითოეულ მატჩზეც ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება:

– გიორგი შერმადინმა გორტატის წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა. მას ევრობასკეტის დაწყებამდე ვუთხარი: ეს შეჯიბრება შენი შანსია, უნდა უჩვენო, რა შეგიძლია. განსაკუთრებით, მარცინ გორტატთან უნდა გამოჩენილიყო გიორგის პოტენციალი და მიხარია, შერმადინმა დაგვანახა – ევროპის ტოპ-ცენტრებს შორისაა.

ხორვატებს უტევს ვიქტორ სანიკიძე



რიკი ჰიკმანი სლოვენიელთა გარემოცვაში

რატომ გაამახვილა მწვრთნელმა ყურადღება მაინცდამაინც შერმადინზე? პასუხი მარტივია – მას უნდა შეეჩერებინა „არწივების“ მთავარი იმედი NBA-ში მოთამაშე მარცინ გორტატი (12 ქულა და 8 მოხსნა), რომელსაც გიორგიმ მცირედით, მაგრამ მაინც აჯობა – 13 ქულა, 9 მოხსნა. ფარისკენ მიმავალი გზა რომ გადავუკეტეთ, პოლონელები მთლად დაიბნენ და მომზადებულები არ აღმოჩნდნენ თამაში სხვანაირად, ან სხვა კალათბურთელზე გადაეწყოთ. ქართველებმა ისე ლაღად ითამაშეს, თითქოს მეტოქედ არწივები კი არა, წინილები ჰყოლოდათ – 84:67.

მატჩის შემდეგ მეტოქის თავკაცი დირკ ბაუერმანი გაოგნებული იყო:

– აქ რისთვის ჩამოვედით, რა გვინდა და, საერთოდ, ვინ ვართ?! ეს ყველაფერი დღესვე უნდა გავარკვიოთ.

გაარკვიეს. ქართული შოკიდან გამოსულმა პოლონელებმა მოგვიანებით მასპინძელი სლოვენიაც დაამარცხეს.

მეორე დღეს ხორვატული გაზეთი შევიძინე და იქვე, გამყიდველს ერთი ფრაზის თარგმნა ვთხოვე: „გორტატმა სლოვენიაში ჩასვლის წინ თქვა, ევრობასკეტზე მედლის მოსაგებად მივდივარო. პირველი მატჩის შემდეგ კი მედლის მოპოვების პრეტენდენტს საქართველო უფრო ჰგავს“.

ბუ VS ხორვატია

– გიორგი ცინცაძე გამთამაშებელია, მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და მრავალმხრივი მოთამაშეა. ექვსი წელიწადია საქართველოს ნაკრებს ვწვრთნი და გიორგის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. ასე რომ, მჯერა მისი და ისიც ვიცი, რომ შეუძლია გუნდს გამარჯვებისკენ გაუძღვეს. ხორვატიასთან მატჩში მართლაც მივეცი თავისუფლად თამაშის საშუალება, შეცდომა ყველას მოსდის, თუმცა მთავარია, რომ თავს კომფორტულად გრძნობდა, ენერგიაც საკმარისად აღმოაჩნდა. ვთვლი, რომ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და მისი დიდი დამსახურება იყო ხორვატიასთან ბოლო წამებამდე თანაბრად რომ ვითამაშეთ, – აღნიშნა იგორ კოკოშკოვმა 5 სექტემბრის ღამეს.

გიორგი ცინცაძემ 25 ქულა ჩააგდო. რაც მთავარია, მეოთხე, გადამწყვეტ პერიოდში „ბუს“ (ცინცაძის მეტსახელი) ანგარიშზე 12 ქულა იყო და ერთი ისეთი პასი მიითვალა, თამაშის მოგება რომ შეეძლო: ვიქტორ სანიკიძემ საფინალო სირენამდე 21 წამით ადრე სამქულიანით ქართველები 76:75 დააწინაურა. თუმცა საპასუხო შეტევაში ანტე ტომიჩმა მარცხენა ხელით ჩაგდებული ორქულიანით ისევ უკან მოგვიტოვა (76:77). დარჩენილ 8 წამში ცინცაძე მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა, თუმცა, მისმა ნატყორცნმა მიზანს ვერ მიაღწია...

გამწვანებული მსაჯობა VS სლოვენია

– სლოვენიასთან და ხორვატიასთან ის შემთხვევები იყო, როცა საკალათბურთო იღბალი ბევრს წყვეტს, – იხსენებს მთავარი მწვრთნელი, – დღევანდელი გადასახედიდან ძნელია თქმა, ანტე ტომიჩს (ხორვატია) და

სლოვენია – საქართველო 72:68

გიორგი ცინცაძე ჩეხების ფარქვეშ

ზორან დრაგიჩს (სლოვენია) ბოლო ტყორცნები რომ აეცილებინათ, ჩვენთვის როგორ გაგრძელდებოდა ევრობასკეტი. ქართველ კალათბურთელებს მხოლოდ კომპლიმენტი ეკუთვნით. ისინი იბრძოდნენ, ენერგიას არ ზოგავდნენ და გულით თამაშობდნენ, რომ ღირსეულად წარმოეჩინათ ის დროშა, რომელიც მაისურზე ეხატათ. მათ საქართველოსთვის ყველაფერი გააკეთეს. მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებებს პასუხს თამაშით ვცემდი. მნიშვნელოვანია, რომ ყველაფრის მიუხედავად, მათ შორის სავსე ტრიბუნებისა, საქართველო გამარჯვებასთან მაინც ძალიან ახლოს იყო.

იგორ კოკოშკოვი არბიტრების მოქმედებას ხშირად არ ეთანხმებოდა და ზედეტი ემოციურობის გამო ტექნიკური შენიშვნაც მიიღო. მსაჯებმა განსაკუთრებით ბოლო წუთებზე ითამაშეს... ითამაშეს დიდი როლი მატჩის ბედის გადაწყვეტაში. ახლა თითოეული ეპიზოდის განხილვა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ სლოვენიამ 4 ქულის სხვაობით, 72:68 გაიმარჯვა.

ამ მატჩში ქართველთა ბომბარდირი გახდა ნატურალიზებული რიკი ჰიკმანი (19 ქულა), რომელიც მთელი ტურნირი თითქოს ჩრდილში იდგა. არადა, ევროლიგაზე მისი შესრულებით არაერთი ეფექტური თამაში გვინახავს.

რაც შეეხება ზოგად სურათს, მეორე პერიოდი რომ არა, საქართველოს ნაკრები თამაშს ვადაზე ადრე მოიგებდა. თავად განსაჯეთ: მეორე ათწუთეულში ჩვენმა გუნდმა ვერაფერი გააწყო სლოვენიელთა პერიმეტრის მოთამაშეებთან, რომლებმაც 6 სამქულიანი გამოიყენეს (31:13). მესამე პერიოდიდან ქართველებმა დაცვა გამოასწორეს, მასპინძლებს ერთი სამქულიანიღა ჩააგდებინეს, მაგრამ ბოლო წამებზე რაც მოხდა, უკვე მოგახსენეთ.

ნამატჩევს დარბაზის მიმდებარე ტერიტორია ერთიანად გამწვანდა, სლოვენიელები გამარჯვებას აღნიშნავდნენ, ქართველ გულშემატკივრებს რომ დაინახავდნენ, მხარზე ხელს ურტყამდნენ – ყოჩაღ, კარგი გუნდი გყოლიათო და ცხელი გულის გასაგრილებლად ლუდზე ეპატიჟებოდნენ.

გულით თამაშობდნენ, ფეხებით – ვერა VS ჩეხეთი

ისევე როგორც ნებისმიერი ქართველი ქომაგისთვის, ჩეხეთთან თამაში იგორ კოკოშკოვისთვისაც მძიმე გასახსენებელია:

– ძნელი აღმოჩნდა გუნდის სათანადოდ მომზადება სლოვენიელებთან თამაშის შემდეგ. მასპინძლებთან მატჩი დაახლოებით ღამის 11 საათზე დასრულდა, სასტუმროში დაბრუნებამ და დაბინავებამ დრო წაიღო. ამიტომ ზოგმა კალათბურთელმა შესაძლოა, ღამის 2 საათზე დაიძინა. ენერგიის აღსადგენად საუკეთესო საშუალება სწორედ გამოძინებაა. ჩვენი ნაკრების კალათბურთელები გულით თამაშობდნენ, „ფეხებით ვერა“. ჩეხეთი წინა დღისით ესპანეთს დაუპირისპირდა, იცოდა, რომ წააგებდა და ძალა საქართველოს ნაკრებისთვის შემოინახა. ეს თამაშისასაც გამოჩნდა – ფარქვეშიდან 60 ქულა ჩააგდეს, ხოლო 31-იდან 22 საჯარიმო გამოიყენეს, რაც ჯამში 82 ქულაა.

ჩეხეთთან მატჩი გამონაკლისი იყო. რატომ? ამ კითხვაზე იგორ კოკოშკოვმა უკვე გვიპასუხა. მეტოქის მწვრთნელს სტრატეგიული ჩანაფიქრისთვის კარგი რესურსი აღმოაჩნდა, უკანახაზელებს ბურთი მოპოვებული არ ჰქონდათ, რომ „ვაშინგტონ უიზარდსის“ მეფარე იან ვესელი ჩვენს კალათთან ელოდა. მან ევრობასკეტზე პირადი რეკორდიც დაამყარა – 27 ქულა მიითვალა.

ჩემპიონებთან VS ესპანეთი

– ესპანეთთან მატჩის შედეგს სატურნირო ცხრილზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო და ამიტომაც ვითამაშეთ თავისუფლად, ხალისიანად. ძალების მოსინჯვის საშუალება მივეცით ახალგაზრდებს: სანაძეს, ბურჯანაძეს, მეტრეველს, ფხაკაძეს, რომლებმაც მომავალში უნდა მოუმატონ და ნაკრების ლიდერებად იქცნენ. მათ სწორედ ესპანელებთან თამაშში უნდა დაენახათ, რა გზა აქვთ გასავლელი უმაღლესი დონის კალათბურთელებად ჩამოყალიბებამდე.

ესპანეთს რომ ვეთამაშეთ, ევროპის მოქმედი ჩემპიონი იყო, თუმცა მალე ექს-ჩემპიონად გადაიქცა. საამაყოდ ის დაგვრჩენია, რომ ჯგუფში სლოვენიელების შემდეგ ყველაზე მეტი ქულა ესპანელებს ქართველებმა ჩავუგდეთ – 59.

ტრავმის გამო გუნდს ვერ დაეხმარა მანუჩარ მარკოიშვილი, რომელსაც მთელი ტურნირის განმავლობაში ნატკენი ფეხით უწევდა მოედანზე გამოსვლა.

მარკ გასოლი და გიორგი შერმადინი „პირველ სართულზე“ ბურთისთვის ბრძოლისას

თავსზემოთ, თავისუფლად, თავგამოდებით...

ევროპის ჩემპიონატზე ხუთიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა მოვიგეთ და შეჯიბრება მე-17 ადგილზე დავასრულეთ. ხუთი საფეხურით უკან დავიხიეთ ევრო-2011-თან შედარებით, მაგრამ მთავარია, ვიბრძოლეთ და არავის გავამეორებინეთ პოლონელთა მწვრთნელის სიტყვები – ევრობასკეტზე რისთვის ჩამოვიდნენო.

ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ: ქალაქ ცელიეს სასტუმროს სასადილოში ერთ დილას ხუთმა ჟურნალისტმა ბჭობა გააჩაღა. თემა საქართველოს ნაკრები იყო. თეთრწვერიანმა დასვა შეკითხვა: ქართველებს პოლონელების კვალად სლოვენიელების დამარცხებაც შეეძლოთ და ხორვატებისაც. ვერ ვხვდები, როგორ იბრძვიან ბოლომდე, როცა ხუთნახევარი კალათბურთელით თამაშობენო?

მართლაც, დატვირთვა ძირითადად ხუთ კაცზე მოდიოდა და ზედიზედ სამი თამაშის თანაბარ დონეზე ჩატარება წარმოუდგენელი ჩანდა. უცხოელი ჟურნალისტის შეკითხვა ევრობასკეტის დასრულების შემდეგ ვიქტორ სანიკიძეს გავუმეორე. აი, პასუხიც:

– ზაზასა და თორნიკეს არყოფნაში სხვა გზა არ გვქონდა. ევროპის წამყვან ნაკრებებთან თანაბრად სათამაშოდ მაქსიმუმის მაქსიმუმი უნდა გაგველო. ევრობასკეტის დაწყებამდე ზოგს იმედი არ ჰქონდა. ჩვენ კი ვიცოდით: თუ თავს გადავახტებოდით, ღირსეულად თამაში შეგვეძლო. ხშირი იყო შემთხვევა, მეტოქე დიდი სხვაობით დაწინაურდა, დასაკარგავი არაფერი გვქონდა, თავი უნდა შეგვეკლა და სწორედ ასეთ მომენტში ვგრძნობდით დამატებით ენერგიას. და მაინც, გულდასაწყვეტია, რომ ასეთი მონდომება ბოლომდე არ დაგვიფასდა და ჯგუფიდან გასასვლელად ძალიან ცოტა დაგვაკლდა.

ვაჟა სიმონიშვილი

EUROBASKET 2013

GROUP C,

Celje, (Slovenia)

September 4
GEORGIA VS. POLAND 84:67
20:14, 19:8, 16:15, 29:30

September 5
CROATIA VS. GEORGIA 77:76
17:15, 18:19, 15:18, 27:24

September 7
SLOVENIA VS. GEORGIA 72:68
13:19, 31:13, 10:14, 18:22

September 8
CZECH REPUBLIC VS. GEORGIA 95:79
26:15, 28:20, 21:19, 20:25

September 9
GEORGIA VS. SPAIN 59:83
17:17, 12:24, 10:21, 20:21

GEORGIANS IN SLOVENIA

Lithuanian national basketball team had conducted its latest rehearsal against the Georgian team before going to Eurobasket – 2013, the legendary basketball player Arvidas Sabonis told us during the European championship – 2013 in Slovenia. “Our players and specialists were sure they would beat your team because the Georgian team missed two NBA basketball players Tornike Shengelia and Zaza Pachulia. In their absence, the main workload fell on 4-5 key players. However, we narrowly escaped humiliation in the match against Georgians in front of the crowded stands. The Georgians managed to bridge a big gap in points and were a step away from victory at the last seconds. If you remember, the match ended in draw 77:77 and we won only in overtime. In this case, we cannot say that everyone has learned to play basketball since Georgia has rich basketball traditions and you always played well. We were convinced in this once again at the friendly match and by Georgians’ performance at the Eurobasket. You had to win the game against Croatia and that victory could change much,” Sabonis said.

Georgian national basketball team found itself in a difficult situation before European championship – 2013. Zaza Pachulia underwent surgery of heel-string and doctors prescribed him a six-month recovery period. He could resume training only in October. Tornike Shengelia was operated upon meniscus injury. Unfortunately, he could not recover by September 4 when Eurobasket started. Despite trauma, Pachulia bought air-ticket to Slovenia in order to attend the matches and encourage his colleagues from stands. However, because of complications of his recovery leadership of his basketball club “Milwaukee” requested him to stay in the USA.

Georgian national basketball team played qualifier matches of Eurobasket 2013 with only 6-7 players and had always lost second halves because of this. With this problem in mind, many skeptics appeared who thought that Georgian team without Pachulia and Shengelia would fail badly at the Eurobasket. Meanwhile, Lithuanian team played in the final game of the European championship against the French team and lost the game. Croatian team took the fourth place. The national team of Spain won bronze. Despite doing its utmost, Georgian team could not pass the qualifier group barrier and finished performance at the very first stage.

The Georgian national team won one of five matches at the Eurobasket qualifiers and finished the tournament at the 17th place having downgraded on five levels as compared to Eurobasket – 2011. Nevertheless, the Georgian team showed itself as a fighting team and did not leave a room for caustic remarks.

One time five foreign journalists discussed performance of the Georgian team in the cafeteria of the hotel in the town of Celje, which hosted the championship. One of them with white beard said that Georgian team could beat Polish, Slovenian and Croatian teams. “I don’t understand how they are fighting up to the very end having only five players,” he asked. Indeed, main workload came to the five players and it seemed impossible to conduct three consecutive matches at the same level. I repeated the question by that foreign journalist in my interview with Viktor Sanikidze, Georgian team’s player. Here is his answer. “In absence of Zaza and Tornike we had no other way to do our utmost in the matches against the European leading teams and do maximum of maximum. Before the Eurobasket many in Georgia were hopeless about our chances. We knew that we could play fittingly if force ourselves. Often our contenders advanced with big disparity in points and we had nothing to lose than to fight fervently. That very moment we were feeling the burst of energy. Unfortunately, our efforts and diligence have not been paid off and we could not pass the qualifiers group.

VAZHA SIMONISHVILI

ნაბიჯი არსაით

ნაკრები ეროვნული საქმეა და ზოგს ჰგონია, რომ ჰეროიკული გამოსვლებით ამ საქმეს დაეხმარება. ჩვენ კი გვგონია, რომ ეროვნულ ნაკრებში მუშაობა პატრიოტიზმთან ერთად პროფესიაცაა.

დრო ბევრ რამეს ცვლის, მათ შორის თაობებსაც. ცხადია, ყველას როდი აქვს იმის უნარი, რომ ყველა თაობასთან მოახერხოს საერთო ენის გამოძებნა. ვფიქრობ, ეს პრობლემა აწუხებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც.

გუნდის მშენებლობა მეკარით და დაცვის ხაზით იწყება, თუმცა სანამ აქამდე მივა საქმე, დადებითი მუხტიც არის საჭირო.

საქართველოს ნაკრების დამრიგებელი თემურ ქეცბაია წინა შესარჩევი ციკლის დასრულებიდან დაახლოებით ერთ თვეში ჩამოვიდა საქართველოში და ტელეეთერში შეხვდა ჟურნალისტებს. მან რამდენიმე საკითხი მიმოიხილა, მათ შორის მოტივაციის თემა საქართველოს ნაკრებში, მერე ისიც გვითხრა, თქვენ პენტჰაუზიდან გნებავთ საქმის დაწყება, მაგრამ საქმის კეთებას ძირიდან უნდა შევუდგეთო.

მივყვეთ თანმიმდევრობით. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს აქვს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება, ნაკრებში მიწვეულ მოთამაშეებს კი ნაკრებში გამოძახებისთვის თანხას არავინ არ აძლევს და პრემიალური სისტემაც არ აქვთ. ანუ, რა გამოდის: ნაკრებში მუშაობა მწვრთნელისთვის პროფესიაა, ფეხბურთელებისთვის კი მხოლოდ დროშა, გერბი და ჰიმნი.

რაც შეეხება საქმის კეთების გეომეტრიას: თუ ეროვნული ნაკრების მწვრთნელი საძირკვლისა და პენტჰაუზის პრინციპით ხელმძღვანელობს, თვითონ რატომ არ შეუდგა საქმის კეთებას ძირიდან? საფეხბურთო აკადემიის საქართველოში გახსნა, სხვადასხვა პროექტები ჩვენი ბავშვთა ფეხბურთისთვის... რატომ არ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს?

წინა შესარჩევი ციკლიც რთული გამოდგა ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს დასაწყისს და ქეცბაის გუნდმაც ჩინებულად დაიწყო – შინ ბელარუსი დაამარცხა 1:0. თორნიკე ოქრიაშვილის ოქრო-გოლმა იმის იმედი გაგვიმძაფრა, რომ ქართველები რაღაცას შევძლებდით, თუნდაც ასეთი ლამაზი გოლების ხშირად გატანას. ბელარუსიდან რამდენიმე დღეში ესპანეთი ვისტუმრეთ, დავმარცხდით, მაგრამ ჩვენმა გუნდმა შეკრული, კარგად მობილიზებული მექანიზმის შთაბეჭდილება დაგვიტოვა.

ამის შემდეგ საქმე დაღმა წავიდა. სტუმრად ფინეთთან 1:0-ს ვიგებდით, რიცხობრივი უპირატესობაც მოვიპოვეთ, მაგრამ უცნაურმა შეცვლებმა და ერთმა უხეშმა შეცდომამ მოწინააღმდეგეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. მომდევნო შეხვედრაში კი საქართველო ბელარუსთან 0:2 დამარცხდა და მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსიც გაიფლანგა. წარუმატებლობამ გუნდში სიტუაციის დაძაბვასაც შეუწყო ხელი. ფეხბურთელების მხრიდან მოვისმინეთ მწვრთნელის კრიტიკა, ბრალდებები, რამდენიმე

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები

საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი 2013 წელს

06.02.
ალბანეთი – საქართველო 1:2
(ამხანაგური მატჩი)

22.03.
საფრანგეთი – საქართველო 3:1
(მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)

02.06.
ირლანდია – საქართველო 4:0
(ამხანაგური მატჩი)

05.06.
დანია – საქართველო 2:1
(ამხანაგური მატჩი)

14.08.
ყაზახეთი – საქართველო 1:0
(ამხანაგური მატჩი)

06.09.
საქართველო – საფრანგეთი 0:0
(მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)

10.09.
საქართველო – ფინეთი 0:1
(მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)

15.10.
ესპანეთი – საქართველო 2:0
(მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)

2013 წელს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ჩაატარა 8 მატჩი: 1 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა, 6 წააგო. ბურთების შეფარდება – 4-14.

საქართველო – საფრანგეთი 0:0

ესპანეთი – საქართველო 2:0

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფის საბოლოო ცხრილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	8	6	2	0	14:	
2. საფრანგეთი	8	5	2	1	15:6	17
3. ფინეთი	8	2	3	3	5:9	9
4. საქართველო	8	1	2	5	3:10	5
5. ბელარუსი	8	1	1	6	7:16	4

დემარშის მოწმეც გავხდით. საბოლოოდ, ხუთგუნდიან ჯგუფში მეოთხე ადგილზე გავიდა ჩვენი გუნდი, რაც ნაკრების მწვრთნელმა წინსვლად შეაფასა.

იყო პოზიტივებიც. გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებს ორი საკმაოდ კვალიფიციური მეკარე ჰყავს – გიორგი ლორია და ნუკრი რევიშვილი. დაცვაში ერთობ პორბლემატურია განაპირა მცველების პოზიცია, ანუ ფიზიკურად არ გვყავს ისეთი ფლანგელები, აგრესიულად და ეფექტურად რომ შეუტევენ.

მცველი, რომელსაც შეტევაში თამაშიც ეხერხება – საქართველოს ნაკრებში ასეთი აღარავინაა, რის გამოც ძალიან ძნელია, დაცვიდან ბურთის მოედნის ცენტრამდე მიტანა და ჩვენი მცველებიც მეტწილად გრძელი გადაცემებით მოქმედებენ.

შუა ხაზი და თავდასხმა – ამ რგოლებშიც გაგვიჭირდა, თუმცა ოქრიაშვილი, სანდრო კობახიძე, დავით თარგამაძე, ჯანო ანანიძე და ელგუჯა გრიგალაშვილი ის ფეხბურთელები არიან, შეტევის ორგანიზება და გამწვავება რომ შეუძლიათ.

გრიგალაშვილი „დინამო თბილისის“ ფეხბურთელია, მანამდე ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა. მისი ნაკრებში გამოჩენა სასიამოვნო მაგალითია – თურმე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელსაც შესძლებია ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა.

წინა შესარჩევში საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ სამი გოლი გაიტანა რვა თამაშში. გუნდის შეტევითი პოტენციალის გარდა ამას ალბათ სათამაშო სტილიც განაპირობებს, რომელიც ზედმიწევნით თავის დაცვაზეა ორიენტირებული.

პენტჰაუზში ცხოვრება კარგია, ხელის გულზე დადებულით ჩანს სივრცე, თუ მხედველობაც კარგი გაქვს, პატარა, ვითომ უმნიშვნელო ნიუანსებსაც აღმოაჩენ. პენტჰაუზიდან დანახული ლამაზი ხედი, სწორი ხედვა, შემოქმედებითი უნარები – შესაძლებლობების სამყარო იშლება, ოღონდაც გააჩნია, ვის მოუწევს პენტჰაუზში ყოფნა.

ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საყრდენი რგოლი ეროვნული ჩემპიონატია. მწვრთნელი, ფეხბურთელი, კლუბის მესვეური – თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო ეროვნული ჩემპიონატი წანაზე უარესია. მთავარი მიზეზი: უსახსრობა, არასწორი მენეჯმენტი და უსამართლობა.

თუ „დინამო თბილისს“ არ მივიღებთ მხედველობაში, უმაღლესი ლიგის ყველა

კერძო კლუბს მნიშვნელოვანი პორბლემები შეექმნა – ზოგს ფული შემოაკლდა, ზოგსაც საკმარისი მენეჯმენტი არ აღმოაჩნდა.

წლევანდელ ევროსარბიელზე ქართული გუნდებიდან ოდენ გორის „დილამ“ გამოანათა, სახელმწიფოსგან დაფინანსებულმა კლუბმა. გიორგი დევდარიანმა მცირე დროში შეაკონწიწა გუნდი, რომელმაც ევროსარბიელზე ორი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა, ჯერ დანიური „ოლბორგი“ დაამარცხა, შემდეგ სპლიტის „ჰაიდუკი“. ეს „დილას“ მაქსიმუმი იყო.

მეტს ველოდით „დინამო თბილისისგან“. გუნდს სტაბილური დაფინანსება აქვს, ლეგიონერების სიუხვესაც არ უჩივის, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ საშინაო ფრონტზე ჰყოფნის.

ქუთაისის „ტოპედომ“ გეზი გუნდის გაახალგაზრდავებისკენ აიღო და შესაბამისად, ჯერ ვერ იბრძოლებს მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის.

საჩხერის „ჩიხურას“ ურიგო გუნდი არ ეთქმის, თუმცა მარილი და დაშ-ხოში აშკარად აკლია.

საქართველო ამ ოთხი გუნდით გამოვიდა 2013 წლის ევროტურნირებზე და ჯგუფურ ეტაპამდე ვერავინ ვერ მიაღწია. 2004 წელს „დინამო თბილისმა“ რომ მოახერხა უეფას თასის ჯგუფში გასვლა, მას შემდეგ ეს სანატრელი გაგვიხდა. ამ ყველაფრის მიზეზი კი მარტივია – სახელმწიფო საკლუბო ფეხბურთს არასისტემურად, არაკონცეპტუალურად ეხმარებოდა, სახელმწიფოს დახმარების გარეშე კი არარენტაბელურ საფეხბურთო კლუბს მნიშვნელოვან წარმატებამდე მეცენატი ოლიგარქი თუ მიიყვანს სწორი, გეგმაზომიერი პოლოტიკით, ასეთი კი ამ ეტაპზე არავინაა.

რაც შეეხება უსამართლობას, სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი საფეხბურთო მილეთს დაჰპირდა, რომ 2014-15 წლების სეზონიდან სახელმწიფო ყველა კლუბს თანაბრად დაეხმარება.

დრო ქართული ფეხბურთის მოკავშირე არ ყოფილა – ასე დაგვემართა ბოლო წლებში.

ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე გულშემატკივართა რაოდენობამ იკლო. ადრე პერიფერიებში მაინც თუ ივსებოდა სტადიონი, დღეს კი ესეც ძალიან ძვირი სანახავია. ყოველივე ამის შემდეგ, არის კი საქართველო საფეხბურთო ქვეყანა? ვფიქრობ, არის, რადგან საღერღელი ისევ აშლილია.

დავით თავართქილაძე

საქართველო – საფრანგეთი 0:0

PENTHOUSE AND YEARNING

National combined football team is of nationwide importance and some think that heroic statements and behavior can contribute to the progress of football. However, I think that work in the national team is both profession and patriotism.

Time changes many things, including generations. Of course, not everybody knows how to find common language with representatives of different generations. In my mind, this is a problem, which affects the Georgian national football team as well. The team building begins from goalkeeper and defense line. However, positive mood is needed before starting this job.

Temur Ketsbaya, coach of the Georgian combined team, arrived in Georgia in a month after finishing the qualifiers cycle and met journalists on TV-air. He reviewed several issues including motivation of players in the national team. Then he told us that we wanted to start building from penthouse while the process needs to start it from the bottom. But let us follow the events in order.

The coach of the Georgian national combined team has quite a big salary, while the players summoned to the national team are paid nothing and they do not have even bonuses. What situation do we have? It turns out that the work for the national team is a profession for its coach. However, for players this work is associated only with national flag, anthem and national emblem. What about the way of doing job, if the national team's coach is guided by the principle of bottom and penthouse, why he did not started to the job from the bottom? Why he did not initiated opening of football academy in Georgia? And why he did not embark on the various projects for development of child football in the country?

The qualifiers cycle turned out difficult for our national team. The start is very important and Ketsbaya's team showed a good start. The Georgian team defeated Belarus team 1:0 in the home match. The spectacular goal scored by Tornike Okriashvili ignited hope that the Georgian football players are able to do something and score such impressive goals at least.

Afterwards the Georgians hosted Spanish team, world champion, and lost the game. Despite defeat, the Georgians left the impression of consolidated and well-mobilized team.

Georgia – Finland 0:1

However, good start has been changed for decay. Georgia was winning 1:0 in the visiting match against Finland and even obtained numerical superiority. However, strange replacements and one bad mistake allowed the opponent to equalize the score. Georgia lost the next match against Belarus 0:2 and thereby lost a chance to get ticket to the final group of the world cup. The failure resulted in the aggravation of relations within the team. Football players criticized the coach and accused him of the defeat. We witnessed several demarches towards Ketsbaya. Ultimately, Georgia occupied the fourth place in the group of five teams. The team coach assessed this as progress.

There were some positive moments. The Georgian national team has two quite qualified goalkeepers – Giorgi Loria and Nukri Revishvili. In the defense line positions of wingbacks is problematic. We lack the wingbacks capable to attack aggressively and effectively. The Georgian team actually does not have a fullback who is skilled to participate in attack. Because of this deficiency, it is very difficult for the team to carry the ball from the defense line to the center. That is why our fullbacks mainly use long passes.

Midfielders and forwards are also problematic despite that Okriashvili, Sandro Kobakhidze, David Targamadze, Jano Ananidze and Elguja Grigalashvili are the players who can organize attacks and intensify a game. Grigalashvili moved to "Dinamo" Tbilisi from "Torpedo" Kutaisi. His appearance in the national combined team was a good example showing that the player playing in the national championship can be useful for the national team.

The Georgian national team scored only three goals in the eight qualifier matches. Probably the poor attacking potential and excessively defensive style of play is a reason behind this shortfall. The number of spectators at the matches of the national championship has reduced gradually. If stadiums were full in the regions now it happens quite rarely. Is Georgia still a football country after all these shortfalls? I think the answer is YES, because we still have yearning to fight and win.

DAVID TAVARTKILADZE

დარასელიას აკადემია

კრიშტიანო რონალდო და აკადემიის ნორჩი ფეხბურთელები

თბილისის „დინამომ“ რეზერვის შესავსებად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა – გაიხსნა ვიტალი დარასელიას სახელობის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემია. აქ 200-მდე მოზარდი საუკეთესო პირობებში ვარჯიშობს. კლუბის პრეზიდენტის რომან ფიფიას თქმით, „აკადემია იმისთვის დაფუძნდა, რომ ნიჭიერი ქართველი ბავშვები ვარსკვლავებად გაიზარდნონ. ეს არა მარტო „დინამოს,“ არამედ მთლიანად ქართულ ფეხბურთს წაადგება. მომავალზე ფიქრი და ზრუნვა უმთავრესია.“

აკადემიის გახსნასთან დაკავშირებით, „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ ფეხბურთის ვარსკვლავები – კრიშტიანო რონალდო და ანდრეი შევჩენკო. მადრიდის „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების ლიდერმა რონალდომ ჟურნალისტებთან ასეთი კომენტარი გააკეთა: „მოხარული ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კლუბის ხელმძღვანელობას ჩემი მოწვევისთვის. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა თქვენი ფეხბურთისთვის – გაიხსნა საფეხბურთო აკადემია, რომელიც ბავშვებს მოემსახურება. მომავალი თაობა აუცილებელია ფეხბურთისთვის. აქ ნამდვილად კარგი პირობებია ვარჯიშისთვის, იმისთვის, რომ ფეხბურთში დიდ წარმატებას მიაღწიო.“

კახი კალაძე, ანდრეი შევჩენკო, კრიშტიანო რონალდო და მათი დინამოელი მასპინძლები

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუდში გავიდა

იმედი

ელიტ-რაუნდის მოლოდინში

საქართველოს ეროვნული ნაკრების უკვე ქრონიკულად ქცეულმა წარუმატებლობამ ქართველ გულშემატკივრებში უიმედობის განცდა დაამკვიდრა. მართლაც, ცოტა ვინმეს თუ სჯერა, რომ ოდესმე მაინც შესძლებს ჩვენი უპირველესი გუნდი ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ასპარეზობას. ისღა დაგვრჩენია, ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების წარმატებებით გავიხაროთ. ბოლო ორი წელიწადია, ქართული ფეხბურთის ახალი თაობა ღირსეულად თამაშობს ევროპულ სარბიელზე.

ნიჭიერი ახალგაზრდები რომ გვყავს, ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა. ნოემბერში, თბილისში ჩატარებულ ევროპულ შესარჩევ ეტაპზე ვასილ მაისურაძის დამოძღვრილმა გუნდმა სამივე მატჩი ისე მოიგო (უელსთან, მოლდოვასთან, ჰოლანდიასთან), ქართველი გულშემატკივარი სასურველი შედეგითაც გაახარა და, რაც მთავარია, თამაშის ხარისხითაც! უფრო ზუსტად, იმ მართლაც მონატრებული სათამაშო სტილით, აი, ერთ დროს „ქართულად“ რომ მივიჩნევდით და ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრების შესრულებით რომ არ გვინახავს! საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს მწვრთნელის ხელიც ეტყობოდა და ჩვენი ბიჭების იმპროვიზაციაც ხომ ცალკე საუბრის თემაა. სხვათა შორის, გუნდის ძირითად ბირთვს სწორედ ის ფეხბურთები შეადგენდნენ, შარშან ყველაზე დიდ წარმატებას რომ მიაღწიეს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში: სლოვენიაში, საქარ-

saller

ყველაფერი სპორტისთვის

2013 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, კომპანია სალერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული სპორტის განვითარებაში. სამი წელია სალერი ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორია. სალერის ფორმებით არის ეკიპირებული საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე 12 კლუბიდან 4 და პირველი ლიგის ყველა გუნდი. სალერი ასევე აქტიურად არის ჩართული საბავშვო ფეხბურთის განვითარებაში. უკვე 6 წელია სალერი ნოდარ ახალკაცის სახელობის ფესტივალის გენერალური სპონსორია. 2012-13 წლებში წარმატებით ჩატარდა ტურნირი ფეხბურთში – "სალერის თასი". კომპანია სალერის პარტნიორობით გაიმართა საფეხბურთო ჩემპიონატი "Red Bull Winning 5".

2013 წელს საქართველოს 17- წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები მთლიანად ეკიპირებულ იქნა სალერის პროდუქციით. სალერმა იზრუნა საბურთალოს საფეხბურთო სკოლის ეკიპირებაზეც. ფეხბურთის გარდა, სალერი აქტიურად არის ჩართული სპორტის სხვა სახეობების ეკიპირებაში, როგორიცაა სამბო, ჭიდაობა და ველოსპორტი. საქართველოს ახალგაზრდათა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები ბერძნულ-რომაულსა და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში სწორედ სალერმა აღჭურვა. სალერი იყო ტექნიკური სპონსორი საქართველოს სტუდენტთა ნაკრების, რომელიც ყაზანში გამართულ 2013 წლის მსოფლიო უნივერსიადაში მონაწილეობდა.

სალერმა თბილისის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად საბავშვო ფეხბურთის განვითარების მიზნით 2013 წელს წარმატებით განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც საფეხბურთო სკოლებს საშუალება მიეცათ 1-წლიანი უპროცენტო განვადების საშუალებით შეეძინათ სპორტული ეკიპირება. ამ პროექტის საშუალებით დაახლოებით 2500 ბავშვია ეკიპირებული.

2013 წელს გაიხსნა სალერის 1 ფილიალი და 3 სადილერო მაღაზია. სპორტული ცენტრი სალერი გახდა არაერთი ცნობილი მსოფლიო ბრენდის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში და ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი მათი პროდუქცია სალერის მაღაზიებში.

მარშალ გელოვანის გამზ. 21
ტელ.: 2 517 333 მობ.: 577 12 18 81

www.saller.ge

ქართველი 17-წლამდელები 2014 წელს ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებენ

თველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვდა! არადა, არცთუ შორეულ წარსულში ჩვენი ასაკობრივი გუნდები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე (თანაც – ნახევარფინალში) კი არა, ელიტ-რაუნდშიც ვერ გადიოდნენ; შარშანდელმა მიღწევამ უკვე სხვა „მოთხოვნები“ გაგვიჩინა და ამიტომაც არის, რომ თითქმის ყველა ასაკობრივი ნაკრებისგან ჯერ ელიტ-რაუნდში, მერე კი – ფინალურ ეტაპზე მოხვედრას ვითხოვთ. ჯერჯერობით ყველაფერი აქეთკენაც მიდის: წლეულს გაზაფხულზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ჯერ პატარა გმირობა ჩაიდინა, როცა ელიტ-რაუნდის ურთულესი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპში გააღწია. იმ ფორმაციის ნაკრებს გია ცეცაძე წვრთნიდა და ელიტრაუნდის ერთი მატჩი, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ არც იმ შეხვედრის მონაწილე ქართველ ჭაბუკებს და არც, საერთოდ, ქართველ გულშემატკივარს: 9 ფეხბურთელით დარჩენილმა საქართველოს ნაკრებმა შოტლანიელ თანატოლებს 3:1 სძლია. სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შარშანდელი წარმატება ვეღარ გამეორდა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯგუფში მეტოქეებიც ერთობ ძლიერები (მომავალი ფინალისტები – სერბეთი და საფრანგეთი) შეგვხვდნენ...

...საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმაც მეტ-ნაკლებად უპრობლემოდ შეძლო პროგრამა-მინიმუმის შესრულება: გამოცდილი სპეციალისტის, ნოდარ აკობიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენმა ბიჭებმა შესარჩევი ეტაპი წარმატებით დაძლიეს და 19-წლიანების მსგავსად, მომავალ წელს ელიტ-რაუნდში იასპარეზებენ. აი, რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს (21-წლამდე), სამწუხაროდ, მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსიც აღარ დაგვრჩა; საერთოდაც, ამ ასაკში ქრონიკული წარუმატებლობები დაგვჩემდა და საქმეს არც მწვრთნელთა ხშირი ცვლა შველის...

კენჭისყრის შედეგად გაირკვა ელიტ-რაუნდის ჯგუფების შემადგენლობა. მე-5 ჯგუფში ქართველ 17-წლამდელთა მეტოქე იქნება გერმანია, სერბეთი და ირლანდია (მატჩები 2014 წლის 26-31 მარტს სერბეთში გაიმართება). 19-წლამდელები მე-3 ჯგუფში მოხვდნენ ისრაელის, შვეიცარიისა და კვიპროსის გუნდებთან ერთად (მატჩები 2014 წლის 25-30 მაისს შვეიცარიაში გაიმართება).

გია ტუხაშვილი

ნიკა ლაშხია

ილია კერძევაძე

დავით სხირტლაძე

ეროვნული ბრძოლის პოეტიზება

ეტყობა ვბერდები. ამ ბოლო დროს ახალგაზრდებისთვის ძველი ამბების მოყოლა მინდება. ახლაც, ამ წერილს რომ ჩავუჯექი, პირველი რაც თავში აზრად მომივიდა 35 წლის წინანდელი ამბის გახსენება იყო. არადა, თითქოს რა შუაშია – მიდი, რა, გასული წელიწადი აწონ-დაწონე. მაგრამ არა, თვალწინ წარსულის ერთი კადრი გაიჭედა და ძვრას აღარ შვრება: 1978 წლის 16 ივნისია, „დინამოს“ სტადიონზე ვარ. აქ, მძლეოსნობაში გაზეთ „პრავდის“ პრიზებს ათამაშებენ. შუაღამე ახლოვდება. იმ დღის პროგრამით გათვალისწინებული ყველა შეჯიბრება უკვე დასრულდა, ერთადერთი, სიმაღლეზე ხტომა არ დამთავრებულა. უფრო სწორედ, აქაც ყველაფერი გარკვეულია, გამარჯვებულის ვინაობა ცნობილია – თამასა 29 წლის უკრაინელი ვლადიმირ (ლენინსავით ილიას ძე) იაშჩენკოს გარდა ყველამ ჩამოაგდო. იაშჩენკოს შეუძლია კვარცხლბეკზე აირბინოს, ოქროს მედალი ჩამოიკიდოს და სასტუმროში წავიდეს, მაგრამ ვინ უშვებს... ხალხი მსოფლიოს რეკორდს სთხოვს და თვითონაც ატყობს, რომ თბილისელ მაყურებელს სტადიონზე არაამქვეყნიური „ცეცხლი“ აქვს დანთებული. ეს მისი შანსია. მასა და გადავსებულ ჩრდილოეთ ტრიბუნას შორის საოცარი კონტაქტი დამყარდა. თბილისელები და ზაპოროჟიელი ბიჭი ერთად უტევენ მსოფლიოს რეკორდს და... თორმეტს ოცი წუთი რომ დააკლდა, რეკორდი დამყარდა – 234 სანტიმეტრი.

ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, ოღონდ ჩვენში დარჩეს, თბილისში. „დინამოზე“, ბოლო ცდაზე, იაშჩენკოს წამზომი გამოურთეს და ნახტომისთვის მოსამზადებელი სამი წუთი „გაუწელეს“, თუმცა ამით ბოროტად არ უსარგებლია... რეკორდის შემდეგ, „დინამოზე“ ისეთი აღტაცება სუფევდა, რომ ხალხმა და იაშჩენკომ 236 სანტიმეტრსაც შეუტიეს, მაგრამ როგორც ინგლისელები იტყვიან, enough is enough, რაც ჩვენებურად დაახლოებით ასე ჟღერს – აბა, ეგეთები აღარ იყოს! და ის დაუვიწყარი საღამოც დასრულდა.

აი, ახლა კი, ასაკით დამძიმებული, თუ გავიხსენებ რატომ მოვყევი ეს ყველაფერი, ძალიან კარგი იქნება... თუმცა, ტაში მე! გამახსენდა! რატომ და იმის საილუსტრაციოდ, რომ ქვეყანაში სპორტის განვითარება ფართე, მრავალმხრივი, კომპლექსური ამბავია. ის არ შედგება მხოლოდ ერთი თამაშისგან, ერთი გუნდისგან, ერთი სახეობისგან... ჩვენ, ბებრები მაშინდელ დროს რომ ვიგონებთ, შესაძლოა ყველაზე მეტს ფეხბურთელებზე, 1981 წლის „დინამოზე“ ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს შეგვიძლია დიდი და გემრიელი ტორტის კენწეროზე შემოდებულ მარწყვს შევადაროთ. ფეხბურთელთა ტრიუმფის გარდა კი, ღმერთო, რამდენი დიდებული რამ იყო! მთელი სამყარო! მაგალითად, ქალ მოჭადრაკეთა მრავალწლიანი ტრიუმფი... რაღაც ამ ბოლო დროს მასზე ლაპარაკს მოუკლეს, არადა, ჩვენს ქალებს მსოფლიოს(!) ჩემპიონატი თბილისის ერთი უბნის პირველობამდე ჰქონდათ დაყვანილი. ერთმანეთისთვის სვლები, მეზობლურად, ფანჯრიდან შეეძლოთ გაეძახათ. მოჭიდავეებსა და ძიუდოისტებზე თავისი მსოფლიოსა და ოლიმპიური ოქროებითა და თბილისის უმაღლესი რანგის ტურნირებით, მოდი, აღარაფერს ვიტყვი... აქ ყველასთვის ყველაფერი გასაგებია. ხელბურთელთა „ბურევესტნიკი“ და ტრადიციული ტურნირი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე! კალათბურთის ტურები სპორტის სასახლეში! დიდი ვიქტორ სანეევი! ალექსანდრე მეტრეველი! ომარ ფხაკაძე! დავით კვაჭაძე! კობა წაქაძე! ვლადიმერ აფციაური! რუსუდან სიხარულიძე! ღმერთო, ვინმე არ გამომრჩეს... აი, სწორედ ამიტომ დაამყარა იაშჩენკომ მსოფლიოს რეკორდი მაინცდამაინც თბილისში – საქართველო სპორტული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრი იყო. არადა, თითქოს, ქართულ სპორტთან რა შუაშიაო, არა? შუაშია და მერე როგორ! დიდი მოვლენები პროვინციებში არ ხდება!

კიდევ რა მახსოვს, იცით? ბავშვობაში მამებს ჰოკიჯოხებს ვაკეთებინებდით. ჩვენი ახალი გატაცებით სახტად დარჩენილი მშობლები ინდომებდნენ და თავიანთ ნახელავს ლამაზადაც გვიფორმებდნენ, გვიღებავდნენ, გვიფერადებდნენ, მაგრამ ფორმები... უიმე, სჯობს არ გავიხსენოთ. თუმცა, შემდეგ წელიწადს მაღაზიებში უკვე ნამდვილი რუსული „კლუშკები“ გამოჩნდა. აბა, თბილისში ყინულს რა უნდოდა და ასფალტზე ვთამაშობდით თავგადაკლულები – აქამდე იყო საქმე მისული.

არ ვიცი გამომივიდა თუ არა, მაგრამ შევეცადე რაც შეიძლება მოკლედ აღმეწერა ქვეყანა (თავისი საბჭოთა სოციალისტური პლიუსებითა და მინუსებით), სადაც სპორტული ცხოვრება დუღდა, გადმოდუღდა და ნიჭიერი ხალხი ცხოვრობდა. და იცით, რომ ეს ქვეყანა არსად წასულა? ეგაა, საბჭოთა სოციალისტურობა ჩამოშორდა და თავისი პლუსებიცა და მინუსებიც მოუსავლეთში გაიყოლა. იქამც ყოფილა. არც ხალხი გამოუცვლია ვინმეს. ამიტომ, წესითა და რიგით არც სპორტული ცხოვრება უნდა ჩამკვდარიყო სამუდამოდ. შესაძლოა „ტექნიკურ მიზეზთა“ გამო მხოლოდ და მხოლოდ დაბრკოლებულიყო. ამიტომ, მოდი, ქართულ სპორტს ნუ გამოვიგლოვებთ. პირიქით, გონება ჩავრთოთ და...

დღეს ჩვენი ამოცანა ზემოთ ხსენებულ „ტექნიკურ მიზეზთა“ დაძლევაა. აუცილებლად ისევ იქ უნდა დავბრუნდეთ: ქვეყანაში, სადაც სპორტით ჰაერია გაჟღენთილი და ადამიანები ქუჩაში გულდამძიმებულნი და თავჩახრილები არ დადიან. წარსულს უნდა ჩავაბაროთ ის ტიალი დრო, როდესაც ნლიდან ნლამდე ქართველი ახალგაზრდების ყველაზე დიდი სპორტული აქტივობა ტოტალიზატორის ბილეთების შევსება და ტელევიზორში უცხოელთა შეჯიბრებების თვალყურის დევნება იყო.

და ამ მიმართულებით, „ჩვენს სახელოსნოში“ სპორტულ ჟურნალისტთა ამქარმაც უნდა მოვიდინოთ ოფლი – ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ ქართულ სპორტულ სამყაროში ნებისმიერ სასიკეთო გაფაჩუნებას აღწერა და დამახსოვრება სჭირდება. ჩვენ აუცილებლად უნდა დავძლიოთ პროვინციალიზმის ჭაობი და კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთ სპორტულ ცენტრად ვიქცეთ. ისე, როგორც მაშინ, 1978 ნლის 16 ივნისს, შუაღამეს ოცი წუთი რომ აკლდა.

ილია ბაბუნაშვილი

ორთვიანი ევროსეზონი

2013-2014 წლების სეზონში ევროპის საკლუბო ტურნირებში ოთხმა ქართულმა კლუბმა იასპარეზა: ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგაზე, თასის ფინალისტმა საჩხერის „ჩიხურამ“, ვიცე-ჩემპიონმა გორის „დილამ“ და მესამეადგილოსანმა ქუთაისის „ტორპედომ“ კი – უეფას. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში მარცხის შემდეგ, ევროპალიგის ფლეიოფში მოსინჯა ძალები „დინამომ“.

ბოლო წლებში დამკვიდრებული უსიამოვნო ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა – საშემოდგომო ეტაპს ერთმა ქართულმა კლუბმაც ვერ უწია.

ჩეხი სპეციალისტის დუშან უჰრინის ხელმძღვანელობით „დინამომ“ ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელი ხუთწლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა და ოქროს მედლებს თასიც დაურთო. ეს დედაქალაქური კლუბის პირველი დუბლი იყო 2003 წლის შემდეგ.

2013-2014 წლების სეზონისთვის მზადება „დინამომ“ შემადგენლობის გადახალისებით და ავსტრიაში საწვრთნელი შეკრებით დაიწყო, შემდეგ კი თბილისში ამხანაგურ მატჩში მოსკოვის დინამოსაც უმასპინძლა – 1:1.

საქართველოს ჩემპიონი ევროთასებს ერთწლიანი შესვენების შემდეგ, 16 ივლისს დიდებულად დაუბრუნდა: „დინამომ“ ფარერის კუნძულების უძლიერესი კლუბი „ებ სტრეიმური“ ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ 6:1 გაანადგურა. ევროთასებზე ასპარეზობის 41 წლის მანძილზე „დინამომ“ ერთ შეხვედრაში ექვსი გოლი პირველად გაიტანა და ამავდროულად, ერთ მატჩში პირველად გამოიჩინა თავი ხუთმა დინამოელმა.

საპასუხო მატჩში მოულოდნელი არაფერი მომხდარა – უჰრინის გუნდმა 3:1 მოიგო. ეს გამარჯვება რამდენიმე საკლუბო მიღწევით აღინიშნა: „დინამომ“ ევროთასებზე პირველად გაიტანა ორ შეხვედრაში ცხრა გოლი; მეორედ მოიგო ორმატჩიანი დაპირისპირება შვიდბურთიანი სხვაობით; კლუბის საუკეთესო ბომბარდირმა, ესპანელმა გოლეადორმა ჩისკომ კი „დინამოს“ საიუბილეო, მე-200 გოლი გაიტანა ევროტურნირებში!

ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო შეჯიბრებაში გამოსვლა „დინამომ“ რუმინეთის „სტიაუასთან“ დაასრულა. საქართველოს ჩემპიონი შინ 0:2 დამარცხდა, ბუქარესტში, „ნაციონალზე“ კი ფრედ 1:1 ითამაშა და ევროპალიგაზე გადაინაცვლა. აგვისტოს მუწურულს, როცა ევროპალიგის ფლეიოფები გაიმართა, უეფას ტურნირებს მხოლოდ ორი ქართული კლუბი იყო შემორჩენილი: „დინამო“ და გორის „დილა“.

ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ქუთაისის „ტორპედო“ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უშანსოდ დამარცხდა სლოვაკეთის „ჟილინასთან“, თასის ფინალისტმა საჩხერის „ჩიხურამ“ კი ჯერ გაჭირვებით დაძლია ლიხტენშტაინის „ვადუცის“ წინააღმდეგობა, თუმცა შემდეგ შვეიცარიის „თუნს“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ფლეიოფამდე ორი ეტაპი გაიარა გორის „დილამ“. ქართლური კლუბი ახალი სეზონის დასაწყისს გაურკვევლობაში შეხვდა – გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა, მოსამზადებელი ეტაპი ნაჩქარევად დაიგეგმა და დაფინანსების პრობლემაც მხოლოდ ბოლო მომენტში გადაიჭრა. ამ და სხვა წინააღმდეგობების მიუხედავად, გიორგი დევდარიანის კლუბმა მოსალოდნელზე უკეთესი შედეგი აჩვენა: დანიის „ოლბორგს“ და ხორვატიის „ჰაიდუკს“ მშვენიერ სტილში სძლია. რაც ყველაზე სასიამოვნოა, გორელებს ზედიზედ ოთხ შეხვედრაში გოლი არ გაუშვიათ, დაცვაში ასეთი სტაბილური თამაში კი ჩვენ კლუბებს, როგორც წესი, არ ახასიათებთ.

გორული კლუბის მესვეურები, ფეხბურთელები და გულშემატკივრები ვენის „რაპიდთან“ საფლეიოფო შეხვედრების წინაც იმედიანად იყვნენ, თუმცა ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპამდე მისასვლელი უკანასკნელი წინაღობა „დილასთვის“ დაუძლეველი აღმოჩნდა. ავსტრიელებთან ორ შეხვედრაში, განსაკუთრებით კი საშინაო მატჩში ყველა პრობლემამ ერთად იჩინა თავი, მათ შორის – არასრულფასოვანად გავლილმა სეზონისწინა შეკრებამ.

„დილასგან“ განსხვავებით, რომელსაც „რაპიდთან“ პირველი შეხვედრის შემდეგ კიდევ ჰქონდა ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი, თბილისის „დინამო“ ევროპალიგის საშემოდგომო ეტაპს ფლეიოფის წილისყრისთანავე დაემშვიდობა – საქართველოს ჩემპიონს მეტოქედ ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერი, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფური“ ერგო.

შორეული 1973-74 წლების უეფას თასის გათამაშების 1/8 ფინალში ლონდონელებმა „დინამო“ ორ მატჩში 6:2 დაამარცხეს – 1:1 ლოკომოტივზე და 5:1 „უაით ჰართ ლეინზე,“ 40 წლის შემდეგ კი სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა: 0:5 თბილისში და 0:3 ლონდონში.

ქართული ფეხბურთის საკლუბო ფლაგმანი 88-ნლიან ისტორიაში პირველად დამარცხდა შინ ხუთბურთიანი სხვაობით. აქამდე 0:5 დინამოს არათუ ევროთასებზე, საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებშიც არ წაეგო.

ლაშა გოდუაძე

ჩემპიონთა ლიგა
II საკვალიფიკაციო ეტაპი

„დინამო“ (თბ.) – „სტრეიმური“ (ფარ.) 6:1
„სტრეიმური“ – „დინამო“ 1:3

ჩემპიონთა ლიგა
III საკვალიფიკაციო ეტაპი

„დინამო“ (თბ.) – „სტიაუა“ (რუმ.) 0:2
„სტიაუა“ – „დინამო“ 1:1

ევროპის ლიგა
I საკვალიფიკაციო ეტაპი

„ტორპედო“ (ქუთ.) – „ჟილინა“ (სლოვ.) 0:3
„ჟილინა“ – „ტორპედო“ 3:3
„ჩიხურა“ (საჩ.) – „ვადუცი“ (ლიხტ.) 0:0
„ვადუცი“ – „საჩხერე“ 1:1

ევროპის ლიგა
II საკვალიფიკაციო ეტაპი

„დილა“ (გორი) – „ოლბორგი“ (დან.) 3:0
„ოლბორგი“ – „დილა“ 0:0
„თუნი“ (შვეიც.) – „ჩიხურა“ (საჩ.) 2:0
„ჩიხურა“ – „თუნი“ 1:3

ევროპის ლიგა
III საკვალიფიკაციო ეტაპი

„ჰაიდუკი“ (ხორვ.) – „დილა“ (გორი) 0:1
„დილა“ – „ჰაიდუკი“ 1:0

ევროპის ლიგა
პლეი ოფი

„დინამო“ (თბ.) – „ტოტენჰ.“ (ინგ.) 0:5
„ტოტენჰემი“ – „დინამო“ – 3:0
„რაპიდი“ (ავსტრ.) – „დილა“ (გორი) 1:0
„დილა“ – „რაპიდი“ – 0:3

უეფას თასი თბილისში გათამაშდა

საქართველოს ჩემპიონი „იბერია სტარი“ ევროპის საუკეთესო კლუბების ოთხეულში მოხვდა. ბიზნესმენ ვახო წერეთლის მიერ ჩაყრილმა საფუძველმა შედეგი გამოიღო. უეფამ საქართველოს ეს წარმატება დაუფასა და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს 2013 წლის აპრილში უეფას თასის (ფუტსალში ჩემპიონთა ლიგა) ფინალური ტურნირის მასპინძლობის უფლება დართო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობს, „იბერია სტარის“ წარმატებასა და უეფას ამ ძღვენს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

სპორტის სასახლეში, ღონისძიების გახსნაზე ბევრი ცნობილი სტუმარი გვეწვია: უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი და ვიცე-პრეზიდენტები, სხვადასხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებისა და კლუბების თავკაცები და ა.შ.

უეფას პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. მხარეებმა ქართული ფეხბურთის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

...ერთი შეხედვით, ყველაფერი დიდებულად მიდიოდა. „იბერია სტარმა“ შესარჩევი და ელიტ რაუნდები ისეთი აღმავლობით ჩაატარა, რომ გულშემატკივარი იმედოვნებდა – „საშინაო კედლები“ გუნდს თასის მოპოვებაშიც დაეხმარებოდა.

მაგრამ ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა – „იბერიას“ მწვრთნელი შეეცვალა და ოთხთა ფინალში გუნდი მთავარი მწვრთნელის, ბრაზილიელი სერჟიო ბენატის ნაცვლად, მისმა ასისტენტმა ალიკ სარქისიანმა გაიყვანა.

ამასთან ერთად, გუნდის სამი მოთამაშე უკრაინაში წავიდა, ბენატის მოწვეულმა ორმა ბრაზილიელმაც იმედები ვერ გაამართლა და „იბერია“ თავისი არსებობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო მატჩებს საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა.

შედეგიც ლოგიკური იყო: ოთხთა ფინალის მატჩებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი საკუთარ თავს არ ჰგავდა და ორივე შეხვედრა წააგო. 26 აპრილს, ნახევარფინალში „იბერია სტარი“ მოსკოვის „დინამოსთან“ 2:5 დამარცხდა. მეორე შეხვედრაში სენსაცია დაფიქსირდა: ფავორიტი „ბარსელონა“ ყაზახურ „კაირატთან 4:5 დამარცხდა.

28 აპრილს, „იბერიამ“ მესამე ადგილისთვის მატჩიც დათმო და უეფას თასზე საიუბილეო 50-ე შეხვედრაში „ბარსელონასთან“ 1:4 დამარცხდა. იმავე დღეს, ფინალში, „ყაირატმა“ მოსკოვის „დინამო“ 4:3 დაამარცხა და უეფას არსებობის ისტორიაში პირველად, ტურნირის გამარჯვებული აზიური ქვეყნის გუნდი გახდა.

ტურნირის დასრულებიდან მალე გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონი გაკოტრდა და ოთხთა ფინალში წარუმატებლობაც ფინანსური გაჭირვების შედეგი იყო.

მაგრამ „იბერია სტარმა“ ქართული სპორტის ისტორიაში თავისი სახელი მაინც ჩაწერა – დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა.

მერაბ მამულაშვილი

ალმა-ათის „ყაირატი“ – უეფას 2013 წლის თასის მფლობელი

გმადლობთ, კაპიტანო!

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ქვეყნის ეროვნულ გუნდს 15 წლის განმავლობაში 83-ჯერ ემსახურა და აქედან 50-ჯერ მოედანზე კაპიტნის სამკლავურით გაუძღვა.

ის სამაგალითო სპორტსმენი იყო. საქართველოში პროფესიონალიზმის დეფიციტი გვაქვს და თუკი ახალგაზრდებს მაგალითისთვის ვინმესკენ უნდა მივუთითოთ, ეს კახა კალაძეა.

კახას ცხოვრება გახლავთ ამბავი ერთი ჩვეულებრივი სამტრედიელი ბიჭისა, რომელმაც ფეხბურთის სიყვარულით, თავისი შრომისუნარიანობით, ჟინით, ნიჭითა და პროფესიონალიზმით უდიდეს მწვერვალებს მიაღწია.

კახა კალაძე გახლავთ საქართველოს ხუთგზის საუკეთესო ფეხბურთელი, ოთხგზის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი, უკრაინის სამგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელი, იტალიის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი, ევროპის სუპერთასის ორგზის და კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული და რაც ყველაზე მთავარია, ევროპის ჩემპიონთა ლიგის ორგზის ტრიუმფატორი.

31 მაისს კალაძისთვის პატივისცემის დასადასტურებლად თბილისს მსოფლიო ფეხბურთის უდიდესი სახეები ესტუმრნენ: პაოლო მალდინი, ფრანკო ბარეზი, ფაბიო კანავარო, ანდრეი შევჩენკო, პიპო ინძაგი, ზვონიმიტ ბობანი, ჰაქან შუქური, ლუკა ტონი და სხვანი.

დაგვეთანხმებით, თუნდაც მსოფლიოს მასშტაბით, ხშირად არ იმართება გამოსათხოვარი მატჩები, რომელშიც ერთბაშად მონაწილეობს „ოქროს ბურთის“ ორი ლაურეატი, მსოფლიოს 6 ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის 12 გამარჯვებული.

აქვე იყვნენ ქართველი ვეტერანები და რაც მთავარია, გადავსებულ ტრიბუნებზე იჯდა ათეულობით ათასი გულშემატკივარი. კიდევ უფრო მეტმა „ეროვნულ სტადიონზე“ მოხვედრა ვერ მოახერხა.

გმადლობთ, კაპიტანო!

წარმატებას გისურვებთ მომავალ საქმიანობაში!

გიორგი გორგოძე

ასურს, უდიდესი მადლობა გადავუხადო ქართველ გულშემატკივრებს მხარდაჭერისა და ქომაგობისთვის. ჩემი კარიერის ძირითადი დრო საზღვარგარეთ გავატარე და ყოველთვის ვგრძნობდი თანამემამულეების უდიდეს სითბოსა და თანადგომას. ჩემი ყველა წარმატება ჩემს ქვეყანას ეკუთვნის, რომლის გარეშეც ვერ მივაღწევდი იმ სიმაღლეებს, რომლის დაპყრობაც მარგუნა ბედმა. უაღრესად მადლიერი ვარ ღმერთისა და ჩემი თანამემამულეების, რომ საშუალება მაქვს, ვისარგებლო უდიდესი სიყვარულით და გვერდში დგომით. ვპირდები ჩემს გულშემატკივარს, რომ მუდმივად ვიქნები საქართველოს ღირსების დამცველი ნებისმიერ ასპარეზზე და არაერთ გამარჯვებას მოვუტანთ ჩვენს ქვეყანას.

კახა კალაძე

მოკითხვა კაპელოსგან

ჩემპიონთა ლიგის ფინალურ თამაშებზე დამსწრე ჟურნალისტთათვის უეფამ და ჩემპიონთა ლიგის სპონსორებმა კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს. ლიგის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი ფინალზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს თამაშის დღეს საქმიან საუზმეზე ეპატიჟება, სადაც მათ ევროპული ფეხბურთის გამოჩენილ პიროვნებასთან შეხვედრას უწყობს, რომელსაც „ფინალური თამაშის კეთილი ნების ელჩის“ სტატუსი აქვს მინიჭებული.

წელს ჩემპიონთა ლიგის სპონსორმა UNICREDIT-მა მოუწყო ჟურნალისტებს საქმიანი საუზმე ლონდონის ფეშენებელურ სასტუმრო LE MERIDIAN-ში და ფინალის „კეთილი ნების ელჩი“ გახლდათ მსოფლიო ფეხბურთის გამორჩეული ავტორიტეტი ფაბიო კაპელო.

თავიდანვე მოვემზადე მასთან შესახვედრად და თან წავიღე წლევანდელი „ათიანის“ ის ნომერი, რომელშიც იტალიური ფეხბურთის სამი დიდი ფიგურის ძველი ფოტოა – მინდორზე „სკუადრა აძურას“ ფორმაში სამი ლეგენდარული პიროვნება თათბირობს: ჯანი რივერა, სანდრო მაცოლა და ფაბიო კაპელო! ჩანაფიქრმა გაამართლა. გოროზი სინიორ ფაბიოს ყურადღება ამ ძველმა ფოტომ უმალ დაიმსახურა!..

საუბარი აეწყო... სხვა ჟურნალისტებმაც გვადროვეს. ფაბიო კაპელომ ჟურნალის სახელი და სადაურობა იკითხა. ავუხსენი, კახა კალაძის – „კალას“ ქვეყნიდან გახლავთ-მეთქი. ამით რომ არ დასრულებულიყო ჩვენი საუბარი, იქვე მივაყოლე – ხუთ დღეში AC MILAN-ი თბილისში ჩამოდის მეთქი. გულწრფელად გაიკვირვა: სეზონი დამთავრებულია და ასეთი რა ხდება თქვენთანო...

მეც ეგ მინდოდა და საუბარს ახალი იმპულსი მივეცი: სულ სათითაოდ ჩამოვუთვალე, თუ ვინ ჩამოდიოდა „კალას“ გამოსათხოვარ მატჩზე. აშკარად არ ელოდა ასეთ წარმომადგენლობას და ასეთ დიდ სახელებს. მერე მითხრა, „რეალიდან“ „მილანში“ რომ დავბრუნდი, მაშინ „კალა“ ჯერ არ იყო იტალიაში გადმოსული და არ მომიწია მასთან მუშაობამ, მაგრამ „რომაში“ და „იუვეში“ როცა ვმუშაობდი, ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე გუნდის ძირითადი მოთამაშე გახლდათ და მისი თამაში კარგად მახსოვს, მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო, კარგი კარიერა ჰქონდა და კარგი სახელი დატოვა იტალიაშიო. და მივადექით მისი მხრიდან იმ კითხვას, რასაც ლოგიკურად ველოდი: „ახლა რას საქმიანობს?..“

როცა ვუთხარი – მთავრობის ვიცე-პრემიერი და იმავდროულად ენერგეტიკის მინისტრია-მეთქი, კიდევ გამამეორებინა – ალბათ, იფიქრა, ემანდ, თარგმნაში ხომ არ ეშლებაო... მისი კომენტარი ასეთი იყო: ჯანი რივერასავით კარიერა აუწყვია (ჯანი რივერა იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ – რედ.), კალა ყოველთვის Successful (წარმატებული) ფეხბურთელი იყო და ასევე წარმატებული ახალი კარიერაც აუწყვიაო. ვუთხარი, რომ გამოსათხოვარ თამაშამდე კახას უნდა შევხვედროდი და ხომ არაფერი გადავცე-მეთქი.

გოროზმა სინიორ ფაბიომ კეთილად გაიღიმა: აღარც კი ვიცი, მეტი რა ვუსურვო! გადაეცით, რომ ასეთივე წარმატებული იყოს მისთვის ცხოვრების მეორე ტაიმი და დამატებითი (Extra tame) დროც!..

გიორგი გორგოძე

joma™ sport

ესპანური სპორტული ეკიპირების ბრენდის
ოფიციალური წარმომადგენელი
საქართველოში

PIXEL34, Chavchavadze ave., Phone: (+995 577) 742 247; E-mail: 001@sbm.ge

www.joma-sport.com

SPORT BUSINESS MANAGEMENT • SBM • SPORT BUSINESS MANAGEMENT • SBM • SPORT BUSINESS MANAGEMENT • SBM •

ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛᲓᲔ

**ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ – ᲙᲚᲔᲘ-ᲝᲤᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲝᲠᲛᲐᲢᲩᲘᲐᲜᲘ ᲓᲣᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲜᲡᲝᲓ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲜ. ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲝᲓ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲚᲔᲘ–ᲝᲤᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲒᲐᲜᲕᲚᲔᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ.

4 Ა�პᲠᲘᲚᲘ წყალბურთელთა ნაკრები 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში ჩაება. საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი და დიდი ბრიტანეთი ჰყავდა, მომდევნო ეტაპზე კი ორი საუკეთესო გუნდი გადიოდა. ვლადიმერ ისელიძის გუნდმა დიდი ბრიტანეთის ნაკრები მოულოდნელად საკმაოდ იოლად 12:3 დაამარცხა. ცხადია, ბრიტანეთის ნაკრები გრანდთა კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ ქართველი წყალბურთელების ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება მაინც ორმაგად გასახარია – სხვა თუ არაფერი, ბრიტანელებმა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მასპინძლის სტატუსით ითამაშეს და ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღეს. 5 აპრილს ჩვენები სლოვაკებს დაუპირისპირდნენ და უშეღავათო მატჩში 7:7 ეთამაშნენ. 6 აპრილს საქართველო პოლონეთის ნაკრებს გაეჯიბრა და 16:10 დაამარცხა. 5 გოლით მატჩის ბომბარდირი გახდა კონსტანტინე გეგელაშვილი. იყოჩაღა ზურაბ რურუამც – ოთხჯერ აიღო მეტოქის კარი. 7 აპრილს ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში საქართველომ ჩეხეთს უმასპინძლა და 16:5 მოუგო.

შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპს 11-14 ივლისს მალტამ უმასპინძლა. ქათველებმა ოთხივე თამაში მოიგეს და პოზიციები გაიმყარეს. ისრაელი 13:8, უკრაინა 15:8, ბელარუსი 24:7, ხოლო მასპინძელი მალტა 16:12 დაამარცხეს და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე 28 ქულით მოხვდნენ.

26-28 აპრილს „ოლიმპიკში“ ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ნოდარ გვახარიას თასი გაიმართა, სადაც ისრაელის, ჩეხეთისა და ყაზახეთის ჭაბუკთა ნაკრებებთან ერთად ქართველმა თანატოლებმაც ითამაშეს და ჩემპიონობა არავის დაუთმეს.

9-12 მაისს საცურაო აუზ „ოლიმპიკში“ ჭაბუკ წყალბურთელთა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჩატარდა. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები უმძიმეს ჯგუფში მოხვდა, მაგრამ სამშვიდობოს გასვლა მაინც მოახერხა. რევაზ ჩომახიძის დამოძღვრილმა ჭაბუკები B ჯგუფში სლოვაკებთან, გერმანელებთან, მოლდოველებთან და ჰოლანდიელებთან ჭიდილში 10 ქულა დააგროვეს და ევროპის

ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველი ადგილით გავიდნენ. საწყის ტურში ჭაბუკთა ნაკრებმა მოლდოვა 16:6 დაამარცხა, შემდეგ სლოვაკეთს 13:5 აჯობა, გერმანიასთან 7:7 ითამაშა, ხოლო ჰოლანდიას 10:9 მოუგო და მალტის საგზურს დაეპატრონა.

ივნისში სტამბულში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი – მითათ ჰანთალის მემორიალი გაიმართა. შეჯიბრებაზე მასპინძელთა ნაკრებმა, რუმინეთმა, სლოვაკეთმა და საქართველომ ითამაშეს. ოთხივე ნაკრები სტამბულს საბრძოლო შემადგენლობით ეწვია. საქართველომ პირველ ტურში თურქეთი 9:8 დაამარცხა, უძლიერეს რუმინეთის ნაკრებს 10:9 მოუგო, სლოვაკებს 10:6 აჯობა და ტურნირის ჩემპიონი გახდა.

ივლისში საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში მეოთხედ გათამაშდა თბილისის თასი. ტურნირზე სათამაშოდ თავი ოთხმა გუნდმა მოიყარა – ბელარუსი, უკრაინა, საქართველოს I და II ნაკრებები. მოლოდინისამებრ ჩემპიონი გახდა საქართველოს პირველი ნაკრები, რომელმაც ბელარუსს 18:5, უკრაინას 11:9, ხოლო მეორე ნაკრებს 15:11 აჯობა.

ჭაბუკთა ევროპირველობას 8-15 სექტემბერს მალტამ უმასპინძლა. რევაზ ჩომახიძის გუნდი ამჯერადაც ურთულეს ჯგუფში მოხვდა და ფონს გასვლა ვეღარ მოახერხა. ჩვენმა წყალბურთელებმა 16 გუნდს შორის საბოლოოდ მე-13 ადგილი დაიკავეს, მაგრამ მეტოქეებთან ჭიდილში დიდი გამოცდილება შეიძინეს. ჭაბუკთა ნაკრებმა ჯგუფის პირველ შეხვედრაში გერმანიას დიდი ბრძოლა გაუმართა და 9:11 დამარცხდა, უნგრეთთან 5:9 წააგო, მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ იტალიასთან კი 10:19 დაიჩაგრა. საქართველო ჯგუფში ჩარჩა, მაგრამ შედარებით უკეთესი ადგილის დასაკავებლად ბრძოლა გააგრძელა – მალტას 11:6 აჯობა, უკრაინას 12:8 სძლია და ევროპის ჩემპიონატზე მე-13 ადგილი ერგო.

7-10 ნოემბერს ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევი ეტაპი პორტუგალიაში ჩატარდა. ისელიძის გაწვრთნილებს მასპინძლების გარდა მეტოქეებად შვეიცარია, მალტა, ბელარუსი და სლოვაკეთი ჰყავდათ. ქართველი წყალბურთელები პირველ ტურში შვეიცარიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ და სოლიდური ანგარიშით 24:7 აჯობეს. სხვებზე მეტად კონსტანტინე გეგელაშვილმა და მარინო ფრანიჩევიჩმა იყოჩაღეს, რომლებმაც მეტოქეს 5-5 ბურთი გაუტანეს. ჩვენმა ბიჭებმა მომდევნო შეხვედრაში მალტას 11:4 მოუგეს, ნაკრებს ამ შეხვედრაშიც მარინო ფრანიჩევიჩმა ულიდერა – 5 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ისელიძის გუნდმა ბელარუსთან 17:9 მოიგო, რასაც სლოვაკეთთან მარცხი მოაყოლა – 16:17. ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში ქართველებმა მასპინძელი პორტუგალიის ნაკრები 17:9 დაამარცხეს, სამი ეტაპის ჯამში 40 ქულა მოაგროვეს და მიუხედავად სლოვაკეთთან მარცხისა, რუსეთთან და საფრანგეთთან ერთად, მოწინავე სამეულში მოხვდნენ. საქართველოს ნაკრების 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამეულში მოხვედრით გაირკვა, რომ ისელიძის გუნდს პლეი-ოფში მეტოქედ გასული ევროპირველობის მეათე-მეთორმეტე ადგილოსან ნაკრებთაგან – ჰოლანდია, მაკედონია, თურქეთი, ერთ-ერთი ერგება.

პლეი-ოფის მატჩები 15 თებერვალს და 12 აპრილს მიმოსვლითი სისტემით შედგება, გამარჯვებული 6 გუნდი კი იმ ექვსეულს შეუერთდება, რომლებსაც 2014 წლის 13-26 ივლისს ბუდაპეშტში გასამართი ევროპის პირველობის საგზურები განაღდებული აქვთ. მასპინძელი უნგრეთის გარდა, ევროპირველობის საგზური მოპოვებული აქვთ სერბეთს, ჩერნოგორიას, იტალიას, გერმანიას და საბერძნეთს, რომლებმაც გასული ევროპის ჩემპიონატი მოწინავე ხუთეულში დაასრულეს.

ალექსანდრე მაისაშვილი

ჯერ ევროპა, მერე მსოფლიო

ქართულ ხელბურთში საინტერესო ამბები ხდება: საქართველომ 2017 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში ჩაება, ჭაბუკთა ნაკრები კი თბილისის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალისთვის ლამის ყოველდღიურ რეჟიმში ემზადება და სერიოზულ მიზნებსაც ისახავს.

ეროვნული ნაკრები

ხელბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული გუნდი მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაება. ქართველ ხელბურთელებს მეტოქეებად ლიტვა, თურქეთი და ფინეთი ერგოთ. ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე ერთი გუნდი გადის და ფინალურ სტადიაზე მოსახვედრად ბრძოლას აგრძელებს. მსოფლიოს პირველობას ყატარი უმასპინძლებს, საგზურის მოსაპოვებლად კი დიდი და მძიმე გზაა გასავლელი.

ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი ლიტვაში გამართა და 17:23 დამარცხდა. უჩვეულოდ მწირქულიან მატჩში ქართველმა ხელბურთელებმა შეტევაში უამრავი შეცდომა დაუშვეს და დაცვაში კარგი თამაშის მიუხედავად, მარცხს ვერ გაექც-

ნენ. ლამის ორწლიან უქმობას უკვალოდ არ ჩაუვლია, მონდომების მიუხედავად, ნათლად გამოჩნდა, რომ ხელბურთელებს შეთამაშება აკლიათ – უმარტივეს სიტუაციებშიც კი ერთმანეთს ვერ უგებდნენ. ნაკრების ახლადდანიშნულმა სერბმა თავკაცმა ჯორჯ რასიჩმა დაცვაში თამაში შედარებით დაალაგა, მაგრამ წლობით ნაგროვებ პრობლემებს ერთი ხელის მოსმით ვერ გადაჭრიდა. ლიტვური მატჩის რეპორტაჟი არ ყოფილა და ანალიზის გაკეთება რთულია, მაგრამ ოქმში ჩახედვითაც ბევრ რამეს ხვდები – მოკლე სათადარიგო სკამი უმძიმეს პრობელემად რჩება. მასპინძლები მუდმივ როტაციას მიმართავდნენ, რასიჩმა კი მხოლოდ 9 კაცი დატვირთა, რაც ძალიან ცოტაა. ქართველთაგან 6 გოლით საუკეთესო იყო ირაკლი ჩიქოვანი.

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევი ეტაპის მეორე მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში 3 ნოემბერს ფინეთის ნაკრებთან გამართა. ეროვნულ გუნდს ფინელებთან ძველი ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი ჩელენჯ-ტროფის ფინალში მარცხისთვის. პირველ ტაიმში ჩვენებმა ისე ცუდად ითამაშეს, მეკარე შოთა თევზაძის თავგანწირული თამაში რომ არა, სტუმრები შესვენებაზე კომფორტული უპირატესობით გავიდოდნენ. მეორე ნახევარში მოედანზე სხვა გუნდი დაბრუნდა. ნაკრების სერბი მესაჭე ჯორჯ რასიჩი გამჭრიახი კაცი გამოდგა – ფინელებს სუსტი წერტილები გამოუნახა და გუნდი საბრძოლველად განაწყო. ქართველებმა კოზირების გამოყენება დაიწყეს, მეტოქეს სიმაღლის და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე აჯობეს – 26:19. გუნდის ბომბარდირი 6 გოლით რევაზ ჭანტურია გახდა. კარგად ითამაშეს გუნდის სხვა ლიდერებმა – რატი მსხვილიძემ, სერგო დათუკაშვილმა, ვოვა რუსიამ.

საქართველოს ნაკრები ჯგუფის დარჩენილ მატჩებს გაისად ჩაატარებს.

ჭაბუკთა ნაკრებები

თბილისის მიერ 2015 წლის ჭაბუკთა ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის უფლების მოპოვების შემდეგ, ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრები განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოექცა, რადგან იმ 9 სპორტის სახეობაში, რომელშიც ფესტივალზე მედლები გათამაშდება, ხელბურთიც შედის. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებამ 2017 წლის ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებით ჩვენი ჭაბუკების მიმართ ყურადღება კიდევ უფრო გააძლიერა. ამ ბიჭებმა უახლოეს წლებში ორი უმიშვნელოვანესი ტურნირი უნდა ითამაშონ, მოგვიანებით კი ეროვნულ ნაკრებში დაიმკვიდრონ ადგილი. რა გასაკვირია, რომ ხელბურთის ფედერაცია ჭაბუკთა ნაკრებს, რომელსაც დიმიტრი აბესაძე თავკაცობს, გამორჩეულ ყურადღებას აქცევს. ახალგაზრდა ხელბურთელებისთვის ლამის თითოეული სავარჯიშო დღე წინასწარ გაწერილია, აღარაფერს ვამბობთ მოსამზადებელ შეკრებებზე, ამხანაგურ მატჩებზე თუ სემინარებზე, რომლებსაც ქართველ ჭაბუკებს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული გამოცდილი ექსპერტები უტარებენ.

19-წლამდელ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს 2017 წელს საქართველო უმასპინძლებს

10-20 ივლისს შეკვეთილში ქართველ ჭაბუკებს სერბმა ექსპერტმა მილან პეტრანიჯევიჩმა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარა, 1-8 აგვისტოს კი დუშეთის ოლიმპიურ ცენტრში მათ მომზადებაზე ნორვეგიელმა ექსპერტმა ბენტ დალიმ იზრუნა. სემინარებში მონაწილეობამდე ჭაბუკთა ნაკრებმა აპრილში მინსკში მოსამზადებელი შეკრება გაიარა და ბელარუს თანატოლებთან ამხანაგური მატჩები გამართა. აგვისტოს მეორე ნახევარში კი აბესაძის შეგირდები უნგრეთის ქალაქ ვეშპრიმს ესტუმრნენ და საერთაშორისო ტურნირზე ითამაშეს. თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ფესტივალისთვის ემზადება გოგონათა ნაკრებიც, რომელსაც ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქართველი გოგონების გასაწვრთნელად უკრაინიდან მოიწვიეს გამოცდილი მაია კარბუნარი. სემინარი გოგონებსაც ჩაუტარდათ, 13-16 სექტემბერს თბილისს უნგრელი ექსპერტი პეტერ კოვაჩი სტუმრობდა, ვინც

ეს გუნდი ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება

ჩვენ ხელბურთელებს გამოცდილება გაუზიარა და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარა. გოგონათა ნაკრებმა ორი საერთაშორისო ტურნირი მოილია და ამხანაგური მატჩებიც გამართა. გოგონები ჯერ აზერბაიჯანს, მოგვიანებით კი სომხეთს სტუმრობდნენ.

სემინარები

ხელბურთის ფედერაციამ წლის განმავლობაში 7 სასწავლო სემინარი ჩაატარა. „სკოლის ხელბურთის“ პროგრამის ფარგლებში ოთხი სემინარი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 300-მდე სპორტის მასწავლებელმა, მოსწავლემ, მსაჯმა და პლაჟის ხელბურთის მწვრთნელმა. სემინარები ევროპიდან მოწვეულმა გამოცდილმა ექსპერტებმა – ფრანტიშეკ ტაბორსკიმ, შანდორ ანდორკამ, პიტერ კოვაჩმა, ანდრე ჯავორსკიმ, ბურაკ ტეშანმა და ჯოანა ბრემერიმ ჩაატარეს. მსგავსი სემინარები ქართული ხელბურთის განვითარებისთვის აუცილებელია, რადგან მწვრთნელთა, მსაჯთა და მოთამაშეთა კვალიფიკაციის კუთხით ჯერაც სერიოზული პრობლემები გვაქვს, რომლის გადასაჭრელადაც ევროპული გამოცდილების მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საქართველო – ფინეთი 26:19

მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოში

2017 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დოჰაში გამართულ კონგრესზე, 27 ოქტომბერს. კანდიდატი ორი იყო – საქართველო და ხორვატია. კონგრესმა მოიწონა ხელბურთის ფედერაციის განაცხადი, რომლის მიხედვითაც 19-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს ოთხ ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და თელავში. დაგეგმილია სამი ახალი, თანამედროვე სტანდარტის სპორტის სასახლის მშენებლობა თელავში, ქუთაისში და ბათუმში, რასაც მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა. შეჯიბრება 2017 წლის აგვისტოში უნდა გაიმართოს. ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში 24 გუნდი მონაწილეობს, საქართველო, როგორც ტურნირის მასპინძელი, შეჯიბრებაში შესრჩევი ტურნირის გარეშე ჩაებმება. 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი 2005 წლიდან იმართება. დღემდე 5 ჩემპიონატი ყატარში, ბაჰრეინში, ტუნისში, არგენტინასა და უნგრეთში ჩატარდა. დოჰაში ქართულ დელეგაციას წარადგენდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

***ზურაბ კაკაბაძე:** „მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი სამმა ქვეყანამ გამოთქვა – სამხრეთ კორეამ, ხორვატიამ და საქართველომ. პირველი განხილვის შემდეგ, საერთაშორისო ფედერაციამ კორეას უარი უთხრა და დავრჩით ჩვენ და ხორვატები. საბოლოო გადაწყვეტილება დოჰაში გამართულ კონგრესზე მიიღეს. ბოლო მომენტში ხორვატიამ კანდიდატურა მოხსნა, საქართველომ კი ყველა ქვეყნისგან ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. მასპინძლის სტატუსის მოპოვებამდე გრძელი, შრომატევადი გზა გავიარეთ, ვიმუშავეთ საერთაშორისო ფედერაციასთან, მივიღეთ დიდი მხარდაჭერა სახელმწიფოსგან და კონგრესზე საკმაოდ შთამბეჭდავი პრეზენტაციით წარვდეგით. ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო. თბილისში 2015 წლის ფესტივალის ფარგლებში ხელბურთის მოედანი შენდება და დედაქალაქში ეს პრობლემა მოიხსნება. ქუთაისში, ბათუმში და თელავში კი ახალი არენები იქნება ასაგები. ცხადია, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე*

ზურაბ კაკაბაძე

ვერაფერს გავხდებით. კონკრეტულ სამოქმედო გეგმას საერთაშორისო ფედერაციასთან კონსულტაციის და მთავრობასთან ერთობლივი მუშაობით შევიმუშავებთ. მსოფლიოს ჩემპიონატის საქართველოში ჩატარება ხელბურთის ფედერაციისთვის უდიდესი გამოწვევა და სტიმულია, მაგრამ თავს ვერ მოვიტყუებთ – ჯერაც ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი, საკლუბო ხელბურთში მძიმე ვითარებაა და ნელ-ნელა უნდა დავლაგდეთ. რამდენიმე წლის წინ ჩემპიონატის ჩატარებაც კი პრობლემა იყო და ხშირად ოთხი გუნდიც ვერ გროვდებოდა. ახლა საქართველოს პირველობას მეტნაკლებად ძლიერი 8 გუნდი თამაშობს. სერიოზულად ვმუშაობთ მწვრთნელთა, მოთამაშეთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. წლის განმავლობაში ცხრა სემინარი ჩატარდა, სადაც წამყვანი სახელბურთო ქვეყნის სპეციალისტებმა და საერთაშორისო ფედერაციიდან მოწვეულმა ექსპერტებმა ჩვენს მწვრთნელ-ხელბურთელებს ფასდაუდებელი გამოცდილება გაუზიარეს. სამწუხაროდ, დაკარგული ძალიან ბევრი გვაქვს, განვითარებულ ქვეყნებს საგრძნობლად ჩამოვრჩებით და საერთო სურათის შეცვლას დაუღალავი შრომა და სწორი სტრატეგიის შერჩევა სჭირდება. 2015 წლის ჭაბუკთა ფესტივალმა და 2017 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობამ ქართულ ხელბურთში სასიკეთო გარდატეხა უნდა შეიტანოს.“

ნიკა კოპაძე

GEORGIA WILL HOST HANDBALL YOUTH WORLD CUP

Interesting events are happening in Georgian handball. The Georgian national handball team has engaged in the qualification tournament of the 2015 World Men's Handball Championship after the three year-long break. Georgian handball team fought in the group with the teams of Lithuania, Turkey and Finland. Only one team winner in the group passes to the next round to fight for the ticket to the final stage. Qatar will play host to the world championship. Thus, Georgian team had to fight hard for winning a ticket to the championship.

The Georgian team conducted the first match in Lithuania and lost it 17:23. However, the team convincingly won (26:19) the second match in Tbilisi against the Finnish team. The Georgian national team will play the remainder games next year.

In 2017, Georgia will play host to the Handball Men's Youth World Championship. The decision was made by the International Handball Federation (IHF) at its congress in Doha on October 27. Two candidates Georgia and Croatia were competing for the right to host the championship. IHF congress, however, favored the proposal by Georgian Handball Federation according to which the competition for men's national handball teams under-19 to be held in four cities such as Tbilisi, Kutaisi, Batumi and Telavi. The construction of three additional modern sport arenas is planned in Kutaisi (capacity 3500), Batumi (capacity 5500) and Telavi (capacity 2000) under the auspices of Georgian government. The tournament will take place in August 2017.

As many as 24 teams will participate in the Youth World Championship. Georgia, as the host country, will engage in the tournament without participation in the qualification stage. The IHF Men's U-19 Youth World Championship is the official competition for men's national handball teams under-19. It has been organized by the International Handball Federation since 2005. It takes place every two years. So far, five championships have been conducted in Qatar, Bahrain, Tunisia, Argentina and Hungary. The Georgian delegation in Doha was represented by Zurab Kakabadze, president of Georgian Handball Federation, Ketevan Koberidze, GHF secretary general, and Emzar Zenaishvili, secretary general to the Georgian National Olympic Committee.

Zurab Kakabadze said, "Three counties Croatia, South Korea and Georgia expressed wish to play host to the U-19 world championship. After the first review IHF declined proposal of South Korea and left two candidates – Georgia and Croatia. The final decision was made at the IHF congress in Doha. Croatia withdrew its bid at the very last moment while Georgia got unanimous support from all the member countries. We worked hard to gain this support from IHF. We interacted proactively with IHF before, received support from our government and appeared at the congress with impressive presentation about Georgia's potential to host the championship. These efforts brought the respective result. The hosting of 2015 European youth Olympic festival and 2017 Youth World Championship are expected to make positive change in Georgian handball."

NIKA KOPADZE



ბაზაძემ ოქროს უჩხვლიტა

ფარიკაობას ქართულ სპორტში ყოველთვის საპატიო ადგილი ეკავა. ჩვენი მუშკეტერები ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიურ თამაშებზე ნებისმიერ მეტოქეს ტოლ-სწორად ეპაექრებოდნენ და სხვადასხვა ხარისხის მედლებს იგებდნენ. დამოუკიდებლობის შემდეგ ვითარება შეიცვალა და გაჭირვებამ თავისი ხელი ფარიკაობასაც დაატყო – დრო იყო, შედეგებს ვინ ჩივის, შეჯიბრებებზე გამგზავრებაც სირთულეს წარმოადგენდა. თუმცა, ნელ-ნელა საერთო სურათი შეიცვალა, მოფარიკავეებმა თვალებში გამოიხედეს და ქომაგის გახარებაც დაიწყეს. ახალგაზრდა მუშკეტერმა სანდრო ბაზაძემ ჯერ იყო, ახალგაზრდულ ევროპირველობაზე ბრინჯაო ირგუნა, წლეულს კი სულაც ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიგო.

მარტის დასაწყისში უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. 19 წლის სანდრო ბაზაძემ ხმლით მოფარიკავეთა შორის ოქროს მედალი არავის დაუთმო და ქართული ფარიკაობის ისტორიაში პირველი გახდა, ვინც ახალგაზრდებს შორის კონტინენტის პირველობა მოიპოვა. ბაზაძემ ჯგუფში ხუთ მეტოქეს სძლია, ერთი შეხვედრა წააგო, ფლეი-ოფში კი ზედიზედ ოთხი მოწინააღმდეგე დაამარცხა და ფინალში გავიდა. ნახევარფინალში ქართველმა მოფარიკავემ ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი, რუსი კამირ იბრაგიმოვი 15:10 დაამარცხა. ფინალში სანდრო ბაზაძის მეტოქე უკრაინელი კონსტანტინ ვორონოვი გახლდათ. როცა ანგარიში 10:12 იყო მეტოქის სასარგებლოდ, ბაზაძემ მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა, რის გამოც ქულა ვორონოვს მიენიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მოფარიკავე 11:14-ს აგებდა, საბოლოოდ გამარჯვება მაინც მას დარჩა – 15:14.

სანდრო ბაზაძე: „ბუდაპეშტში თავი მოიყარა სხვადასხვა ქვეყნის 76-მა მოხმალავემ. ჯგუფში ყველა შეხვედრა მოვიგე და პლეი-ოფში გავედი, სადაც უნგრელი მარტინ სინგერი და ბელორუსი სიარჰეი კისელსი იოლად დავამარცხე. შემდეგ რუსი სპორტსმენები – ვიაჩესლავ ისკანდეროვი და კამილ იბრაგიმოვი ჩამოვიშორე, უკრაინელ ვორონოვთან გადამწყვეტ პაექრობაში მსაჯმა ორთაბრძოლის ადრე დაწყების მცდელობისთვის ორი ქულით დამაჯარიმა. ამის მიუხედავად, შევძელი ძალების მობილიზება და წარმატებას მივაღწიე. შეხვედრის დასრულების შემდეგ უბედნიერესი ვიყავი. ჩემპიონობა პირველმა მამამ მომილოცა, რომელიც იქვე, საფარიკაო ბილიკთან იდგა, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ჩვენი სიხარული ევროპის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა, ჩეხმა ფრანტიშეკ იანდამ და სახელოვანმა უნგრელმა მოფარიკავემ, ენო კამუტიმაც გაიზიარეს და ოქროს მედალი მოგვილოცეს“.

სანდრო ბაზაძის გარდა კონტინენტის პირველობაზე ძალები კიდევ ორმა ქართველმა მოხმალავემ მოსინჯა: მიხეილ მარდალეიშვილი ჯგუფიდან გავიდა, მაგრამ ფლეი-ოფის პირველ წრეში გერმანელ რუვენ რედვანზთან დამარცხდა. ასევე 1/16 ფინალში მოეცარა ხელი საბა სულამანიძეს.

აპრილის დასაწყისში ხორვატიის ქალაქ პორეცში კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობა ჩატარდა. სანდრო ბაზაძემ და მიხეილ მარდალეიშვილმა ხმლით ორთაბრძოლებში შესანიშნავად განვლეს შესარჩევი ეტაპი და ჯგუფში ექვს-ექვსი შეხვედრა მოიგეს. პლეი-ოფში პირველ ნომრად განთესილმა მიხეილ მარდალეიშვილმა ბელარუს სიარხეი კისელს 15:11 სძლია, მაგრამ მერვედფინალში ჩინელ ჟონთან დაძაბული პაექრობა 14:15 დათმო და შეჯიბრებას გამოეთიშა. უფრო შორს წასვლა მოახერხა სანდრო ბაზაძემ. ჯერ ვენესუელელი ხესუს კარვახალი ჩამოიშორა 15:8, მერე გერმანელ რიჩარდ ჰუბერს აჯობა იოლად – 15:6. ბაზაძეს მედლამდე ნაბიჯი რჩებოდა. მეტიც, უნგრელ ანდრაშ ზატმარისთან შეხვედრას 9:8-ს იგებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ანგარიში გათანაბრდა (10:10), ჩვენებურმა რამდენჯერმე მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა, რის გამოც ორჯერ საჯარიმო ქულებით დაისაჯა, საბოლოოდ მობილიზებაც ვერ შეძლო 11:15 დამარცხდა და მე-5 ადგილი დაიკავა.

5-12 აგვისტოს უნგრეთმა უფროსი ასაკის მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლა. საქართველოს ნაკრების ლიდერმა სანდრო ბაზაძემ გამოცდილ მეტოქეებთან ჭიდილში ღირსეულად იბრძოლა, ჯგუფურ ეტაპზე ექვსიდან ხუთი დაპირისპირება მოიგო და პლეი-ოფის ორი ეტაპიც გაიარა, მაგრამ 1/8 ფინალში მაქს ჰარტუნგთან 11:15 დამარცხდა და საბოლოოდ მე-16 ადგილს დასჯერდა.

ალექსანდრე მაისაშვილი

5 მარტი; უნგრეთი, ბუდაპეშტი
სანდრო ბაზაძის გზა ოქროს მედლამდე

ჯგუფი. სანდრო ბაზაძე –
ალესანდრო რიკარდო (იტალია) – 5:4
სანდრო ბაზაძე – პანჩო პაშკოვი (ბულგარეთი) – 5:2
სანდრო ბაზაძე – სებასტიან ბრიგსტრუპი (დანია) – 5:2
სანდრო ბაზაძე – საბირ ზეინალოვი (აზერბაიჯანი) – 5:2
სანდრო ბაზაძე – იაკუბ ოჩუნსკი (პოლონეთი) – 5:2
სანდრო ბაზაძე – ანტონ დავიდენკო (ბელარუსი) – 3:5
1/16 ფინალი. სანდრო ბაზაძე – მარტინ ზინგერი (უნგრეთი) – 15:7
1/8 ფინალი. სანდრო ბაზაძე – სერჰეი კისელი (ბელარუსი) – 15:4
1/4 ფინალი. სანდრო ბაზაძე – ვიაჩესლავ ისკანდაროვი (რუსეთი) – 15:10
1/2 ფინალი. სანდრო ბაზაძე – კამილ იბრაგიმოვი (რუსეთი) – 15:10
ფინალი. სანდრო ბაზაძე – კონსტანტინ ვორონოვი (უკრაინა) – 15:14

BAZADZE HIT THE GOLD

Budapest (Hungary) played host to the European youth championship in fencing in early March. 19-year Sandro Bazadze won gold medal in saber individuals. He has become the first in the history of Georgian fencing winner of European youth championship. Bazadze beat five contestants in a group and lost only one duel. He managed to beat consequently four contenders in play-off and passed to the final. The Georgian fencer beat 15:10 the world champion among the youth Kamir Ibragimov (Russia). Bazadze fought Konstantin Voronov (Ukraine) in the final duel. When the score was 10:12 to the contender's advantage, Bazadze appealed against the decision of the referee, which gave a score to Voronov. Despite the Georgian fencer was losing the duel 11:14 he managed to reverse the situation to his advantage and finally won with a minimal margin of 15:14.

Said Sandro Bazadze, "The tournament in Budapest gathered some 76 fencers from different countries. I won most of duels in the qualifier group and passed to play-off where Martin Singer (Hungary) and Siarhey Kisels (Belarus) were my contenders. I beat both of them easily. Then I defeated fencers from Russia Vyacheslav Iskanderov and Kamil Ibragimov. In the final duel against Voronov (Ukraine) referee penalized me with two penalty points for starting the duel ahead of time. Despite the problems I managed to mobilize all my strengths and won. I was the happiest man in the world after the end of the duel. My father who was standing nearby as chief coach of the national team was the first who congratulated me on the victory. President of European Federation of Fencing Frantisek Yanda and the famous Hungarian fencer Eno Kamuti shared our happiness and congratulated on the gold medal.~

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

დრო ცოტაა, საქმე – ბევრი

2010 წლის მიწურულს, ბელგრადში, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე, ქართული სპორტისთვის უმნიშვნელოვანესი, საჭირო და მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ევროპულმა ოლიმპიურმა ოჯახმა მხარი დაუჭირა თბილისში კონტინენტის ახალგაზრდული ფესტივალის ჩატარებას. სპორტის მაშინდელმა მოხელეებმა ეს სასიხარულო მოვლენა ქართული სპორტის ევროკავშირში გაწევრიანებადაც კი მონათლეს.

ფესტივალის მასპინძლობა, რა თქმა უნდა, მძლავრი სტიმულია ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის, ტალანტების მოძიებისთვის, ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის, თბილისში სპორტული ბაზების განახლება-მოდერნიზებისთვის. ამავე დროს, ასეთი მასშტაბური ახალგაზრდული სპორტული ფორუმის მასპინძლობა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საქმეა.

ფესტივალამდე 19 თვით ადრე, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ინფრასტრუქტურის აშენება-მოწესრიგების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ცაიტნოტური ვითარებაა. ოლიმპიური სოფლის მშენებლობა გრაფიკის მიხედვით კი მიმდინარეობს, მაგრამ უშუალოდ სპორტული არენების მშენებლობა-რეკონსტრუქცია ჭიანურდება. ერთი შეხედვით დრო საკმარისია, მაგრამ ეს წელიწადნახევარიც ზამთრის თოვლივით ჩაგვადნება ხელში. ამიტომაც, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ამ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებას სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ.

საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, სეოკ-ის ოფისში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა თუ „თბილისი 2015"-ის შტაბში სისტემატიურად იმართება სამუშაო შეხვედრები, სადაც დეტალურად განიხილება ინფრასტრუქტურული და ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის სხვა საჭირბოროტო საკითხები. ნოემბრის ბოლოს რომში, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების 42-ე გენერალური ასამბლეაზე „თბილისი 2015"-ის ანგარიში მოისმინეს.

პერიოდულად, თბილისში ევროპელი კომისრები ჩამოდიან და მზადების პროცესს აკვირდებიან. ახლახანს, სულაც ეოკ-ის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი და ფესტივალების კომისიის თავმჯდომარე გვიდო დე ბონდი გვსტუმრობდნენ. „ვიზიტი ფარგლებში, ქვეყნის პრემიერ მინისტრთან და სხვა მაღალი რანგის ხელმძღვანელებთან საინტერესო შეხვედრები გვქონდა. „თბილისი 2015"-ის მზადების კუთხით ჩვენ კარგად ვხედავთ თქვენს დიდ ძალისხმევასა და ყურადღებას. იმედია, ყველა მხარე კარგად აცნობიერებს ჩვენს გზავნილს, რომ აუცილებელია გვერდზე გადაიდოს ყველანაირი პოლიტიკური შეხედულებები, რათა თბილისი და მთლიანად საქართველო მომავალ თამაშებზე დადებითად წარმოჩნდეს" – აღნიშნა პატრიკ ჰიკმა.

მოკლედ, 2015 წელს თბილისს ცხელი სპორტული ზაფხული ელის და ამავდროულად სერიოზული გამოცდის წინაშე დგას. მსგავსი მასშტაბის სპორტული ფორუმი ხომ საქართველოში აქამდე არასოდეს გამართულა.

კახა ბერიძე

საქართველო უტრეხტში

8 მედალი, საუკეთესო შედეგი

„ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი საკუთარი შვილივით მიყვარს. იგი დიდი ოლიმპიური ოჯახის უმნიშვნელოვანი მონაპოვარია. ცხოვრებაში თუ რამ კარგი გამიკეთებია, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო ამ სპორტული ფორუმის დაარსებაში მონაწილეობის მიღება იყო“ – ეს სიტყვები ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს პატრიკ ჰიკს ეკუთვნის. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და იგივე სიტყვები სპორტის ირლანდიელმა მაღალჩინოსანმა ნოემბერში თბილისში ვიზიტის დროსაც გაიმეორა.

2013 წლის 14-19 ივლისს, უტრეხტში ნორჩი ევროპელი ათლეტები ყველაზე მასშტაბურ კონტინენტურ სპორტულ ღონისძიებაში საასპარეზოდ მეთორმეტედ შეიკრიბნენ. ჰოლანდიის სიდიდით მესამე ქალაქში სპორტის 9 სახეობაში (კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ძიუდო, ჩოგბურთი, სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი) მოასპარეზე 49 ქვეყნის 2500-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. ტიტების ქვეყანაში საქართველო ძიუდოში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ცურვასა და ჩოგბურთში 27 ათლეტით წარსდგა.

უტრეხტის საფეხბურთო სტადიონზე გამართული გახსნის ცერემონიალი მართლაც ლამაზი სანახავი გამოდგა და მონაწილეებს მცირედით მაინც დააავიწყა ის პრობლემები, რაც თამაშებს ორგანიზაციული კუთხით თან სდევდა. ფესტივალი ოფიციალურად გახსნილად ნიდერლანდების მეფემ უილემ-ალექსანდრემ გამოაცხადა, მანამდე კი სპოსრტმენებს სოკ-ისა და ეოკ-ის პრეზიდენტებმა მიმართეს და წარმატებები უსურვეს. გახსნის ცერემონიალზე ჩვენი გუნდის მედროშე იმ მომენტისთვის უკვე ევროპის ჩემპიონი, ძიუდოისტი მარიამ ჯანაშვილი გახლდათ, რომელმაც უტრეხტის ფესტივალზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. „მე დღეს ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი“ – ცრემლნარევი თვალებით გვითხრა მოგვიანებით მარიამ ჯანაშვილმა. ქართველი ძიუდოისტი გოგონასთვის ოქროს მედალი მართლაც ალალი იქნებოდა. მან მთელი ტურნირი მხრის ტრამვით ჩაატარა და ნახევარფინალამდეც მივიდა, სადაც ფრანგ მეტოქესთან სწორედ აუტანელი ტკივილის გამო დამარცხდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამაშებში ძალები 27-მა ქართველმა სპორტსმენმა მოსინჯა. სამწუხაროდ, კვლავ არ გვყავდა გუნდი სპორტის სათამაშო სახეობაში. უტრეხტამდე გამართულ ფესტივალებზე საქართველოს 50 მედალი ჰქონდა მოპოვებული, რომელთაგან 45 ძიუდოისტების ანგარიშზეა და რა გასაკვირია, რომ ამჯერადაც ჩვენს მთავარ დამრტყმელ ძალას სწორედ კიმონოისტები წარმოადგენდნენ. მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის ირაკლი ცირეკიძის გაწვრთნილებმა უტრეხტში გაშლილ ტატამზე მართლაც რომ შთამბეჭდავად იასპარეზეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ერეკლე არხოზაშვილი (55კგ) და გიორგი კაციაშვილი (60კგ), ვერცხლის მედლები მოიპოვეს გიორგი ძებისაშვილმა (მძიმე წონა), იესო კვირიკაშვილმა (81კგ) და თამაზ კირაკოზაშვილმა (73კგ), ხოლო ბრინჯაო ხვდა წილად სიმონ მამარდაშვილს (66კგ).

თუ ძიუდოში წარმატებებს შეჩვეულნი ვართ, ჩოგბურთში მედლები იშვიათი ამბავია. 2007 წელს, ბელგრადში ეკატერინე გორგიძემ ფინალამდე გააღწია და იქ დამარცხდა, ხოლო შერეულ წყვილთა თანრიგში გიორგი ხმიადაშვილთან ერთად სულაც გაიმარჯვა. ეს იყო ერთადერთი წარმატება რითიც სპორტის ამ სამეფო სახეობაში თავს ვიწონებდით. სასიხარულოა, რომ უტრეხტში საქართველო მხოლოდ ძიუდოისტთა მედლებით არ დაკმაყოფილებულა და მათ მხარი ჩოგბურთელებმაც აუბეს. მარიამ ბოლქვაძემ და ანა ახალკაცმა წყვილებში ბრინჯაო მედლები დაისაკუთრეს. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მათ რუს მეტოქეებს აჯობეს.

გაცილებით მეტს ველოდით მძლეოსნებისგან. აქამდე ამ სახეობაში სამი მედალი გვქონდა მოპოვებული და გვეიმედებოდა,

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

უტრეხტი. 13-20 ივლისი, 2013

ძიუდო

ერეკლე არხოზაშვილი (55კგ) – ოქრო
გიორგი კაციაშვილი (60კგ) – ოქრო
თამაზ კირაკოზაშვილი (73კგ) – ვერცხლი
იესო კვირიკაშვილი (81კგ) – ვერცხლი
გიორგი ძებისაშვილი (+90კგ) – ვერცხლი
სიმონ მამარდაშვილი (66კგ) – ბრინჯაო
მარიამ ჯანაშვილი (52კგ) – ბრინჯაო

ჩოგბურთი
(წყვილთა თანრიგი)

ანა ახალკაცი, მარიამ გოლქვაძე – ბრინჯაო

გუნდური შედეგები

	ო	ვ	ბ	ჯ
1. რუსეთი	30	14	12	56
2. დ. ბრიტანეთი	9	14	8	31
3. საფრანგეთი	9	6	7	22
4. უნგრეთი	8	3	3	14
5. იტალია	7	3	11	21
6. გერმანია	5	8	3	16
7. ჰოლანდია	4	7	9	20
8. თურქეთი	4	2	7	13
9. პოლონეთი	4	2	1	7
10. სლოვენია	4	0	8	12
11. ესპანეთი	3	4	11	18
12. რუმინეთი	2	7	7	16
13. საქართველო	2	3	3	8
14. ირლანდია	2	2	1	5
15. შვეიცარია	2	1	0	3

რომ უტრეხტში მონაგარს გავზრდიდით. სხვადასხვა დისციპლინებში რვა ქართველმა მძლეოსანმა სცადა ბედი და მათ მიერ ნაჩვენები შედეგები საპრიზო სამეულს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. რაც შეეხება ცურვასა და ველოსპორტს, აქ მაღალ შედეგებზე ილუზია არც გვქონდა და ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა კარგი გამოცდილება მიიღეს.

ფესტივალის დახურვა ოლიმპიურ სოფელში გაიმართა და ნაკლებად პომპეზური გამოდგა. ცერემონიალს დაესწრო თბილისის მერი გიგი უგულავა და ოლიმპიური დროშა ოფიციალურად ჩაიბარა. უტრეხტშივე მოეწყო „თბილისი 2015“-ის პრეზენტაციაც.

ამრიგად, „უტრეხტი-2013“ უკვე ისტორიის კუთვნილებაა, სადაც საქართველომ თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა. აქამდე არასდროს ყოფილა, რომ ამგვარ სპორტულ ფორუმზე 8 მედალი (2 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) მოგვეპოვებინოს. ამ მაჩვენებლით საერთო გუნდურ ჩათვლაში მეცამეტე ადგილი გვერგო და უკან ჩამოვიტოვეთ ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორებიცაა: ჩეხეთი, ბელარუსი, უკრაინა, დანია, ბელგია, ხორვატია, პორტუგალია, შვედეთი და ა.შ.

უტრეხტული მონაგარი დადებითად შეაფასა სეოკ-ის ხელმძღვანელობამ. „ნაჩვენები შედეგით კმაყოფილნი ვართ. 8 მედალი და მე-13 გუნდური ადგილი ევროპაში ურიგო მაჩვენებელი არ არის. ერთ სიამოვნებად ღირდა ჩვენი ძიუდოისტების ჭიდაობის ყურება, გაგვახარეს ჩოგბურთელებმაც. იმედი მაქვს, მომავალი ფესტივალი, რომელსაც 2015 წელს საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს, კიდევ უფრო უხვმოსავლიანი იქნება“ – აღნიშნა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.

2015 წელს, თბილისში შეხვედრამდე

კახა გერიძე

ევროპა თბილისში ჩამოვა

ალმოსავლური ორთაბრძოლების წარმომადგენლებს ყოველმხრივ წარმატებული სეზონი გამოუვიდათ – ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე არაერთი მედალი დაისაკუთრეს და, ამას გარდა, 2016 წელს კარატისტთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებაც მოიპოვეს. საქართველოში კარატეს განვითარების და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ასეთი მასშტაბური ტურნირის მასპინძლობა დამატებითი ბიძგის მიმცემი გახდება.

5–7 აპრილს, თურქეთის ქალაქ სტამბულში შოტოკანის მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც 45 ქვეყნის 3000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. მსოფლიოს პირველობაზე ქართველი კარატისტებიც გამოვიდნენ და სამივე სინჯის მედალი დაისაკუთრეს. მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ირაკლი ტყებუჩავა (67 კგ) და გოგიტა არქანია (84 კგ), ბრინჯაოს მედლები კი დავით ტყებუჩავამ (60 კგ) და გიორგი ჯიქიამ (67 კგ) აიღეს. ქართველმა სპორტსმენებმა გუნდურ პირველობაშიც იყოჩაღეს და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს ღირსება დაიცვეს გოგიტა არქანიამ, დავით და ირაკლი ტყებუჩავებმა.

1-2 ივნისს შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში კარატისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. საქართველოს კარატისტთა ნაკრები (კონტაქტური კარატეს, შინკიოკუშინკაის ვერსიით), ევროპირველობაზე წარმატებით გამოვიდა და 4 მედალი მოიპოვა. საინტერესოა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე სრული შემადგენლობით წარსდგა, რაც ბოლო 8 წლის განმავლობაში, არ მომხდარა. ამას გარდა, ევროპირველობაში საქართველოს ქალთა ნაკრების წევრები – თამარ ბიბილეიშვილი და სალომე კვალიაშვილიც გამოვიდნენ. ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ ფედერაციის პრეზიდენტი ავთანდილ შენგელია, მთავარი მწვრთნელი ირაკლი დოლაბერიძე და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვლადიმერ შენგელია. ჩემპიონატში ევროპის 27 ქვეყნის 325-ი სპორტსმენი გამოვიდა.

ჩვენი ნაკრებისთვის გამორჩეული პირველი დღე, როცა ერთმანეთს ჭაბუკები ეჯიბრებოდნენ. 55კგ კატეგორიაში შესანიშნავად გამოვიდა საქართველოს პირველობის გამარჯვებული, ევროპის პირველობის დებიუტანტი ალექსანდრე ბიჩინაშვილი – მან ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა, რასაც კიდევ ერთი ჯილდო, ტურნირის საუკეთესო მებრძოლისათვის დაწესებული სპეციალური პრიზიც შემატა.

ეროვნულმა ნაკრებმა 3 მედალი დაისაკუთრა – ლაშა ხაჭაპურიძე (70 კგ) ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, ანდრო ზინჩენკო (+70 კგ) და ემზარ ნიქაცაძე (+90 კგ) – ბრინჯაოსი. შარშანდელისგან განსხვავებით, ჩვენი ნაკრებისთვის წლევანდელი ჩემპიონატი გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა, როგორც მედლების ხარისხით და რაოდენობით, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. გუნდი პირველად იყო სრულად აღჭურვილი კომპანია „სალერის“ ეკიპირებით.

სექტემბერში ლონდონში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე WIKF ვერსიაში გოგიტა არქანიამ კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა სპორტსმენმა 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა და ჩემპიონი გახდა. არქანიამ ამავე წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი სპორტულ კარატეში ევროპის ჩემპიონატზე დაიმსახურა. უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ჩატარებულ ევროპირველობაზე 30-მდე ქვეყნის უძლიერესი კარატისტები გამოვიდნენ. არქანიამ ბრინჯაოს მედალი უტიტულოვანეს მეტოქეებთან ჭიდილში მოიპოვა.

29 სექტემბერს სპორტკომპლექს „არენაში“ კარატეში ღია საერთაშორისო ტურნირი – „კავკასიის თასი 2013“ გაიმართა,

რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 7 ქვეყნის – ლიტვის, უკრაინის, საბერძნეთის, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა. ტურნირი, რომელიც კონტაქტური კარატეს საშეჯიბრო წესებით ჩატარდა, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებას ევროპის კარატეს ორგანიზაციის წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები, ევროპის მსაჯთა წარმომადგენლობა, ფედერაციების პრეზიდენტები, ასევე ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ტურნირზე ქართველმა სპორტსმენებმა ჯამში 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდური ტურნირის გამარჯვებული კი ლიტვის ნაკრები გახდა 3 ოქროსა და 2 ვერცხლის მედლით.

ტურნირის დასრულების შემდეგ, ევროპის ფედერაციის წარმომადგენლებმა თბილისის სპორტის სასახლე დაათვალიერეს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს შეხვდნენ. მხარეებმა 2016 წელს თბილისში კარატეს ევროპის ჩემპიონატის ჩატარების პერსპექტივები განიხილეს და ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

4-5 ოქტომბერს, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, კარატეში კერძოდ კი კიოკუშინკაი ვერსიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. მსოფლიოს პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობას 30-მდე ქვეყნის სპორტსმენები იღებდნენ ქართულ დელეგაციას ვერცხლის მედალი ანდრო ზინჩენკომ (65 კგ) მოუტანა.

ნოემბერში რუმინეთის ქალაქ ორადეაში ახალგაზრდა კარატისტებს შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც საქართველოს 22-წლამდელ კარატისტთა ნაკრებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. შეჯიბრებაზე, რომელშიც ევროპის 22 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, ჩვენი ნაკრები 7 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. დელეგაციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელ-ინსტრუქტორი კარატეში ირაკლი დოლაბერიძე ხელმძღვანელობდა. 65კგ წონით კატეგორიაში, ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთს საქართველოს ნაკრების წევრები შეხვდნენ – ანდრეი ზინჩენკომ სერგო მოვსესიანი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 80კგ წონით კატეგორიაში კი ლაშა ოზბეთელაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.

ალექსანდრე მაისაშვილი

TBILISI WILL HOST EUROPE-2016 IN KARATE

This season was quite successful for the Georgian representatives of oriental martial arts. They won several medals at European and world championships and simultaneously gained the right to host European Karate championship – 2016. The hosting such important international tournament will be an additional impetus for development of Karate in Georgia and for popularization of a healthy lifestyle in general.

The 4th world Shotokan Karate championship was held in Istanbul (Turkey) for April 5-7. The championship gathered more than 3000 entrants from 45 countries, including Georgians. The Georgian karatekas won all three types of medals. Irakli Tkebuchava (67 kg) and Gogita Arkania (84 kg) became world champions. David Tkebuchava (60 kg) and Giorgi Jikia (67kg) won bronze. The Georgian karatekas won silver in the teams' contest.

On June 1-2, Lucerne (Switzerland) played host to the European championship in Kyokushinkaikan Karate. Georgian Karate national team performed successfully and won as many as 4 medals. The first day of the tournament when juniors competed was remarkable for the Georgian team. Alexander Bichinashvili, champion of Georgia and debutant of the national team, convincingly won all duels in the 55 kg weight class and won gold medal. Additionally, he was awarded with a special prize assigned for the best fighter of the tournament. The Georgian team won three more medals. Lasha Khachapuridze (70 kg) won silver while Andro Zinchenko (+70 kg) and Emzar Nikatsadze (+90kg) took bronze. At the WIKF world championship in London in September Gogita Arkania won a gold medal in 84 kg weight class having beaten all contenders.

On September 29, Open International Tournament "Caucasus Cup – 2013" was held in the "Arena" sport hall. The tournament gathered teams from Lithuania, Ukraine, Greece, Kazakhstan, Armenia, Azerbaijan and Georgia. Georgian karatekas won 1 gold, 2 silver and 6 bronze medals at this tournament. After the end of the tournament representatives of European Karate Federation visited Tbilisi Sport Palace and met officials from Georgian Ministry of Sports and Youth Affairs. The parties discussed prospects of conducting European Karate championship in Tbilisi in 2016. They unanimously supported Tbilisi as host of the European Karate championship 2016.

On October 4-5, Sophia (Bulgaria) played host to the world championship in Kyokushinkaikan Karate which gathered entrants from 30 countries. Andro Zinchenko (65 kg) from Georgian delegation gained silver medal.

ALEXANDER MAISASHVILI

ლუტიძემ მსოფლიო გადაძალა

32 მედალი – ასეთია ქართველ მკლავჭიდელთა მონაგარი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ცხადია, აქ ასაკობრივი ნაკრებების შედეგებიც შედის, თუმცა ეს რიცხვი მაინც შთამბეჭდავია. უფროსებში მოპოვებული მედლები თავისთავად და, ახალგაზრდა მკლავჭიდელთა ოქრო-ვერცხლიც არანაკლებ ფასობს – დრო გავა და ახალი თაობა თავის სიტყვას ეროვნული ნაკრების სახელით იტყვის. განვლილი სეზონის გამორჩეული ამბავი კი მაინც რევაზ ლუტიძის მსოფლიოს ჩემპიონობაა – ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში მისი გამჩერებელი ვერავინ გამოჩნდა.

5-12 მაისს ლიტვის დედაქალაქმა ვილნიუსმა მკლავჭიდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების წევრებმა შესაშური შედეგიანობა გამოავლინეს და ჯამში 18 მედალი აიღეს. უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის ოქროს მედალი ალექსი აბუთიძემ (70 კგ, მარჯვენა) მოიპოვა, ვერცხლის მედლები კი გელა არაბულმა (60 კგ, მარცხენა) და ვილენ გაბრავამ (65 კგ, მარჯვენა) დაისაკუთრეს. ბრინჯაოს მედლები ერგოთ ალექსი ფრეწუაშვილს (60 კგ, მარჯვენა), ვილენ გაბრავას (65 კგ, მარცხენა), კობა მამამთავრიშვილს (70 კგ, მარჯვენა), ზაზა თაბაგარს (75 კგ, მარჯვენა) და რაჩო გახარიას (100 კგ, მარჯვენა).

ახალგაზრდებში ნიკოლოზ წერეთელი (65 კგ, მარცხენა) ჩემპიონი გახდა, მეორე ხელით კი ბრინჯაო მოიგო. იმედა ჭინჭარაულმა (55 კგ, მარცხენა-მარჯვენა) ორი ვერცხლი ირგუნა, ვახტანგ ბერიძემ (80 კგ, მარჯვენა) ბრინჯაო არავის დაუთმო. ჭაბუკებში ვალერი მელაძემ (80 კგ, მარცხენა-მარჯვენა) ორივე ხელით იჩემპიონა, გურამ აბულაშვილმაც (65 კგ, მარცხენა) ოქროს მედალი მიიღო, მარჯვენათი კი – ვერცხლისა. საქართველოს ნაკრებს ერთი ბრინჯაოს მედალი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე სპორტსმენთა შეჯიბრებაში ბესიკ ლეკიაშვილმა მოუტანა.

1-8 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ გდანსკში მკლავჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც 49 ქვეყნის 1000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრების მკლავჭიდელები წარმატებით გამოვიდნენ და სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 15 მედალი მოიპოვეს. უფროსებს შორის ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული რევაზ ლუტიძემ მოიპოვა (მარჯვენა), რომელმაც 9 შეხვედრა მოიგო. ლუტიძემ უძლიერესი ამერიკელი, რუსი, უკრაინელი, კანადელი და სლოვაკი მკლავჭიდელები დაამარცხა, ფინალში კი ბელარუს სპორტსმენს სძლია.

დიდებს შორის ქართველმა მკლავჭიდელებმა კიდევ 5 მედალი მოიპოვეს – ვერცხლს გიორგი თვალიაშვილი (85 კგ, მარჯვენა) და ირაკლი გამთენაძე (90 კგ, მარჯვენა) დაეუფლნენ, ბრინჯაოსნები კი ვასილ დაუთაშვილი (100 კგ, მარჯვენა), ჯაბა გეთიაშვილი (80 კგ, მარცხენა) და რევაზ ლუტიძე (+110 კგ, მარცხენა) გახდნენ.

ქართველი მკლავჭიდელები კიდევ უფრო შედეგიანად ასაკობრივ კატეგორიებში გამოვიდნენ და ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის 3-3 ოქროს მედალი მოიგეს. ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ იმედა ჭინჭარაული (55 კგ. მარცხენა-მარჯვენა) და ნიკოლოზ წერეთელი (65 კგ, მარჯვენა), ჭაბუკებს შორის კი ყველას გურამ აბულაშვილმა (65 კგ, მარჯვენა-მარცხენა) და ვალერი მელაძემ (80 კგ, მარჯვენა) აჯობეს. ახალგაზრდებში ბრინჯაო მერაბ კაკაბაძემ (80 კგ, მარცხენა) ირგუნა, ჭაბუკებში ელჩინ ბინატოვმა (80 კგ, მარჯვენა) კი ფინალური ორთაბრძოლა დათმო. შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე სპორტსმენთა შეჯიბრებაში ბესიკ ლეკიაშვილმა ამჯერადაც იყოჩაღა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

***რევაზ ლუტიძე** (მსოფლიოს ჩემპიონი): „მთლიანობაში ცხრა შეხვედრა ჩავატარე, საკმაოდ რთული ორთაბრძოლების გამართვა მომიხდა. ცოტა უცნაურია, მაგრამ შედარებით დიდი წინააღმდეგობა ფინალამდე შემხვდა. ოქროს მედლისთვის შეხვედრაში ბელარუს სპორტსმენს დავუპირისპირდი და შედარებით იოლად ვძლიე. დიდი მადლობა ყველას თანადგომისთვის. მსოფლიოს ჩემპიონობა მართლაც საოცარი გრძნობა ყოფილა“.*

***ერეკლე გურჩიანი** (მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი):“ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლების რაოდენობით და ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რევაზ ლუტიძის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედალი – მძიმე წონაში მოგებული ოქრო ორმაგად ფასობს, ამ წონაში თავს ყოველთვის უძლიერესი მკლავჭიდელები იყრიან და გამარჯვება ძალიან რთულია“.*

ნიკა კოპაძე

LUTIDZE IS WORLD CHAMPION

Georgian arm wrestlers of all age teams have won as many as 32 medals at the world and European championships. The achievement is truly remarkable. The time will pass and the new generation will make their say as members of the main national team. Meanwhile, the main news of the passed season is the victory won by Revaz Lutidze at the world championship. He was unbeatable in the most prestigious heavyweight class.

During May 5-12 Vilnius played host to the European championship. The strong showing of Georgia's national (adult), youth and junior teams resulted in 18 medals.

Of the senior group of sportsmen Alexander Abutidze (70 kg, right arm) won gold medal. Gela Arabuli (60 kg, left arm) and Vilen Gabrava (65 kg, right arm) won silver. Alexi Pretsuashvili (60 kg, right arm), Vilen Gabrava (65 kg, left arm), Koba Mamamtavrishvili (70 kg, right arm), Zaza Tabagari (75 kg, right arm) and Racho Gvakharia (100 kg, right arm) became bronze medalists.

City of Gdansk (Poland) hosted the world championship in arm-wrestling for 1-8 September. The championship gathered more than 1000 sportsmen from 49 countries. Georgian arm wrestlers of the different age teams performed successfully and won 15 medals. Of the senior sportsmen Revaz Lutidze (right arm) became the world champion in the most prestigious heavy weight class. He won nine contests and beat contenders from USA, Russia, Ukraine, Canada and Slovakia. In the final contest Lutidze beat the challenger from Belarus. Other Georgian arm wrestlers of the senior group won 5 medals. Giorgi Tvaliashvili (85 kg, right arm) and Irakli Gamtenadze (90 kg, right arm) won silver medal. Vasil Dautashvili (100kg, right arm), Jaba Getiashvili (80 kg left arm) and Revaz Lutidze (+100 kg, left arm) became bronze medalists.

The success of Georgian arm wrestlers in the younger age groups (youth and junior) was even more remarkable. They won as many as six medals. Imeda Chincharauli (55 kg, left and right arms) and Nikoloz Tsereteli (65 kg, right arm) became world champions among the youth. Guram Abulashvili (65 kg, left-right) and Valeri Meladze (80 kg, right arm) became world champions in the juniors' tournament.

NIKA KOPADZE

ოდიშვილი-ჯანჯღავას ახალგაზრდული ოქრო

ნოემბერში ბულგარეთის დედაქალაქმა სოფიამ ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც უფროსებთან ერთად, ახალგაზრდა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. 15-16-წლიანთა სინქრონულ ხტომებში თეონა ჯანჯღავა და ანა ოდიშვილი ჩემპიონები გახდნენ. ოდიშვილი ბოლო წლებია ასაკობრივ პირველობებზე მუდმივად ყოჩაღობს და მედლის გარეშე თითქმის არ რჩება. ხან ჩემპიონია, ხანაც უბრალოდ მედალოსანი. გამონაკლისი არც წლევანდელი მსოფლიოს პირველობა ყოფილა – ანამ და თეონა ჯანჯღავამ საკვალიფიკაციო ეტაპზე 41.800 ქულით მე-4 ადგილი დაიკავეს და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, იქ კი სხვებზე უკეთ გამოვიდნენ და 44.500 ქულით პირველობა არავის დაუთმეს. ოდიშვილმა ინდივიდუალურ ხტომებში კვალიფიკაციაში მეორე შედეგი აჩვენა, ფინალში კი 49.165 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და უმედლოდ დარჩა. ანას ბრინჯაოს მედლამდე სულ რაღაც 0.8 ქულა დააკლდა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდა ლუბა გოლოვინაც. ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილემ 90.985 ქულით 32-ე ადგილი დაიკავა, რაც, ცხადია, არ შეეფერება მის შესაძლებლობებს. ვაჟთა შორის შეჯიბრებაში ქართველი თენგიზ კოშკაძეც გამოვიდა და მე-14 ადგილზე გავიდა. კოშკაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 101.605 ქულით 24-ე ადგილი დაიკავა, ნახევარფინალში კი 56.315 ქულა დააგროვა და ფინალში შესასვლელად ქულა დააკლდა. საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში ოდიშვილი-ჯანჯღავას ოქროს წყალობით ახალ ზელანდიასთან ერთად მეათე-მეთერთმეტე ადგილი გაიყო.

European Athletics Team Championships 3rd League Tbilisi2014

ახალი არენები და ევროპის ჩემპიონატი

ქართველი მძლეოსნებისათვის 2013 წელი რამდენიმე მიმართულებით გამოდგა მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის წლის უმთავრესი მონაპოვარი ის არის, რომ ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2014 წლის 20-24 ივნისს თბილისი ევროპის გუნდურ ჩემპიონატს (მე-3 ლიგა) უმასპინძლებს, რაც საქართველოში მძლეოსნობის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას, თბილისი მასპინძლობას გაუწევს 15 ქვეყანას, 1000-ზე მეტ სტუმარს და 700-მდე სპორტსმენს. ამასთან, ევროპის ჩემპიონატი განიხილება გენერალურ რეპეტიციად თბილისში გასამართი ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის, სადაც მძლეოსნობა სპორტის სხვა 8 სახეობასთან ერთად შეტანილია ამ მასშტაბური ტურნირის პროგრამაში.

მძლეოსნობის სამომავლო განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო მძლეოსნობის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის ჰანს იორგ ვირცის და ევროპის ქვეყნების ფედერაციების პრეზიდენტების ვიზიტი საქართველოში. მნიშვნელოვან ვიზიტთა შორის ასევე გამოსარჩევია ჭოკით ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონის, 6-გზის მსოფლიო ჩემპიონის და რეკორდსმენის, ლეგენდარული უკრაინელი მძლეოსნის სერგეი ბუბკას სტუმრობაც.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის საპატიო სტუმრებმა გამართეს მაღალი რანგის შეხვედრები, ფედერაციის

პრეზიდენტ ალექსი ახვლედიანთან და თბილისის მერთან ერთად კი დიღომში მძლეოსნობის ახალი სტადიონის მშენებლობას ჩაუყარეს საფუძველი, რომელიც 4 000 მაყურებელზეა გათვლილი. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი მოედნის მშენებლობა 2015 წლისთვის დასრულდება.

2013 წლის ნოემბრიდან განახლებულ დახურულ არენაზე გადიან სავარჯიშო პროცესს საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრები. მძლეოსნობის ფედერაციის ძალისხმევით და თბილისის მერიის მხარდაჭერით კაპიტალურად შერემონტდა და სრული ინფრასტრუქტურით აღიჭურვა დიდუბეში მდებარე მძლეოსნობის სასახლე, სადაც საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის გარდა, საერთაშორისო რანგის ტურნირების ჩატარებაა შესაძლებელი. სრულად რეაბილიტირებულ მძლეოსნობის სასახლეში მთლიანად კეთილმოეწყო მთავარი დარბაზი, დამონტაჟდა ახალი სარბენი ბილიკები, მოეწყო საკონფერენციო ოთახი თანამედროვე ინვენტარით, მაღალი დონის სამედიცინოსარეაბილიტაციო პუნქტი, საცეკვაო დარბაზი, სასტუმრო 110 კაცზე, სასადილო 120 კაცზე და სატრენაჟორო დარბაზები. მძლეოსნობის ახალ სასახლეშია განთავსებული ფედერაციის ოფისიც.

რაც შეეხება სპორტულ შედეგებს, სეზონის დასაწყისში ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად ლატვიელი ლიუდმილა ოლიარა დაინიშნა, რომელსაც გრძელვადიანი გეგმები აქვს. საქართველოს ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოსა და ევროპის სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატებზე, უტრეხტში ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატები, რეგიონული ტურნირები, ასევე ტრადიციულად ჩატარდა მსოფლიოს მძლეოსნობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ცალკე აღსანიშნავია ეროვნული ნაკრების წევრების ინდივიდუალური წარმატება 22-23 ივლისს სლოვაკეთის ქალაქ ბანსკა ბისტრიცაში ჩატარებულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე (მე-3 ლიგა), სადაც საქართველომ 15 გუნდს შორის მე-7 ადგილი დაიკავა 338 ქულით. ეროვნული გუნდის წევრებმა მოიპოვეს 5 პირველი ადგილი (სალომე რიგიშვილი – ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა; ზურაბ გოგოჭური – სიმაღლეზე ხტომა; დავით ილარიანი – 110 მ. თარჯრბენი; ესტაფეტა 4/400 მეტრზე, ბიჭები), 1 მეორე ადგილი (გიული დეკანაძე – 3000 მ. წინაღობები) და 1 მესამე ადგილი (4/400-ზე ესტაფეტა ბიჭები).

მძლეოსნობის პოპულარიზაციის მიზნით, პირველად საქართველოში ფედერაციის თაოსნობით დაფუძნდა მოძრაობა "City Marathon-Cemiqalaqidarbis", რომლის ეგიდით თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოეწყო სამოყვარულო მასობრივი მარათონები და გარბენები.

გამოსარჩევია რამდენიმე საიუბილეო თარიღიც – 2013 წელს 80 წელი შეუსრულდათ ტიტულიან ქართველ მძლეოსნებს – ოლიმპიურ ჩემპიონ რობერტ შავლაყაძეს და ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენს ნადეჟდა დვალიშვილ-ხნიკინას.

გიორგი ჭანიშვილი

გიორგი თორაძე და ფრანკო ასკანი

საერთაშორისო აღიარება

დეკემბრის დასაწყისში მილანში გაიმართა სპორტული კინოსა და ტელევიზიის 31-ე საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც წარდგენილი იყო მსოფლიოს 40-მდე ქვეყნის კინოდოკუმენტალისტის 150 ნამუშევარი. ფეხბურთის თემაზე შექმნილი ფილმების ნომინაციაში საუკეთესოდ აღიარეს ცნობილი ქართველი რეჟისორის **გიორგი თორაძის** 30-წუთიანი ფილმი „ჩვენი ფეხბურთი," რომელიც ქართული ფეხბურთის ისტორიაზე მოგვითხრობს. თორაძეს კონკურსის ლაურეატის მედალი და დიპლომი გადასცა სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ფრანკო ასკანიმ.

– ეს იყო მოულოდნელი, მაგრამ ძალიან სასიხარულო ამბავი, – გვითხრა გიორგი თორაძემ, – კინოდარბაზში, სადაც დაჯილდოების ცერემონია ჩატარდა, არაერთი ცნობილი რეჟისორი, სპორტსმენი, იტალიის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი შეიკრიბა. ეს ფესტივალი 1982 წლიდან ტარდება და სპორტულ თემაზე მომუშავე რეჟისორების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ჩემმა ფილმა, ვიდრე მილანის ფესტივალზე წარვადგენდი, გაიმარჯვა წლეულს თებერვალში ტაშკენტში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე. „ჩვენი ფეხბურთის" სცენარზე მე და ჟურნალისტმა აკაკი გვიმრაძემ ვიმუშავეთ, ოპერატორია თეიმურაზ სულაბერიძე. ფილმში გამოყენებულია კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის მუსიკა. ფილმზე მუშაობაში გაწეული დახმარებისთვის მინდა მადლიერებით მოვიხსენიო თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბისა და საქართველოს სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თაოსნობით 2013 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. 2014 წელს სამინისტროს ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, თითქმის 7 მილიონი ლარით გაიზარდა. გასული წლის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის პროცესზე და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **აკაკი ლოდია.**

გაზრდილი ბიუჯეტი

– 2013 წელს სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 300-მდე სპორტული ობიექტი მოვინახულეთ. დეტალურად აღვწერეთ თითოეულ ობიექტზე არსებული პრობლემები, განისაზღვრა სამოქმედო გეგმა. ცხადია, ერთი ხელის მოსმით ამ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ, თუმცა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაწყებულია. 2014 წლიდან, საქართველოს 6 რეგიონში გლდანში მდებარე ოლიმპიური რეზერვების ცენტრის ანალოგიური კომპლექსები გაიხსნება, რაც საშუალებას მოგვცემს ბევრად მეტი ნიჭიერი სპორტსმენი აღვზარდოთ. სპორტკომპლექსების გასხნის შემდეგ, გამორჩეული ბავშვების ჩამოყვანა თბილისში კი აღარ მოგვიწევს, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ ადგილზე ივარჯიშებენ და დაოსტატდებიან.

– სამინისტრომ 2013 წელს რეგიონებში არაერთი პროექტი განახორციელა...

– მიმაჩნია, რომ მწირი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში მაქსიმუმი შევძელით, გასულ წელს 50 მუნიციპალიტეტს დავეხმარეთ. რეგიონებში არსებულ სპორტულ ობიექტებს სხვადასხვა სახის ინვენტარი და სავარჯიშო მოწყობილობები გადაეცათ. სპორტული ობიექტები ბურთებით, კალთბურთის ფარებით, კრივის რინგებით და სხვა აუცილებელი საშუალებებით მოვამარაგეთ. 10 ქალაქში დამონტაჟდა სავარჯიშო მოწყობილობები, რომლითაც რიგითი მოქალაქეები ისარგებლებენ. ჩვენი მიზანია სპორტით ჩვეულებრივი მოქალაქეებიც დაკავდნენ. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია.

– რა მდგომარეობაა ფინანსური კუთხით. როგორც ვიცით, მომავალი წლის ბიუჯეტი იზრდება...

– 2013 წელს სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც წინა ხელისუფლების დამტკიცებული იყო, 47 მილიონ ლარს შეადგენდა. 2014 წელს დაფინანსება იზრდება და 53,9 მილიონი ლარი გახდება, ანუ მატება თითქმის 7 მილიონი ლარია. აღსანიშნავია, რომ რაგბის კავშირის ბიუჯეტი, რომელიც 4,7 მილიონი ლარი იყო, 10,5 მილიონი ლარი გახდება. პრიორიტეტული იქნება ოლიმპიური სახეობების დაფინანსება. შეძლებისდაგვარად, უყურადღებოდ არც ერთ იმ ფედერაციას არ დავტოვებთ, რომელთანაც აქამდე ვთანამშრომლობდით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში იმატა პრიორიტეტულმა მიმართულებებმაც – მომავალი წლიდან სპორტის სფეროში ერთდროულად ორი საგანმანათლებლო დაწესებულება განახორციელებს მსურველთა მიღებას, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი განათლების, ხოლო სპორტის სახელმწიფო კოლეჯი – პროფესიული განათლების კუთხით.

– 13 დეკემბერს მინისტრთა კაბინეტმა სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა დაამტკიცა. იქნებ უფრო დეტალურად გვითხრათ ამ პროგრამის შესახებ?

– მნიშვნელოვანია, რომ მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი – „საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“. პროექტი ითვალისწინებს ფულადი პრიზების დაწესებას სპორტის ინდივიდუალურ, ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებსა და ცალკეულ სათამაშო სახეობებში მოასპარეზე სპორტსმენების, მწვრთნელების, ასევე ნაკრები გუნდების საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, რაც, ცხადია, სპორტსმენთა მოტივაციის დონეს აამაღლებს და შედეგიანობასაც გაზრდის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფულადი პრიზები დაწესდა იმ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგებისთვისაც, რაც მანამდე არასდროს ყოფილა გათვალისწინებული. მაგალითად, მსოფლიოსა და ევროპის თასის გათამაშებები ჭიდაობისა და სროლის სახეობებში, შვიდკაცა რაგბის შეჯიბრებები. პირველად დაწესდა ფულადი პრიზები ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალსა და პარალიმპურ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგებისთვის. გარკვეული სახის ფულადი პრიზები წესდება უშუალოდ ეროვნული სპორტული ფედერაციებისთვისაც, რაც გულისხმობს ამ ფედერაციებისთვის თანხების გამოყოფას ოლიმპიური თამაშებისა და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ყოველ ლიცენზირებულ მონაწილეზე, ასევე ფედერაციების ადმინისტრაციული ჯგუფების წახალისებას, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სპორტსმენთა წარმატებებში.

ლექსო მაისურაძე

ოლიმპიური ცენტრის წარმატებულები

2013 წლის მანძილზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის აღზრდილმა სპორტსმენებმა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე.

ევროპის 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ოქროს მედალი მოიპოვა დავით მარსაგიშვილმა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გურამ ფერსელიძე (120 კგ) ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, იმავე ტურნირში მეხუთე ადგილი დაიკავა მანუჩარ ცხადაიამ (66 კგ). მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა შმაგი ბოლქვაძემ (66 კგ), ხოლო ევროპის თასის გათამაშებაზე ჭაბუკთა შორის თემურ შავაძემ (46 კგ) მესამე ადგილი დაისაკუთრა.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სპორტულ მიღწევებს შორის აღსანიშნავია შოთა ფარტენაძის (54 კგ) წარმატება, რომელმაც მსოფლიოს პირველობაზე ახალგაზრდებში ბრინჯაოს მედალი აიღო. კადეტთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილის მფლობელი 46 წონით კატეგორიაში რამაზ ზოიძე გახდა. ევროპის პირველობაზე ახალგაზრდებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიგა გიგაშვილმა (42 კგ), ხოლო ლევან ქელეხსაშვილმა (66 კგ) მსოფლიო ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა.

ოლიმპიური ცენტრის აღზრდილ სპორტსმენებს შორის მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ახალგაზრდა ძიუდოისტებმა: ლევან გუგავამ (73 კგ), ევროპის გუნდურ შეჯიბრებაზე I, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე II ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ახალგაზრდული გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული კი ძიუდოისტი უშანგი მარგიანი (75 კგ) გახდა, რომელმაც სამბოში ასევე ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

ოლიმპიურ ცენტრში აღზრდილ წარმატებულ სპორტსმენთა რიცხვს 2013 წელს ფეხბურთელებიც შეემატნენ. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეკომენდაციით, სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში არსებულ უფასო სექციებს ფეხბურთელთა საცდელი ჯგუფი დაემატა. ოლიმპიურ ცენტრში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული 15 ფეხბურთელი ცხოვრობს.

საქართველოს ოლიმპიური ცენტრის აღზრდილი სპორტსმენები როგორც სხვადასხვა საფეხბურთო სკოლების წამყვანი მოთამაშეები, ასევე საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ღირსეული წევრები გახდნენ. ფეხბურთელებმა: გაგი მარგველაშვილმა, ანრი არველაძემ, ჯემალ ტაბიძემ, ბექა ქურდაძემ და გიორგი თევზაძემ წარმატებულად იასპარეზეს ევროპის შესარჩევ ტურში და მომავალი წლიდან თავიანთ ასაკობრივ ნაკრებებში ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში მიიღებენ მონაწილეობას.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თაოსნობით, ოლიმპიურ ცენტრში საფეხბურთო სექციის შექმნამ გაამართლა და მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 2014 სასწავლო წლის იანვრიდან ფეხბურთელთა უფასო ჯგუფიც იფუნქციონირებს. სპორტსმენთა განკარგულებაში იქნება ოლიმპიური ცენტრის ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედნები, მათ დაოსტატებაზე კი კვალიფიციური მწვრთნელები იზრუნებენ. ოლიმპიური ცენტრის 10 საუკეთესო სპორტსმენი გამოარჩია ცენტრის დირექტორმა შალვა გოგოლაძემ, რომელმაც ახალგაზრდა სპორტსმენები წაახალისა და სამომავლო წარმატებები უსურვა.

ფრენბურთელების თბილისური სამზადისი

ფრენბურთელები თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან. 22–24 თებერვალს, ვაჟა კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრში 1997–1998 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც მონაწილეობა 8 გუნდმა მიიღო. ჩემპიონი თბილისის ნაკრები გახდა, ვერცხლის მედალი საჩხერეს ერგო, ბრინჯაო კი ყვარელს.

1–3 მარტს ოლიმპიური მზადების სპორტულმა ცენტრმა საქართველოს ჩემპიონატს 1998-1999 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის უმასპინძლა. პირველობისთვის აქაც 8 გუნდი იბრძოდა. ჩემპიონობა არავის დაუთმეს თბილისელმა გოგონებმა, ვერცხლის მედლები ბოლნისის გუნდს ერგო, ხოლო ბრინჯაო ბათუმელებს ხვდათ. საგულისხმოა, რომ ვაჟების დარად, თბილისის 2015 წლის ოლიმპიურ ფესტივალზე სწორედ ამ წლებში დაბადებული ფრენბურთელები ითამაშებენ. შესაბამისად, ფრენბურთის ფედერაცია ახალგაზრდა სპორტსმენებს განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდება. 2015 წლამდე ლამის თითოეული ნაბიჯი გათვლილი და გაწერილია.

17-19 მაისს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჩაჩუა უკრაინის ქალაქ ლვოვში აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის ასამბლეას დაესწრო, სადაც განიხილეს და ერთხმად მიიღეს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის წერილი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ. საქართველოს გარდა, ასოციაციის წევრები არიან ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, რუსეთი, პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსია და აზერბაიჯანი. ასამბლეის წევრობა ფრებურთის ფედერაციას ამ ქვეყნებთან დაახლოების და ურთიერთთანამშრომლობის საშუალებას მისცემს, რაც უმთავრესად გაცვლით პროგრამებს, ამხანაგური შეხვედრების ჩატარებას ითვალისწინებს.

5-8 ივნისს თბილისის ფრენბურთის ფესტივალის ფარგლებში საქართველოს გოგონათა ოლიმპიურმა ნაკრებმა აზერბაიჯანელ თანატოლებთან ამხანაგური შეხვედრები გამართა. ჩვენმა გოგონებმა ორივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს 3:0, 3:1. მოგვიანებით, 4-7 ივლისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მსოფლიო სპორტის ფესტივალი ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოლიმპიურმა ვაჟთა და გოგონათა ნაკრებმა. გოგონებმა მეორე ადგილი დაიკავეს ვაჟები კი მესამეზე გავიდნენ.

10-12 ივლისს ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის ქვიშის მოედანზე საპლიაჟო ფრენბურთის მე-5 საერთაშორისო ფესტივალი – „ქართველას თასი 2013“-ი ჩატარდა, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული ფრენბურთელის დავით ქართველიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბათუმის, ცაგერის, ლენტეხის, ყვარელის, სტუ-ს, ბელორუსიის, უკრაინის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებმა. ჩემპიონები გახდნენ ბელარუსები – ანდრეი ჟარიკოვი და ალექსანდრ კოვალენკო, ვერცხლის მედლები სულხან ახვლედიანს და სოსო ლობჟანიძეს ერგოთ, ბრინჯაო კი დავით ლიპარტელიანს და თენგიზ ჯანხოთელს.

16-20 აგვისტოს უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 21-წლამდე ვაჟთა ნაკრებმა, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 18-26 აგვისტოს ბულგარეთის ქალაქ პრიმორსკოში გაიმართა შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო თბილისი 2015-ის მზადების ციკლში ჩაბმულმა საქართველოს ვაჟთა და გოგონათა ნაკრებმა გუნდებმა. გოგონებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ვაჟები კი მესამეზე გავიდნენ. მოგვიანებით, ვაჟთა ოლიმპიურმა ნაკრებმა სომეხ თანატოლებს უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა.

ალექსანდრე მაისაშვილი

უხვმედლიანი სეზონი

ქართველ სუმოისტებს უხვმედლიანი სეზონი გამოუვიდათ – ეროვნული და ასკოგრივი ნაკრებების წევრებმა ევროპის ჩემპიონატზე იყოჩაღეს და პირად-გუნდურ შეჯიბრებაში სამივე სინჯის მედლები აიღეს.

23–24 მარტს ჰამბურგმა უფროს და 18-წლამდელ სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ევროპირველობაზე 17 ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად ქართველი სუმოისტებიც გამოვიდნენ და ჯამში 11 მედალი მოიპოვეს. 18-წლამდელებმა 6 მედალი დაისაკუთრეს – 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. უფროსებმა კი – 2 ოქრო და 3 ვერცხლი.

18-წლამდელებში ჩემპიონები გახდნენ გიგა გელაშვილი (100 კგ) და ზაზა ხუბულური (აბსოლუტური), მესამე ოქრო კი გელაშვილმა და ხუბულურმა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში შოთა სულთანიშვილთან ერთად დაისაკუთრეს. ვერცხლის მედალი გიგა გელაშვილმა აბსოლუტურ წონაში მოიგო, ბრინჯაოს მედლები კი აბსოლუტურ წონაში შოთა სულთანიშვილმა, მძიმე წონაში კი ზაზა ხუბულურმა ირგუნეს.

უფროსებში ჩემპიონები გახდნენ ლევან ბერიანიძე (+115) და ავთანდილ ცერცვაძე (აბსოლუტური), მძიმეწონოსანთა შორის ვერცხლი ცერცვაძემ აიღო, ხოლო აბსოლუტურში – ლევან ბერიანიძემ. საქართველოს ნაკრებს მესამე ვერცხლის მედალი ბერიანიძემ, ცერცვაძემ, ხუბულურმა და გელაშვილმა გუნდურ შეჯიბრებაში დაკავებული მეორე ადგილით მოუტანეს. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სუმოს ევროპის ფედერაციის კონგრესი გაიმართა, სადაც საქართველოს სუმოს კავშირის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე ევროპის ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

18-22 აპრილს ვარშავაში 21-23 წლამდელ სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 20-მდე ქვეყნის 200-ზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო. ევროპირველობაზე ქართველი სუმოისტები შედეგიანად გამოვიდნენ. 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონის ტიტული ლევან ბერიანიძემ მოიპოვა, ვინც მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში პირველობა არავის დაუთმო. ზაზა ბალაშვილი კი ვერცხლის მედალს მძიმე წონაში დაეუფლა. 21-წლამდელთა შორის ზურაბ აქუბარდია ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირად-გუნდურ ჩათვლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ნაკრების ღირესება ლევან ბერიანიძემ, ზაზა ბალაშვილმა და ზურაბ აქუბარდიამ დაიცვეს.

1-3 ივნისს უკრაინის ქალაქმა ლუცკმა კადეტთა ევროპირველობას უმასპინძლა. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სახელით ამირან წიქორიძე (+95 კგ) გამოვიდა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. 13-16 სექტემბერს ვარშავაში ჩატარებულ მსოფლიოს თასზე ლევან ბერიანიძე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამოვიდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ნიკა კოპაძე

ბოლქვაძემ რეკორდთან მიცურა

მოცურავეებს საინტერესო სეზონი გამოუვიდათ – რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე მედლები მოიპოვეს. არადა, დრო იყო ტურნირებზე გამოსვლას ვინ ჩივის, ნორმალურად ვარჯიშის საშუალებაც არ ჰქონდათ. ცხადია, შედეგები გასაოცარი არ არის და ვერც იქნება. დაკარგულის ანაზღაურებას დრო სჭირდება. დრო და რუტინული, დაუღალავი შრომა. სასიხარულოა, რომ მონდომებული თაობა მოდის – გეჯითი და საზრიანი, საკუთარი ნიჭის და შრომის ფასი რომ იცის.

5 მარტს საქართველოს მოცურავეთა ნაკრების წევრები – ირაკლი რევიშვილი, ირაკლი ბოლქვაძე, დავით სიხარულიძე და თემურ კობახიძე ბერლინში ცურვის საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდნენ, სადაც ევროპის 27 ქვეყნის 1500-მდე მოცურავე შეიკრიბა. ქართულმა დელეგაციამ 2 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო. ყველაზე წარმატებით თემურ კობახიძე გამოვიდა – 100 მეტრი ბატერფლაით ცურვაში 56.99 წამში დაფარა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხა. კობახიძემ იგივე დისციპლინაში, ოღონდ 50 მეტრზე მეოთხე ადგილი დაიკავა, თუმცა საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა – დისტანცია 25.45 წამში დაფარა. ქართველთაგან კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი ერგო ევროპის 2012 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის მესამე პრიზიორს და ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი ბოლქვაძეს, რომელმაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში დისტანცია 2.10.55 წუთში დაფარა.

აპრილში თემურ კობახიძემ ეინდჰოვენის საერთაშორისო ტურნირზე 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში იუნიორთა ასაკში პირველობა არავის დაუთმო, ამასთან ერთი დღის განმავლობაში ორჯერ დაამყარა საქართველოს რეკორდი – საკვალიფიკაციო გაცურვაში მისი შედეგი იყო 25.30 წამი, ხოლო ფინალში ეს დრო გააუმჯობესა და დისტანცია 25.18 წამში დაფარა.

მაისის დასაწყისში ბელორუსის ღია პირველობაზე, რომელშიც მასპინძლებთან ერთად საქართველოს, უკრაინის, რუსეთისა და ლიტვის 400-მდე მოზარდი მონაწილეობდა, ერთმანეთს ჩემპიონობას ეცილებოდნენ 1999-2004 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები. ჩვენი ქვეყნის გუნდი 12-14 წლის მოცურავეებით იყო დაკომპლექტებული. მათ 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიურ ფესტივალზე მოუწევთ გამოსვლა. ამიტომაც ამ სპორტსმენების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. 2001 წელს დაბადებულთა შორის რუსუდან გოგინაშვილმა გამოიჩინა თავი: 50 და 100 მეტრზე ბრასითა და 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ოქროს მედლები დაიმსახურა. ამავე ასაკში მერი მუმლაძემ ორი ვერცხლი 100 მეტრზე თავისუფალ და კომპლექსურ ცურვაში, ხოლო ერთი ბრინჯაო 50 მეტრზე თავისუფალი ცურვაში აიღო. ელენე ბერაიამ 50 მეტრზე თავისუფალ ცურვაში ვერცხლი მოიგო. 14-წლამდელ ბიჭებში ირაკლი კვარაცხელიამ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ოქრო მოიპოვა, 100 მეტრზე კომპლექსურში კი მე-3 ადგილს დასჯერდა. ამავე ასაკში ილია პაპიძემ ორი ვერცხლი აიღო – 50 და 100 მეტრზე ბრასით ცურვაში. 2000 წელს დაბადებულთა შორის ლევან ბახტურიძემ ყველას აჯობა 50 და 100 მეტრზე ბრასით ცურვაში, 13-წლიანებში გორელმა ვლადიმერ ტერლეცკიმ 50 და 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მე-3 ადგილი დაიკავა.

აგვისტში ბარსელონაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ირაკლი ბოლქვაძემ საქართველოს რეკორდი დაამყარა – 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 2:03.55 წუთი აჩვენა, თუმცა ფინალში გასვლა ვერ შეძლო. საინტერესოა, რომ ბრასით ცურვის დროს, ქართველმა სპორტსმენმა 50-მეტრიანი დისტანცია 33.23 წამში დაფარა, რაც შესარჩევი ეტაპის 50 მონაწილეს შორის საუკეთესო შედეგი იყო.

ალექსანდრე მაისაშვილი

ჭოლას ევროპული მეშვიდე

წყალში მხტომელები ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი რამდენიმე წელია ოლიმპიური თამაშების ლიცენზიისთვის იბრძვიან. მათ ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად ცოტა დააკლდათ, ახლა კი 2016 წლის ოლიმპიადას უმიზნებენ და, სავარაუდოდ, ამჯერად წარმატებას მიაღწევენ. ამის თქმის საბაბს რამდენიმე გარემოება იძლევა – გამოცდილება, წყალში ხტომისთვის ოპტიმალური ასაკი და ის რთული პროგრამები, რომელსაც ქართველი მხტომელები ასრულებენ. თუმცა, ხელისშემშლელი ფაქტორიც აქვე გამოჩნდა – კორახაშვილმა მხრის უმძიმესი ტრამვა მიიღო და ოპერაცია სჭირდება, რომელსაც საქართველოში ვერ აკეთებენ. იმედია, ეს პრობლემა დროულად მოგვარდება და ჭანტურიას რიოს ლიცენზიისთვის ბრძოლა მარტოს არ მოუწევს.

თებერვალში მადრიდში პრესტიჟული გრან-პრის გათამაშება გაიმართა. ჭოლა ჭანტურიამ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ძლიერ კონკურენტებთან ჭიდილში ფინალში შესვლა მოახერხა და საბოლოოდ მე-9 ადგილზე გავიდა. ჩვენი მხტომელი ფინალში შევიდა რუსეთის ქალაქ ყაზანში მაისში გამართულ გრან პრიზეც, ოღონდ ამჯერად მე-10 ადგილს დასჯერდა.

ივნისში გერმანიის ქალაქ როსტოკში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც 20 ქვეყნის 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, ჭოლა ჭანტურიამ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა და 372 ქულით 26 მონაწილეს შორის მე-7 ადგილი დაიკავა.

ივლისში პოლონეთის ქალაქ პოზნანში ახალგაზრდა წყალში მხტომელთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. ევროპირველობაზე ალექსანდე გუჯაბიძე გამოვიდა და 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ფინალში გასვლა მოახერხა.

***ირაკლი გარმაია** (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთელი): „ჭოლა ჭანტურიას მეშვიდე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე უდავოდ კარგი შედეგია. ეს იმის გათვალისწინებით, რომ ჭანტურია ევროპირველობამდე სულ ორ საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდა, რაც ძალიან ცოტაა. ეს ბიჭი 23 წლისაა, როგორც წესი, წყალში ხტომისთვის ოპტიმალური ასაკი 25-29 წელია. ასე რომ, ჭოლას ყველაფერი წინ აქვს და რიოს ოლიმპიადის ლიცენზიისთვის უნდა იბრძოლოს. გეგმებს ის გვირევს, რომ მისმა მეწყვილემ ტრამპლინიდან ხტომაში შოთა კორახაშვილმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და სამკურნალოა. იმედია, კორახაშვილს რამეს მოვუხერხებთ. სხვა შემთხვევაში ჭანტურიას ლიცენზიისთვის ბრძოლა მარტოს, ინდივიდუალურ შეჯიბრში მოუწევს. მართალია, ჯერ ოლიმპიური ლიცენზიისთვის საჭირო ნორმატივები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ჭანტურიას მიერ შესრულებული ილეთების სირთულე ოპტიმიზმის სასაბს მაძლევს.“*

ოთარ მხეიძე

გურალია პირველია

სექტემბრის დასაწყისში ესპანეთის ქალაქ სესენაში ვეტერან წყალმოთხილამურეთა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც 18 ქვეყნის 100-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. გენადი გურალიამ, რომელიც წლებია იტალიაში ცხოვრობს და საქართველოს სახელით გამოდის, მორიგ წარმატებას მიაღწია. 35 წლის და უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის გამართულ ტურნირზე გურალიამ სხვადასხვა დისციპლინებში მოსინჯა ძალები და ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ქართველმა სპორტსმენმა საუკეთესო შედეგი ფიგურულ სრიალში აჩვენა, სადაც 8140 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, სლალომში კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

***გენადი გურალია:** „ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლები ორმაგ სიხარულს მანიჭებს, რადგან თითოეული გამარჯვებით საშუალება მეძლევა საქართველოს ჰიმნი ავაჟღერო და დროშა ავწიო. სპორტსმენისთვის არც თუ მცირე ასაკის მიუხედავად, მოტივაციის ნაკლებობას არ განვიცდი – ნებისმიერი რანგის შეჯიბრების დაწყებას ისევე ველოდები, როგორც კარიერის დასაწყისში, ჩემი საქმე უზომოდ მიყვარს და ბედნიერი ვარ, რომ საყვარელ საქმეს ჯერ კიდევ ვაკეთებ.“*

სალუქვაძის ესპანური

ტყვიის მსროლელებს რამდენიმე ნიჭიერი გოგონა ეზრდებათ. ნაკრების თავკაცთა გადაწყვეტილებით, ახალგაზრდა ჩუბინები მუდმივად დადიან საერთაშორისო ტურნირებზე და გამოცდილებას იღებენ. გამოცოცხლება შეინიშნება მესტენდურობაშიც. თუ წლების განმავლობაში მესტენდურებს ვარჯიშიც კი ვერ უხერხდებოდათ, ახლა საერთაშორისო ტურნირებზე და ევროპის ჩემპიონატზე დაკარგულის ანაზღაურებაზე ზრუნავენ. პრიორიტეტი აქაც ახალი თაობაა – მესტენდურები მომავალი ჩემპიონების გაზრდას ცდილობენ.

იანვრის მიწურულს მიუნხენმა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ჩვენმა ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ შესარჩევ ეტაპზე 384 ქულა დააგროვა. ყველაზე უკეთ მესამე სერიაში ისროლა, სადაც 98 ქულა აჩვენა, დამატებითი მაჩვენებლების დათვლის შემდეგ კი სიაში მეექვსე აღმოჩნდა.

საინტერესოა, რომ 384 ქულა საკვალიფიკაციოში ფინალური ოქტეტის ოთხმა წევრმა აჩვენა, მაგრამ ოთხივე საგრძნობლად ჩამორჩა მოწინავე კვარტეტს. შესარჩევი ეტაპი 390 ქულით მოიგო მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოლენა კოსტევიჩმა, 388 დააგროვეს რუსმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა ნატალია პადერინამ და სერბმა მსოფლიოს ჩემპიონმა ზორანა არუნოვიჩმა; ერთით ნაკლები – ბელორუსმა ევროპის ჩემპიონმა ვიქტორია ჩაიკამ. ფინალში სალუქვაძემ სუსტად ისროლა და საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდა 460.2 ქულით. ჩემპიონი უკრაინელი ოლენა კოსტევიჩი გახდა – 591.8 ქულა. მიუნხენში ლევან ქადაგიძემაც ისროლა. მისი შედეგი 571 ქულა და 46-ე ადგილი იყო.

13 თებერვალს ერევანში სომხეთის ღია პირველობა გაიმართა. შეჯიბრება ახალი წესებით ჩატარდა, ანუ ქალებს მთელი სერია, 1.15 საათის ნაცვლად, 50 წუთში უნდა ჩაეტიათ, კაცებს 1.45-ის ნაცვლად – 1.15-ში, ხოლო ფინალში ქულების ათვლა ნულიდან იწყებოდა, საკვალიფიკაციოს შედეგები კი ფინალში არ გადაჰყვებოდათ. ქალთა შორის დამაჯერებლად გამოვიდა ნინო სალუქვაძე – შესარჩევში 387 ქულით გაიმარჯვა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია; ფინალში კი 204.4 ქულა დააგროვა და ბევრად ჩამოიტოვა მეორეზე გასული მასპინძელი მსროლელი, რომლის ფინალური მაჩვენებელი სულ რაღაც 167 ქულა იყო. ბრინჯაოს მედალს მარიამ ბლუაშვილი დაეუფლა, რომელიც ვერცხლის მედალოსანს 7 ქულით ჩამორჩა – 160 ფინალში და 347 – შესარჩევში. მეოთხეზე ქუთაისელი ლიზი კილაძე გავიდა. ვაჟებში ლევან ქადაგიძე საწყისი 17 გასროლის შემდეგ ლიდერობდა, მაგრამ მერე იარაღმა უმტყუნა, 566 ქულას მოუყარა თავი და საბოლოოდ ფინალში ნაჩვენები 171 ქულით მესამეზე გავიდა.

დანიის ქალაქ ოდენსეში, თებერვლისა და მარტის მიჯნაზე პნევმატური პისტოლეტიდან ტყვიის სროლაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. საქართველოს ნაკრებიდან შეჯიბრებაში პირველი ჩაება ლიზი კილაძე. მან გოგონების ტურნირში 372 ქულა დააგროვა და 50 მონაწილეს შორის მე-17 ადგილზე გავიდა. ნინო სალუქვაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 380 ქულა დააგროვა და ფინალში ბოლო, მერვე ადგილით შევიდა. საკვალიფიკაციო ეტაპი ცოტა უცნაურად წარიმართა, რადგან მონაწილეთა დიდ ჯგუფს აღმოაჩნდა ერთნაირი მაჩვენებელი.

შესარჩევი ფრანგმა ევროპის ჩემპიონმა და ოლიმპიური ვერცხლის მფლობელმა სელინ გობერვილიმ მოიგო 385 ქულით. ახალი წესებით, ფინალში საკვალიფიკაციო ეტაპზე მოპოვებული ქულები ნულდება და ყველაფერი თავიდან იწყება, რაც სალუქვაძის შანსებს ზრდიდა, მით უფრო, რომ მას ფინალში უფრო ძლიერი გამოსვლა ახასიათებს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ნინომ 136.1 ქულა დააგროვა და მე-5 ადგილზე გავიდა. ევროპის ჩემპიონი ფრანგი სელინ გობერვილი გახდა 201.5 ქულით.

7 ივლისს ნინო სალუქვაძემ სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ესპანურ გრანადაში გამართულ მსოფლიოს თასზე. შესარჩევ ეტაპზე ქართველი მსროლელი მეოთხე იყო 295 ქულით. ფინალურ სერიაში პირველ წრეში ყველაზე უკეთ სალუქვაძე და ჩინელი ჩანი გაისარჯნენ – 15-15 ქულა დააგროვეს და ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. ფინალში ნინოს მიზანმა უმტყუნა, ხუთივე ცდა გააფუჭა და ვერცხლს დასჯერდა.

21 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ხორვატულ ოსიეკში სპორტული პისტოლეტიდან სროლაში გამართული ევროპის ჩემპიონატი ქარველი ჩუბინებისთვის წარუმატებელი გამოდგა – ლევან ქადაგიძემ 50 მეტრზე საკვალიფიკაციო ეტაპი 535 ქულით ჩაამთავრა და ფინალში ვერ მოხვდა – 43-ე ადგილზე გავიდა. უჩვეულოდ ცუდად ისროლა სალუქვაძემაც – 25 მეტრზე, 578 ქულით ფინალში ვერ შევიდა და მე-19 ადგილს დასჯერდა.

5-8 აგვისტოს გერმანიის ქალაქ ზულში მესტენდურთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ქართველი მესტენდურებიც გამოვიდნენ. ჩვენმა სპორტსმენებმა გამორჩეული შედეგები ვერ აჩვენეს, მაგრამ ტურნირში მონაწილეობით უსიამოვნო პერიოდი უკან მოიტოვეს. წლების განმავლობაში მესტენდურებს ელემენტარული სავარჯიში პირობებიც არ ჰქონდათ, დღესდღეობით კი საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლაც დაიწყეს და შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვაც. მედლების მოპოვებას კი უფრო მეტი ძალისხმევა და ხელშეწყობა სჭირდება. ზულში საუკეთესო ნატალია პანასი იყო 65 ქულით დაკავებული 27-ე ადგილით.

ნიკა კოპაძე

მშვილდოსნებს მიზანი აერიათ

მშვილდოსნებმა გულშემატკივარი გამარჯვებებს დააჩვიეს და თამასაც საკმაოდ მაღლა ასწიეს, რის ფონზეც განვლილი სეზონის შედეგები უფრული ჩანს – ვერც ინდივიდუალურ და ვერც გუნდურ შეჯიბრებებში გამოსარჩევი, გულისგასახარი ამბავი არ მომხდარა. წარუმატებელი პერიოდი უცნაურად დაემთხვა ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან კორეელი სპეციალისტის _ სე უნის წასვლას, რომლის თავკაცობით მშვილდოსნები ნაყოფიერად გაისარჯნენ _ ესებუა სულაც მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი გახდა.

ყველაფრის მიუხედავად, მშვილდოსანთა სამომავლო პერსპექტივას მაინც ოპტიმისტურად უნდა შევხედოთ. გამოცდილ ხათუნა ნარიმანიძის და ქრისტინე ესებუას დუეტს უკრაინიდან იულია ლობჟანიძე დაემატა, ამ სამეულს კი სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლია. რიოს ოლიმპიადამდე შორია, შეცდომების გამოსასწორებლად და სავარჯიშოდ ქართველ ჩუბინებს ბევრი დრო აქვთ.

თებერვლის მიწურულს პოლონეთის ქალაქ პრზესცოვში ევროპის ზამთრის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა. ევროპირველობაზე ვაჟთა შორის ლევან ჩიტიშვილმა და არჩილ ფარსენაძემ საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა და 1/16 ფინალში გასვლა კი შეძლეს, მაგრამ პლეი-ოფში უშანსოდ დამარცხდნენ. ქალთა შორის 1/16 ფინალში ისროლეს ასმათ დიასამიძემ და ლანა ვერულიძემ. მოლოდინისამებრ, ყველაზე შორს ხათუნა ნარიმანიძე წავიდა და 1/4 ფინალი იტალიელ კლაუდია მანდიასთან 3:7 დათმო.

სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში თურქეთის საკურორტო ქალაქ ბელეკში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ქალთა ტრიო მონაწილეობდა. მსოფლიოს პირველობისთვის მოხერხდა ნაკრებში უკრაინიდან გადმობირებული იულია ლობჟანიძის ჩართვა. საკვალიფიკაციო ეტაპი ქართველთაგან ყველაზე უკეთ ნარიმანიძემ ჩაატარა და საკმაოდ დამაიმედებელი შედეგი აჩვენა – 1324 ქულა დააგროვა, რაც 26-ე ადგილი აღმოჩნდა. ლობჟანიძე 1310 ქულით 39-ე იყო, ესებუამ კი შედარებით სუსტად ისროლა – 1287 ქულა და 68-ე ადგილი. სამწუხაროდ, ჩვენი სამეული მნიშვნელოვნად ჩამორჩა ლიდერებს.

მომდევნო ეტაპზე სამივე ქართველი წარმატებით გამოვიდა – ლობჟანიძემ რუმინელ სიმონა ბანცილას არ დაუტოვა შანსი და 7:1 მოუგო. ესებუამაც იმავე ანგარიშით დაჯაბნა ფრანგი ნაომი ბრიანე, ნარიმანიძეს კი შედარებით გაუჭირდა კანადელ ვირჯინია ჩენიერთან, თუმცა საოცრად მებრძოლი ხასიათი გამოავლინა – პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ მომდევნო სამში იმარჯვა და პაექრობაც მოიგო 6:4. პლეი ოფის მომდევნო წრეში უკვე ქართული დუელი გაიმართა, სადაც ნარიმანიძემ ამჯერად ლობჟანიძესთან ისროლა და საქმე დამატებით სერიამდე მიიყვანა, საბოლოოდ კი 6:5 წააგო.

ამავე ეტაპზე, ანუ 1/24 ფინალში დამარცხდა ესებუაც. მან ბრაზილიელი სარა ნიკიტინის წინააღმდეგობა ვერ დაძლია და ბოლო, დამატებით სერიაში გატყდა – 4:6. ლობჟანიძე 1/16-ფინალში რუს ინა სტეპანოვას შეხვდა და 2:6 დამარცხდა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მარცხის შემდეგ, ქართველი ქომაგის ყურადღება გუნდური პირველობისკენ მიიმართა, მაგრამ აქაც გაწბილება გველოდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენს მანდილოსნებს 3921 ქულა დაუგროვდათ, რაც მე-11 შედეგი აღმოჩნდა და მერვედფინალში მექსიკელებს შეხვდნენ. მექსიკელებს შემადგენლობაში ლონდონის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი აიდა რომანი და ბრინჯაოს მედალოსანი მარიანა ავიტია ჰყავდათ. შესაბამისად, ფავორიტად მექსიკელები მიიჩნეოდნენ და გამარჯვება არც გასჭირვებიათ – 168:154.

ალექსანდრე მაისაშვილი

უფერული სეზონი

მსოფლიოს ქალთა კლასიფიკაციაში საქართველოს პირველმა ჩოგანმა ანა ტატიშვილმა უფერული სეზონი ჩაატარა – დიდი სლემის გათამაშებებზე ულიმლამოდ ითამაშა და ვერც სხვა საერთაშორისო ტურნირებზე გამოირჩა, რაც ლოგიკურად აისახა მის რეიტინგზე. ტატიშვილისგან განსხვავებით, იყოჩაღეს ოქსანა კალაშნიკოვამ და სოფიო შაფათავამ, მაგრამ საერთო ფონი მაინც ვერ შეცვალეს.

თებერვალში ანტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი იყო, სოფიო ქვაცაბაიამ და ეკატერინე გორგოძემ წყვილთა პაექრობაში ერთად ითამაშეს და ფინალში გავიდნენ. ჩვენებურებმა ჯერ ინდია მეგენს (ბელგია) და ანი ვანგელოვას (ბულგარეთი) აჯობეს, შემდეგ იტალიელები – ჯულია ბრუზონე და მარტინა კარეგარო ჩამოიშორეს გზიდან – 6:4, 4:6, 11:9. ნახევარფინალში კი იი ჩენის და კაი-ლინ ჟანის ტანდემი დაჯაბნეს – 6:3, 6:1, ფინალში კი მეორე ნომრად განთესილ ტეოდორა მირჩიჩსა (სერბეთი) და რალუკა ელენა პლატონს (რუმინეთი) ვერაფერი მოუხერხეს.

მოსკოვში ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი იყო, წარმატებით ითამაშა სოფიო შაფათავამ. ზედიზედ სამი მეტოქის ძლევის შემდეგ, ქართველმა ჩოგბურთელმა ნახევარფინალში მეორე ნომრად განთესილი გერმანელი ანა-ლენა ფრიდშამი დაამარცხა – 3:6, 6:3, 7:6 და ფინალში უკრაინელ – მარია ზანევსკას დაუპირისპირდა, ვისთანაც ორ სეტში – 4:6, 6:7 დამარცხდა.

მოგვიანებით, ანტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე წყვილთა შორის შესანიშნავად ითამაშა ოქსანა კალაშნიკოვამ. ოქსანამ ნახევარფინალში, ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად, ჩეხებს – ტერეზა მარტინცოვას და პეტრა პორუბინს სძლია – 6:4, 6:2, გადამწყვეტ პაექრობაში კი მე-4 ნომრად განთესილი ბასაკ ერაიდინი (თურქეთი) – ებიე მაიერსის (ავსტრალია) დუეტი დაამარცხა – 6:4, 4:6, 10:8, მთავარი პრიზი მოიპოვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა. აპრილში უზბეკურ ანდიჟანში გამართულ 10.000-დოლარიან ტურნირზე ოქსანა კალაშნიკოვამ მე-2 ადგილი დაიკავა და სარეიტინგო 8 ქულაც დაიმსახურა.

ივლისის მიწურულს საფრანგეთის ღია პირველობაზე ოქსანა კალაშნიკოვამ პოლონელ ალისია როსოლსკასთან ერთად ითამაშა. ოქსანამ და ალისიამ როლან გაროსის საწყის წრეში უკრაინელი ბურიაჩოკისა და ბრიტანელი უოტსონის ტანდემთან პირველი სეტი წააგეს, მაგრამ მომდევნო ორი მოიგეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. მეორე წრეშიც იგივე განმეორდა: ქართულ-პოლონურმა წყვილმა მე-8 ნომრად განთესილ სუ-ვეი შიესა (ტაივანი) და შუაი პენთანაც (ჩინეთი) დათმო პირველი ხელი – 4:6, მომდევნო ორში კი იყოჩაღა (6:0, 6:4) და მერვედფინალში აღმოჩნდა, სადაც ფრანგულ-ყაზახურ წყვილს მლადენოვიჩი-ვოსკობოევას დაუპირისპირდა და 1:6, 1:6 დამარცხდა.

ივლისში გერმანიის ქალაქ ფერსმოლდში 50.000 დოლარიან ტურნირზე ანა ტატიშვილისა და სოფიო შაფათავას დუეტმა ითამაშა და ჩემპიონობაც მოიპოვა. ქართველები ერთეულთა პირველობას ადრევე ჩამოშორდნენ, რის შემდეგაც აქცენტი წყვილთა გათამაშებაზე გადაიტანეს და მე-2 ნომრად განთესილებმა პირველობა არავის დაუთმეს. ნახევარფინალში ტატიშვილმა და შაფათავამ მე-4 ნომერ ანა ვრლიჩსა და მარინა ზანევსკას სძლიეს – 5:7, 6:1, 10:3, ფინალში კი კლერ ფეუერშტეინისა და რენატა ვორაკოვას ფრანგულ-ჩეხურ დუეტს აჯობეს – 6:4, 6:4.

ივლისში აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ბაქოს თასი“ გაიმართა – საპრიზო ფონდით 235.000 დოლარი, რომლის დირექტორი ლეილა მესხი იყო. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ოქსანა კალაშნიკოვა, რომელიც წყვილებში უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან შეამხანაგებული, მე-2 ნომრად იყო განთესილი. ქართულ-უკრაინულმა დუეტმა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე ჩამოიშორა ალექსანდრა კადანტუ (რუმინეთი) და ინეს ფერერ სუარესი (ესპანეთი) – 6:1, 6:2, ილონა კრემენისა (ბელარუსი) და მარინა მელნიკოვას (რუსეთი) დუეტი – 6:4, 7:5, ჩეხი დების – კაროლინა და კრისტინა პლისკოვების ტანდემი – 6:1, 6:4, გადამწყვეტ პაექრობაში კი ელენი დანილიდუსა (საბერძნეთი) და ალექსანდრა კრუნიჩს (სერბეთი) სამ სეტში აჯობა – 4:6, 7:6, 10:4 და ტურნირის გამარჯვებული გახდა. კალაშნიკოვამ საკუთარ აქტივს 280 ქულა შემატა.

აგვისტოში იტალიის ქალაქ აპიანოში გამართულ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 15 000 დოლარი იყო, წარმატებით ითამაშა ნიკოლოზ ბასილაშვილმა. ბასილაშვილი ფინალამდე დამაჯერებლად მივიდა, იქ კი იტალიელ მატეო ტრევიზანს დაუპირისპირდა. პირველი სეტი ჩვენებურმა 7:5 მოიგო, მეორეში მასპინძელმა აჯობა – 6:3. გადამწყვეტ სეტში ისევ ბასილაშვილმა იყოჩაღა – 6:4 და პირველ ადგილთან

ერთად, 35 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

აგვისტოშივე სანქტ-პეტერბურგში გამართულ 25 000-დოლარიან ტურნირზე სოფიო შაფათავამ, რომელიც მეოთხე ნომრად იყო განთესილი, მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო მე-6 ნომერ პოლინა ვინოგრადოვასთან (რუსეთი) – 4:6, 6:7. შაფათავამ ვერცხლის მედალთან ერთად სარეიტინგო 34 ქულაც დაიმსახურა.

სექტემბერში ოქსანა კალაშნიკოვამ წყვილთა თანრიგში „ტრაბზონის თასი" მოიგო, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. კალაშნიკოვა 20 წლის სერბ ალექსანდრა კრუნიჩთან ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი. ქართულ-სერბული წყვილი ოქროს მედლისთვის შეხვედრამდე დამაჯერებლად მივიდა, იქ კი სლოვენიელი დალილა იაკუპოვიჩისა და სომეხი ანი ამირაღიანის დუეტს – 6:2, 6:1 მოუგო.

სექტემბერში თელავმა და ბათუმმა უკვე ტრადიციად ქცეულ ვაჟთა და ქალთა საერთაშორისო ტურნირებს უმასპინძლა. ქართველი ჩოგბურთელები ორივეგან წარუმატებლად გამოვიდნენ.

ნოემბრის დასაწყისში ანა ტატიშვილმა ხასიათი გამოიკეთა – ამერიკულ, 50-ათას დოლარიან ტურნირზე გაიმარჯვა. ქართველმა ჩოგბურთელმა ნიუ ბრაუნფელსში გამართულ შეჯიბრებაზე 5 მატჩი მოიგო და 70 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა. მე-6 ნომრად განთესილმა ტატიშვილმა გადამწყვეტ შეხვედრაში ბულგარელ ელიცა კოსტოვას შანსი არ დაუტოვა და ორ სეტში 6:4, 6:4 აჯობა, სულ კი ტურნირზე ერთადერთი სეტი დათმო. ნიუ ბრაუნფელსში გამართული ფინალის კვალად, ტატიშვილი კორტზე წყვილთა გათამაშების გადამწყვეტ მატჩშიც გავიდა და იქაც წარმატებას მიაღწია. პირველ ნომრად განთესილი ქართველი ჩოგბურთელი და კოკო ვანდეეიგე ამერიკელებს – ეიჟა მუჰამადს და ტეილორ თაუნსენდს დაუპირისპირდნენ და 3:6, 6:3, 13:11 დაამარცხეს.

ნიკა კოპალიანი

ახალი თაობის მედლები

ტანმოვარჯიშეებმა საერთაშორისო ტურნირებზე სამივე სინჯის რამდენიმე მედალი მოიპოვეს და გულშემატკივარს სამომავლო პერსპექტივაც დაანახვეს. ამ გოგონებმა უახლოეს მომავალში მედლები უფროს ასაკშიც უნდა მოიპოვონ – ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები სხვადასხვა რანგის ტურნირებზე მუდმივად მედალოსანთა შორის არიან და არც ნიჭი და შრომისმოყვარეობა აკლიათ.

მაისში მხატვრული ტანმოვარჯიშეები ისრაელში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე – „ზღვის თასის" გათამაშებაზე გამოვიდნენ. ტურნირში მონაწილეობა 11 ქვეყნის სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებმა მიიღეს. 1998 წელს დაბადებულთა შორის მრავალჭიდში 41,75 ქულით მე-2 ადგილი ელიზავეტა ბაქრაძემ დაიკავა, რომელმაც ცალკეული საგნებით ვარჯიშში დამატებით ორი მედალი მოიპოვა: ბაფთით ვარჯიშში 15,05 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა, რგოლით ვარჯიშში კი 14,5 ქულა დააგროვა და მეორე ადგილს დასჯერდა.

13 წლის ტანმოვარჯიშეთა პაექრობაში სამი ჯილდო დაიმსახურა ვიქტორია შელიამ. მრავალჭიდში 42,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, გურზებით ვარჯიშში 14,6 ქულით პირველი იყო, ბურთით (13,9) კი მეორე ადგილზე გავიდა. 2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის ანა კუკავას ბურთით ვარჯიშში (13,7) მესამე შედეგი ჰქონდა. საქართველოს დელეგაციას მე-8 მედალი 10-წლიანებში ანასტასია არველაძემ მოუტანა – 11,65 ქულით რგოლით ვარჯიშში მე-2 ადგილი დაიკავა.

ივნისში ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მხატვრულ ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც შედეგიანად გამოვიდა ქართველი სპორტსმენი სალომე ფაჟავა. სალომემ საუკეთესო ოცეულში შესვლა და გაისად ბაქოში დახურულ დარბაზში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება დაიბევა. ნიშანდობლივია, რომ სალომე უფროსი ასაკის სპორტსმენების გვერდით პირველად გამოვიდა.

ივლისში გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 14 ქვეყნის 160-მდე ტანმოვარჯიშემ მიიღო. შეჯიბრებაზე საუკეთესოები ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდნენ. ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა კი მედლებისთვის სამ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოლეს. 15 წლის სპორტსმენებში სალომე ურუშაძემ იყოჩაღა, ვინც მრავალჭიდში მე-2 ადგილი დაიკავა, ვერცხლის მედალი დაისაკუთრა და ჟიურისგან სპეციალური პრიზიც მიიღო. 11 წლის გოგონებში ნინო კვაშილავამ მრავალჭიდში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, უსაგნოდ ვარჯიშში კი პირველობა არავის დაუთმო და ოქროს მედალი მოიპოვა. ჟიურისგან სპეციალური პრიზი კვაშილავამაც მიიღო. ამავე ასაკში გამოდიოდა ელენე ერქვანია, რომელმაც უსაგნოდ ვარჯიშში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მრავალჭიდში კი მე-5 ადგილს დასჯერდა. 10 წლის სპორტსმენების შეჯიბრში ელისო ფხალაძემ მრავალჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიგო.

ივლისში სინგაპურმა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა აზიის ღია პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის წარმომადგენლები მათ შორის, ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. სალომე ურუშაძემ 19 მეტოქესთან პაექრობისას მრავალჭიდში 48.552 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ცალკეული საგნებით ვარჯიშში სალომე ურუშაძე ოთხჯერ ავიდა კვარცხლბეკზე: ლენტით (13.500 ქულა) პირველი იყო, რგოლით (11.850), ბურთითა (12.850) და გურზებით (13.600) ვარჯიშში კი მეორე ადგილები დაიკავა და ჯამში ხუთი მედლის მოპოვება შეძლო.

ბაჩოს თასი

6–7 ივლისს ბორჯომში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, კომპანია „რაფტინგ.ჯი“-ს, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და მხარდამჭერი სპონსორების ერთობლივი ორგანიზებით, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მასშტაბური მედია-ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში, მინი-ფეხბურთში „ბაჩოს თასი“, ხოლო ჯომარდობაში „მოროშას თასი“ გათამაშდა. ფესტივალის პირველ დღეს, 6 ივლისს სპორტკომპლექს „ოლიმპის“ მოედანზე სპორტული ჟურნალისტები გაზეთ „სარბიელის“ ჟურნალისტის ბაჩო სვანიძის ხსოვნის ტურნირზე მინი-ფეხბურთში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, 7 ივლისს კი მასშტაბური მედია-ტურნირი ჯომარდობაში „მოროშას თასზე“ ჩატარდა.

„ბაჩოს თასზე“ 4 გუნდი მონაწილეობდა: „ბაჩოს მეგობრები“, „სარბიელი“, „პრეს-მედია“ და „ტელე-მედია“. ტურნირის გამარჯვებული „ბაჩოს მეგობრების“ გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში „სარბიელი“ 4:2 დაამარცხა. მე-3 ადგილი „პრეს-მედიამ“ მოიპოვა, რომელმაც პენალტების სერიაში 3:2 აჯობა (ძირითადი დრო 6:6) „ტელე-მედიას“.

გამარჯვებული – „ბაჩოს მეგობრები“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ბაჩოს თასით, მედლებითა და ტურნირის მხარდამჭერის, ლუდსახარშ „ნატახტარის თასით“ დააჯილდოვა. „ბაჩოს მეგობრებს“ გადაეცათ „ნატახტარის“ მიერ დაწესებული მთავარი პრიზიც – 500-ლარიანი ვაუჩერი რესტორან „წისქვილში“.

„ბაჩოს თასის“ საუკეთესო მოთამაშედ „ბაჩოს მეგობრების“ გუნდის წევრი ზურაბ მიგრიაული დასახელდა, ბომბარდირი ასევე „ბაჩოს მეგობრების“ გუნდის წევრი ოთარ მხეიძე გახდა, ტურნირის საუკეთესო მეკარედ კი „სარბიელელი“ გიორგი ვაშაკიძე მიიჩნიეს. საუკეთესო მოთამაშეებმა პრიზებად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან სპორტული ლიტერატურა მიიღეს.

„ბაჩოს თასის“ პრიზიორმა გუნდებმა მედია-ფესტივალის მეორე დღეს, 7 ივლისს კომპანია „რაფტინგ.ჯი“-ს მიერ ორგანიზებულ მედია-ტურნირზე გადაინაცვლეს ჯომარდობაში, ჭითახევში, მდინარე მტკვარზე სახელწოდებით – „მოროშას თასი“. ჯომარდობის ტურნირზე ჯამში 18 გუნდი ჩაერთო, რომელთა შორის გახლდათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გუნდიც, სპორტული ჟურნალისტებით დაკომპლექტებულ გუნდებს შორის კი დამატებით „ბაჩოს თასი“ ჯომარდობაშიც გათამაშდა. ჯომარდობაში გათამაშებული „ბაჩოს თასის“ მფლობელი „სპორტ მედიის“ გუნდი გახდა, რომელმაც სპორტულ ჟურნალისტთა გუნდებს შორის საუკეთესო დრო აჩვენა.

გია სვანიძე (ბაჩო სვანიძის მამა): „დღეს მე ამაყი ვარ. ამაყი ჩემი შვილის გამო. ამაყი თქვენ გამო, რომ ასეთი კარგები ხართ. ჩემმა შვილმა უდიდესი სიყვარული და სითბო დატოვა, ეს ყველაფერი სიხარულის საბაბს მაძლევს. შვილს ვერავინ გამიცოცხლებს, მაგრამ ასეთი დღეები გულზე მალამოსავით მედება, დარდს მიქარვებს. უღმესი მადლობა ყველას თანადგომის და სიყვარულისთვის“.

ნიკა კოპაძე

ოქროს წიგნი

„ოლიმპიური ენციკლოპედია," „სპორტის ენციკლოპედია," „ქართული სპორტის ფოტოისტორია," 34-წიგნიანი სერია „ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები"... – ცნობილი ჟურნალისტის, ამჟამად კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილის ავტორობით თუ რედაქტორობით აქამდე შექმნილ გამოცემებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის თაოსნობითა და ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. ეს არის „ქართული სპორტის ოქროს წიგნი," რომლის პრეზენტაციაც 17 ივნისს საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა. იქ შეკრებილ საზოგადოებას წიგნი თავად ავტორმა წარუდგინა.

376-გვერდიანი, უხვად ილუსტრირებული კრებულის (დიზაინერი – დავით სულაქველიძე) წინასიტყვაობაში **ELGUJA BERISHVILI** *წერს: „დამოუკიდებელი საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ იმკვიდრებს თავის ადგილს მსოფლიოს თანამეგობრობაში, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული, უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა. ამ ისტორიაში თავისი გამორჩეული ადგი-ლი უკავია ქართულ სპორტს. ძველისძველმა ეროვნულმა ასპარეზობებმა და ხალხური სპორტის საუკუნოვანმა ტრადიციებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართველ სპორტსმენთა თვალსაჩინო საერთაშორისო მიღწევები. სწორედ ქართულ სპორტზე, მის წარსულსა და აწმყოზე, ჩვენი სპორტის ისტორიის მთავარ გმირებსა და მოვლენებზე მოგვითხრობს ეს წიგნი. ჩვენ შევეცადეთ ერთ კრებულში გაგვეერთიანებინა ყველა მეტნაკლებად ღირებული ინფორმაცია და ფოტომასალა, წარჩინებული სპორტსმენების, მწვრთნელების, სპორტის მოღვაწეების ბიოგრაფიები, საინტერესო ამბები, სპორტის ცალკეულ სახეობათა ისტორიული ქრონიკები, სტატისტიკური მასალა. ვიმედოვნებთ, რომ ეს კრებული ქართველ თუ უცხოელ მკითხველს კეთილ მეგზურობას გაუწევს ქართული სპორტის საინტერესო სამყაროში".*

ELGUJA BERISHVILI

წიგნის პირველ ბლოკში თავმოყრილია მასალები სპორტის ეროვნულ სახეობებზე, ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებზე, მსოფლიოსა და ოლიმპიურ რეკორდსმენებზე. აქვეა მნიშვნელოვანი ამბების ქრონიკა და ოლიმპიური სტატისტიკა. მომდევნო თავი მოგვითხრობს 28 ოლიმპიურ სახეობაზე, ამ სახეობების ისტორიაზე, წარმატებულ სპორტსმენებზე. მესამე ბლოკში წარმოდგენილია ზამთრის სპორტი, ცალკე თავი ეთმობა სპორტის არაოლიმპიურ სახეობებს. ამას მოსდევს მასალები ქართული სპორტის მოღვაწეებზე, მწვრთნელებზე, მსაჯებზე, სპორტული მედიცინისა და მედიის წარმომადგენლებზე, სპორტულ ორგანიზაციებსა და კლუბებზე, სპორტულ ბაზებზე. ცალკე თავებად არის წარმოდგენილი „სპორტი სახვით ხელოვნებაში" და „საფოსტო მარკა და სპორტი." წიგნი მთავრდება სპორტის გაულშემატკივრებისადმი მიძღვნილი წერილით.

2013 წლის მიწურულს გამოიცა „ქართული სპორტის ოქროს წიგნის" ინგლისური ვერსიაც.

„ქართული სპორტის ოქროს წიგნი" გამოიცა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანადგომით და გამომცემლობა „პალიტრა L"-ის ხელშეწყობით.





უცვლელი ჩემპიონი სამი მედალი ყაზანიდან

ქართველი სტუდენტებისთვის საინტერესო ღონისძიებებით დახუნძლული სეზონი 2 თებერვალს ბაკურიანში გაიხსნა, სადაც სათხილამურო კროსში საქართველოს ჩემპიონატის I ეტაპი ჩატარდა. ტურნირი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებითა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. გენერალური სპონსორი კომპანია „ბილაინი“ იყო. შეჯიბრში მონაწილეობა 20 უმაღლესი სასწავლებლის 50-მდე სტუდენტმა მიიღო. საქართველოს ჩემპიონატის ფინალს მარტის დასაწყისში გუდაურმა უმასპინძლა. ვაჟთა შორის შეჯიბრში ილიას უნივერსიტეტის სტუდენტმა დავით თედიაშვილმა გაიმარჯვა, გოგონებში კი საუკეთესო გახდა თსუ-ს სტუდენტი თეონა მელიქიშვილი.

საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ასევე კომპანია „ბილაინის“ მხარდაჭერით 30 უნივერსიტეტს შორის ფუტსალის სტუდენტური ლიგა ჩაატარა, რომლის ფინალურ შეხვედრას 22 აპრილს სპორტკომპლექსმა „არენა 2“-მა უმასპინძლა. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს თსუ-ს და სეუ-ს გუნდები დაუპირისპირდნენ. თსუ-მ 3:0 გაიმარჯვა და ჩემპიონისთვის კუთვნილი თასი მიიღო. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში სტუ-მ აგრარულ უნივერსიტეტს 8:5 აჯობა. ფუტსალის საუნივერსიტეტო ლიგის ჩემპიონი და პრიზიორი გუნდები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ლექსო გუგავამ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგოლ ცაავამ დააჯილდოეს.

14-16 ივნისს სოფიამ მორაგბეთა ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატს უმასპინძლა. ტურნირზე სეუ-ს 7-კაცა გუნდი (გიორგი ჭყოიძე, ბაჩანა კოლელიშვილი, დიმიტრი კალანდაძე, საბა ნიკოლავა, გოდერძი ჯოგლიძე, ჯიმი ღამბაშიძე, ბახვა კობახიძე, ლუკა კვარაცხელია, ალექსანდრე ხუციშვილი, გიორგი ბებიაშვილი, საბა შუბითიძე, ივანე დავითაშვილი) ზაზა ლეჟავას თავკაცობით გამოვიდა და ჩემპიონი გახდა. ქართველმა მორაგბეებმა მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლეს და გამარჯვება

დამსახურებულად მოიპოვეს. მეოთხედფინალში ქართველმა სტუდენტებმა როტერდამის გუნდი უშანსოდ დატოვეს – 40:0. ნახევარფინალში მოსკოვის უნივერსიტეტი ჩამოიცილეს – 33:0. სეუ ფინალში საფრანგეთის ქალაქ პოს გუნდს დაუპირისპირდა. ჩვენმა მორაგბეებმა ქართული სულისკვეთება კიდევ ერთხელ გამოავლინეს და თითქმის წაგებული თამაში მოატრიალეს – 28:17.

6-17 ივლისს რუსეთის ქალაქ ყაზანში მსოფლიოს 27-ე უნივერსიადა გაიმართა, სადაც 162 ქვეყნის 10 000-ზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. უნივერსიადზე ქართველმა სპორტსმენებმა ჯამში 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ვერცხლის მედლის მფლობელი სამბისტი ნიკოლოზ კუცია (82 კგ) გახდა, 2 ბრინჯაოს მედალს კი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები – თორნიკე თურქიშვილი (60 კგ) და მიხეილ ქაჯაია (96 კგ) დაეუფლნენ. ყაზანის უნივერსიადაზე საქართველოს ოფიციალური დელეგაცია 11 სპორტის სახეობით იყო წარმოდგენილი – ცურვა, წყალბურთი, ფარიკაობა, ძიუდო, ქამრიანი ჭიდაობა, კრივი, ჭადრაკი, შვიდკაცა რაგბი, სამბო, სროლა, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს სტუდენტურმა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში 48-ე ადგილი დაიკავა. უნივერსიადის გუნდური გამარჯვებული რუსეთის ნაკრები გახდა 155 ოქროს, 75 ვერცხლის და 62 ბრინჯაოს მედლით, მე-2 ადგილზე ჩინეთი გავიდა – 26 ოქრო, 29 ვერცხლი, 22 ბრინჯაო, ხოლო მესამეზე იაპონია – 24 ოქრო, 28 ვერცხლი, 32 ბრინჯაო.

17 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით „სტუდენტური უნივერსიადა – 2013“ გაიმართა. სტუდენტურ თამაშებში მონაწილეობა 41 უნივერსიტეტის 1500-მდე სტუდენტმა მიიღო და მედლების კომპლექტი 16 სპორტის სახეობაში გაითამაშა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა სტუ-ს გუნდმა ამჯერადაც არავის დაუთმო – ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა 16 ოქროს, 15 ვერცხლის და 16 ბრინჯაოს მედალი დააგროვეს და ჩემპიონები გახდნენ. მეორე ადგილი თსუ-ს გუნდმა 10 ოქროს, 10 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედლით დაიკავა, მესამე ადგილს კი ილიას უნივერსიტეტი 7 ოქროს, 4 ვერცხლის და 9 ბრინჯაოს მედლით დასჯერდა.

სახეობა: ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, სროლა, მძლეოსნობა, ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ბადმინტონი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბ/რ ჭიდაობა, სამბო, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, შვიდკაცა რაგბი, ცურვა, ქვიშის ფრენბურთი.

ალექსანდრე მაისაშვილი

საქართველოს უნივერსიადის საბოლოო ცხრილი

	უმაღლესი სასწავლებელი	I	II	III	სულ
1.	ს.ტ.უ.	16	15	16	47
2	თ.ს.უ.	10	10	8	28
3	ილიას უნივერსიტეტი	7	4	9	20
4	გორის უნივერსიტეტი	6	3	11	20
5	საავიაციო უნივერსიტეტი	5	1	4	10
6	სამედიცინო უნივერსიტეტი	4	10	7	21
7	აგრარული უნივერსიტეტი	4	5	5	14
8	საქართველოს უნივერსიტეტი	3	4	9	16
9	სამხატვრო აკადემია	3	1	0	4
10	სამედ. აკადემია „ჰიპოკრატე“	3	0	0	3
11	კავკასიის უნივერსიტეტი	2	0	0	2
12	ქუთაისის უნივერსიტეტი	1	3	4	8
13	სასულიერო აკადემია	1	3	1	5
14	გათუმის რუსთაველის უნ.	1	1	5	7
15	გათუმის საზღვაო აკადემია	1	1	2	4
16	ს.დ.ა.ს.უ.	1	1	0	2
17	სამცხე-ჯავახეთის უნივ.	1	1	0	2
18	კავკასიის უნივ.	1	0	1	2
19	სუხიშვილისუნივერსიტეტი	1	0	0	1
20	უნივერსიტეტისპექტრი	1	0	0	1
21	კიევის უნივ. ფილიალი	1	0	0	1
22	ქართულ-ამერიკული უნივ.	1	0	0	1
23	სოხუმის უნივერსიტეტი	0	7	3	10
24	შავი ზღვის უნივერსიტეტი	0	2	2	4
25	ს.ე.უ.	0	1	1	2
26	თბილისის სასწავლო უნივ.	0	1	0	1
27	ქუთაისის უნივერსიტეტი	0	0	3	3
28	გეომედი	0	0	1	1
29	აჭარის კოოპერაციული ინსტ.	0	0	1	1
30	თავართქილაძის უნივ.	0	0	1	1
	სულ	74	74	94	242

ქაჯაიას ფინიში

ავტოსპორტს მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს, ფორმულა 1-ის შეჯიბრებები უდიდეს ინტერესს იწვევს. ავტოსპორტის გურმანები არც საქართველოს აკლია, მაგრამ ამ სპორტის სახეობის განვითარებას და პოპულარიზაციას ყველაზე მეტად მაინც ქართველი მრბოლელების გამარჯვებები სჭირდება. ეს საქმე სხვებზე უკეთ დათა ქაჯაიას გამოსდის, რომელმაც წლეულს რამდენიმე შეჯიბრება მოიგო.

24 მარტს რუსთავის ავტოდრომზე საავტომობილო სპორტის ასოციაციის თასის გათამაშება გაიმართა. შეჯიბრებაში ქართველ მრბოლელებთან ერთად, რუსეთიდან ჩამოსული კარტინგებისა და ფორმულას კლასის ჩემპიონები გამოდიოდნენ. ამჯერად წრიული რბოლა თასის მოსაპოვებლად სამ კლასში ჩატარდა. „ფორმულა ალფაში“ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ იკო ჩხეიძე, დავით რამიშვილი და შოთა აფხაზავა. „ლეგენდსის“ კლასში შოთა აფხაზავამ იჩემპიონა, მეორეზე ვიქტორ შაიტარი გვაიდა, მესამე კი დათა ქაჯაია იყო. ძარიანი ავტომობილების კლასში ორი შეჯიბრება ჩატარდა, აქ ჩემპიონები გახდნენ სანდრო ცხადაძე და დავით მენთეშაშვილი. უამინდობის მიუხედავად, რბოლას უამრავი გულშემატკივარი დაესწრო.

6 აპრილს საფრანგეთის ქალაქ დიჟონში „ლეგენდსის“ კლასში ევროპის ეროვნებათა სერიის პირველი ეტაპი გაიმართა. სერიის კალენდარში შვიდი ეტაპი შედის, რომელთაგან ექვსი ფრანგულ ავტოდრომებზე ჩატარდა, ერთი კი ბრიტანულ ბრენდს ჰეჩზე. პირველ ეტაპზე მოკლე რბოლები გაიმართა, რომლებიც დათა ქაჯაიას გამარჯვებით დასრულდა. დათამ ორივე რბოლის საკვალიფიკაციო სესიებიც მოიგო და სტარტზეც პირველი იდგა. მისმა თანაგუნდელმა კონსტანტინე კოლიაშვილმა კი პირველი რბოლა მეცხრე პოზიციიდან დაიწყო, მეორე კი – მეოთხედან. შესაბამისად, პირველი მოკლე რბოლა მეშვიდე ადგილზე დაასრულა, მეორეზე კი კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავა. ამგვარად, ეს არის ქართველთა პირველი დუბლი ევროპულ სარბიელზე.

მოგვიანებით, ქაჯაია კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოვიდა და ჯამში მის ანგარიშზე იყო ორი მოგებული კვალიფიკაცია, ორი მოგებული მოკლე რბოლა, ერთიც ენდურენსი, წრის საუკეთესო დრო და ტრასის რეკორდი „ლეგენდსის“ კლასის ავტომობილებისთვის. ქაჯაიამ ენდურენსის მთელი რბოლა მარტოობაში გაატარა და უახლოეს მდევარს, ბელგიელ დავიდ დე სეგერს ნახევარ წუთზე მეტით აჯობა. ამასთან, ქაჯაიამ ტრასის წრის რეკორდი 1,2 წამით გაუმჯობესა. საინტერესოა, რომ რბოლაში მონაწილეობა მიიღო ლეგენდარული ფრანგი მრბოლის, რალიში მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონ სებასტიან ლოების ნავიგატორმა დანიელ ელენმა და 24-ე ადგილს დასჯერდა.

მაისში კლერმონ ფერანის ტრასაზე, რომელიც ერთ-ერთი ურთულესია ევროპაში დათა ქაჯაიამ ორი რბოლის მოგება მოახერხა. დათამ კლასის სარბოლი ავტომობილების ევროპის ეროვნებათა თასის მეორე ეტაპის სამივე რბოლა ტრასაზე მოიგო, მაგრამ გრძელი რბოლის დროს, სავალდებულო პიტსტოპზე, ბოქსებიდან დაბრუნების წესი დაარღვია რის გამოც, საჯარიმო დრო დაემატა და საბოლოოდ,

კვარცხლბეკს მიღმა დარჩა, სამი რბოლის ჯამში კი მეორე ადგილი მიეკუთვნა.

ივნისში ბრიტანეთის ბრენდს ჰეჩზე დათა ქაჯაიამ კიდევ ერთხელ იყოჩაღა. ტრასაზე, რომელიც ადრე ფორმულა ერთის რბოლებს მასპინძლობდა, ეროვნებათა თასის მესამე ეტაპი ჩატარდა. სამი ეტაპი, 9 რბოლა და 9 გამარჯვება. ჯაქაიამ პირველი სპრინტი ბელგიელ დავიდ დე ზეგერთან ძალიან დაძაბულ ბრძოლაში მოიგო – მეტოქეს ფინიშთან მანქანის ნახევარი კორპუსით მიასწრო. გაცილებით იოლი გამარჯვება მეორე ოცწუთიან სპრინტში მოიპოვა. ენდურენსის რბოლა კი რთული გამოდგა. ქართველმა მრბოლელმა სტარტი პოულიდან კი აიღო, მაგრამ მალე ავარიულ სიტუაციაში აღმოჩნდა და შეჯახების თავიდან ასაცილებლად, მეტოქეების გატარება მოუხდა. ამის გამო, მეოთხე პოზიციაზე აღმოჩნდა. თუმცა, მალევე ლიდერ დე ზეგერს ჩაუდგა კვალში, ფინიშამდე ექვსი წრით ადრე შეძლო მეტოქის ჩამოტოვება და აქედან მოყოლებული, ლიდერობა აღარც დაუთმია.

ოქტომბერში დათა ქაჯაიამ ზედიზედ მეორედ მოიპოვა „ლეგენდსის“ კლასში ევროპის ეროვნებათა სერიის ჩემპიონის ტიტული. ქართველი მრბოლი აშკარა ფავორიტი იყო და ეს სტატუსი სრულად გაამართლა. ქაჯაიამ საფრანგეთის ნოგაროში სეზონის ბოლო, მეშვიდე ეტაპის ენდურენს რბოლაც მოიგო და საჩემპიონო თასიც აღმართა.

ნიკა კოპალიანი

მეკლდეურები მთაში და ბარში

მეკლდეურებმა რამდენიმე საინტერესო პროექტი განახორციელეს, ტრადიციული ტურნირები ორგანიზებულად და მასშტაბურად ჩაატარეს და თავის გამოჩენის საშუალება ყველა მსურველს მისცეს. ფედერაციამ, სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ხელოვნური გადასატანი კედელი შეიძინა, რომელმაც ლამის მთელი საქართველო მოიცვა და ფედერაციას კარგი სამსახური გაუწია. შეჯიბრების ჩატარება ქალაქშიც და სოფელშიც ერთნაირად იოლი გახდა, რითაც თავის მხრივ მეკლდეურობის პოპულიარიზაციისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა.

აპრილიში მეკლდეურობის ფედერაციამ ახალი არჩევნები ჩაატარა. მოწვეულმა დელეგატებმა ნიკოლოზ კვეზერელი პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს. ვიცე-პრეზიდენტებად მირზა ლიპარტელიანი და გუგა დაბრუნდაშვილი, ხოლო გენერალურ მდივნად ლადო გურჩიანი დაამტკიცეს.

ლენტეხის რაიონში თანამედროვე სტანდარტებით ხელოვნური კლდე აშენდა, სადაც მაისის მიწურულს სწრაფ ცოცვაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა და გამოჩენილი მთამსვლელის ჯოკია გუგავას სახელობის თასი გათამაშდა. სამომავლოდ ეს ტურნირი ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად ჩატარდება. სწრაფ ცოცვაში ჩემპიონი გიგა ჯანხოთელი გახდა, ვისაც ჯოკია გუგავას თასი გადაეცა. ვერცხლის მედალი გოგა ჩართოლანს ერგო, მესამე ადგილზე გიორგი ჯაფარიძე გავიდა. რთულ ცოცვაში სხვებზე მოხერხებული გიორგი გაბულდანი გამოდგა. მას მიჰყვნენ ბექა ნავერიანი და ალმაძგირ გვიჩიანი.

ლენტეხში ხელოვნურ კლდეს გოგონებმაც შეუტიეს. სწრაფ ცოცვაში სხვებზე სწრაფი ნუცა ხუციშვილი გამოდგა, მეორე იყო დარო რატიანი, მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ფატი იოსელიანმა მიიკუთვნა. რთულ ცოცვაში ჩატარებულ შეჯიბრებაში თამარ მელაძე გამოირჩა, ვერცხლი ანი დულარიძეს ერგო, ბრინჯაო – ფატი იოსელიანს.

14-17 აგვისტოს მესტიაში მიხეილ ხერგიანის მემორიალი ჩატარდა. მეკლდეურები ერთმანეთს ხელოვნურ და ბუნებრივ კლდეზე ცოცვაში შეეჯიბრნენ. ტურნირის დასკვნით დღეს მესტიას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მოადგილე აკაკი ლოდიასთან, სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გიორგი ასათიანთან და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესტუმრა. შეჯიბრებები რთულ და სწრაფ ცოცვაში მესტიის ცენტრში მდებარე სპორტულ დარბაზში, ხოლო ინდივიდუალურ ცოცვაში ბუნებრივ კლდეზე მესტიის ცენტრიდან დაახლოებით 5-6 კილომეტრში მდებარე კლდეებზე გაიმართა. მემორიალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონის 50-მა საუკეთესო სპორტსმენმა და აზერბაიჯანის, სომხეთის და პოლონეთის გუნდებმა. რთულ ცოცვაში ვაჟებში გიორგი გაბულდანმა, ხოლო გოგონებში თამუნა მელაძემ იჩემპიონეს. სწრაფ ცოცვაში ოქროს მედალოსნი ვაჟთა შორის გიგა ჯანხოთელი, გოგონებში კი დარო რატიანი გახდა. ბუნებრივ კლდეზე ინდივიდუალურ ცოცვაში გიორგი გაბულდანმა ოქროს მედალი არავის დაუთმო, იგივეს გაკეთება გოგონებში ფატი იოსელიანმა მოახერხა. გამარჯვებულები და პრიზიორები ლევან ყიფიანმა დააჯილდოვა.

ნიკა კოპალიანი

ევროპული მედლები

მოკრივეთა წლევანდელი შედეგებისთვის თვალის გადავლება გაორებულ განცდას გიქმნის: ეროვნული ნაკრების მოკრივეების მიერ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი, ცხადია, ერთობ დამაფიქრებელია, მაგრამ ევროპირველობებზე ჩვენი ჭაბუკების მიერ მოპოვებული მედლები ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად იძლევა, იმის იმედს, რომ უახლოეს წლებში დაღვინებულ–დაოსტატებული ჭაბუკი მოკრივეები ეროვნული ნაკრების წევრებს ღირსეულად ჩაანაცვლებენ და მოზრდილთა ტურნირებშიც წარმატებით იასპარეზებენ.

აპრილში უკრაინის ქალაქ ხერსონში მსოფლიოს კრივის ასოციაციის (აიბა) ეგიდით ა-კლასის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 11 ქვეყნის მოკრივეებმა მიიღეს. შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრების მოკრივეებიც გამოვიდნენ და 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. უკრაინაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების სახელით 7 მოკრივე გამოვიდა, მედლები კი დავით ნანავამ (49 კგ) და რომან თავაძემ (81 კგ) მოიპოვეს. ვერცხლი ნანავას, ხოლო ბრინჯაო თავაძეს ერგო.

9-14 მაისს ბაქოში ჰეიდარ ალიევის სახელობის ჭაბუკ მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრებაში 9 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა. ქართველმა მოკრივეებმა ბაქოში 1 ოქროს და 4 ბრინჯაოს მედალი აიღეს. 66 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესის ტიტული ქუთაისელმა გიორგი ხარაბაძემ მოიპოვა, მესამე ადგილზე კი ესკერხან მადიევი (52 კგ), თორნიკე ხელაძე (60 კგ), ბექა ვახანია (70 კგ) და რატი ტლაშაძე (75 კ გ) გავიდნენ.

17-22 ივნისს უკრაინის ქალაქ ბერდიჩევოში ახალგაზრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრება ცობილი უკრაინელი მოკრივეების, ძმების ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოების დაფუძნებულია და ტურნირში გამარჯვებულები მათივე სახელობის პრიზს იღებენ. ტურნირში მონაწილეობდა 13 ქვეყნის ნაკრები. საქართველო ამ შეჯიბრებაზე 5 მოკრივით წარსდგა. ქუთაისელმა ჯემალ შალამბერიძემ (64 კგ) ფინალამდე ყველა შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი დამარცხდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. ჩვენს ნაკრებს მეორე მედალიც, ამჯერად – ბრინჯაო, ქუთაისელმა სპორტსმენმა ირაკლი ქათამაძემ (75 კგ) მოუტანა.

11-18 აგვისტოს ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. ქართველმა მოჩხუბრებმა ევროპირველობაზე 2 მედალი ირგუნეს. დავით ნანავამ (49 კგ) და კონსტანტინე ხვისტანმა (69 კგ) ნახევარფინალურ ეტაპზე გააღწიეს და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ. ნანავას და ხვისტანს უკეთესი სინჯის მედლების დასაკუთრებაც შეეძლოთ, მაგრამ ნახევარფინალური ბარიერი ვერ დაძლიეს.

11-16 სექტემბერს რუსეთის ქალაქმა მახაჩკალამ 10 ქვეყნის მონაწილეობით საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შალვა დუნდუას შეგირდებმა 3 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს და გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. საქართველოს ნაკრებს ვერცხლის მედლები სევერიან ჭილაძემ (52 კგ), გიორგი გიორგაძემ (75 კგ) და ირაკლი გვენეტაძემ (91 კგ) მოუტანეს, ბრინჯაოები კი გიორგი ყულუმბეგაშვილმა (56 კგ), გელა აბაშიძემ (69 კგ), გოჩა ბადურაშვილმა (75 კგ) და რომან თავაძემ (81 კგ).

ოქტომბერში ყაზახეთის ქალაქ ალმაათაში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. ქომაგის დიდი სურვილის და მოკრივეთა მონდომების მიუხედავად, მსოფლიოს პირველობაზე ვერაფერს გამოვრჩით. საქართველოს ნაკრების მოკრივეებისთვის მედლის მოპოვება გადაუჭრელ ამოცანად იქცა. ქართველმა მოჩხუბრებმა მედალთან მიახლოებაც კი ვერ შეძლეს – ნათლად გამოჩნდა, რომ მათ სავარჯიშო და დასახვეწი კიდევ ბევრი აქვთ. თავად განსაჯეთ – ჩვენი რვა მოკრივიდან ექვსმა ბრძოლა პირველივე ეტაპზე შეწყვიტა, ორმა მოკრივემ კი მხოლოდ თითო მეტოქის ჩამოცილება შეძლო.

8-17 ნოემბერს რუსეთის ქალაქმა ანაპამ ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. აქ წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ჭაბუკები და 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, რუსეთის და ირლანდიის შემდეგ მე-3 გუნდური ადგილიც დაიკავეს. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტული გიორგი ხარაბაძემ მოიპოვა. ფინალურ ორთაბრძოლაში ქართველმა მოკრივემ უკრაინელ სტერან გრეკულს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 74 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის პრიზიორი გახდა რატი ტლაშაძე, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა ფრანგ ლუიო ტოტისთან დათმო. 46 კგ წონაში ბრინჯაოს გიორგი ჩარგაზია დაეუფლა, ხოლო 52 კილოგრამში ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა უჩა მაისურაძემ.

ევროპის ჩემპიონატზე მსაჯთა დამკვირვებლად მიწვეული იყო საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი, აიბა-ს დელეგატი ვლადიმერ ახალკაცი.

ნიკა კოპალიანი

EUROPEAN MEDALS

The review of this year's achievements of Georgian boxers creates dual feelings. The result shown by the national combined team at the world championship is certainly alarming. However, the medals gained by our young boxers at the European championships definitely give ground for optimism. It breeds hope that skilled young boxers will eventually substitute for the members of the main national team in the coming years and will succeed at the adults' international tournaments.

Rotterdam (Holland) played host to the European youth championship during August 11-18. Georgian boxers won two medals. David Nanava (49 kg) and Constantine Khvistani (69 kg) became bronze medalists.

In October, the world championship took place in Alma-Ata (Kazakhstan). Despite the Georgian national team boxers strained every effort to the matches the winning of medal has become an unresolved task. The Georgian boxers could not even approach to the championship awards. Out of eight boxers six dropped out of the contest at the very first stage. The championship made clear that Georgian boxers have much to refine in their fighting technique. Two boxers managed to beat only one contender.

On November 8-17, Anapa (Russia) hosted European junior boxers' championship where Georgian entrants won one gold, one silver and two bronze medals. They occupied the third place following Russia and Ireland. Giorgi Kharabadze (66 kg) became champion of Europe. He beat Steran Grekul (Ukraine) in the final duel. Rati Tlashadze (74 kg) won silver because of losing the final duel with Louie Toti (France). Giorgi Chargazia (46 kg) and Ucha Maisuradze (52kg) became bronze medalists.

Vladimer Akhalkatsi, secretary general of Georgian Federation of Boxing and AIBA delegate, was invited at the championship as observer of referees.

NIKA KOPALIANI

სპორტი ყველასათვის

სპორტის ხელმისაწვდომობა და მასობრიობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად იქცა. ეროვნული ფედერაციის – „სპორტი ყველასათვის“ სათავეში მძლეოსნობაში ოლიმპიური პრიზიორის – მაია აზარაშვილის მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით ფედერაცია განსაკუთრებით აქტიური გახდა.

2013 წლის განმავლობაში სამინისტროს მხარდაჭერით და ფედერაციის ორგანიზებით არაერთი ტურნირი ჩატარდა, რაც საქართველოში მოსახლეობის სპორტული აქტიურობის და სპორტში ჩართულობის ამაღლებას, მოზარდთა სპორტით დაინტერესებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ემსახურება.

„სპორტი ყველასათვის“ მიერ 2013 წელს ორგანიზებული ღონისძიებებიდან გამოსარჩევია 5-კილომეტრიანი გარბენი „ევროპის კვირეულის“ ფარგლებში, ტურნირი მინი-ფეხბურთში პრობაციონერთა შორის, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები სხვადასხვა სახეობებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, 50-კილომეტრიანი მარათონი კუს ტბაზე ამერიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ერთობლივი ტურნირი „ერთი-ერთზე“ კალათბურთში RedBull-თან ერთად რაბათის ციხეზე, მძლეოსნური გარბენი მსოფლიო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით თბილისში, მასშტაბური „თბილისიმარათონი“ „ჰაიდელბერგცემენტთან“ და გერმანიის საელჩოსთან ერთად. მასობრივი სპორტული ტურნირების ორგანიზება 2014 წელსაც გაგრძელდება.

ცალი ხელით

ძალოსნებმა კიდევ ერთი სეზონი მოილიეს. ლაშა ტალახაძემ (+105 კგ) მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ლამის ცალი ხელით მოიგო, ოქტომბერში კი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციიდან სასიხარულო ამბავი მოვიდა – 2015 წელს ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს. საქართველოს დედაქალაქში უამრავი სახელიანი სპორტსმენი ჩამოვა. ქართველი გულშემატკივარი საინტერესო, ემოციებით აღსავსე გამოსვლებს ნახავს.

3–12 მაისს პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულ ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერმა ლაშა ტალახაძემ (+105 კგ) მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ლაშამ 190 კილოგრამი აიტაცა და 221 კილოგრამი აკრა, ჯამში 411 კილოგრამი მოაგროვა და ოქროს მედალი არავის დაუთმო. მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა სომეხი გორ მინასიანი (403 კგ), ბრინჯაოს მედალი კი 385 კილოგრამით რუსთა ძალოსანმა კარენ მარტიროსიანმა მოიპოვა. ტალახაძემ უახლოეს მდევარ მინასიანს მთელი რვა კილოგრამით აჯობა, რაც მის სიძლიერეზე მეტყველებს.

20-29 სექტემბერს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. 77 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს სახელით ორი ძალოსანი გამოვიდა – ზურაბ თავაძემ ჯამში 303 კილოგრამი (138+165) დაიმორჩილა და მე-4 ადგილს დასჯერდა. ირაკლი გაბრიჭიძემ ატაცში საწყის ორ მისვლაზე შტანგას ვერ აჯობა, შემდეგ 142 კილოგრამი ასწია და მცირე ბრინჯაოც მოიპოვა, თუმცა აკვრაში სამივე ცდა გააცუდა და ორჭიდის ჯამში შეუფასებელი დარჩა. მხოლოდ მე-8 საფეხურს დასჯერდა რამინ შამილიშვილი, რომლის მონაგარიც ორჭიდში 248 კილოგრამი იყო. 23-წლამდელებში გიორგი ლომთაძემ (77 კგ) ატაცში 148 კილოგრამი დაიმორჩილა, რამაც მცირე ოქროს მედალი მოუტანა. აკვრაში 180 კგ-ით მე-4 იყო, ხოლო ორჭიდის ჯამში 328 კილოთი ვერცხლი დაისაკუთრა. ლომთაძე ევროპის ჩემპიონ ესპანელ ალეხანდრო გონსალესს 2 კილოთი ჩამორჩა.

ნიკა კოპაძე

TALAKHADZE'S DOUBLE

Georgian weightlifters have finished one more season. Lasha Talakhadze (+105) surprisingly easily won the world youth championship. In October, good news came to Georgia from the International Federation of Weightlifting. Tbilisi will play host to the 2015 European championship in weightlifting, which means that many famous sportsmen will visit Georgian capital and the Georgians will watch interesting and exiting contests of weightlifters.

At the world youth championship held in Lima (Peru) leader of the Georgian national team Lasha Talakhadze (+105) became the world champion in heavy weight category. Lasha lifted 190 kg in snatch and 221 in clean and jerk. He aggregated 411 kg in the double-event and won a gold medal convincingly. He outstripped the runner-up by total 68 kg and this result is the evidence of his strength. Gor Minasian (Armenia) became silver medalist with aggregated 403 kg and Karen Martirosian won bronze with 385 kg.

During September 20-29, Tallinn (Estonia) was the place of U-20 and U-23 European championship in weightlifting. Two Georgian entrants participated in the contest in 77 kg weight category. Zurab Tavadze lifted aggregated weight of 303 kg (138+165) and occupied the 4th place. Irakli Gabrichidze could not cope with the bar in two attempts. Then he lifted 142 kg and won small bronze medal. However, Irakli failed in all three attempts in clean and jerk and did not receive scores in the double-event. Roman Shamilishvili whose result was 248 kg in the double-event stayed on the 8th place. Giorgi Lomidze (77 kg), Georgian entrant in U-23 contest, snatched 148 kg and gained small gold medal. He was the 4th in the clean and jerk with 180 kg. The aggregated sum of 328 kg brought him a silver medal. Lomtadze lagged behind the champion of Europe Alekhandro Gonzales (Spain) by 2 kg.

European Junior and Under 23
WEIGHTLIFTING CHAMPIONSHIPS
Tallinn 2013
ESTONIA

ზაზა ნადირაძე – მსოფლიოში მე-14

ნიჩბოსნობა – საინტერესო და თვალსაჩინო სპორტის სახეობა, რომელიც წლების განმავლობაში სულს ღაფავდა და უკიდურეს გაჭირვებაში იყო, ნელ–ნელა გამოცოცხლდა. ცხადია, აქ განსაკუთრებულ შედეგებს არ ვგულისხმობთ და ასეთი ვერც იქნება, რადგან ჩავარდნა ძალიან დიდი იყო. ნიჩბოსნები ეტაპობრივად გამოდიან სხვადასხვა ტურნირებზე და ახალგაზრდა სპორტსმენების დაოსტატებას ცდილობენ.

9–10 აპრილს, აზერბაიჯანში, კერძოდ, მინგეჩაურში ახალგაზრდა ნიჩბოსანთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ქართველმა სპორტსმენებმაც მიიღეს და სამივე სინჯის მედლები დაიკუთრეს. კაიაკით, ერთადგილიანი ნავით 200 მეტრზე შეჯიბრში ზაზა ნადირაძემ იჩემპიონა, მანვე იგივე დისციპლინაში ოღონდ 500 მეტრზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 18-წლამდელთა შორის კაიაკით, 200 მეტრზე ერთადგილიანი ნავით შეჯიბრში გიორგი ვერცხლის მედალს გამორჩა, 500 მეტრით დისტანციაზე კი ოქროს მედალი მოიპოვა. საინტერესოა, რომ ამ ბიჭმა ბედი 1000-მეტრიან დისციპლინაზეც სცადა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. კანოეში ერთადგილიანი ნავით 200 მეტრზე შეჯიბრში საქართველოს ნაკრების სახელით შაბურიშვილი გამოვიდა და ბრინჯაოს შეწვდა. მანვე მეორე ბრინჯაო 500 მეტრზე შეჯიბრში დაისაკუთრა.

ჩვენი სპორტსმენები აზერბაიჯანში აკადემიურ ნიჩბოსნობაშიც გამოვიდნენ და 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. იუნიორთა ტურნირზე ფარნა კაპანაძემ ერთადგილიანი ნავით 1000 მეტრი ყველაზე სწრაფად დაფარა, 18-წლამდელთა შორის იგივე დისციპლინაში ანალოგიური შედეგი კი არჩილ ბაიაშვილმა გაიმეორა. იმავე ბაიაშვილმა 2000 მეტრზე კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიგო. ორადგილიანი ნავით 2000 მეტრზე ბაიაშვილი გიორგი კანთელაძეს შეუწყვილდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამავე მანძილზე ოღონდ ოთხადგილიანი ნავით პეტრე ქავთარაძე, გიორგი კუჭავა, გელა ქოიავა და ნიკა ქავთარაძე ვერცხლს გამორჩნენ. საინტერესოა, რომ მონაწილე გოგონებშიც გვყავდა. ანი გვილავამ 2000 მეტრი ორი კონკურენტის შემდეგ გადაკვეთა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

27 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით გერმანიის ქალაქმა დუისბურგმა ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ქართველ ნიჩბოსნებს საპრიზო ადგილებისთვის ნამდვილად არ უბრძოლიათ და ამ ეტაპზე მედლის მოპოვებას ვერც ვერავინ მოსთხოვდა, თუმცა საკმაოდ საინტერესო პოზიციები კი დაიჭირეს. ნიჩბოსნობა ოლიმპიური სპორტის სახეობაა და შედეგის გაკეთება, მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან რთულია. მსოფლიოს პირველობაზე წამყვანი ქვეყნების გამორჩეული სპორტსმენები გამოდიან, ჩვენი ბიჭები კი ჯერაც ელემენტარული ყოფითი პრობლემების გადაჭრას ცდილობენ. ზაზა ნადირაძემ კანოეთი 200 მეტრზე შეჯიბრში საკვალიფიკაციო ეტაპიც დაძლია (43.129 წამი) და ნახევარფინალიც (40.535 წამი), წინასწარ ფინალში გასულმა კი 40.643 წამი აჩვენა და საერთო ჯამში მე-14 ადგილს დასჯერდა, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. ნადირაძემ ძალები 500 მეტრზეც მოსინჯა და 1:56.702 წუთით მე-16 ადგილზე გავიდა.

7-8 სექტემბერს კანოეში საქართველოს ქალთა ნაკრების წევრი 14 წლის მარიამ ქერდიკაშვილი წარმატებით გამოვიდა საფრანგეთის ქალაქ ბულონში გამართულ ქალთა კანოეს მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე. ახალგაზრდა ქართველმა სპორტსმენმა საერთაშორისო ასაკობრივ ტურნირზე რამდენიმე დისციპლინაში მოსინჯა ძალები და საკმაოდ შედეგიანადაც. 3 000 მეტრ დისტანციაზე ქერდიკაშვილმა მე-4 ადგილის დაკავება შეძლო, 200 მეტრზე სპრინტში მისი მაჩვენებელი მე-6 ადგილი გახლდათ, მარიამმა ყველაზე შედეგიანად 4-მოსასმელიანი ნავით გამოსვლისას ისრიალა, როცა 200 მეტრ გუნდურ დისტანციაზე ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ლექსო ალექსიძე

მყინვარწვერიდან ევერესტამდე

იალბუზზე პირველი სპორტული ასვლის მონაწილეები. მარცხნიდან მეორე – ექსპედიციის ხელმძღვანელი გიორგი ნიკოლაძე. 1925 წელი

ქართული სპორტული ალპინიზმი 90 წლისაა. ეს ათწლეულები იტევს სხვადასხვა თაობის მთამსვლელების სპორტული გამარჯვებების არაერთ ღირსსახსოვარ და გმირულ ამბავს _ მყინვარწვერზე პირველი ასვლით დაწყებული, ჯომოლუნგმის დაპყრობით დამთავრებული. ეს წლები ასევე იტევს ტრაგიკულ ამბებსაც, რის გარეშეც, სამწუხაროდ, არ არსებობს ალპინიზმი.

ისტორიულ-ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ კავკასიელი ხალხები, მათ შორის ქართველები, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იცნობდნენ ალპინისტური ტექნიკის საფუძვლებს, ფართოდ იყენებდნენ მთაში სიარულისთვის საჭირო ძირითად საჭურველს – წრიაპს, რკინის პალოებს, წერაყინს, ქანცს, თოკსა და ჯაჭვს, საცოც ტყავებსა და თხილამურებს. რკინის სატეხების გამოყენება დამოწმებულია წარმართული დროის თქმულების – "მიჯაჭვული ამირანის" სვანურ ვარიანტში. როცა იბერიელების, კოლხებისა და ჰენიოხების საზღვრის გასწვრივ წამომართულ კავკასიონის მაღალ მთებს აღწერს, ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ. I ს.) აღნიშნავს, რომ ეს „მწვერვალები ზამთრობით გაუვალია, მხოლოდ ზაფხულობით ადიან ფეხებზე ლურსმნებით დაჭედილი, დამუშავებული ტყავით ამოკრულები. ხოლო ეს ტყავები სიფართოვით დაფის ოდენაა და ამას იკეთებენ თოვლისა და ყინულის გამო". სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" განმარტებული ბევრი სიტყვა დღევანდელ ალპინიზმში ადრინდელი მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, წრიაპი – „ესე არს რკინა შემზადებული კბილებიანი, ტერფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოთა მავალსა კაცსა ფეხი არა მოუცურდეს". „წერაქვი", დღევანდელი წერაყინი, საბას განმარტებით არის „ცალგნით სათხრელი აქვნდეს კლდეთ დასარღვევად". იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" მოთხრობილია, თუ როგორ ავიდა მღვდელი

მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეები. ზის მარჯვნიდან მეოთხე – ექსპედიციის ხელმძღვანელი ალექსანდრე დიდებულიძე. 1923 წელი

იოსებ მოხევე მყინვარწვერზე. იოსებ მოხევეს „მყინვარსა მთასა მიწა, კაცთაგან შეუვალსა“ უნახავს აბრაამის კარავი, რომლის ნაჭერიც ერეკლე მეფისთვის მიურთმევია. მყინვარწვერის ფერდობზე, 4 100 მეტრის სიმაღლეზე, კლდეში ნაკვეთ ხელოვნურ გამოქვაბულში ნაპოვნია შუა საუკუნეების ნივთები და მონეტები, ბრუტსაბძელაზე (3670 მ) – XVIII საუკუნის საკულტო ძეგლები.

კავკასიონის მწვერვალებზე, მათ შორის საქართველოს პიკებზე (მყინვარწვერი, უშბა, თეთნულდი, შხარა და სხვ.) პირველამსვლელებად ითვლებიან ინგლისის, გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ალპინისტები. უცხოელ მთამსვლელებს გამყოლებად და მეგზურებად, როგორც წესი, ახლდნენ ქართველები, რომლებმაც კარგად იცოდნენ მთის პირობები და მთაში მოძრაობის ტექნიკა. ისტორიამ შემოგვინახა ზოგიერთი მათგანის სახელი: მიტო არღვლიანი, მურათბი კიბოლანი, კოტე ფიცხელაური, ლალა ხუციშვილი. უფრო გვიან ცნობილი გამყოლები იყვნენ გახა წიკლაური, იაგორ კაზალიკაშვილი, გიო ლობჟანიძე, გიგლა იჭირაული, პავლე (ბახვა) ფიფია და სხვები.

ქართული სპორტული ალპინიზმის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება, როცა პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით აგვისტო-სექტემბერში ზედიზედ ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე. გიორგი ნიკოლაძის 18-კაციანმა ჯგუფმა მწვერვალს 28 აგვისტოს მიაღწია. გამარჯვებულ მთამსვლელთა შორის ხუთი ქალი იყო. „ეს მწვერვალია. მოწინავეებმა საფეხურების ჭრას თავი დაანებეს და პირდაპირ ზევით აირბინეს. მიზანი მიღწეულია. აღსრულდა მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა“, – წერდა შემდეგ გიორგი ნიკოლაძე (“პირველი ქართული ასვლა მყინვარწვერზე,“ თბილისი, 1924 წ.). ორი წლის შემდეგ ასევე გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით განხორციელდა პირველი საბჭოური ასვლა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე.

ამ ასვლებით საფუძველი ჩაეყარა ქართული სპორტული ალპინიზმის განვითარე-

უშბაზე პირველი ქართული ექსპედიციის წევრები. სხედან: ბექნუ ხერგიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ალიოშა ჯაფარიძე; დგანან: გოჯი ზურებიანი და გაბრიელ ხერგიანი. 1940 წელი

რომან გიუტაშვილი – პირველი ქართველი ევერესტზე. 1991 წლის 10 ოქტომბერი

თეთნულდის ლაშქრობიდან დაბრუნებული ქართული ალპინისტური ექსპედიცია. 1930 წელი

ბას, რომელიც უფრო და უფრო დიდ სიმაღლეებს აღწევდა. მომდევნო მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო უშბაზე და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების, იაგორ კაზალიკაშვილისა და გიო ნიგურიანის ასვლა 1934 წელს, რამაც სათავე დაუდო საბჭოურ ასვლებს ამ მწვერვალზე. ამას მოჰყვა 1937 წელს იმავე მწვერვალზე პირველი კლდოვანი ასვლა, რომელშიც მონაწილეობდნენ გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი. ქართველმა მთამსვლელებმა სათავე დაუდეს ტრავერსების კლასსაც. ისინი კავკასიონის, პამირისა თუ ტიან-შანის მთებში მრავალ მწვერვალზე პირველამსვლელები და ბევრი ახალი, ურთულესი მარშრუტის გამკვალავებიც არიან. 1949 წლიდან, როცა საფუძველი ჩაეყარა სსრ კავშირის ჩემპიონატებს, ქართველ მთამსვლელთა გუნდებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს. ყოფილა შემთხვევები, ქართველი ალპინისტების ერთდროულად რამდენიმე გუნდს მედლები მოუგია საკავშირო ჩემპიონატების სხვადასხვა კლასში. ამ მხრივ განსაკუთრებული გამოდგა 1976 წელი, როცა პამირსა და ტიან-შანში საქართველოს მთამსვლელთა ორმა გუნდმა მოიპოვა ჩემპიონობა. ამას გარდა, საქართველოს ცალკეული მთამსვლელები არაერთხელ გამოსულან რუსეთის გუნდების შემადგენლობაშიც და მათთან ერთად მრავალი ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედალიც დაუსაკუთრებიათ.

ქართული ალპინიზმის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის 1936 წელს დაარსებულ საქართველოს ალპურ კლუბს, რომელიც 1945 წლიდან ალიოშა ჯაფარიძის სახელს ატარებს. 1936 წელს ალიოშა ჯაფარიძე „პამირის გმირად“ აღიარეს; 1960 წელს „კლდის ვეფხვის“ წოდება მიენიჭათ მიხეილ ხერგიანს და იოსებ კახიანს; 1967 წელს პირველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გახდნენ მიხეილ ხერგიანი, გიორგი (აგი) აბაშიძე, დიმიტრი დანგაძე და შოთა მირიანაშვილი; „თოვლის ჯიქის“ წოდება მიენიჭათ რომა გიუტაშვილს (პირველი ქართველი, რომელიც ევერესტზე ავიდა), ბიძინა გუჯაბიძეს, აფი გიგანს, თამაზ შარაშენიძესა და ლევონ სარქისოვს; ევრაზიის მთამსვლელთა კავშირის ორდენით – „ედელვაისით“ დაჯილდოვდნენ ბენო ქაშაკაშვილი და ლევონ სარქისოვი. თანამედროვე ქართველმა ალპინისტებმა მსოფლიოს მრავალი უმაღლესი მწვერვალი დალაშქრეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1999 წელს ორი ქართული ჯგუფის ასვლა ევერესტზე სამხრეთისა (ხელმძღვანელი – ბენო ქაშაკაშვილი) და ჩრდილოეთის მხრიდან (ხელმძღვანელი – გია თორთლაძე), ბიძინა გუჯაბიძის ორი ასვლა ევერესტზე – სამხრეთიდან (1999) და ჩრდილოეთიდან (2003).

აქ წარმოდგენილია მთაში დაღუპულ იმ მთამსვლელთა სია, რომლებიც რომელიმე ალპინისტური გუნდის წევრები იყვნენ და რომელთა ასვლა აღირიცხებოდა.

სიმონ ჯაფარიძე – 1929 (თეთნულდი); პიმენ დვალი – 1929 (თეთნულდი); შოთა მიქელაძე – 1932 (მყინვარწვერი); ვასო ხაიკაშვილი – 1939 (მყინვარწვერი); ფრიდონ ჩართოლანი – 1942 (იალბუზი); ალიოშა ჯაფარიძე – 1945 (უშბა); ქელეშბი ონიანი – 1945 (უშბა); ნიკოლოზ მუხინი – 1945 (უშბა); დავით ბაბაკიშვილი – 1946 (უშბა); ილია გაბლიანი – 1961 (პობედა); თეიმურაზ კუხიანიძე – 1961 (პობედა); ჯუმბერ მეძმარიაშვილი – 1961 (პობედა); კიმი დარსაძე – 1962 (პამირი); ზაურ ჩარქსელიანი – 1962 (პამირი); გურამ თიკანაძე – 1963 (შხარა); ჯონი ობოლაშვილი – 1965 (ნამყვამი); დავით ხარაშვილი – 1966 (რუსთაველი); თეიმურაზ მელია – 1966 (რუსთაველი); გურამ წოწორია – 1966 (რუსთაველი); დიმიტრი ჭიჭინაძე – 1966 (რუსთაველი); ბიჭიკო ოტიაშვილი – 1966 (რუსთაველი); დავით ბაქანიძე – 1967 (წურუნგულა); მიხეილ ხერგიანი – 1969 (სუ-ალტო); ლევ აკოფიანი – 1970 (კუ-კურტლუ); ზაურ მიქაძე – 1972 (რუსთავი); გურამ გულუა – 1972 (რუსთავი); ლომიკო ჯინჭველაშვილი – 1972 (რუსთავი); ნესტორ მაჭავარიანი – 1972 (ჯანტუგანი); ვალერი გაბელაშვილი – 1975 (ფანის მთა, რუდაქი); ზურაბ ათანაზევიჩი – 1980 (როსია); დავით მეძმარიაშვილი – 1980 (როსია); გიორგი ნაიდენი – 1980 (როსია); ვიქტორ რიბინსკი – 1980 (როსია); ვახტანგ ფირცხალავა – 1980 (კომუნიზმის პიკი); გიორგი ჟღენტი – 1985 (შავი უცნობი); სერგო ბარლიანი – 1985 (ზესხო); გია გიორგაძე – 1983 (ყარაუგომი); ირაკლი გელდიაშვილი – 1984 (უშბა); გოგი ზუმბაძე – 1984 (უშბა); დევი თარხნიშვილი – 1984 (უშბა); დავით კობახიძე – 1984 (უშბა); გია ტუშური – 1984 (უშბა); მურად ჭიჭინაძე – 1984 (უშბა); ხათუნა ალავიძე – 1987 (ჭაუხები, შავთავა); ივანე გულედანი – 2001 (უშბა); ზაალ ქიქოძე – 2005 (უშბა); მერაბ ხაბაზი – 2005 (უშბა); მიხეილ ჩაჩანიძე – 2005 (უშბა); გიორგი ქრისტესაშვილი – 2011 (გორი).



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თაოსნობით, მთამსვლელობის ეროვნული ფედერაციის, მთამსვლელობის ფედერაციის და მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის მონაწილეობით, ჩვენი ალპინიზმის 90-წლოვან იუბილეს არაერთი საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა, მათ შორის – საჩვენებელი ცოცვა ხელოვნურ კედელზე ვერის ბაღში; საიუბილეო-საჩვენებელი ცოცვა თბილისში, მეტეხის კლდეებზე; შეჯიბრებები ბოლდერინგში; საიუბილეო საღამო სტეფანწმინდაში; დაღუპულ მთამსვლელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი ქაშუეთის ტაძარში; დასკვნითი საიუბილეო საღამო და ვეტერან მთამსვლელთა დაჯილდოების ცერემონიალი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში. იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა ილუსტრირებული კრებული, რომელშიც თავმოყრილია ქართული ალპინიზმის ისტორიის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ამბები.

ქართველ ალპინისტთა ასვლები, რომლებსაც პირველი ადგილები მიეკუთვნა სსრკ ჩემპიონატებში

1950. შხელდა–უშგა
(ცენტრალური კავკასიონი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1., ივანე (კაკო) მარი, მაქსიმე გვარლიანი, გოჯი ზურებიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, ბექნუ ხერგიანი (საქართველოს ალპური კლუბი).

1952. შხარა–თეთნულდი
(ცენტრალური კავკასიონი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1. ბექნუ ხერგიანი, ილია გაბლიანი, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, ბისარიონ ხერგიანი (საქართველოს ალპური კლუბი).

1952. წურუნგალა–თეთნულდი
(ცენტრალური კავკასიონი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1. ალიოშა ნემსიწვერიძე, გრიშა გულბანი, რამინ კვიციანი (საქართველოს აპური კლუბი).

1955. სტალინის პიკი
(ცენტრალური პამირი)
სასიმაღლო კლასი, პირველგავლა – 5 B+1. იოსებ კახიანი, ლევან ახვლედიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, მიხეილ ხერგიანი (საქართველოს ალპური კლუბი).

1956. ტიუტუ–ბაში
(ცენტრალური კავკასიონი)
ტექნიკური კლასი, პირველგავლა – 5 B+1. მიხეილ ხერგიანი (საკავშირო სპორტსაზოგადოება „მეტალურგი“).

1957. დარვაზის ქედი
(პამირი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1. ჯუმბერ მეძმარიაშვილი, გიორგი აბაშიძე, ზურაბ ახვლედიანი, ლევან ახვლედიანი, ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე, ჭიჭიკო ჩართოლანი, ოთარ ხაზარაძე, რევაზ ხაზარაძე, ბექნუ ხერგიანი (საქართველოს ალპური კლუბი).

1959. ვოროშილოვის პიკი
(ცენტრალური პამირი)
სასიმაღლო კლასი, პირველასვლა – 5 B+1. ვიტალი აბალაკოვი, იოსებ კახიანი (საკავშირო სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“).

1960. ზულუმარტისა და იემელალაის ქედები
(პამირი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1. ლევან ახვლედიანი, ავთანდილ ახვლედიანი, ზურაბ ახვლედიანი, ომარ ბერაძე, ილია გაბლიანი, სოზარ გუგავა, ჯოკია გუგავა, დიმიტრი დანგაძე, გიორგი კობიძე, თეიმურაზ კუხიანიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ბექნუ ხერგიანი (საქართველოს ალპური კლუბი).

1964. უშგა, ჩრდილო–აღმოსავლეთი კედლით
(ცენტრალური კავკასიონი)
ტექნიკური კლასი, პირველგავლა – 5 B+1. მიხეილ ხერგიანი, ჯოკია გუგავა, ჯუმბერ კახიანი, შალვა (შალიკო) მარგიანი, გივი წერედიანი, მიხეილ ხერგიანი-უმცროსი (სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“).

1965. აილამა–შხარა–მიჟირგი–დიხტაუ–მისესტაუ
(ცენტრალური კავკასიონი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1. მიხეილ ხერგიანი-უმცროსი, ვალერი გაბელაშვილი, ჯოკია გუგავა, ჯუმბერ კახიანი, გივი წერედიანი (ქუთაისის გუნდი).

1966. ტაჯიკეთის პიკი
(პამირი)
სასიმაღლო-ტექნიკური კლასი, პირველგავლა. იოსებ კახიანი (ყაბარდო-ბალყარეთის ნაკრები).

1972. კომაკადემიის სამხრეთი მწვერვალი
(ცენტრალური პამირი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1. გოგი ახვლედიანი (სსრკ შეიარაღებული ძალების ნაკრები).

1976. ჯიგიტი _ ჩრდილოეთი კედლის სამკუთხედით
(ტერსკეი ალა-ტოო)
ტექნიკური კლასი, პირველგავლა – 5 B+1. დიმიტრი შარაშენიძე, თამაზ ბაქანიძე, გიორგი ზუმბაძე, ტარიელ ლუკაშვილი, გივი ქართველიშვილი, მურად ჭიჭინაძე (სპორტსაზოგადოება „განთიადი“).

1976. ნაგლუდენი–ოშანინა –მოსკოვი 5456
(ცენტრალური პამირი)
ტრავერსი, პირველგავლა – 5 B+1. დიმიტრი დანგაძე, გიორგი აბაშიძე, სერგო ბარლიანი, შაქრო გაბისიანი, შოთა მირიანაშვილი (საქართველოს ალპური კლუბი).

1979. ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიკი
(სამხრეთ-დასავლეთი პამირი)
სასიმაღლო-ტექნიკური კლასი, პირველგავლა. გივი ქართველიშვილი, თამაზ ბაქანიძე, ირაკლი გელდიაშვილი, რომა გიუტაშვილი, ტარიელ ლუკაშვილი, მურად ჭიჭინაძე (საქართველოს ალპური კლუბი).

ალპინიზმი

მყინვარწვერი

1923 წლის ერთ მშვენიერ დღეს, უფრო ზუსტად, 28 აგვისტოს, თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები პროფესორ გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით მყინვარწვერზე ავიდნენ და საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს სპორტულ ალპინიზმს, რაც მთელი საბჭოთა კავშირის მთამსვლელობის დასაბამიც აღმოჩნდა.

მას შემდეგ 90 წელიწადი გავიდა. ამიტომაც, წლევანდელი მთამსვლური სეზონი ამ საიუბილეო თარიღით იყო დაღდასმული, მაგრამ დაგეგმილი ასვლების უმეტესობა ვერ განხორციელდა. მიზეზი ხან ქრონიკული უამინდობა იყო, ხან კი – სხვადასხვა მიზეზით ასვლების გადადება. ლამის მთელი სეზონის განმავლობაში მწვერვალებმა თავს ისეთი ქარაშოტი „დაიტეხეს,“ რომ მთამსვლელებს ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი თავდაყირა დაუყენეს, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინიადების მონაწილეებსაც, რომლებიც ამინდის პროგნოზის მიხედვით გეგმავდნენ ასვლებს, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ღონისძიებები გადაუვადდათ.

შედარებით გაუმართლათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ შოთა მირიანაშვილის მეთაურობით მწვერვალ „გურამ რჩეულიშვილზე“ მოლაშქრეებს, რომლებმაც ძირითადი ბანაკი, ტრადიციისამებრ, ბოსლის ხეობაში დასცეს, საიერიშო ბანაკი კი – მწვერვალ ბურსაჭირის სიახლოვეს, დაახ-

ლოებით 2800 მეტრის სიმაღლეზე. საბოლოოდ, „გურამ რჩეულიშვილზე“ მე-2A კატეგორიის სირთულის გზით ავიდნენ. მწვერვალს უკლებლივ ყველა, 48 მოლაშქრემ მიაღწია, იქიდან დაბრუნებულებმა კი ნიშნოსან მთამსვლელთა მომზადების პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა გააგრძელეს.

გუდამაყარს მოჰყვა ასევე შოთა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საზაფხულო ალპინიადა ხევსურეთში, ჭაუხების მასივზე აღმართულ მწვერვალ „ვაჟა ფშაველაზე“, რომლის დასალაშქრად 64 კაცი გაემგზავრა და ოხერხევში დაბანაკდა. აქ ოხერხევმა თავისი სახელი გაამართლა და ცამ პირი მოიხსნა. კოკისპირულ წვიმას, მთელი ღამე რომ გაგრძელდა, კარვებმა ვეღარ გაუძლო, პატარა, მაგრამ ენერგიული მდინარეც ადიდდა და ნახევარი ბანაკი დატბორა. ოხერხევში მსგავს შემთხვევას ვეტერანი მთამსვლელებიც ვერ იხსენებენ. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ალპინიადის პროგრამით გათვალისწინებული „მთის მდინარეების დაძლევის პრაქტიკული მეცადინეობა“ ალპინისტური საჭურველის გამოყენებით ნამდვილ, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებში ჩატარდა,

თუმცა ბუნების ამგვარ გამოცდას თერთმეტმა ახალბედამ ვერ გაუძლო და თბილისისკენ გუდა-ნაბადი აიკრა, სხვებმა კი ცნობილი მოსიმაღლე მთამსვლელის, გია თორთლაძის მეთაურობით მწვერვალი წარმატებით დალაშქრეს.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ალპინიადის მონაწილეები გამოეხმაურნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და საპატრიარქოს წარმომადგენელთა მოწოდებას და მთელი შემადგენლობით ჩაებნენ ბარისახოში ეკლესიის მშენებლობის საქმეში, რაც ტერიტორიის გაწმენდას, სამშენებლო მასალის გადმოტვირთვას და ბეტონის ჩასხმას ითვალისწინებდა.

ამას მოჰყვა თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული ქართული ალპინიზმის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ალპინიადა სტეფანწმინდის რაიონში, რომელსაც ისევ შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა. ალპინიადის ერთი ჯგუფის წევრები ვალერი ადამიას მეთაურობით მყინვარწვერზე დევდორაკის მყინვარის მხრიდან, პირველამსვლელთა მარშრუტით გეგმავდნენ ლაშქრობას, მაგრამ ჩვენმა მესაზღვრეებმა მათ შლაგბაუმი აღუმართეს. ამიტომ, მთამსვლელებმა იქიდან პირი იბრუნეს და იძულებული გახდნენ მწვერვალზე გერგეტის მყინვარის გავლით ასულიყვნენ. იმავდროულად, ალპინიადის ახალბედა მონაწილეებმა, რომლებიც 58 კაცს ითვლიდნენ, ხდის ხეობაში აღმართული მწვერვალი „იაგორ კაზალიკაშვილი“ დალაშქრეს. ამ ლაშქრობების შემდეგ კიდევ იგეგმებოდა მასობრივი ასვლები მყინვარწვერზე. ალპინიადების მონაწილენი მყინვარწვერის ორთავ მხრიდან გზასაც გაუდგნენ, მაგრამ იქ უკვე ზამთარი დამდგარიყო და ყველამ პირი იბრუნა – გამოცდილებმაც და გამოუცდელებმაც...

ავთანდილ გურასაშვილი

საჭადრაკო შუქ-ჩრდილები

2013 წელი საქართველოს მოჭადრაკეებისთვის მეტ-ნაკლები წარმატებით დამთავრდა. ჩვენმა ორმა ქალბატონმა შესანიშნავად ითამაშა გრან-პრის ეტაპებზე, ერთმა ევროპის ჩემპიონატზე ისახელა თავი. სამაგიეროდ, ქალთა ნაკრებმა ორჯერ იმედები გაგვიცრუა, მაშინ, როცა ვაჟთა გუნდმა შთამბეჭდავი შედეგით დაასრულა წელი. წლევანდელ მონაგარზე გვესაუბრება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი გიორგაძე.**

სალომე მელია

ნანა ძაგნიძე

ბელა ხოტენაშვილი

– 2013 წლის დასაწყისი ჩვენთვის მოულოდნელად დაიწყო: საქართველოს ქალთა ნაკრები მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე დაუშვეს. მოულოდნელი კი იმიტომ იყო, რომ წინა ოლიმპიადაზე ჩავარდნის (მე-8 ადგილი) შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში არ გვეკუთნოდა, მაგრამ ფიდე-მ და ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ჩვენი ქალთა ჭადრაკის დამსახურება მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს წინაშე და გადაწყვიტეს, როგორც გამონაკლისი, დავეშვით ამ დიდ ფორუმზე. ჩვენს ქალთა ნაკრებს მიზანი ყოველთვის ერთი აქვს – მედლებისთვის ბრძოლა. რეალურად შეგვეძლო კიდეც მედლის ჩამოტანა, თუმცა რამდენიმე ფაქტობრივად მოგებული მატჩი ან ფრედ დავასრულეთ, ან წავაგეთ. საბოლოოდ, IV ადგილით დავკმაყოფილდით.

ამ შეჯიბრებას მოჰყვა საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები 8-დან 20 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის. წლეულს პირველად გავაკეთეთ ის, რომ 8-დან 12 წლის ასაკამდე ბავშვებს ევროპის ჩემპიონატებზე დავუმატეთ თითო ადგილი, ანუ თუ ადრე მსოფლიოზეც და ევროპაზეც თითო მონაწილე გვყავდა, ახლა ევროპის ჩემპიონატზე უკვე ორ-ორი ბავშვი გაემგზავრება. ვგულისხმობ იმ მოჭადრაკეებს, რომელთაც ფედერაცია აფინანსებს, თორემ საკუთარი სახსრებით რამდენსაც სურვილი აქვს, იმდენი გაემგზავრება. ამ გადაწყვეტილების მიზანი ის იყო, რომ რაც შეიძლება მეტი ბავშვი ჩაგვერთო ამ დონის ტურნირებში, რომ უფრო მეტი სელექციის საშუალება მოგვეცეს, მეტ ბავშვს დავაკვირდეთ. მოგეხსენებათ, გაისად ბათუმში ჩატარდება ამ ასაკის ბავშვების ევროპის ჩემპიონატი და გვინდა, რომ ღირსეულად შევხვდეთ ამ ტურნირს, ვიბრძოლოთ მედლებისთვის და მხოლოდ მასპინძლობით არ შემოვიფარგლოთ.

ივნისში ურეკში გათამაშდა 8-12 წლამდელ ბავშვთა ევროპის თასი. ძალიან საინტერესო შეჯიბრება გამოვიდა, ათი ქვეყნის 300-მდე მონაწილე შეიკრიბა. ამ ტურნირში ძირითადად ჩვენმა გოგონებმა გამოიჩინეს თავი. პატარებში I-II ადგილები დაიკავეს დიანა ლომაიამ და ლილე გუმბერიძემ, 10-წლამდელებში გაიმარჯვა თამარ ესაძემ, მესამე იყო ნია დონღუანი, მხოლოდ 12-წლამდელებში დავთმეთ პირველობა, ელენე კოსტავა და ანასტასია სიდამონიძე II და III პოზიციებზე იყვნენ.

ამის გარდა, საფუძველი ჩავუყარეთ ნონა გაფრინდაშვილის საერთაშორისო ფესტივალს, სადაც მთავარი ღია ტურნირის საპრიზო ფონდი საკმაოდ სოლიდური იყო – 35 ათასი ლარი. „ა“ ტურნირში მხოლოდ დიდოსტატები მონაწილეობდნენ. პარალელურად, მიმდინარეობდა 8-10-12 და 16 და 20-წლამდელთა შეჯიბრებები. ფოთმა უმასპინძლა ნანა ალექსანდრიას ტრადიციულ, ძალიან წარმომადგენლობით ფესტივალს.

ყაზანში გამართულ უნივერსიადაზე ჩვენმა გუნდმა (მერი არაბიძე, სოფიკო გურამიშვილი, გაიოზ ნიგალიძე, გიორგი მარგველაშვილი) IV ადგილი დაიკავა, რაც ძალიან კარგი შედეგი იყო.

წლეულს შევიმუშავეთ ჭადრაკის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა (2014-2018 წლები), რომელიც წარვადგინეთ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში. ამ პროგრამაში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნული მასშტაბის ღონისძიებებს. დღესდღეობით ჩვენი სპორტული კალენდარი ძირითადად აგებული იყო საერთაშორისო ღონისძიებებზე და დაფინანსებაც მეტწილად აქეთკენ იყო მიმართული. ეროვნული ტურნირები პრაქტიკულად მხო-

ლოდ საქართველოს ჩემპიონატებით შემოიფარგლებოდა. გაისად გვინდა დავიწყოთ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი, ავამაღლოთ ამ ჩემპიონატის სტატუსი, გავზარდოთ საპრიზო ფონდი. ამ პროგრამის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მიმართულებით უნდა გავაქტიურდეთ, სერიოზულად უნდა მივხედოთ ბავშვთა და სტუდენტურ ჭადრაკს, რეგიონებში ჭადრაკის განვითარებას, მწვრთნელთა გადამზადებას და ასე შემდეგ.

წლეულსვე განვაცხადეთ პრეტენზია 2018 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობაზე. ეს თემა წამოიჭრა ფიდეს-ს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის საქართველოში ვიზიტის დროს, როცა იგი შეხვდა მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს. სწორედ ამ ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ საქართველო გახდებოდა ქალთა გრან-პრის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპის მასპინძელი და სწორედ ამ გადაწყვეტილების შედეგად დაუშვეს გათამაშებაში ჩვენი მეორე მონაწილე ბელა ხოტენაშვილი (ნანა ძაგნიძეს რეიტინგით ჰქონდა თამაშის უფლება მოპოვებული), რომელმაც გაამართლა და გრან-პრის გათამაშების პირველივე ეტაპზე, შვეიცარიაში, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მართალია, მას მეორე ეტაპი ჩაუვარდა, მაგრამ მესამე ეტაპზე, ტაშკენტში II-III ადგილები გაიყო. ნანაც ძალიან კარგად ჩაერთო გრან-პრის გათამაშებაში. ერთ-ერთ ტურნირში, ჟენევაში III-IV, მეორეში – დილიჟანში II-III ადგილები გაიყო. ასე რომ, თბილისში გასამართი ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც გაისად ივნისის ბოლოს დაიწყება, იმედი გვაქვს, ძალიან დაძაბული იქნება და ჩვენს ორივე მოჭადრაკეს ექნება შანსი, რომ გრან-პრის საბოლოო გამარჯვებული გახდეს. აღსანიშნავია სალომე მელიას წარმატებაც, რომელმაც ივლის-აგვისტოში ბელგრადში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეს საუცხოო შედეგი იყო, რადგან ქართველი ქალებიდან იგი პირველი გავიდა საპრიზო ადგილზე. ამ ტურნირში ჩინებულად ითამაშა ბელა ხოტენაშვილმაც, რომელმაც II-V ადგილები გაიყო და მხოლოდ უარესი კოეფიციენტის გამო ერგო V ადგილი. მერი არაბიძე კი ნახევარი ქულით ჩამორჩა ლიდერებს, VI ადგილზე გავიდა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

ხორვატულ ოპატიცაში გამართულ ევროპის სენიორთა ჩემპიონატზე ნონა გაფრინდაშვილი მეორე იყო, თამარ ხმიადაშვილი კი – მესამე. ძალიან სასიხარულოა, რომ ძველი გვარდია არ ყრის ფარ-ხმალს და მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის.

ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის საჭადრაკო აკადემიის დაარსება, რომელსაც მარინა მილორავა ხელმძღვანელობს. ამ აკადემიის ეგიდით ერთი თვით ორი სერიოზული თეორეტიკოსი მოვიწვიეთ – მიხეილ გურევიჩი და კონსტანტინე საკაევი, რომლებმაც საკმაოდ ინტენსიურად იმუშავეს ჩვენს ორივე ნაკრებთან – ქალებთანაც და ვაჟებთანაც.

ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ქალებისთვის საპრიზო ადგილს ვგეგმავდით, თუმცა მათ სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ სალომე მელიას სახით. გამეორდა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგი – IV ადგილი, რაც, რა თქმა უნდა, კვლავ წარუმატებლად შეფასდა. სამაგიეროდ, გაგვახარეს ვაჟებმა. რეიტინგში ისინი მე-14 ადგილზე იყვნენ, ჩვენ კი ათეულში მოხვედრას ვგეგმავდით, რაც ბოლო ათწლეულის საუკეთესო შედეგი იქნებოდა. მათ კი, ყველასგან მოულოდნელად, სპორტული გმირობა ჩაიდინეს – V-VI ადგილები გაიყვეს უნგრელების ძლიერ გუნდთან. ჩვენმა ბიჭებმა დაამარცხეს ევროპის მოქმედი ჩემპიონი – გერმანიის ნაკრები, ოლიმპიადის გამარჯვებული უკრაინის გუნდი, ინგლისის ნაკრები. ასეთი მონდომებული, თავდადებული, თავგანწირული თამაში ვაჟებისგან ჯერ არ მინახავს. ბაადურ ჯობავამ ჩინებულად ითამაშა და როგორც ლიდერმა, მთელი გუნდი აიყოლია. პირველ დაფაზე მას მედლის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდა, რაც კაცებში დიდად ფასობს, მაგრამ ბოლო ტურში ხელი მოეცარა, როგორც იტყვიან, ძალით წააგო ნავაროსთან. მიხეილ მჭედლიშვილსაც ჰქონდა მეორე დაფაზე მედლის აღების შანსი, მაგრამ სულ ცოტა დააკლდა. ლევან ფანცულაიამ რამდენჯერმე ბოლო წამებზე გადაარჩინა თითქმის უიმედო პოზიცია. სამწუხაროდ, არ გამოუვიდა თამაში მერაბ გაგუნაშვილს, ახალგაზრდა გაიოზ ნიგალიძე კი თამამად ვერ ჩაერთო ბრძოლაში. ასე რომ, ფაქტობრივად, სამმა მოთამაშემ ჩაიდინა სასწაული. წლეულს ლაშა ჯანჯღავა დაინიშნა ვაჟების მთავარ მწვრთნელად და ბიჭები ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში სერიოზულად მუშაობდნენ. პრაქტიკის მისაღებად სხვადასხვა ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, მნიშვნელოვანი იყო გურევიჩსა და საკაევთან მუშაობაც.

დავით ჭელიძე

ანტიდოპინგური სემინარები

ანტიდოპინგური საქმიანობა სულ უფრო აქტუალური და საჭირბოროტო ხდება. მათ შორის _ ქართული სპორტისთვის. ბოლო წლებში ჩვენი სპორტსმენების მიერ დოპინგის გამოყენების არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. განსაკუთრებით საგანგაშო ძალოსნობაში არსებული ვითარება _ სწორედ დოპინგის მიღებაში მხილების გამო, საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა ვერ მიიღო წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში. ჩვენი ნაკრები გუნდის 4 ძირითადი წევრი, მათ შორის, უაღრესად პერსპექტიული სპორტსმენი ლაშა ტალახაძე 2 წლით ჩამოშორდა სპორტს.

მიუხედავად საქართველოს სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ანტიდოპინგური სააგენტოს ძალისხმევისა, პრობლემა კვლავ აქტუალურია. ანტიდოპინგური სააგენტო საქართველოს მასშტაბით სპორტში ჩართული პირებისთვის სემინარებს ატარებს და გამოცდილებას უზიარებს. 28-30 ივნისს, მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრ – „მუზაში“ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით – „სპორტული მედიცინა, რეაბილიტაცია, ფიზმომზადება და დოპინგსაწინააღმდეგო ღონისძიებები – აქტუალური საკითხები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, პოლონეთის და გერმანიის წარმომადგენლებმა. კონფერენცია ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა და სპორტული მედიცინის ასოციაციაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კახაბრიშვილმა გახსნა. კონფერენციის მონაწილეები 6 თემაზე მსჯელობდნენ: სპორტული კვება, დოპინგი, ტრავმატიზმი სპორტში, ტრავმისშემდგომი რეაბილიტაცია, სპორტული ფსიქოლოგია, ფიზმომზადება სათამაშო სახეობებსა და ორთაბრძოლებში.

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელობა, იუნესკო-ს სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის დახმარებით, სპორტში ჩართული პირებისთვის თითქმის ორი თვის განმავლობაში სემინარებს ატარებდა. სემინარის სახელწოდება იყო: „დოპინგი და ჯანმრთელობის საფრთხეები საკვები დანამატების გამოყენების დროს.“

ანტიდოპინგურმა სააგენტომ სპორტულ ფედერაციებთან შეხვედრამდე სემინარი საქართველოს რვა რეგიონულ ცენტრში ჩაატარა და მწვრთნელებს, სპორტსმენებს, ექიმებს და ზოგადად სპორტთან დაკავშირებულ პირებს გამოცდილება გაუზიარა. რეგიონებში ჩატარებულმა სემინარმა დიდი ინტერესი გამოიწვია, შეხვედრებმა კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა. ამის შემდეგ ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელებმა თბილისში გადმოინაცვლეს და სემინარი სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს, სპორტსმენებს, მენეჯერებს, სპორტული გუნდების ექიმებს გაუმართეს.

პავლე კასრაძე, საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარე: „იუნესკოს დახმარებით ანტიდოპინგური სემინარი მთელი საქართველოს მასშტაბით ჩავატარეთ. სემინარის მიზანი იყო საკვები დანამატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და იმ რისკების გათვალისწინება, რომელიც საკვებ დანამატებს გააჩნია. სემინარის ჩატარების აუცილებლობა არსებულმა რეალობამ გვიკარნახა – რამდენიმე სპორტსმენი დოპინგზე არასწორად შერჩეული საკვები დანამატების მიღების შემდეგ ჩავარდა. ასე რომ, სპორტსმენებისთვის ცოდნის გაზიარება უმნიშვნელოვანესი იყო. შეიძლება სპორტსმენმა ყველაფერი არ იცოდეს, მაგრამ ამ მიმართულებით ელემენტარული განათლება მაინც უნდა გააჩნდეს იმისთვის, რომ უნებურად გამოუვალ სიტუაციაში არ ჩავარდეს“.

19-20 სექტემბერს პარიზში იუნესკო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის წევრი ქვეყნების კონფერენციის მე-4 სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ და ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს ვიცე-თავმჯდომარემ თეიმურაზ უკლებამ. სესიაზე „სპორტში დოპინგის აღმოფხვრის“ ფონდის ანგარიშის წარდგენის დროს აღინიშნა საქართველოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების აქტუალურობა და მაღალი დონე, რის გამოც პირველი პროექტი, როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, შეტანილია იუნესკოს მიერ გამოცემულ სპეციალურ ფლაერში. ხოლო მეორე მიმდინარე პროექტი – „დოპინგისა და ჯანმრთელობის საფრთხეები საკვები დანამატების გამოყენების დროს და ჯანმრთელი კვების უპირატესობა“ – დასახელდა, როგორც უაღრესად აქტუალური. ორივე პროექტი ხორციელდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ESCO-ს ეროვნული კომისიის მხარდაჭერით. საქართველოს დელეგაციამ ასევე მონაწილეობა მიიღო მსოფლიო სპორტის სამართლიანი თამაშის 50 წლის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებაში.

ოთარ მხეიძე

თომას ბახი

კოდექსი მკაცრდება

13–15 ნოემბერს სამხრეთ აფრიკის ქალაქმა იოჰანესბურგმა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თაოსნობით საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა, რომლის მიზანიც „მსოფლიოს ანტიდოპინგურ კოდექსში“ ცვლილებების შეტანა იყო. კონფერენციას 140 ქვეყნის წარმომადგენლები, სპორტის მინისტრები, სპორტის საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელი პირები და, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცები, მათ შორის ახლად არჩეული პრეზიდენტი თომას ბახი დაესწრნენ.

მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტო მსგავს კონფერენციას, რომელსაც „მსოფლიოს ანტიდოპინგურ კოდექსში“ ცვლილებები შეაქვს, 4 წელიწადში ერთხელ ატარებს. ბოლო კონფერენციას 2009 წელს მადრიდმა უმასპინძლა. იოჰანესბურგში გამართულ კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარე პავლე კასრაძე და ვიცე-თავმჯდომარე თეიმურაზ უკლება. კონფრენციაზე მიღებული შთაბეჭდილებები გაგვიზიარა და კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ მოგვითხრობს პავლე კასრაძე:

– მსოფლიოს ანტიდოპინგურ კოდექსში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. ეს ცვლილებები ძალაში შევა 2015 წელს, მომავალი 2014 წელი კი დაკვირვების და გამცდის წელი იქნება. კონფერენციაზე რამდენიმე საკითხი ჩვენც წარვადგინეთ და მხარდაჭერაც მივიღეთ. 2009 წლამდე არ არსებობდა რეგიონალური ანტიდოპინგური სააგენტოები, რომლებიც მოგვიანებით დაარსდა. იმის გამო, რომ კოდექსში სათანადო ცვლილებები არ იყო შეტანილი, რეგიონალურ სააგენტოებს სათანადო ბერკეტები არ გააჩნდათ. ცვლილებების შემდეგ კი ეს პრობლემა მოიხსნა.

მომავალ წლებში დოპინგთან ბრძოლა ბევრად უფრო მასშტაბური გახდება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა კონფერენციაზე სიტყვის გამოსვლისას განაცხადა, რომ ოლიმპიური კომიტეტი დოპინგთან ბრძოლას გაათმაგებული სიმკაცრით აპირებს, ამ კუთხით დაფინანსება 57% გაიზრდება, რა თანხაზე და მასშტაბებზეა საუბარი თავად მიხვდებით. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დოპინგთან ისეთი შეურიგებელი იქნება, როგორც არასდროს.

თეიმურაზ უკლება, ელგუჯა ბერიშვილი და პავლე კასრაძე

კონფერენციის გარდა გვქონდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლებთან – ძიუდოს, ძალოსნობის, ფეხბურთის ხელმძღვანელ პირებთან. პრობლემები არაერთ სახეობაში გვაქვს, მათ შორის – ფეხბურთის მიმართულებითაც. მივდივართ ფეხბურთის ფედერაციაში და გვეუბნებიან, რომ მათთვის უეფას არაფერი არ დაუვალებია და ჩვენ მიერ წაყენებული საკითხების გადასაჭრელად თავს არ ივალდებულებენ. უეფას წარმომადგენლები ამ პრობლემის მოგვარებას დაგვპირდნენ. მთლიანობაში კი საინტერესო და საქმიანი კონფერენცია გამოვიდა, რომელმაც გამოცდილება შეგვძინა და უახლოეს პერიოდში გადასაჭრელი პრობლემური საკითხებიც ნათლად დაგვანახა.

პარალიმპური მედლები

საქართველოში პარალიმპური სპორტის გამოცოცხლება დაიწყო. ეროვნული პარალიმპური კომიტეტის თაოსნობით და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართავად საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა. პარალიმპურმა კომიტეტმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში გამართულ საერთაშორისო ტურნირებზე სპორტსმენი გააგზავნა და ხელშესახები შედეგებიც მიიღო. ქართველმა პარალიმპიელებმა სამშობლოში მედლები ჩამოიტანეს. პარალიმპურ კომიტეტსა და თავდაცვის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

13–18 მაისს, თურქეთის ქალაქ ანტალიაში მსროლელთა შორის მსოფლიო თასი ჩატარდა, სადაც საქართველოს ეროვნული პარალიმპური კომიტეტის სახელით, პარამსროლელმა – ვლადიმერ ჭინჭარაულმა მიიღო მონაწილეობა და 29 მონაწილეს შორის მე-19 ადგილი დაიკავა. ამას მოჰყვა ბერლინის ცურვის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს სახელით ნიკოლოზ თვაური გამოვიდა, ვინც ლონდონის 2012 წლის პარალიმპური თამაშების მონაწილეა. თვაურმა, რომელიც უსინათლოა და მარჯვენა მტევანი აქვს დაზიანებული, ბრასში 100 და 200 მეტრ დისტანციებზე მოსინჯა ძალები და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ივლისის ბოლოს სპორტკომპლექს „არენაში“ ლონდონის პარალიმპური თამაშების მონაწილეების – ელიზაბეთ სტოუნის და ნიკა თვაურის ერთობლივი გაცურვა გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო „სპორტი ყველასათვის“ ფედერაციის პრეზიდენტმა მაია აზარაშვილი. სპორტსმენებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ისევე შეუძლიათ წარმატების მიღწევა, როგორც ნებისმიერ სხვას – ეს ადამიანები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან.

ელიზაბეთ სტოუნი მარჯვენა ფეხის ქვედა ნაწილის გარეშე დაიბადა, ლონდონის 2012 წლის პარალიმპიურ თამაშებზე აშშ-ის სახელით გამოვიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 22 წლის მოცურავემ ქალებს შორის 100-მეტრზე გულაღმა ცურვაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. სტოუნმა დისტანცია 1 წუთსა და 12 წამში დაფარა. საინტერესოა, რომ ელიზაბეთს 2008 წლის პეკინის პარალიმპურ თამაშებზე უკეთესი შედეგი ჰქონდა. მაშინ ამერიკელმა სპორტსმენმა თავის გუნდს ვერცხლის მედალი მოუტანა.

24 ივლისს პარალიმპურ კომიტეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელმოწერის ცერემონიალი თავდაცვის სამინისტროში გაიმართა. დოკუმენტს ხელი თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და პარალიმპური კომიტეტის პრეზიდენტმა ლელა აფციაურმა მოაწერეს. ღონისძიებას შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები, სპორტი-

სა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი დაესწრნენ.

მემორანდუმი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე თანამშრომლობას ითვალისწინებს – საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეები რეგიონალური და ეროვნული მასშტაბის სპორტულ შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას. ასევე იგეგმება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სამხედროებისთვის სპორტული კლუბების გახსნა და სავარჯიშო პირობების შექმნა.

თავდაცვის სამინისტრო პარალიმპიურ კომიტეტთან ერთად, სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად გეგმებს პერიოდულად შეიმუშავებს. მემორანდუმის პირობებისა და მის ფარგლებში განსახორციელებელი სპორტული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურეებმა პარალიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობისგანაც მიიღეს.

***ირაკლი ალასანია** (თავდაცვის მინისტრი): „საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სამხედრო მოსამსახურეების დასაქმება, რეაბილიტაცია და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მათი დაბრუნება უმთავრესი პრიორიტეტია. ჩვენს პარტნიორებთან ერთად, საქართველოში სარეაბილიტაციო ცენტრი იქმნება. გარდა ამისა, ჩვენ ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სპეციალური პროგრამა შევიმუშავეთ, სადაც მათი დასაქმების პროგრამა დაიწყო. მოხარული ვარ, რომ მემორანდუმი გავაფორმეთ პარალიმპურ კომიტეტთან. დარწმუნებული ვარ, მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ჩვენი სამხედროები – პარალიმპიელები დიდ წარმატებას მიაღწევენ, რადგან ბოლომდე ბრძოლის უნარი ჩვენ სისხლში და გენში გვაქვს.“*

სექტემბრის დასაწყისში იტალიაში ქალაქ არკოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის მეკლდეურთა ევროპის თასი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ევროპის 14 ქვეყნის სპორტსმენებმა. იტალიაში გამგზავრებულ მეკლდეურთა ქართული გუნდიდან რევაზ ლიპარტელიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ტურნირში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე უსინათლო დავით ყვირილიანმაც. სამინისტროს მხარდაჭერით და მეკლდეურთა ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, უნარშეზღუდული პირები აქტიურად არიან ჩართულნი მეკლდეურობაში.

ნიკა კოპალიანი

ოლიმპიური დღე

23 ივნისი საერთაშორისო ოლიმპიური დღეა, რომელიც მთელს მსოფლიოში სხვადასხვა სახის ღონისძიებებით აღინიშნება, უმთავრესად კი მასობრივი გარბენით.

საქართველოში, ამ დღისადმი მიძღვნილი ოლიმპიური გარბენი 1994 წლიდან ტრადიციულად იმართება და ბუნებრივია, გამონაკლისი არც წელს ყოფილა. უფრო მეტიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის მანძილზე ყველაზე გრანდიოზული მარათონი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით სწორედ წელს მოეწყო. ეს არ ყოფილა მხოლოდ გარბენი, იგი დატვირთული იყო სხვა ელემენტებითაც. მოკლედ, 2013 წლის 23 ივნისი თბილისელებს დაამახსოვრდათ, როგორც ლამაზი სპორტულ-კულტურული დღესასწაული, რომლის სპონსორიც კომპანია „სამსუნგ-ელექტრონიქსი“ იყო. თავისი წვლილი შეიტანა „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტმაც.

ფილარმონიიდან მშვიდობის ხიდამდე გარბენში მონაწილეობა მიიღეს სეოკ-ის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, ახალგაზრდა სპორტსმენებმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა, მოხალისეებმა... ფინიშთან პირველი მივიდა გიორგი შეკრელიძე (8.23 წუთი).

ფინიშის შემდეგ, რიყის პარკში გაიმართა სპორტული აქტივობები სხვადასხვა სახეობებში. კერძოდ, ფეხბურთში, ხელბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში... გარბენის ყველა მონაწილეს დაურიგდა სპეციალური მაისური, კეპი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიპლომი. გამარჯვებულებმა მიიღეს ფასიანი საჩუქრები, სპორტული ლიტერატურა.

დედაქალაქის გარდა ეს დღე აღინიშნა ქუთაისში, გურიაში, მცხეთაში, წეროვანის დასახლებაში, ახალციხეში, რაჭა-ლეჩხუმში და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში.

OLYMPIC DAY

სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა

სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სპორტულ ფედერაციებთან და ცნობილ სპორტსმენებთან ერთად აქტიურად ჩაერთო მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის პროცესში. სამინისტროში გამართულ შეხვედრებზე ფონდ „ივერიისა“-ს დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე სამინისტროს თანამშრომლებს, სპორტულ ფედერაციების წარმომადგენლებს და ცნობილ სპორტსმენებს სამონასტრო კომპლექსის მშნენელობაზე ესაუბრა. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ფონდ „ივერიისა“-ში ოფიციალურად გაწევრიანდა, ხოლო სამინისტროს თანამშრომლებმა, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან და სპორტსმენებთან ერთად მშენებლობის ანგარიშზე თანხის ნებაყოფლობით გადარიცხვის გადაწყვეტილება მიიღეს.

ბაქსვუდის სკოლაში

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა 2013 წლის ნოემბერში სამი საერთაშორისო ტესტ-მატჩი გამართა. კანადელებთან, ამერიკელებთან და სამოელებთან შერკინებამდე, ნაკრების წევრები – ლაშა მალაღურაძე და რევაზ ბელქანია, რაგბის კავშირის განვითარების მენეჯერ გია ჭუმბურიძესთან ერთად წყნეთში მდებარე ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლას ეწვივნენ და სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. მორაგბეებთან ერთად, ახალგაზრდებთან შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე და მისი მოადგილე გიორგი ასათიანი ესწრებოდნენ. სტუმრებს მასპინძლობა ბაქსვუდის სკოლის დირექტორმა ალექსანდრე ვაშაკიძემ და სკოლის სპორტული მიმართულების მასწავლებლებმა გაუწიეს. ბაქსვუდის სკოლაში სპორტს დიდი ყურადღება ეთმობა და მსგავსი ტიპის შეხვედრები სამომავლოდაც გაიმართება.

მინისტრის მრჩეველთა საბჭო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 2013 წელს მინისტრის მრჩეველთა საბჭო შეიქმნა, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობებში ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, დამსახურებული სპორტსმენები, მწვრთნელები და სპორტის მოღვაწეები გაერთიანდნენ. მრჩეველთა საბჭო სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებს რჩევებსა და რეკომენდაციებს სპორტული ფედერაციებისთვის, ხელს შეუწყობს სპორტში მეცნიერული კვლევის შედეგების (მათ შორის სამედიცინო კუთხით) პრაქტიკაში დანერგვას. საბჭო ასევე განიხილავს ოპტიმალურ სტრატეგიას ახალი კადრების მომზადებისთვის და იმუშავებს სამწვრთნელო მეთოდიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, გურამ მინაშვილი, თემურ ბენდიაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, რომან რურუა, გურამ საღარაძე, როსტომ აბაშიძე, გურამ პაპიტაშვილი, ვიქტორ სანეევი, ჯუმბერ ლეჟავა, ჯანო ბაგრატიონი, რევაზ ტრაპაიძე, ლევან თედიაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, ალექსანდრე მეტრეველი, მზია ჯუღელი, ვლადიმერ სტეფანია.

ძიუდოს ახალი დარბაზი ქარელში

მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა ქარელში ძიუდოს ახალი დარბაზი გახსნეს. დარბაზის გახნას დაესწრნენ აგრეთვე მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე, ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტის წევრი შოთა ხაბარელი, ქარელის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები. ძიუდოს დარბაზის მშენებლობა რამდენიმე წლის წინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით დაიწყო, საბოლოო სამუშაოები კი ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ შესრულდა და რაიონს ახალი, 2-ტატამიანი და 200-მდე მაყურებელზე გათვლილი დარბაზი შეემატა. ქარელის ახალ სპორტულ დარბაზში 300-მდე ახალგაზრდა ვარჯიშობს.

ილუმჟინოვის ვიზიტი

მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის (FIDE) პრეზიდენტი – კირსან ილუმჟინოვი ოფიციალური ვიზიტით თბილისს სტუმრობდა. ილუმჟინოვი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეწვია და მინისტრ ლევან ყიფიანსა და მის პირველ მოადგილეს ზურაბ აზმაიფარაშვილს შეხვდა. გაიმართა ერთობლივი ბრიფინგი მედიისათვის. ბრიფინგის ძირითადი თემა იყო 2015 წელს თბილისში დაგეგმილი 16 წლამდელ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივი კატეგორიის საჭადრაკო ოლიმპიადა საქართველოში პირველად ჩატარდება. პრესკონფერენციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე ესწრებოდნენ.

ხსოვნის საღამო და „შევარდენის“ იუბილე

სპორტის მუზეუმის არქივი, რომელიც სამინისტროშია დაცული, წლიდან წლამდე სულ უფრო საინტერესო ხდება და მუზეუმი სპორტით დაინტერესებულ არაერთ მნახველს, დიდსა თუ პატარას, ყოველდღიურად იზიდავს.
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქართული სპორტის მუზეუმის თანამშრომლების ორგანიზებით, 2013 წელს რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გაიმართა, მათ შორის გამოსარჩევია „ხსოვნის საღამო“ და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ 95 წლის იუბილე.
ღონისძიება სახელწოდებით „ხსოვნის საღამო“, რომელიც გარდაცვლილი სპორტსმენების ხსოვნას მიეძღვნა, 10 მაისს სამინისტროს ფოიეში მოეწყო. წარმოდგენილი იყო სახელოვანი ქართველი სპორტსმენების მოღვწეობის ამსახველი ფილმი.
2 ოქტომბერს კი სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ 95 წლის იუბილე აღინიშნა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას სამინისტროში მდებარე ქართული სპორტის მუზეუმმა უმასპინძლა. ღონისძიებას მინისტრი ლევან ყიფიანი, ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ივან იესტრჟაბი, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები და ჟურნალისტები დაესწრნენ.
საღამოს ქართული სპორტის მუზეუმის უფროსი სპეციალისტი ლილი ლომსაძე გაუძღვა, რომელიც ქართული სპორტის მუზეუმს ათეული წლებია ემსახურება. მან დამსწრე საზოგადოებას სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ისტორია გააცნო.
აღსანიშნავია, რომ ლილი ლომსაძეზე ტელეკომპანია „იმედზე“ გადაცემათა ციკლში – „იმედის გმირები“ 2013 წელს ახალი სეზონის პირველი გადაცემა მომზადდა. ლილი ლომსაძე სტუდენტი იყო, როდესაც სპორტის მუზეუმის შექმნის იდეა გაჩნდა, მან მთელი თავისი ცხოვრება ქართულ სპორტს მიუძღვნა.

ხერგიანის მემორიალზე

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე აკაკი ლოდიასთან, სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ასათიანთან და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, 17 აგვისტოს მესტიას ეწვია და სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ხერგიანის საერთაშორისო მემორიალს დაესწრო.
ხერგიანის მემორიალზე, რომელსაც მესტიამ 14-17 აგვისტოს უმასპინძლა, რთულ და სწრაფ ცოცვაში შეჯიბრებები გაიმართა მესტიის ცენტრში მდებარე სპორტულ დარბაზში, ხოლო ინდივიდუალურ ცოცვაში – ბუნებრივ კლდეზე.
მემორიალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და პოლონეთის გუნდებმა. ტურნირს ორგანიზება საქართველოს მეკლდეურთა ფედერაციამ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ გაუწიეს მესტიის ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად.

სამინისტროს ჯილდოები

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სპორტის სფეროში გაწეული დამსახურებისა და სპორტის გავნითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ყოველწლიურად სხვადასხვა ჯილდოებს გასცემს – სპორტის რაინდის, დამსახურებული მწვრთნელის და დამსახურებული მოღვაწის. სამინისტრო სპორტის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს აჯილდოებს ასევე საპატიო სიგელებით.
2013 წელს სპორტის რაინდის წოდებით 16 ვეტერანი სპორტსმენი დაჯილდოვდა, მათ შორის ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ტიტულოვანი სპორტსმენები – გურამ საღარაძე, ლევან თედიაშვილი, მურთაზ ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე, მიხეილ სალაძე, ვახტანგ ბლაგიძე, ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, რომან გიუტაშვილი, ლევ სარქისოვი, ბენო ქაშაკაშვილი...
საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელისა და მოღვაწის წოდება და ასევე საპატიო სიგელი მიენიჭა სპორტის სხვადასხვა სახეობის 50-მდე წარმომადგენელს.

საბონისის პროექტი

ლევან ყიფიანმა სამინისტროში ლეგენდარულ ლიტველ კალათბურთელს, ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არვიდას საბონისსა და აღმასრულებელ დირექტორს პაულიუს მოტეიუნაისს უმასპინძლა.
ყიფიანმა და საბონისმა ლიტვის და საქართველოს კალათბურთის ფედერაციების ურთიერთთანამშრომლობის გეგმის შესახებ ისაუბრეს. ითქვა, რომ მზადდება პროექტი, რომლის საშუალებითაც შემუშავდება ლიტვისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციების ურთიერთთანამშრომლობის 5-წლიანი გეგმა.

„იცხოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა“

სამინისტროს ახალი სლოგანი აქვს – „იცხოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა“. სლოგანის ასარჩევად კონკურსი ჩატარდა, სადაც სულ 100-მდე იდეა შემოვიდა,

კომისიამ კი, რომელიც 9 წევრისაგან შედგებოდა, საუკეთესო გამოავლინა. გამარჯვებული ლევან ტურძელაძე გახდა, სლოგანით – „იცხოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა“.
საუკეთესო იდეის ავტორი მინისტრმა ლევან ყიფიანმა დააჯილდოვა. გამარჯვებულ ლევან ტურძელაძეს შემდეგი პრიზები გადაეცა: სამინისტროს პრიზი – 300 ლარი; სპორტკომპლექს „არენას“ პრიზი – ერთთვიანი სრული აბონემენტი 2 კაცზე და სპორტულ მაღაზიათა ქსელის X-trime-ის პრიზი – მაღაზიის 100 ლარიანი ვაუჩერი.

სტუმრად ახმეტაში

მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე აკაკი ლოდია ამხეტის რაიონს სტუმრობდნენ. ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურთან და ახმეტის რაინის გამგებელ ბექა ბადიაურთან ერთად, სტუმრები სკოლებს შორის რაიონის საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნას დაესწრნენ და ჩემპიონატის მონაწილე გუნდები საფეხბურთო ინვენტარით – მაისურებით, ბურთებით და სპორტული ფორმებით დაასაჩუქრეს. საჩუქრები მიიღეს აგრეთვე ამხეტის რაიონის სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს ახმეტაში ზურაბ ზვიადაურის სახელობის სპორტული დარბაზი. დაიგეგმა კახეთის რეგიონში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სამომავლო პროექტები.

სერგეი ბუბკა თბილისში

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლეგენდარული უკრაინელი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში, მსოფლიოს 6-გზის ჩემპიონი, ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სერგეი ბუბკა. სერგეი ბუბკა საქართველოში მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – „თბილისი 2015“-ის ხელმძღვანელის ალექსი ახვლედიანის პირადი მოწვევით ჩამოვიდა.
სერგეი ბუბკა სტუმრობდა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს. გაიმართა შეხვედრები ლერი ხაბელოვთან და ლევან ყიფიანთან. ლეგენდარულმა სპორტსმენმა დაათვალიერა „თბილისი 2015“-სთვის მშენებარე ოლიმპიური სოფელი, ასევე ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე სპორტული ინფრასტრუქტურა.

წარმომადგენლობითი ვიზიტი

18 ნოემბერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე აკაკი ლოდია საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და სხვადასხვა ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციების პრეზიდენტებს შეხვდნენ. მინისტრთან შეხვედრაზე, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ ალექსი ახვლედიანთან ერთად იმყოფებოდნენ ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ჰანს იორგ ვირცი, ვიცე-პრეზიდენტი კარელ ჰილნი, ლატვიის, უკრაინის, კვიპროსის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტიები, საბერძნეთის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ბელორუსის მძლეოსნობის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი. ოფიციალური შეხვედრების პარალელურად, საფუძველი ჩაეყარა მძლეოსნობის ახალ, 4 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობას. ასევე 18 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა დიდუბის მძლეოსნობის რეკონსტრირებული სასახლე.

მინისტრის მრჩეველთა საბჭო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 2013 წელს მინისტრის მრჩეველთა საბჭო შეიქმნა, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობებში ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, დამსახურებული სპორტსმენები, მწვრთნელები და სპორტის მოღვაწეები გაერთიანდნენ. მრჩეველთა საბჭო სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებს რჩევებსა და რეკომენდაციებს სპორტული ფედერაციებისთვის, ხელს შეუწყობს სპორტში მეცნიერული კვლევის შედეგების (მათ შორის სამედიცინო კუთხით) პრაქტიკაში დანერგვას. საბჭო ასევე განიხილავს ოპტიმალურ სტრატეგიას ახალი კადრების მომზადებისთვის და იმუშავებს სამწვრთნელო მეთოდიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.
მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, გურამ მინაშვილი, თემურ ბენდიაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, რომან რურუა, გურამ საღარაძე, როსტომ აბაშიძე, გურამ პაპიტაშვილი, ვიქტორ სანეევი, ჯუმბერ ლეჟავა, ჯანო ბაგრატიონი, რევაზ ტრაპაიძე, ლევან თედიაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, ალექსანდრე მეტრეველი, მზია ჯუღელი, ვლადიმერ სტეფანია.

სპორტის პოლიტიკას მთავრობის უწყებათაშორისი საბჭო შეიმუშავებს

სამინისტროს ინიციატივით, საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა, რომელშიც უკლებლივ ყველა სამინისტრო უწყება გაერთიანდა მინისტრ ლევან ყიფიანის ხელმძღვანელობით. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ძირითადი ამოცანებია: სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტატეგიის ჩამოყალიბება, საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის და სპორტის განვითარების პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავება, ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემაში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა, ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა, საქართველოში სპორტული განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება. წლის მანძლზე გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის ასევე ჩამოყალიბდა თემატური ჯგუფები.

„კოტორასა“ იუბილე



2013 წელს ქართული სპორტის ფოტო-მემატიანის, ალექსანდრე კოტორაშვილს 70 წლის იუბილე აღინიშნა. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ფოტო-გამოფენაზე, რომელიც 18-23 თებერვალს თბილისის ისტორიის მუზეუმში – „ქარვასლაში“ გაიმართა, პროფესიონალი ფოტოგრაფის 50-მდე ნამუშევარი გამოიფინა. კარიერის დასაწყისში, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ალექსანდრე კოტორაშვილი კინოსტუდია „ქართულ ფილმსა“ და სპორტული პროფესიული ჟურნალ „მართვეს“ კორესპონდენტად მუშაობდა. 70-იანი წლებიდან დღემდე კი ცნობილი სპორტული გაზეთის „ლელოს“ კორესპონდენტი გახლდათ. კოტორაშვილს მინიჭებული აქვს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება, არის ღირსების ორდენის კავალერი და რიგი პრემიების – მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის და საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა პრემიის ლაურეატი. აგრეთვე, თბილისის, მოსკოვის, პეტერბურგის, გერმანიის, პოლონეთისა და იაპონიის ფოტოკონკურსების მონაწილე და გამარჯვებული.

ნიამორი 2013

2013 წელს თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური ფილმების ფესტივალ „ნიამორის“ დაარსების 10 წლის იუბილე აღინიშნა. მთელი წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფესტივალის ეგიდით სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა. ფესტივალი ოფიციალურად გაიხსნა მედია-მეკლდეურობის ტურნირით. 6-7 აპრილს, გუდაურში ფესტივალი „ნიამორის“ ტრადიციული მე-8 მედია-ტურნირი გაიმართა სამთო-სათხილამურო სპორტში. ნიამორული მედია-შეჯიბრი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, გუდაურის განვითარების ფონდის, სათხილამურო ფედერაციისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის დახმარებით ჩატარდა. შეჯიბრში სხვადასხვა მედია საშუალების 40-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. გოგონათა შორის „ნიამორის“ გუნდის წევრმა ქეთი ებანოიძემ გაიმარჯვა. მამაკაცთა შორის საუკეთესო „იმედის“ მონტაჟის რეჟისორი გიორგი წირქვაძე იყო. გუნდურ ასპარეზობაში „იმედმა“ ზედიზედ მესამედ მოიპოვა გარდამავალი თასი.

დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, სპორტულ-გასართობი თამაშები გაიმართა. სამინისტროს თაოსნობით, თბილისის სხვადასხვა უბნებში დღესასწაულზე მოსული დამთვალიერებლებისათვის სპორტული კუთხეები მოეწყო.
გაიმართა შეჯიბრები მინი-ფეხბურთში, გრეხეტბოლში, მეკლდეურობაში, ძიუდოში, ფარიკაობაში, ქართულ ჭიდაობაში, ხრიდოლში, მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და კალათბურთში. მოეწყო კუთხე მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვისათვის. დღესასწაულში ჩაერთნენ სამინისტროს პროექტის „სტუდენტური დღეები 2013-ნარკომანიის წინააღმდეგ“ მონაწილეები და მაყურებლის წინაშე საკონცერტო პროგრამით წარდგნენ.

ბლაგიძის ვარსკვლავი

ოზურგეთის სპორტის სასახლის წინ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის (1980) მსოფლიოს ორგზის (1978, 81), ევროპის ორგზის (1978, 80), სსრკ (1981) და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონის (1977), მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ფალავნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერის ვახტანგ ბლაგიძის ვარსკვლავი გაიხსნა. ცერემონიალზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან ერთად ოლიმპიური კომიტეტისა და ჭიდაობის ფედერაციისა ხელმძღვანელები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები იმყოფებოდნენ. გახსნის ცერემონიალზე ლევან ყიფიანმა ვახტანგ ბლაგიძე სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა, გაიმართა ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ინვენტარი რეგიონულ სპორტულ სკოლებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ რეგიონებში სპორტული ცხოვრების გააქტიურებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. სხვადასხვა სპორტული ინვენტარი – ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ჩოგბურთის ბურთები, მაისურები, კარის ბადეები და სხვა საჭირო ნივთები სტეფანწმინდის და ნინოწმინდის კომპლექსურ სასპორტო სკოლებს გადაეცათ. სპორტული ინვენტარით მომარაგდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლევის და ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითის საჯარო სკოლები, ასევე თერჯოლისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლები. რეგიონული სკოლების ინვენტარით მომარაგება 2014 წელსაც გაგრძელდება.

მინი–ფეხბურთის ტურნირი პრობაციონერთა შორის

ორი სამინისტროს – სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროების თაოსნობით, პრობაციონერებს შორის მინი-ფეხბურთის ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრება, რომელსაც სპორტის უნივესიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მინი-მოედანმა უმასპინძლა, 8 გუნდს შორის ჩატარდა და საინტერესოდ წარიმართა. ტურნირში გამარჯვება დიდუბე-ჩუღურეთის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა ისანი-სამგორის გუნდს 7:4 მოუგო. გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები თასებით და მედლებით დაჯილდოვდნენ. წარმატებულ გუნდებს და მოთამაშეებს პრიზები ლევან ყიფიანმა და სოზარ სუბარმა გადასცეს. დაიგეგმა ანალოგიური ტურნირების ჩატარდება რეგიონული მასშტაბით.

ახალი საერთაშორისო კონვენცია

სპორტულ შეჯიბრებებზე მანიპულაციების წინააღმდეგ ევროპის საბჭოს საერთაშორისო კონვენციას შეეხებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის თამაზ თევზაძის შეხვედრა სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან და ჟურნალისტებთან. კონვენციის შესახებ სამუშაო შეხვედრა შედგა 13-15 ივნისს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს მე-2 გენერალური დირექტორატის ეგიდით. თამაზ თევზაძემ სპორტულ საზოგადოებას ანგარიში წარუდგინა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონვენციის შექმნის მიზანია თანამედროვე სპორტში გარიგებული თამაშების წინააღმდეგ ბრძოლა და სპორტული შეჯიბრებებით მანიპულაციების აღკვეთა, რაც გლობალურ საფრთხედ იქცა. საერთაშორისო კონვენციაზე მუშაობა ევროპის საბჭოში 2013 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ოფიციალურად კონვენციის ამოქმედება, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, 2014 წლისათვის იგეგმება.

განახლებული ოლიმპიური ცენტრი

1 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების განახლებული ეროვნული ცენტრის პრეზენტაცია. ცენტრში სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა. განახლებული ოლიმპიური ცენტრი მოინახულეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ, მოქმედმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა, სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებმა. ოლიმპიურ ცენტრში კაპიტალურად შეკეთდა ჭიდაობისა და ძიუდოს სპორტული არენა, ძალოსნობის დარბაზი, კეთილმოეწყო და გარემონტდა საშხაპეები, გასახდელები და მწვრთნელთა სამუშაო ოთახები, დარბაზები აღიჭურვა გათბობის სისტემებით და სპორტული ინვენტარით, განახლდა შენობების ფასადი. დღვანდელი მონაცემებით, გლდანის ოლიმპიურ ცენტრში 70 პროფესიონალი სპორტსმენი ცხოვრობს და ვარჯიშობს, ხოლო უფასო სექციებში 300-მდე ახალგაზრდაა ჩართული. 2014 წლიდან ცენტრში სარეაბილიტაციო სამუშაოების განახლება და სპორტსმენთა კონტიგენტის გაორმაგება იგეგმება.

სამინისტროს დელეგაცია შოტლანდიაში

სექტემბრის თვეში მინისტრი ლევან ყიფიანი, მოადგილე რატი ბრეგაძე, სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ბელა ბერაძე და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ანატოლი კორეპანოვი გაეროს მოსახლეობის ფონდის მიწვევით შოტლანდიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები შეხვდნენ ედინბურგში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია Children in Scotland-ის, შოტლანდიის უნივერსიტეტის სპორტის დეპარტამენტის, შოტლანდიის ეროვნული სააგენტო Sportscotland-ის მესვეურებს, ხოლო გლაზგოში, სტადიონ „ჰემპდენ პარკზე“ მინისტრი შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, ბრაიან დონელის და ფეხბურთის განვითარების მენეჯერს, დონალდ ჯილის ესაუბრა.

პატრიკ ჰიკმა ოლიმპიური სამზადისი შეაფასა

31 ოქტომბერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტ პატრიკ ჰიკთან და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების კომისიის თავმჯდომარესთან გვიდო დე ბონდთან. ევროპელ სტუმრებს სამინისტროში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა მოადგილეებთან – ზურაბ აზმაიფარაშვილთან, თამაზ თევზაძესთან და აკაკი ლოდიასთან, ასევე სპორტის დეპარტამენტის უფროს ირაკლი დოლაბერიძესთან ერთად უმასპინძლა. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო „თბილისი 2015“-სთვის მიმდინარე საორგანიზაციო საკითხებსა და სამომავლო გეგმებს. პატრიკ ჰიკმა და გვიდო დე ბონდმა ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან – ბიძინა ივანიშვილთან, ოლიმპიური კომიტეტისა და თბილისი 2015-ის ხელმძღვანელ პირებთან, მათ ასევე დაათვალიერეს მშენებარე ოლიმპიური სოფელი და შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა.

სტუმრიანობა 165-ე სკოლაში

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი საქართველოს ფეხბურთისა და რაგბის ეროვნული ნაკრების წევრებთან – ნუკრი რევიშვილთან, ირაკლი მაჩხანელთან და ირაკლი აბუსერიძესთან ერთად 165-ე სკოლას ეწვია. სტუმრებმა მოსწავლეებს სპორტული ინვენტარი – ფეხბურთის, კალათბურთისა და რაგბის ბურთები, ასევე რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის ფოტოალბომები გადასცეს და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს. სპორტსმენებმა ახალგაზრდებს ავტოგრაფები დაურიგეს, ღია მოედანზე რაგბის და ფეხბურთის „გაკვეთილი“ ჩაუტარეს და სამომავლოდ წარმატებები უსურვეს.

სპორტის უნივერსიტეტი 2014 წელს გაიხსნება

სპორტული განათლების კუთხით 2013 წელს საქართველოს მთავრობამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. მთავრობის დადგენილებით, 2013 წლის მარტიდან ოფიციალურად დაფუძნდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც 2007 წელს გაუქმებული სპორტის აკადემიის ბაზაზე დაარსდა.

აღნიშნულ დადგენილებას (№64, 28.03. 2013) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ“ პრემიერ-მინისტრმა – ბიძინა ივანიშვილმა მოაწერა ხელი, რაც აკადემიის სრულფასოვან აღდგენას და ამოქმედებას ისახავს მიზნად. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სრულად 2014 წლის სასწავლო სეზონისათვის ამოქმედდება და სტუდენტების პირველ ნაკადს მიიღებს.

მარათონი თბილისის ზღვაზე

26 ოქტომბერს თბილისის ზღვაზე „თბილისი მარათონი 2013“ ჩატარდა, რომელშიც 1500-ზე მეტმა მარათონელმა მიიღო მონაწილეობა. პროექტი „ჰაიდელბერგცემენტის“ ორგანიზებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის საელჩოს პატრონაჟით ჩატარდა. „თბილისი მარათონში“ მონაწილეობდნენ, როგორც „ჰაიდელბერგცემენტის“, ასევე სხვა ბიზნესკომპანიის თანამშრომლები, საელჩოებისა და სამინისტროების წარმომადგენლები, დარეგისტრირებული მსურველები და უცხოელი სტუმრები. ნახევარ მარათონში მონაწილეობა შეეძლოთ 16 და უფროსი ასაკის მორბენლებს. მამაკაცებში გაიმარჯვა გამომცემლობა „არეას“ წარმომადგენელმა ანატოლი ოლენიკოვმა. მან 21 კილომეტრი 1 საათის, 15 წუთსა და 17 წამში გაირბინა. ქალებში საუკეთესო იყო ბანკ „რესპუბლიკას“ წარმომადგენელი მარიელე კარმანიოლი (1.40,19).

შეხვედრა რეგიონებთან

მინისტრი ლევან ყიფიანი, მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე რეგიონებში სპორტის მართვაზე და ქვეყანაში სპორტის პოლიტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლებსა და გამგებლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სპორტის განვითარების კონცეფცია, ის ძირითადი პრიორიტეტები, რაც მნიშვნელოვანია საქართველოში ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის სამომავლო განვითარებისათვის. განისაზღვრა რეგიონებთან თანამშრომლობის საჭირო რეკომენდაციები, რამაც საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწყოს უწყებათა შორის კოორდინირებულ მუშაობას. ასევე დაიგეგმა და განხორციელდა რეგიონული შეხვედრები მთელი წლის მანძლზე სპორტის სამსახურების ხელმძღვანელ პირებთან.

ძიუდოს „გრან პრი“ თბილისს

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზერი 15 ნოემბერს ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ვიზერი შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, მოგვიანებით კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ესტუმრა და მინისტრ ლევან ყიფიანთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა.
გაფორმდა ორი ხელშეკრულება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ძიუდოს ფედერაციასა და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას შორის. პირველი მემორანდუმი მოიცავს თბილისის საერთაშორისო ტურნირისათვის „გრან პრის“ სტატუსის მინიჭებას, ხოლო მეორე მემორანდუმი ეხება სკოლებში ძიუდოს სწავლების პროექტის ხელშეწყობასა და განვითარებას. მეორე მემორანდუმის თანახმად, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია საქართველოს რეგიონებს ძიუდოს ინვენტარით მოამარაგებს, ხოლო რეგიონებში მომუშავე მწვრთნელებს 1 წლის მანძილზე ყოველთვიური ხელფასი დაენიშნებათ. მარიუს ვიზერმა ქართული ძიუდოს დამსახურებებსა და მიღწევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო მისი ტრადიციებისა და შედეგების გათვალისწინებით, ნამდვილად იმსახურებს „გრან პრის“ სტატუსის მქონე საერთაშორისო ტურნირს, სადაც მსოფლიო დონის ძიუდოისტები მიიღებენ მონაწილეობას.

სამინისტროს თასი მინი-ფეხბურთში

სამინისტროს ინიციატივით, 2014 წელს სხვა საინტერესო პროექტებთან ერთად, მთელი საქართველოს მასშტაბით მოყვარულთა შორის მინი-ფეხბურთში „სამინისტროს თასის“ გათამაშება ჩატარდება, რაც ფეხბურთის მასობრიობას შეუწყობს ხელს.
მასშტაბური ტურნირის ორგანიზებამდე, 2013 წლის მიწურულს, 28-30 ნოემბერს „სამინისტროს თასი“ ოზურგეთის სპორტის სასახლეში გათამაშდა. სამოყვარულო მინი-ფეხბურთის ტურნირი სამინისტროს ინიციატივით და ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასათვის“ ორგანიზებით გაიმართა.
ტურნირზე საქართველოს ყველა რეგიონი თითო-თითო გუნდით იყო წარმოდგენილი. 14 გუნდი, ორ 7-გუნდიან ჯგუფში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პრინციპით იყო გადანაწილებული. წრიული სისტემის შემდეგ, ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები, რუსთავისა და ოზურგეთის გუნდები ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძირითადი დრო ფრედ – 2-2 დასრულდა, პენალტების სერიაში კი რუსთაველებმა 8-7 იმარჯვეს და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

პირველი ევროპედალი

იტალიაში, ქალაქ არკოში გამართულ მეკლდეურთა ევროპის თასზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის წარმატებას მიაღწია საქართველოს მეკლდეურთა გუნდმა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გამგზავრებულ მეკლდეურთა ნაკრების წევრმა რევაზ ლიპარტელიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ტურნირში სულ 14 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ტურნირში მონაწილეობა მიიღო უსინათლო დავით ყვირილიანმაც.

ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა ფესტივალი

28 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიამ ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა მე-6 საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა. ტურნირში, რომლის ორგანიზატორიც თბილისის ფეხბურთის ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო იყვნენ, 60 გუნდის 1000-მდე მოთამაშე მონაწილეობდა. შეჯიბრებაში თბილისის და საქართველოს რეგიონების გუნდების გარდა, აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის (ვლადიკავკაზის „ალანია“) გუნდებიც იბრძოდნენ. ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: 2002 წელს დაბადებულთა შორის – „თ.ს. აკადემია“, 2003-წლიანებში – „საბურთალო 1“, ხოლო 2004-წლიანთა შორის – „დინამოს აკადემია.“

კალათბურთის სამოყვარულო ლიგა

„კალათბურთის სამოყვარულო ლიგის“ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, 2013 წლის მიწურულს კალათბურთში სამოყვარულო ჩემპიონატი დაიწყო, სადაც 17 და უფროსი ასაკის მოყვარული მოთამაშეებით დაკომპლექტებული 18 გუნდი ჩაერთო. ტურნირმა თბილისის „დინამოს“ საკალათბურთო ბაზაზე აიღო სტარტი.
მონაწილე გუნდებმა რეგისტრაცია „კალათბურთის სამოყვარულო ლიგის“ ვებ-საიტზე – www.gabl.ge გაიარეს. სამოყვარულო ლიგის პარტნიორი და მხარდამჭერი გახდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

არენა II გაიხსნა

11 ოქტომბერს სპორტული კომპლექსი „არენა II“ ოფიციალურად გაიხსნა. კომპლექსის გახსნას სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი, „არენას“ პარტნიორი სპორტული ფედერაციების და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, სპორტული მედიცინის წამყვანი სპეციალისტები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები დაესწრნენ.
სპორტული კომპლექსი ყოფილ „ქარიშხალას“ ტერიტორიაზე მდებარეობს და წარმოადგენს „არენას“ (ყოფილი „სკას“) კიდევ ერთ კორპუსს, რომელიც ასევე მთლიანად განახლდა. სპორტკომპლექსში ამჟამად ფუნქციონირებს დიდი (ზომა 25მX15მ), პატარა აუზი „საჭყუმპალაო“ (7მX12მ), სპორტული დარბაზი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, მაგიდის ჩოგბურთის დარბაზი. არენა“ და „არენა II“ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ფესტივალის ხელბურთელთა შეჯიბრებებს უმასპინძლებს.

დავით ყიფიანის სახელობის ტურნირი კახში

საინგილოში, სოფელ კახში 1997 წლიდან ტრადიციულად იმართება დავით ყიფიანის სახელობის საფეხბურთო ტურნირი მოყვარულთა შორის ადგილობრივი რაიონის ქართული სოფლების 14 გუნდის მონაწილეობით.
წლევანდელი ტურნირის ფინალურ მატჩს დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე და სხვა ოფიციალური პირები. ქართველ მინისტრებს მასპინძლობა გაუწია აზერბაიჯანის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა აზად რახიმოვმა. მინისტრებმა კახის განახლებული ძველი უბანი, ასევე ოლიმპიური კომპლექსი, ჰეიდარ ალიევის სახელობის მუზეუმი და ქართული ეკლესია მოინახულეს.
დავით ყიფიანის სახელობის ტურნირის გამარჯვებული გახდა კახისთავის გუნდი, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში „ქოთოქლოს“ გუნდი 1:0 დაამარცხა.

„მშვიდობა და სპორტი“

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა დელეგაციამ მინისტრ ლევან ყიფიანის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო მონაკოში 6-8 ნოემბერს გამართულ საერთაშორისო სპორტულ ფორუმში – „მშვიდობა და სპორტი”. ამგვარი ფორუმი უკვე მეშვიდედ გაიმართა, მონაკოს პრინცის ალბერტ II-ის პატრონაჟით. ფორუმზე მსოფლიოს 100 ქვეყნის 700-მდე დელეგატი იყო დარეგისტრირებული. მათ წინაშე სიტყვით გამოსვლისას ყიფიანმა ყურადღება გაამახვილა სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშებზეც და განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და მთავრობამ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს, რაც პირველ რიგში ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზირებას, ასევე რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას და ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციას ემსახურება.
მინისტრმა ისაუბრა რუსეთის მხრიდან განხორციელებულ პროვოკაციებზეც. ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა არაერთი საქმიანი შეხვედრა.

სოციოლოგიური კვლევა სპორტის შესახებ

სამინისტროს დაკვეთით, საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევის ცენტრმა ჩაატარა კვლევა სპორტის შესახებ სახლწოდებით – „საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში“.
საქართველოს 10 რეგიონში შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხა 1500 რესპონდენტი.
კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების შესწავლა. მოსახლეობის ინტერესების, მოთხოვნილებების, მოტივაციის, ჩვევების, საქმიანობის და თავისუფალი დროის განაწილების შესახებ ინფორმაციის მოძიება.
საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2013 წლის 27 ივლისიდან 13 აგვისტოს ჩათვლით.
კვლევა ჩატარდა საქართველოს 10 რეგიონში, როგორც სოფლად ასევე ქალაქად, გარდა კონფლიქტური ზონებისა. გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები – რესპონდენტთა დიდი ნაწილი (77,6%) აღნიშნავს, რომ სპორტის განვითარების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია არასაკმარისი დაფინანსება.
ხელისშემშლელ ფაქტორად სახელდება სპორტული კლუბების, სკოლებისა და სექციების არასაკმარისი რაოდენობა.
მოსახლეობის დიდი ნაწილი (87,1%) სპორტის გამაჯანსაღებელ ფუნქციას ანიჭებს უპირატესობას.
ქვეყანაში სპორტის სახეობებიდან ყველაზე განვითარებულად რაგბი ითვლება, რასაც გამოკითხულთა 67,4% აღნიშნავს. ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობად ფეხბურთი რჩება – 64,6%.

ახალგაზრდობა 2013

		პროგრამის დასახელება	
	2	მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროგრამა;	ბენეფიც.
1	2,1	მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა	
2	2,2	სპორტული პროფესიების მოსწავლეებში პოპულარიზების პროგრამა	
		სულ	0
	3	ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამა;	
3	3,1	ქართველ სტუდენტთა სემინარი/სამუშაო შეხვედრა მოლდოვაში, კიშინიოვი/ ტირასპოლი	11
4	3,2	ახალგაზრდული კონფერენციები თემაზე: "მშვიდობის შენება და კონფლიქტის ტრანსფორმაცია/მოგვარება".	120
5	3,3	იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდობის სპორტულ და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობის პროგრამა.	200
6	3,4	ფინანსური მხარდაჭერა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის პროცესისთვის	180
7	3,5	„აფხაზური და ოსური კულტურის დღეები"	300
8	3,6	საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში	800
		სულ	1611
	4	არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაციის პროგრამა;	
9	4,1	არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა.	250

		სულ	250
10	5	კანონმდებლობის განვითარება ახალგაზრდობის მიმართულებით;	20
11	6	სტუდენტური თვითმართველობების მხარდაჭერის პროგრამა;	75
	7	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამა;	
12	7,1	ფიზიკური აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის	500
13	7,2	აახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირება და აღჭურვა, ასევე მათი ტრასპორტირებით უზრუნველყოფა.	300
14	7,3	ხელოვნების ფესტივალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის	100
15	7,4	შშმპ-თათვის სახელობო პროგრამების განხორციელება	50
		სულ	950
	8	რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების პროგრამა;	
16	8,1	რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;	
17	8,2	რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1787
		სულ	1787
18	9	საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობების განვითარების პროგრამა;	236
	10	საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა;	
19	10,3	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში	45
20	10,4	სუამ-ის საერთაშორისო ახალგაზრდული სამიტი საქართველოში	35
21	10,7	„ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის 74-ე სესია თბილისში	320
		სულ	400
	11	სამოქალაქო და არაფორმალური განათლება;	
	11,1	საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი	250
22	11,2	„ახალგაზრდულ სფეროში წლის ნომინაციებში გამაჯვებულების დაჯილდოება	7
		სულ	257
	12	ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამა;	
23	12,2	ინტელექტის დღე	10000
24	12,3	ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ონლაინ კამპანია "არა სიძულვილს"	50
25	12,4	„სტუდენტური დღეები – ნარკომანიის წინააღმდეგ 2013“	5100
26	12,6	კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა	150
27	12,8	საინფორმაციო კამპანია ნარკომანიის წინააღმდეგ	650
28	12,10	მხიარულთა და საზრიანთა კლუბების 24-ე საერთაშორისო ფესტივალი	18
29	12,11	ინტელექტუალური მედია პროექტი „ეტალონი“	250
30	12,12	„ჯგუფი „ელდრაინ“-ის კომპაქტ-დისკის „ბოლომდე“ საინფორმაციო მხარდაჭერა''	5
		სულ	16223
	13	საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა;	
31	13,1	კულტურულ-შემოქმედებითი მიმართულება („სტუმარ მასპინძელი“.)	5000
32	13,2	ექსკურსიები სკოლის მოსწავლეებისათვის	500
33	13,3	ტრენინგ-სემინარების მოწყობა (რუსთავში)	47
35	13,5	სწრაფი ბეჭდვის და ლოგიკური აზროვნების კონკურსი	400
36	13,6	დასახელება: რადიო გადაცემა მარნეულში	10
37	13,7	მინი-ფეხბურთის ტურნირი კავკასიის თასი	100
38		ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“	104
39		მულტიეთნიკური ფესტივალი კახეთი 2013	150
40		გალაკტიონობა	50
41		ქვემო ქართლის ახალგაზრდული ფესტივალი	600
42		ექსპედიცია	50
		სულ	7011
		სულ	28820

მოტივირებული გუნდით

ინტერვიუ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილესთან – **რატი ბრეგაძესთან.**

– ბატონო რატი, რა მიგაჩნიათ სამინისტროს ყველაზე დიდ წარმატებად 2013 წლის განმავლობაში ახალგაზდრობის სფეროში?

– ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საქმიანობამ შეაღწია როგორც საზოგადოებაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში. სამინისტროს კარი ფართოდ გაიღო ახალგაზრდებისათვის და მოხდა პოლიტიკური წნეხისაგან მათი გათავისუფლება. მკაფიოდ განისაზღვრა თანამშრომელთა ფუნქციები და ჩამოყალიბდა მოტივირებული გუნდი, რის შედეგადაც ჩვენი მუშაობა ახალგაზრდული მიმართულებით ბევრად უფრო ორგანიზებული და ეფექტური გახდა. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ რეგიონებს. განვახორციელეთ არაერთი უწყებათაშორისი პროგრამა სხვა სამინისტროებთან ერთად და, ვფიქრობ, შევძელით მათი დაინტერესება ახალგაზრდობის პრობლემებით. სრულიად ახალ, აქტიურ ფაზაში გადავიდა თანამშრომლობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. შეიქმნა მონაცემთა სპეციალური ბაზა, რომელიც ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას უმოკლეს დროში ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიღებისა და გაცვლის საშუალებას აძლევს. უახლოეს მომავალში ამ ბაზას მუნიციპალიტეტების ახალგაზრდული სამსახურებიც შეურთდებიან.

– რა შეგიძლიათ გვითხრათ სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების – სსიპ-ების შესახებ?

– სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რის შედეგადაც მოიხსნა სრულიად არასაჭირო ბიუროკრატიული ბარიერები და ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის. დაიხვეწა პროექტების მიღების სისტემა და ფონდის თანამშრომელთა მონდომებულმა გუნდმა ბევრი ორგანიზაცია დაინტერესა პროექტების შემოტანით, რამაც ახალგაზრდულ სფეროში საზოგადოების აქტიურობა კიდევ უფრო გაზარდა.

რაც შეეხება ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს, ის გახდა სერვისის მიმწოდებელი ხელმისაწვდომი სივრცე თითოეული ბავშვისა თუ ახალგაზრდისათვის. ცენტრი სრულიად უსასყიდლოდ უქმნის ბავშვებსა და ახალგაზრდებს ხელსაყრელ გარემოს საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ცენტრის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი – „მომავლის ბანაკი“ 2013 წელს იყო სრულიად აპოლიტიკური, რაც ნიშნავს, რომ ბანაკის მონაწილეების შერჩევა მოხდა განათლების სამინისტროს დახმარებით. საქართველოში მოქმედი თითოეული საჯარო სკოლიდან ბანაკში გასამგზავრებლად შეირჩნენ წარჩინებული მოსწავლეები, უპირატესობა ენიჭებოდათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს. ასევე კონკურსის შედეგად შეირჩნენ ლიდერებიც, მათ ჩაუტარდათ ტრეინინგები და სემინარები, შემდეგ კი – ტესტირება.

მინდა ასევე აღვნიშნო სამინისტროსა და ცენტრის ერთობლივი მნიშვნელოვანი პროექტი – „ევროპის ახალგაზრდული ბარათი,“ რომლის ლიცენზიის მფლობელებიც გავხდით. ეს არის უნიკალური ფასდაკლების ბარათი ახალგაზრდებისათვის, რომლის საქართველოში შემოტანა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიმართულებით.

2014 წელს ცენტრში გაიხსნება საკონფერენციო დარბაზი ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის, არაფორმალური განათლების ბიბლიოთეკა, ამოქმედდება ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის უპრეცედენტო პროგრამა, რომელიც მათ განვითარების რეალურ საშუალებას მისცემს. გაიხსნება სტამბა, რომელშიც დასაქმდებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები. ასევე ვმუშაობთ UNICEF-თან ერთად პირველი ინკლუზიური სპორტული ცენტრის პროექტზე.

– რას გვეტყვით ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ? რა სტადიაშია დოკუმენტი და როდის მიიღებს იგი საბოლოო სახეს?

– ახალგაზრდული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც შედის მინისტრის ყველა მოადგილე, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა პრაქტიკულად დაასრულა. უახლოეს მომავალში კიდევ ერთი შეკრება გაიმართება და არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მივიღებთ დოკუმენტის საბოლოო ვერსიას, რომელსაც მთავრობას წარვუდგენთ დასამტკიცებლად.

შეიცვალა დოკუმენტის სტრუქტურა, გახდა მარტივად გასაგები, მკაფიოდ ჩამოყალიბდა პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ამავდროულად დაემატა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი ახალი სფეროები და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნა ქვეყნის პროდასავლური საგარეოპოლიტიკური კურსი.

ვეკო კვარაცხელია

მე ვხედავ მზეს

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში უნიკალური მუსიკალური პროექტის – „მე ვხედავ მზეს“ პრეზენტაცია გაიმართა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2013 წლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა იყო. სწორედ ამიტომ სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით კომპანია „ბრავო რექორდსი“ მუშაობს ახალ მუსიკალურ პროექტზე – „მე ვხედავ მზეს“. პროექტი გულისხმობს CD ალბომის გამოცემას, რომელშიც შევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ცნობილი მომღერლების მიერ შესრულებული 10 სასიმღერო კოლაბორაცია, როგორც პოპულარული ასევე უცნობი ქართული და უცხოური მუსიკალური ნაწარმოები:

1. ნინი ბადურაშვილი და შაბან მამედოვი
2. ნინი ქარსელაძე, გიორგი სუხიტაშვილი და ცოტნე და თორნიკე ტურძელაძეები
3. ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა“ და მერი პაპუნაიშვილი
4. ნოდიკო ტატიშვილი, მარიამ კაპანაძე და თათია მამუკაშვილი
5. ნატალიკო ქუთათელაძე და თამარ ცალქალამანიძე
6. ბორის ბედია, სულხან გველესიანი და რამინ მიქაბერიძე
7. ლიზა ბაგრატიონი, გიორგი უშიკიშვილი და ნიკა წიკლაური
8. ანსამბლი „შვიდკაცა“ და ნატალია ვეფხვაძე
9. „ფორტე“, მაიკო ლომიძე და ანი სიხაშვილი
10. კვინტეტი „Quintessential Five“ და ქალთა კვარტეტი

პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელია ცნობილი კომპოზიტორი და მუსიკალური პროდიუსერი რუსა მორჩილაძე. პროექტის ძირითადი მიზანია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ამ ეტაპზე „ბრავო რექორდს“-ში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, როგორც სიმღერების ჩაწერებზე, ასევე ალბომის დიზაინზე. დეკემბრის ბოლოს პროექტი დასრულებული იქნება და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა მიეცემა შეიძინოს CD ალბომი, რომელიც გაიყიდება „ბრავო რექორდს“-ის სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში. ალბომების რეალიზაციიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების მოგვარებას.

TILL THE END

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის ახალგაზრდულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამიტომაც სამინისტრო აქტიურად ჩაება ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაში ჩართული ახალგაზრდა თანამემამულეების – ქართველი ჯარისკაცების მხარდამჭერ პროექტში „ბრავო რეკორდსთან“ ერთად. პროექტის იდეის ავტორი – ჯგუფი „ელდრაინი“ გამოსცემს CD ალბომს სახელწოდებით „Till The End“. ალბომში შევა 12 სიმღერა, რომელიც ეძღვნება ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოსა და ყველა სხვა ქვეყნის ჯარისკაცს. ჯგუფის წევრები თავად არიან სიმღერების მუსიკისა და ტექსტის ავტორები. ალბომზე მუშაობის პერიოდში, ისინი მუდმივად ხვდებოდნენ ავღანეთის ომის ვეტერანებს და მათთან საუბრის და კონსულტაციების შემდეგ ქმნიდნენ რეპერტუარს პირველი ალბომისთვის.

აღსანიშნავია, რომ იგეგმება ჯგუფის გასვლითი კონცერტი ავღანეთში, სადაც ისინი შეასრულებენ ახალ სიმღერებს და ჯარისკაცებსს საჩუქრად გადასცემენ ჩD ალბომს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კომპანიები „გალფი“ და „ელიტ ელექტრონიქსი“.

ჩვენ აქ ვართ!

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

2013 წლის განმავლობაში სამინისტრომ ამ მიმართულებით არაერთი კულტურული და სპორტული პროექტი განახორციელა.

ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების მონაცემთა ბაზის შექმნა. ბაზა ნებისმიერ მსურველს აძლევს საშუალებას დარეგისტრირდეს და მიიღოს სრული ინფორმაცია ყველა იმ პროექტის შესახებ, რასაც სამინისტრო ახორციელებს.

14 ივნისს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა – კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ და „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“ საქართველოში პირველად მოაწყვეს ფლეშმობი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მონაწი-



ლეობით. ღონისძიება ძალიან სანახაობრივი და ემოციური გამოვიდა, ახალგაზრდები მაქსიმალურად დაიხარჯნენ და კიდევ ერთხელ აჩვენეს საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა რეალური შესაძლებლობები.

სამინისტროს ინიციატივით, საქართველოში აღდგა უსინათლოთა დრამატული თეატრი და მრავალწლიანი პაუზის შემდეგ 28 ივნისს, „თეატრი ათონელზე"-ს სცენაზე დაიდგა ზურაბ კანდელაკის სპექტაკლი – „იხსენით ჩვენი სულები" უსინათლო ახალგაზრდების მონაწილეობით. სპექტაკლის პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

საქართველოში პირველი და ერთადერთი უსინათლოთა დრამატული თეატრი 1997 წელს ჩამოყალიბდა უსინათლოთა კავშირის ბაზაზე. თეატრში დაკავებულნი იყვნენ უსინათლო და მცირემხედველი ადამიანები.

1997-1999 წლებში თეატრმა დადგა სამი სპექტაკლი, მონაწილეობა მიიღო თეატრალურ ფესტივალ „საჩუქარში".

სამინისტროს მხარდაჭერით, ასევე პირველად საქართველოში დაიდგა პანტომიმა შეძღუდული შესაძლებლობების ახალგაზრდების მონაწილეობით. 31 ივლისს, პრემიერაზე ახალგაზრდებმა წარმოადგინეს პიესა სახელწოდებით „Off Road", რომელშიც აღწერილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემები და მათი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი. სპექტაკლის განმეორებითი ჩვენება 22 ნოემბერს გაიმართა.

10-14 სექტემბერს ბაქოში ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებით-კულტურული ფესტივალი – „აღმოსავლური ზღაპარი". ფესტივალის ორგანიზატორი იყო აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

ფესტივალზე მოწვეულნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები სხვადასხვა ქვეყნიდან. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველო ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 12 მონაწილით.

9 მაისს სამინისტროსა და საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, გაიმართა ერთობლივი დაშვება ჯომარდობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. დაშვებაში, რომელიც ფასანაურიდან მდინარე არაგვის 5-კილომეტრიან დისტანციაზე მოეწყო, მონანილეობა მიიღეს ქართველმა და პოლონელმა ახალგაზრდებმა.

18 ივნისს ვაკის პარკში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები ერთმანეთს კლდეზე ცოცვაში შეეჯიბრნენ.

სამინისტროსა და უსინათლოთა კავშირის ერთობლივი ძალისხმვით გამოქვეყნდა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ლოცვანი.

30 მაისს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა მიღება კათალიკოს პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-სთან. საქართველოს უსინათლოთა კავშირისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა უწმინდესსა და დამსწრე საზოგადოებას უსინათლოთათვის გამოცემული ლოცვების კრებული წარუდგინეს. პატრიარქმა დალოცა მიღებაზე მყოფი სტუმრები და წარმატება უსურვა კეთილი საქმის კეთებაში. ღონისძიების დასასრულს, უსინათლოებს საჩუქრად გადაეცათ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ლოცვანი. საქართველოს უსინათლოთა კავშირი ყველა მსურველს ლოცვების კრებულს უსასყიდლოდ გადასცემს.

26-30 აპრილს სამინისტრომ თბილისის მერიის მხარდაჭერით, უზრუნველყო ქართველი ახალგაზრდების საერთაშორისო ფესტივალ „International Smiling Child Festival 2013"-ზე გამგზავრება. ეს ფესტივალი თურქეთში ყოველწლიურად ტარდება და მასში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობის პირები ჩართოს არა მარტო ცალკეულ სპეციალურ პროგრამებში, არამედ ყველა იმ პროექტში, რომელიც ახალგაზრდობის მიმართულებით ხორციელდება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები 2013 წელს პირველად მონაწილეობდნენ სამინისტროს ერთერთ ყოველწლიურ პროექტში „სტუდენტური დღეები".

სამინისტრო ამ მიმართულებით მუშაობას მომავალშიც აქტიურად განაგრძობს.

ვეკო კვარაცხელია

საერთო სახლი

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთი სწორედ კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართვაა. ამ მიმართულებით სამინისტრომ მიმდინარე წლის განმავლობაში არაერთი მაშტაბური ღონისძიება ჩაატარა. ძირითადად ეს იყო სხვადასხვა სახის თემატური ექსკურსიები, კონკურსები და შემეცნებითი ვიზიტები საქართველოს რეგიონებიდან დედაქალაქში.

ექსკურსიები

25 აპრილს სამინისტროსა და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის 50-მდე ახალგაზრდა თბილისს ეწვია. ექსკურსიის ფარგლებში ახალგაზრდები ესტუმრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შეხვდნენ სამინისტროს ხელმძღვანელობას, დაათვალიერეს ქართული სპორტის მუზეუმი. ექსკურსია ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაგრძელდა, მოეწყო ქართული საბრძოლო ხელოვნების – ხრიდოლის წარმოდგენები და სხვადასხვა გასართობი თამაშები. შემდეგ სტუმრებმა ძველი თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს. ექსკურსიის დასასრულს კი ახალგაზრდები სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს ეწვივნენ.

1 ივნისს ანალოგიური ექსკურსია მოეწყო ახმეტის რაიონში მცხოვრები 50 ეთნიკურად ქისტი და ჩეჩენი ახალგაზრდისათვის. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად, მოეწყო შეხვედრა რეინტეგრაციის სამინისტროში. შეხვედრას რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი მასპინძლობდა. განხილულ იქნა მომავალში დაგეგმილი ღონისძიებები და ახალგაზრდული ინიციატივები, რომლებიც ისახავს მიზნად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობას. ექსკურსია ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაგრძელდა, მოეწყო ქართული საბრძოლო ხელოვნების ხრიდოლის წარმოდგენები, ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა გასართობ თამაშებში. შემდეგ სტუმრები სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმს ეწვივნენ, ქალაქის ძველ ნაწილში გადაინაცვლეს და მეტეხის ხიდი, აბანოთუბანი, ნარიყალა და თბილისის ციხე დაათვალიერეს.

21 ივნისს სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით თბილისს ესტუმრა შაომიანში მცხოვრები 50 ეთნიკურად სომეხი და ქართველი დევნილი ახალგაზრდა. ექსკურსიის ფარგლებში მოეწყო თბილისის ტური. ახალგაზრდები თბილისი ცენტრალის ბოულინგ ცენტრსა და მთაწმინდის პარკს ესტუმრნენ.

16 დეკემბერს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, მარნეულის ახალგაზრდული ცენტრისა და „SOCAR"-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი, ქართველი და ცხინვალიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის მოეწყო ექსკურსია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ საქართველოს ისტორიას და მუზეუმში დაცულ უძველეს ექსპონატებს. ექსკურსია მიზანად ისახავდა ისტორიული წარსულის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და ახალგაზრდებს შორის დიალოგისა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ევროპის ჩემპიონატზე

აღსანიშნავია ახმეტის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდების სტუმრობა თბილისში, რომლის ფარგლებშიც პანკისის ხეობიდან მოწვეული 150-მდე ახალგაზრდა თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს დაესწრო. სტუმრებს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისაგან საჩუქრად გადაეცათ მაისურები. ამასთან ერთად, ახმეტელ ახალგაზრდებს სამინისტრომ სპორტული ინვენტარი – ბურთები და ფორმებიც გადასცა. ანალოგიური აქცია განხორციელდა ახალქალაქში, სადაც მუნიციპალიტეტის გამგეობას ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის საჩუქრად გადაეცა 3 ცალი ჩოგბურთის მაგიდა და სპორტული ინვენტარი, კრივის აღჭურვილობა და ხელთათმანები. ასევე სპორტული ინვენტარის გადაცემის აქცია განხორციელდა ახმეტის რაიონში, სვანეთსა და ყაზბეგში, საქართველოში მცხოვრები ასირიელებისათვის შეძენილ იქნა საფეხბურთო ფორმები. ასევე, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბაზაზე ფუნქციონირებად აჟარის სპორტულ სკოლას, სადაც ვარჯიშობენ ზემო აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები, გადავეცით ჩოგბურთის მაგიდა.

სწრაფი ბეჭდვისა და ლოგიკური აზროვნების კონკურსი

განსაკუთრებული ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია სწრაფი ბეჭდვისა და ლოგიკური აზროვნების კონკურსმა, რომელიც ბოლნისში, მარნეულსა და ახალქალაქში ჩატარდა. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ინტერაქტიული, შემეცნებით-გასართობი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებში ავითარებს მართლწერის უნარ-ჩვევებს. ახალქალაქის 2 საჯარო სკოლაში, კონკურსის ფინალურ ეტაპს დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი და სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ორგანიზაცია „მრავალეროვნული საქართველოს" ხელშეწყობით მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიციები „ნასტაკისის" ფონდსაცავის ბაზაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-მდე ახალგაზრდამ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის ივლისსა და აგვისტოში მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიციების ციკლი.

გათხრების მიმდინარეობისას შესრულდა ყველა სავალდებულო პროცედურა (ფოტოფიქსაცია, არქიტექტურული ანაზომები, საველე ჩანახატები). გათხრების დასრულების შემდგომ ჩატარდა მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება, მომზადდა სამეცნიერო ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდება ეროვნული მუზეუმის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში.

სამინისტროს ინიციატივით ითარგმნა ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემა „სტუმარმასპინძელი" აზერბაიჯანულ, ოსურ და აფხაზურ ენაზე. პოემა რადიო სპექტაკლის სახით დაიდგა, დამზადდა DVD დისკი, მაისურები და გავრცელდა მოსწავლე-ახალგაზრდებსა და სხვადასხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში.

ვეკო კვარაცხელია

მომავლის ბანაკი

20 ივლისს, ანაკლიის „მომავლის ბანაკის“ ოფიციალური გახსნის ცერემონია გაიმართა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე ესწრებოდნენ. ახალგაზრდებმა საქართველოს ეროვნული ჰიმნი შეასრულეს და ბანაკის თავზე სახელმწიფო დროშა აღმართეს.

ბანაკის ტერიტორიაზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, გაიწმინდა ტერიტორია და მოწესრიგდა საცხოვრებელი და კვების ობიექტები. ბანაკს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 14-18 წლამდე მოზარდებისგან დაკომპლექტებული 7 ნაკადი ესტუმრა, საერთო ჯამში, 2000 მოსწავლეზე მეტი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, საქართველოს მაშ-



25 მარტს, თბილისში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პროექტ „ინტელექტის დღის“ პრეზენტაცია გაიმართა. სკოლების წარმომადგენლებს პრეზენტაცია სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ვახტანგ ასანიძემ, კლუბ „რა? სად? როდის?“ პრეზიდენმა გიორგი მოსიძემ და პროექტის მენეჯერმა ვახტანგ ლომჯარიამ წარუდგინეს. პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა მუნიციპალურ (70) ცენტრში 13 აპრილს სკოლის მოსწავლეებს შორის ინტელექტუალური თამაშის („რა? სად? როდის?“) ტურნირი ჩატარდა. იმავე დღეს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში საზეიმოდ გაიხსნა „ინტელექტის დღე 2013“.

საქართველოს 63 მუნიციპალურ ცენტრში, თბილისის 7 სათამაშო მოედანსა და არასრულწლოვანთა კოლონიაში (სულ 71 სათამაშო მოედანი) ინტელექტუალურმა თამაშმა „რა? სად? როდის?“ ერთდროულად აიღო სტარტი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 1500-მდე სკოლის და 10 000-ზე მეტი მოსწავლე. თითო გუნდმა უპასუხა 24 შეკითხვას, რის შედეგედაც გამოვლინდა 70 მუნიციპალური ჩემპიონი. რეგიონებიდან ყველაზე აქტიური შიდა ქართლი იყო, სადაც ტურნირში მონაწილეობა სკოლების 75%-მა მიიღო. გამოირჩა სამეგრელო-ზემო სვანეთის და იმერეთის რეგიონებიც – 65-65%. რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქიდან ინტელექტუალურ შეჯიბრში მონაწილეობა 174 სკოლის ნაკრებმა მიიღო. აქედან ყველაზე მეტი 51 გუნდი გლდანი-ნაძალადევის რაიონმა გამოიყვანა.

ცენტრალურ სათამაშო მოედანზე – ძველი თბილისის რაიონში, ითამაშა 25-მა სკოლამ. 24 შეკითხვიდან 19 სწორი პასუხით ერთპიროვნული გამარჯვებული გახდა 23-ე საჯარო სკოლის გუნდი.

ტაბით თითოეული სკოლიდან შეირჩა ერთი მოსწავლე. უპირატესობა მიენიჭა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, სოციალურად დაუცველ, იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს და მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენლებს. თითოეული ნაკადის ხანგრძლიობა იყო 10 დღე.

პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა გაიარეს სპეციალურად შემუშავებული მოდულები (როლური თამაშები, დისკუსიები, პრაქტიკული სავარჯიშოები) ადამიანის უფლებების, ბავშვთა უფლებების, ეკოლოგიის, ჰიგიენის, ტოლერანტობის, არჩევნების და საქართველოს ისტორიის შესახებ. მონაწილეთა მართვას, პროგრამულ აქტივობებში ჩართულობასა და დისციპლინის დაცვას ბანაკის ტერიტორიაზე უზრუნველყოფდნენ კონკურსის წესით შერჩეული ლიდერები.

ყველა სიახლე ერთ ბაზაში

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს ინიციატივით შეიქმნა ელექტრონული პროგრამა, კერძოდ, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ერთიანი ბაზა. პროგრამის მიზნია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება.

პროგრამის საშუალებით, სამინისტრო შეუფერხებლად შეძლებს ბაზაში არსებული ორგანიზაციებისთვის სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ხოლო ახალგაზრდულ ორგანიზაციებს წვდომა ექნებათ სამინისტროს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულთან. ბაზა ინტეგრირებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი საშუალებით სამინისტროსთან დაკავშირება

ერთიანი პრინციპი

სტუდენტური თვითმმართველობების მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების მხარდაჭერას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტუდენტური თვითმმართველობის ერთიანი სისტემის შექმნის პროცესში. პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იქნა სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების სტრატეგია. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით განისაზღვრა სტუდენტური თვითმმართველობების როლი კერძო და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში; შემუშავდა სტუდენტური თვითმმართველობების სტრუქტურის ერთიან პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა, შეიქმნა სტუდენტური თვითმმართველობების კომისია, თავად კომისიაში კი ჩამოყალიბდა სტუდენტებთან და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის, დაფინანსების, სტუდენტურ უფლებათა დეკლარაციის ჯგუფები.

სასწავლო ვიზიტი გერმანიაში

27 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისიის წევრებით დაკომპლექტებული 10-კაციანი დელეგაცია გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში იმყოფებოდა. ვიზიტი მიზნად ისახავდა სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობის სფეროში დასავლური გამოცდილების გაზიარებას. სტუდენტები გაეცნენ ზაარლანდის უნივერსიტეტის თვითმმართველობის დებულებასა და მუშაობის მთავარ პრინციპებს. ასევე გაიმართა შეხვედრები ზაარლანდის უნივერსიტეტის რექტორთან, საუნივერსიტეტო სტუდენტურ პარტიებთან, საარბრუკენის მერთან, პარლამენტის წევრებთან და ზაარლანდის რეგიონალურ ხელმძღვანელობასთან. სტუდენტური დელეგაციის წევრებმა გერმანელ კოლეგებთან ერთად თვითმმართველობების სფეროში დასავლური სტანდარტების დამკვიდრების ზოგადი გეგმა და რეკომენდაციები შეიმუშავეს. ვიზიტის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა, მიღებული გამოცდილების შედეგად მოამზადა შესაბამისი ანგარიში.

სასწავლო ვიზიტი ესტონეთში

11-დან 17 თებერვლის ჩათვლით, სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისიის წევრებით დაკომპლექტებული მორიგი 10-კაციანი დელეგაცია ესტონეთში, ტარტუსა და ტალინში იმყოფებოდა. დელეგაციის წევრები ტარტუს უნივერსიტეტის, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების გამოცდილებას გაეცნენ.

ვიზიტი მიზნად ისახავდა სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობის სფეროში ბალტიისპირეთის გამოცდილების გაზიარებას. ქართველ სტუდენტებს ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტურმა კავშირმა უმასპინძლა. სტუდენტები გაეცნენ აღნიშნული უნივერსიტეტების თვითმმართველობის დებულებასა და მუშაობის მთავარ პრინციპებს. შეხვედრები ასევე გაიმართა სხვადასხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან, ტარტუს უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილებასთან და ესტონეთის განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან.

კომისიის სამუშაო შეხვედრა

27-30 მარტს, სასტუმრო კომპლექს „ბაზალეთში“ სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების კომისიის მორიგი, გასვლითი სხდომა ჩატარდა. აღნიშნული შეკრება განვლილი პერიოდის შემაჯამებელ ეტაპს წარმოადგენდა. კომისიაში შემავალმა სამუშაო თემატურმა ჯგუფებმა კონკრეტული, პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზების პრეზენტაციები წარადგინეს.

სხდომაზე წარდგენილ იქნა სტუდენტურ უფლებათა დეკლარაციის ჯგუფის მიერ მომზადებული „საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაცია“ კომი-

სიის წევრებმა აღნიშნული დოკუმენტი განიხილეს და დაამტკიცეს.

კომისიის სხდომა გამოირჩეოდა იმითაც რომ, პირველად უახლეს ისტორიაში, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ საერთო, სამომავლო მუშაობის ფუნდამენტურ პრინციპებზე:

1. სტუდენტური თვითმმართველობები უნდა წარმოადგენდნენ უმაღლესი სასწავლებლების ოფიციალურ, სამართლიანი არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენლობითი და საორგანიზაციო ფუნქციებით აღჭურვილ ორგანოს;

2. სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა და სტუდენტურმა თვითმმართველობებმა ხელი უნდა შეუწყონ (მათ შორის ფინანსურად) სასწავლო დაწესებულებებში მოქმედ დამოუკიდებელ სტუდენტურ გაერთიანებათა საქმიანობას;

3. სტუდენტური თვითმმართველობები უნდა ფინანსდებოდნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტებში;

4. სტუდენტურმა თვითმმართველობებმა უნდა შეინარჩუნონ პარტიული ნეიტრალიტეტი.

აღნიშნულ დოკუმენტს „საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაციასთან“ ერთად სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების კომისიის წევრებმა მოაწერეს ხელი.

გასვლითი სხდომა

17-20 აპრილს, დაბა გრიგოლეთში სასტუმრო კომპლექს „ანდამატში“, სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების კომისიის მორიგი, გასვლითი სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებს ჩაუტარდათ ტრეინინგ-სემინარი საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით, კერძოდ: არჩევნები და სამოქალაქო საზოგადოება, გზავნილის ჩამოყალიბება, ამომრჩევლებთან ურთიერთობა. ტრეინინგის ფარგლებში ახალგაზრდებმა პრაქტიკული დავალებებიც შეასრულეს.

კომისიის წევრები შეთანხმდნენ სტუდენტური თვითმმართველობების ვებგვერდების ერთიან სტრუქტურაზე, რომელიც უახლოეს მომავალში შეიქმნება, ასევე განიხილეს თვითმმართველობების ელექტრონული არჩევნების მოდელი და ამ მოდელის პრაკტიკაში გამოყენება. კომისიის წევრებმა ასევე დაგეგმეს უახლოეს პერიოდში განსახორციელებელი საქმიანობა და მიმართულებები.

საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაცია

■ ყველა ის პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გასაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის ასევე დოქტორანტურის პროგრამების გასავლელად უფლებამოსილია ისარგებლოს სტუდენტის სტატუსით.

■ დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის თვითნებურად, დროებით შეჩერება ან შეწყვეტა.

■ ყველა სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია.

■ ყველა ის პირი, რომელიც სარგებლობს სტუდენტის სტატუსით, უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი და ყოველმხრივი განათლება.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო, კვლევით (აკადემიური) საქმიანობაში.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის, მათ შორის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობების შესახებ.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეული იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით ორგანოებში. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად.

■ დაუშვებელია სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევა, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ასევე ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მხრიდან.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება თავისუფლად დააფუძნოს ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს სასწავლო პროგრამა.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენაში.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ინკლუზიური განათლებით.

■ ყველა სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს პირადი და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა.

■ ყველა სტუდენტი უფლებამოსილია საქართველოსა ან და საერთაშორისო კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესითა და პირობებით ისარგებლოს მობილობის უფლებით.

■ ყველა სტუდენტი უფლებამოსილია მობილობის პროცესის დროს, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, მოითხოვოს სახელმწიფოს მხრიდან თანადგომა.

■ ყველა სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა.

■ ყველა სტუდენტი უფლებამოსილია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოითხოვოს სახელმწიფოს ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტიპენდიით ან სწავლის დაფინანსებით უზრუნველყოფა.

■ ყველა სტუდენტი უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერით, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და პროფესიული წინსვლის მიზნით, ისარგებლოს სტაჟირებით.

სტუდენტური ჯგუფები რეგიონებში

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა

მიმდინარე წლის 17 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა“ განახორციელა. პროექტის ფარგლებში, სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფები საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე სარეაბილიტაციო-აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ.

პროექტში 150 სტუდენტი ჩაერთო. ახალგაზრდები ჯგუფებში გადანაწილდნენ და 10 დღით გაემგზავრნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ადგილობრივებს ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოვლა-დასუფთავებაში ეხმარებოდნენ.

17 ივლისს, პროგრამის ფარგლებში სტუდენტების პირველი ნაკადი – 70 ახალგაზრდა სარეაბილიტაციო-აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ცაგერში, ლასურიაში, მანგლისში, აბასთუმანში, ნეკრესსა და ვარძიაში.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტური ჯგუფები ასევე გაემგზავრნენ შემდეგი მიმართულებით: 18 ივლისი – წალკა, 21 ივლისი – შავნაბადა, 24 ივლისი – ასფარა, 28 ივლისი – ცაგერი.

ინტეგრაცია და განვითარება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების“ პროგრამის ფარგლებში ახორციელებს „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას, ახალგაზრდების დასაქმებას, არაფორმალური განათლების მიღებას და თავისუფალი დროის შინაარსიანი გატარების შესაძლებლობას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 8-11 ნოემბერს დაბა ბაკურიანში ჩატარდა ტრენინგ-სემინარი თემაზე „პროექტის წერისა და თვითპრეზენტაციის კულტურა“.

ტრენინგი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში საკომუნიკაციო, დაკვირვების, ანალიზის, მსჯელობის, პროექტის წერის კულტურის, ფონდების მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარის განვითარებას.

ტრენინგი განკუთვნილი იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 18-26 წლამდე ასაკის კომუნიკაბელური, მოტივირებული ახალგაზრდებისთვის.

ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა მიზნად ისახავს დაეხმაროს ახალგაზრდებს პროფესიის არჩევის, კომპეტენციების ათვისების, განვითარებისა და პროფესიული ცხოვრების დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. პროფორიენტაციის პროექტის საშუალებით მოზარდები შეძლებენ მათი პიროვნულ-ინდივიდუალური მახასიათებლების გამოვლენას და პროფესიული საქმიანობის იმ სფეროს განსაზღვრას, სადაც ისინი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ყველაზე უკეთ მოახდენენ. ამის უზრუნველსაყოფად ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში შეიქმნა პროფესიული ორიენტაციის ინტერაქტიული ვებ-გვერდი – www.myprofession.ge და პროფორიენტაციის გზამკვლევი-სახელმძღვანელო მოზარდებისათვის, რომელიც დაეხმარება უფროსკლასელებს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების უკეთ გარკვევასა და გადაწყვეტილების მიღებაში. სახელმძღვანელო დაეფუძნა ამ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის ანალიზს. გზამკვლევი ელექტრონული სახით განთავსდა ზემოაღნიშნულ პროფორიენტაციის ვებ-გვერდზე. ახლო მომავალში სახელმძღვანელო დაიბეჭდება 1000-იანი ტირაჟით.

გაფორმდა მემორანდუმი სამინისტროსა და ორგანიზაცია WORLD VISION GEORGIA-ის წარმომადგენლობასთან პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის თაობაზე. სახელმძღვანელო მომზადდა WORLD VISION GEORGIA-ს ფინანსური მხარდაჭერით.

პროფორიენტაციის პროექტის განხორციელებით მოზარდებს და ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ ინტერაქტიულ ვებ-გვერდზე განთავსებული პროფორიენტაციული ტესტების, კითხვარების, სხვადასხვა საჭირო ინფორმაციული მასალების და გზამკვლევის საშუალებით მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უნარების, შესაძლებლობების, ძირითადი პიროვნული მახასიათებლების, პროფესიებთან შესატყვისი ფსიქოტიპების შესახებ. მიღებული ინფორმაცია და ცოდნა მათთვის იქნება ერთგვარი რეკომენდაცია პროფესიული არჩევანის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ისინი მოახდენენ საკუთარი უნარების და მიდრეკილებების გამორკვევას, თვითშეფასებას და თვითორიენტაციას. ტესტები საინტერესო იქნება როგორც მოზარდებისთვის, რომლებიც ირჩევენ პროფესიებს, ასევე პროფორიენტაციით დაინტერესებული ზრდასრული ადამიანებისთვისაც.

თანადგომა

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2013 წლის ერთ ერთი პრიორიტეტი ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებაა. ამ მიმართულებით სამინისტრომ რამდენიმე პროექტი განახორციელა.

17 მაისს სასტუმრო „ამბასადორში“, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალაზრდებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამების სამმართველოს ინიციატივით გაიმართა ახალგაზრდული რეგიონალური კონფერენცია თემაზე **„კონფლიქტების ტრანსფორმაცია და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“.**

კონფერენციის მთავარი მიზანი იყო ქართველი ახალგაზრდებისთვის ხელის შეწყობა, მათი ინტერესის გაღრმავება და აქტივობებში ჩართულობა, რაც მიმართულია საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით ტრანსფორმაციისაკენ.

კონფერენცია ორი დღე გაგრძელდა და ქართველ გამომსვლელებთან ერთად მომხსენებლებს აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ევროპიდან უმასპინძლა.

ახალგაზრდა ექსპერტებმა, მეცნიერებმა და სტუდენტებმა კავკასიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, რეგიონალურ ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტზე, ნდობის ფაქტორზე და სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ტრანსფორმაციასთან დაკავშრებულ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრეს. კონფერენცია, ქართველ ახალგაზრდებს მისცა საშუალება, კონფლიქტებთან დაკავშირებით სხვადასხვა მხრიდან წარმოდგენილი განმარტებები და ამ დარგში პროფესიონალების მოსაზრებები მოისმინათ.

აფხაზური და ოსური კულტურის დღე

3 ნოემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ახალგაზრდული ფოლკლორული ანსამბლებისა და ხელოვნების მოღვაწეების მონაწილეობით გაიმართა აფხაზური და ოსური კულტურის დღე „იცნობდე კულტურას...“

ღონისძიება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა და მიზნად ისახავს აფხაზური და ოსური კულტურის პოპულარიზაციას, აფხაზური და ოსური კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობას.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით დევნილების კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებმა 200 ბავშვმა მოინახულა მთაწმინდის პარკი და მონაწილეობა მიიღო აფხაზურ და ოსურ ხალხურ თამაშობებში. დღის ბოლოს კი ბავშვები დაესწრნენ კონცერტს და გამოფენას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 60-მდე ნახატი და ტიხრული მინანქრის ნაკეთობები.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის მხარდაჭერის პროგრამა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან – 22 ნოემბერს ქალაქ რუსთავში, 26 ნოემბერს ქალაქ ბათუმში, 27 ნოემბერს ქალაქ ზუგდიდში, 28 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში, 3 დეკემბერს კი ქალაქ თელავში.

პროგრამის ფარგლებში, დიალოგში ჩართული ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ხვდებიან ადგილობრივ ახალგაზრდებს და ახდენენ მათ ინფორმირებას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის პროცესის შესახებ, პროექტის მიზანია კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის სფეროში ახალგაზრდების ჩართულობისა და მათი ინიციატივების მხარდაჭერა.

ქალაქ ქუთაისში შეხვედრას საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი დაესწრო, რომელიც ახალგაზრდებს არსებულ კონფლიქტებსა და ქვეყანაში ჯარის როლის შესახებ ესაუბრა. პრობლემების გაანალიზებისა და დისკუსიის შემდეგ ახალგაზრდები სამუშაო ჯგუფებში გადანაწილდნენ და მოამზადეს ინიციატივები კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის თემასთან დაკავშირებით.

იძულებით გადაადგილებულმა ახალგაზრდებმა რაგბის ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა

1 დეკემბერს, საქართველოს რაგბის კავშირის ორგანიზებით რაგბის ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო წეროვანის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს სარაგბო კლუბებმა: „ხულიგანა“, „ლოკომოტივი“, „ხვამლი“, „ლელო“, „ვეფხვები“ და „არმია“.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების სოციალურ და სპორტულ აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ტარდება რაგბის უფასო ვარჯიშები წეროვანის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.

საწყის ეტაპზე პროექტში ჩართულია 46 ახალგაზრდა.

2014 წლიდან, სამინისტრო გეგმავს აღნიშნული პროექტის განხორციელებას უფრო ფართო მასშტაბებით, ახალგაზრდებს სხვადასხვა კომპაქტური დასახლებებიდან მიეცემათ სპორტში აქტიურად ჩართვისა და უფასო ვარჯიშის საშუალება.

ჩვენი პრიორიტეტი

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ყველა იმ პრიორიტეტს, რომელიც სახელმწიფომ გამოკვეთა ახალგაზრდებთან მიმართებაში.

ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია: ახალგაზრდების განათლება, დასაქმება და მობილობა, ჯანმრთელობა, სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა. ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ამოცანებია: ახალგაზრდობის სექტორში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გრძელვადიანი სახელმწიფო ხედვის ჩამოყალიბება; ისეთი მექნიზმების შემუშავება, რომელიც ყველაზე დაუცველ და მოწყვლად ახალგაზრდებს მოიცავს; ახალგაზრდობასა და მთავრობას შორის დიალოგის ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც განიხილავს საქართველოში ახალგაზრდების რეალურ მდგომარეობას, ქართულ საზოგადოებაში ახალგაზრდების როლსა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას ახალგაზრდებსა და სახელმწიფოს შორის; არსებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დახვეწა ან საჭიროებისამებრ, ახალი პოლიტიკის შემუშავება; მთავრობის მხარდაჭერა, რათა მოხდეს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და წარმატებული პრაქტიკის გამოყენება.

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთ სამინისტრო 2013 წლიდან მუშაობს პოლიტიკის ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნაზე. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), რომელიც სამინისტროს ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს.

ეროვნული სამოქმედო გეგმა საშუალებას იძლევა გაერთიანდეს ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სამინისტროების, სახელმწიფო სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის, აგრეთვე საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ადამიანების ძალისხმევა. ეროვნული სამოქმედო გეგმაში გაიწერება სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებები.

ეროვნული კონფერენცია

12 ივნისს, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ერთობლივი ეროვნული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, დარგის ექსპერტები და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციის პირველი ნაწილი დაეთმო სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების (სამინისტროების) წარმომადგენლებთან ინტერაქტიულ დიალოგს ახალგაზრდების როლის შესახებ საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში. დისკუსიას უძღვებოდა სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე.

კონფერენციის მეორე ნაწილი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისა და მისი აღსრულების დეტალურ სამოქმედო გეგმის განხილვას დაეთმო. შეკრებილებს წარუდგინეს სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკაზე და ახალგაზრდულ სამოქმედო გეგმაზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფები და წამყვანი კონსულტანტები..

სამუშაო შეხვედრები

30-31 ივლისს ლოპოტას ტბაზე გაიმართა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტზე მომუშავე თემატური ჯგუფების გასვლით სამუშაო შეხვედრა.

სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო და ახალგაზრდული ორგანიზაციები, დარგის ექსპერტები და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაი-

მართა ინტერაქტიული დიალოგი საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის რევიზიასა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

ახალგაზრდული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა 17-18 სექტემბერს, ლოპოტას ტბაზე. სამუშაო შეხვედრა გახსნეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ რატი ბრეგაძემ და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა თამარ ხომასურიძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, რეინტეგრაციის, ეკონომიკის, იუსტიციის, დიასპორის, ფინანსთა, გარემოს დაცვის, ოკუპირებული რეგიონების, სასჯელაღსრულებისა და ევროინტეგრაციის მინისტრების მოადგილეები. პლენარულ სხდომაზე საკოორდინაციო საბჭოს წევრებსა და სამინისტროების წარმომადგენლებს შორის გაიმართა დისკუსია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის არსობრივ და შინაარსობრივ მხარეებზე, გამოიკვეთა დოკუმენტში შესატანი მთავარი მიზნები, ამოცანები და პრინციპები. შეიქმნა ხუთი თემატური ჯგუფი.

სემინარი

ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავების მიზნით 17-19 ნოემბრს სასტუმრო ZP Palace-ის საკონფერენციო დარბაზში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ევროკავშირის ორგანიზებით ჩატარდა სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდოვას და უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციის – Eastern Partnership Youth Regional Unit (EPYRU) წარმომადგენელი ჰანს იურგენ მეთი და საერთაშორისო დონის ექსპერტი ბარბარა ჯიოვანა ბელო.

სემინარის მთავარ მიზანს წარმოადგენს ევროპისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესის დეტალური განხილვა, ასევე საკანონმდებლო დოკუმენტების შედგენისათვის საერთო მიზნების დასახვა.

ახალგაზრდების წარმომადგენელი გაეროში

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ კონკურსის შედეგად შეარჩია საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში.

აღნიშნული პროექტი გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების უზრუნველსაყოფად და ევროატლანტიკურ სივრცეში ქართველი ახალგაზრდობის ღირსეული ადგილის დამკვიდრების მიზნით ხორციელდება. 14 ივნისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაეროს ახალგაზრდობის ელჩის გამოსავლენად კონკურსის ფინალური ეტაპი გაიმართა.

კონკურსის მესამე ეტაპზე გასული 10 კონკურსანტი კომისიის წინაშე სიტყვით გამოვიდა (ინგლისურ ენაზე). ღონისძიება საჯარო ხასიათს ატარებდა და ნებისმიერ მსურველს ჰქონდა საშუალება დასწრებოდა კონკურსანტების გამოსვლებს. მას შემდეგ, რაც ათივე მომხსენებელმა დაასრულა სიტყვით გამოსვლა კომისიის წევრებმა (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და გაეროში მოქმედი ახალგაზრდობის წარმომადგენელი) ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად გამოავლინეს 10 კონკურსანტს შორის საუკეთესო. გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გახდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის მაგისტრანტი თორნიკე ზურაბაშვილი.

აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში თორნიკე ზურაბაშვილმა ჩაატარა ეროვნული ტური, რომლის ფარგლებშიც იგი ეწვია ანაკლიას, ზუგდიდს, ბათუმს, ფოთს, ოზურგეთს, ქუთაისს, ახალციხეს, გორს, წეროვანს, რუსთავს, მცხეთას, ახმეტას და თელავს, სადაც ახალგაზრდების პრობლემების, ინტერესებისა და მოსაზრებების სიღრმისეულად გაცნობის მიზნით, შეხვდა ადგილზე მცხოვრებ ახალგაზრდებს. ეროვნული ტურის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდობის ელჩი გაემგზავრა ნიუ-იორკში, როგორც საქართველოს დელეგაციის სრულფასოვანი წევრი და მონაწილეობა მიიღო გენერალური ასამბლეისა და გაერო-ს სხვა ფორუმების მუშაობაში.

თორნიკე ზურაბაშვილი სიტყვით გამოვიდა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სხდომაზე, რომელსაც 30 სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელი ესწრებოდა. ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეს ქართველი ახალგაზრდების წინაშე დგას. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემებზე, დიცსსა და დვანში მიმდინარე სამწუხარო მოვლენებზე და მსოფლიო საზოგადოებას შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდა.

„მსურს განსაკუთრებული ყურაღება გავამახვილო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ყოველდღიურ პრობლემებსა და ზოგადად, ახალგაზრდების როლზე აღნიშნული კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემიძლია ვილაპარაკო იმაზე, თუ რამდენად ცუდ გავლენას ახდენს მსგავსი პროცესები ქვეყნის ახალგაზრდების ცხოვრებასა და განვითარებაზე. 2008 წელს ჩემი სკოლის შენობა და მთლიანად ქალაქი იბომბებოდა. ჩემი აზრით, გაეროს როლი ამ შემთხვევაში უნდა იყოს ამ ახალგაზრდების უფლებების დაცვა“ – გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა თორნიკე ზურაბაშვილმა.

სტუდენტური დღეები 2013

14 აპრილს, ვაკის პარკში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით პროექტის – „სტუდენტური დღეები 2013 – ნარკომანიის წინააღმდეგ“ საზეიმო გახსნის ცერემონიალი და კონცერტი გაიმართა. მაყურებლის წინაშე წარდგნენ ქართული ესტრადის ცნობილი სახეები და საუნივერსიტეტო ანსამბლები – სალომე ბაკურაძე, გიორგი სუხიტაშვილი, თიკა მახალდიანი, ნათია დუმბაძე, ოთო ნემსაძე, ბენდი „TSU ART“, ხალხური ცეკვის ანსამბლი „სეუ“ და სხვ.

კონცერტის მსვლელობისას სტუდენტებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა მიმართა. მან ახალგაზრდებს სტუდენტური დღეების დაწყება მიულოცა, კონკურსანტებს წარმატება უსურვა და ნარკომანიის წინააღმდგებ ბრძოლაში გაერთიანებისკენ მოუწოდა.

„სტუდენტური დღეები 2013“ ნიჭიერ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ თავინთი შესაძლებლობები, როგორც ინტელექტუალური ასევე კულტურისა და სპორტის მიმართულებით. პროექტს დაემატა 11 სპორტული აქტივობა – ფრენბურთი, პეინტბოლი, ჯომარდობა, ბილიარდი, პარაკალათბურთი, მკლავჭიდი, ველორბოლა, მძლეოსნობა, მეკლდეურობა, ქუჩის კალათბურთი და წყალბურთი. ასევე ინტელექტუალური კონკურსები – „რა? სად? როდის?“, ორატორული ხელოვნების კონკურსი, დებატები და

სტრატეგიული თამაში „აღმოაჩინე შენი ქალაქი“ ე.წ. „City game“.

სტუდენტური დღეები 2013 14 აპრილიდან 24 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, ზუგდიდი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი). აღსანიშნავია, რომ პროექტს უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მონაწილე ჰყავდა – საქართველოში აკრედიტებული 43 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებსაც საერთო ჯამში 1000-მდე კონკურსანტი წარმოადგენდა. სტუდენტური დღეები ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული გალა-კონცერტითა და დაჯილდოების ცერემონიით დასრულდა. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული კონკურსანტები, რომლებმაც თავიანთი ნომრები ფილარმონიაში შეკრებილ გულშემატკივრებსა და მაყურებლებს წარუდგინეს.

მთავარი პრიზის „სტუდენტური დღეები 2013 ნარკომანიის წინააღმდეგ „გრან-პრის მფლობელი გახდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

თანატოლები – თანასწოროებისთვის

თელავის ახალგაზრდული ფესტივალი

15 სექტემბერს, ქალაქ თელავში, ერეკლე მეორის მოდენაზე სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და გაეროს მოსახლეობის ფონდის ორგანიზებით გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი სლოგანით „თანატოლები – თანასწორობისთვის“.

ღონისძიება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა თამარ ხომასურიძემ და თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გივი მეტრეველმა გახსნეს.

ფესტივალმა თბილისიდან და კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან 1000-მდე ახალგაზრდას მოუყრა თავი. მთელი დღის განმავლობაში ჩატარდა არაერთი სპორტული და კულტურული ღონისძიება: ქუჩის კალათბურთი, ფეხბურთი, ჭიდაობა, მკლავჭიდი, 100 მეტრზე რბენა, სამაგიდო თამაშები და სხვა, ასევე ინტელექტ კლუბი, ბრეიქდანსი, დართსი, მოეწყო გამოფენა და სხვა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, თელავში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია ნარკომანიისა და თამბაქოს წინააღმდეგ.

თავისუფალი სივრცე

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ფონდი ერთ-ერთია იმ სახელმწიფო უწყებათაგან, რომელიც განსაზღვრავს და ახორციელებს სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკას, ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას. ფონდი უზრუნველყოფს სამინისტროს სათათბიროს მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით შექმნილი პროექტების დაფინანსებას. შესაბამისად, ყოველწლიურად აცხადებს საგრანტო კონკურსებს ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის. 2013 წელს ფონდის საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა.

შიდა ადმინისტრაციული საკითხების უზრუნველყოფა

2013 წელს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საქმიანობაში ბევრი რამ შეიცვალა: მკვეთრად განისაზღვრა თანამშრომლების უფლება-მოვალეობები; კონკურსის წესით შეირჩა კადრები; გაუქმდა დამატებით, ფონდის რეესტრში არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი და ასაკობრივი ზღვარი, რაც ბარიერს ქმნიდა ფონდთან თანამშრომლობით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის; განისაზღვრა სათათბიროს ეფექტურად ფუნქციონირებისა და პროექტის შეფასების მექანიზმები; შეიქმნა სარეკომენდაციო საბჭო, სადაც დარგობრივი ექსპერტები აფასებენ საგრანტო კონკურსების ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების ეფექტურობას; დაიხვეწა დოკუმენტბრუნვის სისტემა, მოხდა 2013 წლის პრიორიტეტების ფორმულირება.

ინფორმაციის ფართოდ გავრცელებისა და ახალგაზრდების მეტი დაინტერესების მიზნით, შეიქმნა ახალი ვებ-გვერდი (www.fondi.gov.ge) და ელექტრონული აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც გამარტივდა საპროექტო წინადადებების წარდგენა ფონდში.

ამრიგად, ფონდი აღარ არის ჩაკეტილი სივრცე ან მიკერძოებული სტრუქტურა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ცალკეული ჯგუფების ინტერესების შესაბამისად. ფონდში შეიქმნა ყველა მექანიზმი იმისთვის, რომ დაინტერესებულ ორგანიზაციას თუ ახალგაზრდას მიეცეს საკუთარი იდეების რეალიზების საშუალება.

საგრანტო კონკურსები

2013 წელს ფონდმა სამი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. ფონდის ცნობადობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა კონკურსებით დაინტერესებულ ორგანიზაციათა რიცხვი. სამივე საგრანტო კონკურსის ფარგლებში სულ დაფინანსდა 60 პროექტი. დასაქმდა 700-ზე მეტი ახალგაზრდა, ხოლო პროექტებში ჩართული იყო 12 000-ზე მეტი ბენეფიციარი.

საგრანტო კონკუსების შედეგად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა არაერთი საინტერესო პროექტი. მათ შორის: კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საბრძოლო ხელოვნების მასშტაბური ფესტივალი და ქართული სამოსის დღე, ასევე, კონკურსი „ეგო-არტი'' ახალგაზრდა ფოტოხელოვანების, მწერლებისა და პოეტების მონაწილეობით; გრაფიკული სტუდიის ფარგლებში ქართულ მოტივებზე შეიქმნა კომიქსები, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა კვლევა შარეულას ხეობისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად; ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში გაიხსნა ხვამლის მთის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი და ჩატარდა არქეოლოგიური ექსპედიცია; ახალგაზრდა ხელოვანთა და კურატორთა კავშირის ორგანიზებით გაიმართა გამოფენა „ხელოვანების თვალით დანახული 90-იანი წლების საქართველო''; ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფუძნდა სასწავლო ცენტრი ყოფილი მსჯავრდებულებისა

და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისთვის; აჭარის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა სპეციალური საგანმანათლებლო კურსი; ყაზბეგისა და მესტიის რაიონებში მოხდა კულტურული სახლების რეაბილიტაცია და მასში ახალგაზრდული საკრებულოებისა თუ ახალგაზრდული კლუბების დაარსება; კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლში გაიხსნა სატრენაჟორო დარბაზი, ბავშვთა ფიზიკური განვითარების მიზნით ჩატარდა სამასაჟე კურსები; გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში დაბა ფასანაურში არაგვის სანაპიროზე მოეწყო სპორტულ-რეკრეაციული ზონა; ჩატარდა მასშტაბური ახალგაზრდული საფეხბურთო ფესტივალები მარტვილის, ზესტაფონისა და ახალციხის რაიონებში; სოციალური მეწარმეობის ფარგლებში დაფუძნდა კალიგრაფიის სოციალური საწარმოები თბილისსა და ჭუბერში; ახალი, პალმეტური მეთოდით გაშენდა ინტენსიური ბაღები თეთრიწყაროს რაიონში; საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა „აღმოსავლეთ ევროპის საზაფხულო სკოლა," რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოცმა ახალგაზრდამ შავი ზღვის რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან და ა.შ.

საქველმოქმედო კამპანია

საგრანტო კონკურსების პარალელურად, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა მიმდინარე წლის მანძილზე საქველმოქმედო კამპანია წამოიწყო. მათ შორის იყო საქველმოქმედო აქცია-კონცერტი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ღონისძიება გალის რაიონის სკოლების დასახმარებლად ჩატარდა. ამავდროულად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის დაფინანსებით სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ახორციელებს პროექტს „ბავშვობა ყველა ბავშვისთვის". ეს არის დამატებითი დაფინანსების მიღების პირველი შემთხვევა ფონდის არსებობის განმავლობაში, პირველი პროექტი, რომელიც საქართველოში მოქმედ დონორ ორგანიზაციასთან – ფონდთან ერთად ხორციელდება.

ბოლო ერთის წლის მანძილზე ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა ორი მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანიაც ჩაატარა: 24-27 დეკემბერს საუნივერსიტეტო კვირეული დედაქალაქისა და რეგიონების უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო 5-25 აგვისტოს რეგიონული კამპანია საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი იყო პოტენციურ ბენეფიციართა საჭიროებების კვლევა და ფონდის საგრანტო კონკურსების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება.

პროექტი „ეგო-არტი"

ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის ორგანიზებით გამოცხადდა კონკურსი პოეზიაში, პროზასა და ფოტოგრაფიაში. კონკურსში საქართველოს ყველა რეგიონი იყო ჩართული. პროექტის დასასრულს გაიმართა ლიტერატურული საღამო და ფოტოგამოფენა. გამოიცა პროექტის ამსახველი კრებულიც.

სპორტული ღონისძიებები

ფონდის ერთ-ერთი პროგრამული პრიორიტეტია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება და ამ მიმართულებით განსაკუთრებით რეგიონების წახალისება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მასშტაბური ფესტივალები ჩატარდა ზესტაფონში, მარტვილსა და ახალციხეში.

„აღმოსავლეთ ევროპის საზაფხულო სკოლა"

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალგაზრდული მოძრაობა ადამიანის უფლებებისთვის" ფონდის პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში საერთაშორისო პროექტი განახორციელა.

პროექტში მონაწილეობა მიიღო ოცმა ახალგაზრდამ შავი ზღვის რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ლექციები, სემინარები და დებატები რეგიონში მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ. ლექციები წაიკითხეს უცხოელმა და ქართველმა ლექტორებმა.

სასწავლო ცენტრი ყოფილი მსჯავრდებულებისა და შშმ ახალგაზრდებისათვის

საპატრიარქოს ახალგაზრდული გაერთიანება „დავითიანნის“ ორგანიზებით თბილისში შეიქმნა ხის სახელოსნო, სადაც ყოფილი მსჯავრდებულები, ასევე მეტყველება და სმენადაქვეითებული ახალგაზრდები ნატურალური მასალით საბავშვო სათამაშოებს ამზადებენ.

კალიგრაფიის სოციალური სახელოსნოები

2013 წელს ფონდის დაფინანსებით შეიქმნა კალიგრაფიის 2 სახელოსნო, ერთი თბილისში ხოლო მეორე ზემო სვანეთში ჭუბერის რაიონში. სახელოსნოებში ახალგაზრდა კალიგრაფები მუშაობენ, ისინი ასომთავრულ და ნუსხურ ანბანს ასწავლიან დაინტერესებულ პირებს. ამავდროულად კალიგრაფიული ხელით თიხის, მუყაოს თუ კერამიკის ფაქტურაზე ამზადებენ ულამაზეს სუვენირებს, რომლებიც პროექტის დასრულების შემდეგ გავრცელდება სუვენირების სხვადასხვა მაღაზიებში საქართველოს მასშტაბით.

საბრძოლო ხელოვნებისა და ქართული სამოსის ფესტივალი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით და ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნების“ ორგანიზებით, 29 სექტემბერს ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამოსის ფესტივალი ჩატარდა.

პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მეორე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. რუსთაველის გამზირზე მასშტაბური მსვლელობა მოეწყო, რომელშიც „შავფაროსნებთან“ ერთად, ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ადამიანები მონაწილეობდნენ. მსვლელობაზე თავიანთი კუთხისთვის დამახასიათებელი სამოსი და საბრძოლო აღჭურვილობა რეგიონიდან ჩამოსულმა ქართველებმა წარადგენეს. მსვლელობაში ასევე, მონაწილეობდნენ ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. მსვლელობის დასრულების შემდეგ, ფესტივალის მეორე ნაწილი, რიყის პარკში გაგრძელდა. ჩატარდა საბრძოლო საჩვენებელი წარმოდგენები, შეჯიბრება მშვილდოსნობაში, ძალის გამოცდაში. ასევე გაიმართა ლელობურთი და სხვა ტრადიციული ქართული თამაშობები, იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის გამოფენა, მოეწყო ცნობილი მხედართმთავრების კუთხეები. შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

სამომავლო გეგმები

2014 წელი იქნება თვისობრივად განსხვავებული წელი ფონდის საქმიანობაში. ცხადია კიდევ უფრო გაუმჯობესდება ორგანიზაციული მენეჯმენტი, გაძლიერდება პროექტების მართვისა და მონიტორინგის სამსახური, დამკვიდრდება საერთაშორისო სტანდარტები; უფრო მეტად დაიხვეწება და გამარტივდება საგრანტო კონკურსის პროცედურები; განისაზღვრება ახალი პრიორიოტეტები, რომელთა ფარგლებშიც დედაქალაქისა თუ რეგიონის ახალგაზრდებს შეეძლებათ აქტიურად ჩაერთონ ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში; გაუმჯობესდება ფონდების მოძიების სტრატეგია; ახალგაზრდობის სექტორში დაიწყება გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელება.

დიცში, დვანსა და ერგნეთში

11 ოქტომბერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად დვანის, დიცისა და ერგნეთის სამ სკოლას ესტუმრა და მოსწავლეებისათვის წიგნები და სპორტული ინვენტარი ჩაიტანა.

მინისტრი ესაუბრა სკოლის დირექტორებს და მასწავლებლებს, აღნიშნა, რომ აქციას არ ექნება კამპანიური ხასიათი და სამინისტროში ოკუპირებულ ზონასთან მცხოვრები ახალგაზრდების დახმარების პროგრამა შეიქმნება.

მინისტრის სტუმრობამდე ახალგაზრდობის საქმთა დეპარტამენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ დვანში, დიცსა და ერგნეთში, შეხვდნენ ადგილობრივი სკოლების წარმომადგენლებს და სწორედ მათი თხოვნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, სამინისტრომ შეიძინა წიგნები სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის და სპორტული ინვენტარი 3 სკოლისთვის.

თითოეულ სკოლას გადაეცა წიგნების კრებულები: „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო“ და „ქართული კლასიკური მწერლობა“. სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის, ხელბურთის და რაგბის ბურთები, კრივის აღჭურვილობა, ფრენბურთის ბადეები, მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი, ჭადრაკის დაფები და ბადმინტონის მოწყობილობა.

მთავარი მიზანი

საინფორმაციო კამპანია ნარკომანიისა და თამბაქოს წინააღმდეგ – იყავი ჯანმრთელობის გამავრცელებელი

2013 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იყო ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. ამ მიზნით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ორგანიზაციებმა „ბემონი“, „GYDEA“ და „UNICEF“ 2013 წელს საქართველოს 7 რეგიონში განახორციელეს ფართომასშტაბიანი „საინფორმაციო კამპანია ნარკომანიისა და თამბაქოს წინააღმდეგ – იყავი ჯანმრთელობის გამავრცელებელი“. პროექტის მთავარი მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების მოტივირება, აქტიურად ჩაერთონ უსაფრთხო ქცევის პოპულარიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში.

პროექტის ფარგლებში თითოეულ რეგიონში დაინტერესებული ახალგაზრდების ჯგუფებს ჩაუტარდათ ტრეინინგები თემაზე:

1. ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა (თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკები) და მათი მოხმარების შედეგები;

2. აივ ინფექციის თავიდან აცილების გზებისა და აივ ტესტირების მნიშვნელობა;

პროექტის მონაწილეებს ჩაუტარდათ სამდღიანი ტრეინინგები და დაურიგდათ თანასწორ-განმანათლებლების სერტიფიკატები. ტრეინინგების დასრულების შემდეგ თანასწორ-განმანათლებლებმა ჩაატარეს საინფორმაციო კამპანიები, დაარიგეს ბუკლეტები და ქუჩებში გამვლელებს გაუზიარეს ტრეინინგის დროს მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

29 ივლისს ქუთაისში, ბალახვნის მოედანზე (დავით აღმაშენებლის მიმდებარე ტერიტორია) გაიმართა საინფორმაციო კამპანია ნარკომანიისა და თამბაქოს წინააღმდეგ – „იყავი ჯანმთელობის გამავრცელებელი“ და შეჯიბრი ქუჩის კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქუთაისელმა ახალგაზრდებმა.

პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა კლიპი ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობით – ისინი თანატოლებს მოუწოდებდნენ ცხოვრების ჯანსაღი წესის გავრცელებისკენ.

ახალი გზა

არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა

„არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ მიზანად ისახავს ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობას სპორტში აქტიური ჩართვით, არაფორმალური განათლების და პროფესიული (სახელობო) სწავლების უზრუნველყოფით, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი აქტივობების განხორციელებით.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს შორის წლის დასაწყისში გაფორმდა მემორანდუმი, რომელმაც ხელი შეუწყო აღნიშნული პროგრამის ეფექტურ განხორციელებას.

მთელი წლის განმავლობაში, არასრულწოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებაში მიმდინარეობდა საწვრთნელი ვარჯიშები ფეხბურთსა და რაგბში, კინოლექტორიუმი, კომპიუტერული პროგრამების, ხეზე კვეთისა და გიტარაზე დაკვრის სწავლება.

2013 წლის 6 მარტს შედგა პირველი შეხვედრა არასრულწოვან მსჯავრდებულებთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა სოზარ სუბარმა. არასრულწოვნებს საჩუქრად გადაეცა 300-მდე წიგნი, სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, ხეზე კვეთისათვის საჭირო აღჭურილობა (საბურღი დაზგები, ხერხები, გამწოვი და სხვა). გაიმართა მუსიკალური ჯგუფი „ფრანი“-ს კონცერტი. 1 მაისს არასრულწოვნებს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა ბურთები და სხვადასხვა სპორტული სუვენირები გადასცეს, ბავშვებთან ერთად მაგიდის ჩოგბურთი და ფეხბურთი ითამაშეს, მათი საცხოვრებელი ადგილი დაათვალიერეს და საფეხბურთო თემებზე ისაუბრეს.

23 მარტს რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში ჭადრაკის ტურნირი გაიმართა. მსჯავრდებულებს პროგრამის კოორდინატორებთან ერთად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ცნობილი მოჭადრაკე, ფიბას ვიცე-პრეზიდენტი, ზურაბ აზმაიფარაშვილი ეწვია.

13 აპრილს სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროექტში – „ინტელექტის დღე – რა, სად, როდის?“ საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად არასრულწოვანმა მსჯავრდებულებმაც მიიღეს მონაწილეობა. მსჯავრდებულებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ინელექტუალურ მედიაპროექტში „ეტალონი“, რომელიც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. გამომცემლობა

„ლიბრამ“ ფინალისტებისათვის საჩუქრად წიგნები დააწესა.

5 ივნისს პროგრამის ფარგლებში, ავჭალის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებას სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ვეტერანი ფეხბურთელები გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი ესტუმრნენ.

12 ივნისს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ავჭალის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებას, საერთაშორისო სარაგბო ტურნირის „თბილისი ჩუპ“-ის მონაწილე ქართველი, სამხრეთ აფრიკელი და ურუგვაელი მორაგბეები ეწვივნენ, ბავშვებთან ერთად რაგბი ითამაშეს და საჩუქრად ბურთები მიუტანეს, შემდეგ კი ციხის ტერიტორია დაათვალიერეს.

10 ივლისს ავჭალის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებაში ქართული პოეზიისა და მუსიკის საღამო გაიმართა, რომლიც საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრისა და „ლიტერატურული საზოგადოება „ვერკვლისციხელის“ ხელშეწყობით დაიგეგმა. 2013 წლის 23 ივლისს, სასჯელაღსრულების №11 დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს საქართველოს კალათბურთის ნაკრების წევრები ვიქტორ სანიკიძე, ვაჟა მეტრეველი და მანუჩარ მარკოიშვილი ეწვივნენ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთობლივად დაიგეგმა სპორტული ტურნირები მსჯავრდებულთა 9 დაწესებულებაში. ტურნირები ჩატარდა სპორტის შემდეგ სახეობებში: ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, ფეხბურთი, ქუჩის კალათბურთი, ნარდი, შაში.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელშეწყობით გლდანის და გეგუთის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ჩატარდა ჭადრაკის ტურნირი, რომელსაც სახელოვანი მოჭადრაკეები – ნონა გაფრინდაშვილი და ზურაბ აზმაიფარაშვილი ესწრებოდნენ. გამარჯვებულ მსჯავრდებულებს საჩუქრად საჭადრაკო დაფები, წიგნები, სიმბოლური პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. 7 სექტემბერს ავჭალის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებას ესტუმრნენ საფეხბურთო კლუბ „გორის დილას“ ფეხბურთელები – გუნდის კაპიტანი ლექსო კვახაძე და ირაკლი მაისურაძე. მათ ახალგაზრდებს საჩუქრად გასაცეს მაისურები და ბურთები.

ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებას 20 ნოემბერს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრები ლაშა შავდათუაშვილი, ვარლამ ლიპარტელიანი, ავთანდილ ჭრიკიშვილი და სანდრო მსხალაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროს ნუგზარ კანდელაკთან ერთად ესტუმრნენ.

სუამის ახალგაზრდული ფორუმი

ოქტომბერში სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა სუამის ახალგაზრდული ფორუმი: „გამოწვევები და შესაძლებლობები“. ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, უკრაინის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ სერგი ხლუშჩენკომ და სუამის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩეჩელაშვილმა.

ფორუმში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის და მოლდოვის ახალგაზრდობის საქმეებზე პასუხისმგებელი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ კონკურსის საფუძველზე ფორუმში მონაწილეობისთვის შეარჩია 5 ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია.

სუამის ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში შეიმუშავეს კონკრეტულ წინადადებები სუამ-ის ქვეყნების ახალგაზრდული ორგანიზაციების თანამშრომლობის გააქტიურებისათვის.

სპორტის ოლიმპიური სახეობები

ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი
ამირან პაპინაშვილი (60 კგ) – ოქრო
ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ) – ოქრო
ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) – ოქრო
ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ) – ვერცხლი
ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) – ვერცხლი
ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ) – ვერცხლი
ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ) – ბრინჯაო
ევროპის გუნდური ჩემპიონატი
საქართველოს ნაკრები – ოქრო

მსოფლიოს ჩემპიონატი
ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) – ვერცხლი
ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) – ვერცხლი
მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი
საქართველოს ნაკრები – ოქრო

ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)
რობიზონ ბეგლარაშვილი (50 კგ) – ბრინჯაო
კობა მჭედლიშვილი (66 კგ) – ბრინჯაო
თამაზ კირაკოზაშვილი (73 კგ) – ბრინჯაო
დავით რამაზაშვილი (90 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)
კობა მჭედლიშვილი (66 კგ) – ოქრო
რობიზონ ბეგლარაშვილი (50 კგ) – ვერცხლი
თამაზ კირაკოზაშვილი (73 კგ) – ვერცხლი

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) – ოქრო
გურამ თუშიშვილი (100 კგ) – ოქრო
ლევან გუგავა (73 კგ) – ვერცხლი
ლევან მატიაშვილი (+100 კგ) – ვერცხლი
გიორგი ზაქარიაძე (+100 კგ) – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
მარიამ ჯანაშვილი (52 კგ) – ოქრო
მზია ბებოშვილი (48 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) – ოქრო
ლერი ჭელიძე (55 კგ) – ბრინჯაო
ლევან მატიაშვილი (+100 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
საქართველოს ნაკრები – ოქრო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
მარიამ ჯანაშვილი (52 კგ) – ვერცხლი

თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი
გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ) – ოქრო
დავით მარსაგიშვილი (84 კგ) – ოქრო
ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60 კგ) – ბრინჯაო
გენო პეტრიაშვილი (120 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი
გენო პეტრიაშვილი (120 კგ) – ოქრო

ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)
ალექსანდრე კილაძე (42 კგ) – ბრინჯაო
შმაგი თოდუა (46 კგ) – ბრინჯაო
რამაზ ზოიძე (58 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)
რამაზ ზოიძე (58 კგ) – ვერცხლი
ირაკლი მხეიძე (50 კგ) – ბრინჯაო
გივი მაჭარაშვილი (100 კგ) – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
გენო პეტრიაშვილი (120 კგ) – ოქრო
დავით ბუზიაშვილი (66 კგ) – ბრინჯაო
ლაშა გიგაშვილი (74 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
გენო პეტრიაშვილი (120 კგ) – ოქრო
დავით ბუზიაშვილი (66 კგ) – ვერცხლი
ბექა ბუჯიაშვილი (55 კგ) – ბრინჯაო
შოთა ფარტენაძე (60 კგ) – ბრინჯაო

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი
ზურაბ დათუნაშვილი (74 კგ) – ვერცხლი
ვლადიმერ გეგეშიძე (84 კგ) – ვერცხლი
გურამ ფერსელიძე (120 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს უნივერსიადა
თორნიკე თურქიშვილი – ბრინჯაო
მიხეილ ქაჯაია – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)
გიორგი კურტანიძე (54 კგ) – ვერცხლი
ლევან ქავჟარაძე (58 კგ) – ვერცხლი
თემურ შავაძე (46 კგ) – ბრინჯაო
ზვიად პატარიძე (100 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)
ზვიად პატარიძე (100 კგ) – ოქრო
ლევან ქავჟარაძე (58 კგ) – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
იაკობ ქაჯაია (120 კგ) – ოქრო
ირაკლი შავაძე (50 კგ) – ვერცხლი
ლაშა გობაძე (74 კგ) – ბრინჯაო
რობერტ ქობლიაშვილი (84 კგ) – ბრინჯაო
კუკური კირცხალია (96 კგ) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
შმაგი ბოლქვაძე (66 კგ) – ვერცხლი

ტყვიის სროლა

მსოფლიოს თასი
ნინო სალუქვაძე – ვერცხლი

კრივი

ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)
გიორგი ხარაბაძე – ოქრო
რატი ტლაშაზე – ვერცხლი
გიორგი ჩარგაზია – ბრინჯაო
უჩა მაისურაძე – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
დავით ნანავა – ბრინჯაო
კონსტანტინე ხვისტანი – ბრინჯაო

ძალოსნობა

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ლაშა ტალახაძე – ოქრო

ევროპის ჩემპიონატი (23-წლამდელები)
გიორგი ლომთაძე – ვერცხლი

ფარიკაობა

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
სანდრო ბაზაძე (ხმალი) – ოქრო

ბატუტზე ხტომა

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
სინქრონული ხტომა
ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა – ოქრო

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი

ძიუდო
ერეკლე არხოზაშვილი – ოქრო
გიორგი კაციაშილი – ოქრო
თამაზ კირაკოზაშვილი – ვერცხლი
იესო კვირიკაშვილი – ვერცხლი
გიორგი ძებისაშვილი – ვერცხლი
სიმონი მამარდაშვილი – ბრინჯაო
მარიამ ჯანაშვილი – ბრინჯაო

ჩოგბურთი (წყვილები)
ანა ახალკაცი, მარიამ ბოლქვაძე – ბრინჯაო

სპორტის არაოლიმპიური სახეობები

რაგბი

ევროპის ერთა თასი
საქართველოს ნაკრები – ოქრო

სამბო

ევროპის ჩემპიონატი
ვახტანგ ჩიდრაშვილი – ვერცხლი
ნიკოლოზ კუცია – ვერცხლი
ნოდარ მეტრეველი – ვერცხლი
უშანგი კუზანაშვილი – ბრინჯაო
კახა მამულაშვილი – ბრინჯაო
ლაშა გურული – ბრინჯაო
ქალები
შორენა შარაძე – ბრინჯაო

მსოფლიოს უნივერსიადა
ნიკოლოზ კუცია – ვერცხლი

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ლუხუმ ჩხვიმიანი – ოქრო
ბექა ტულუში – ოქრო
მიხეილ მეზურნიშვილი – ოქრო
უშანგი მარგიანი – ოქრო
გიორგი მელქუაშვილი – ვერცხლი
გუგა კიბორძალიძე – ვერცხლი
ლერი ბედინაძე – ბრინჯაო
თორნიკე მუზაშვილი – ბრინჯაო
ილია მალვენიშვილი – ბრინჯაო
თორნიკე ოთინაშვილი – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)
თორნიკე ნაგლიაშვილი – ოქრო
თორნიკე ჭოველიძე – ოქრო
სოლომონ თედიაშვილი – ბრინჯაო
გიგა ნოზაძე – ბრინჯაო
აპალონ ზურაბიანი – ბრინჯაო
ირაკლი გოგია – ბრინჯაო
ჯონი ჭითანავა – ბრინჯაო
ჯემალ დაბრუნდაშვილი – ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი (კადეტები)
ჯამბულ ქურდიანი – ოქრო
გიორგი ნიაზაშვილი – ვერცხლი
ვახტანგ მეტივიშვილი – ვერცხლი
ბექა ტერტერაშვილი – ვერცხლი
დავით იმერლიშვილი – ვერცხლი
ვანო ხუბაშვილი – ბრინჯაო
გოგა ქევხიშვილი – ბრინჯაო
გიორგი მულაძე – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი
ვახტანგ ჩიდრაშვილი – ოქრო
ლევან ნახუცრიშვილი – ოქრო
ლაშა გურული – ვერცხლი
კახა მამულაშვილი – ბრინჯაო
ნოდარ მეტრეველი – ბრინჯაო
ქალები
ირინე ლეონიძე – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
უშანგი მარგიანი – ოქრო
თეიმურაზ ხაჩიძე – ვერცხლი
თორნიკე ოთინაშვილი – ვერცხლი
გუგა კიბორძალიძე – ვერცხლი
გიორგი მელქუაშვილი – ბრინჯაო
თორნიკე მუზაშვილი – ბრინჯაო
მიხეილმე ზურნიშვილი – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)
გიორგი მეტრეველი – ოქრო
ირაკლი კუპატაძე – ვერცხლი
აპოლონ ზურაბიანი – ვერცხლი
თორნიკე ჭოველიძე – ბრინჯაო
გიგა ნოზაძე – ბრინჯაო
ირაკლი გოგია – ბრინჯაო
ჯონი ჭითანავა – ბრინჯაო
გიორგი ლაზუაშვილი – ბრინჯაო

ჭადრაკი

ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი
სალომე მელია – ვერცხლი

მკლავჭიდი

ევროპის ჩემპიონატი
ალექსი აბუთიძე (მარჯვ.) – ოქრო
გელა არაბული (მარცხ.) – ვერცხლი
ვილენ გაბრავა (მარჯვ.) – ვერცხლი
ალექსი ფრეწუაშვილი (მარჯვ.) – ბრინჯაო
ვილენ გაბრავა (მარცხ.) – ბრინჯაო
კობა მამამთავრიშვილი (მარჯვ.) – ბრინჯაო
ზაზა თაბაგარი (მარჯვ.) – ბრინჯაო
რაჩო გახარია (მარჯვ.) – ბრინჯაო

მსოფლიოს ჩემპიონატი
რევაზ ლუტიძე მარჯვ.) – ოქრო
გიორგი თვალიაშვილი (მარჯვ.) – ვერცხლი
ირაკლი გამთენაძე (მარჯვ.) – ვერცხლი
ჯაბა გეთიაშვილი (მარცხ.) – ბრინჯაო
ვასილ დაუთაშვილი (მარჯვ.) – ბრინჯაო
რევაზ ლუტიძე (მარცხ.) – ბრინჯაო

კარატე

ევროპის ჩემპიონატი
ლაშა ხაჭაპურიძე – ვერცხლი
ანდრო ზიმჩენკო – ბრინჯაო

სუმო

ევროპის ჩემპიონატი
ლევან ბერიანიძე – ოქრო
ავთანდილ ცერცვაძე – ოქრო
ლევან ბერიანიძე – ვერცხლი
ავთანდილ ცერცვაძე – ვერცხლი გუნდური
საქართველოს ნაკრები – ვერცხლი

ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)
ლევან ბერიანიძე – ოქრო
ლევან ბერიანიძე – ოქრო
ზაზა ბალაშვილი – ვერცხლი
ზურაბ აქუბარდია – ბრინჯაო
გუნდური
საქართველოს ნაკრები – ვერცხლი

2014 წელს საქართველო არაერთ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს

ძიუდო

გრან–პრი. თბილისი. 21–23 მარტი

ფარიკაობა

ევროპის ჩემპიონატი 23-წლამდელთა შორის. თბილისი 24–28 აპრილი

ჩოგბურთი

ბათუმის ღია საერთაშორისო ტურნირი (კაცები, ქალები). სექტემბერი
თელავის ღია საერთაშორისო ტურნირი (კაცები, ქალები). სექტემბერი

მძლეოსნობა

ევროპის ჩემპიონატის მესამე ლიგა. თბილისი. 21-24 ივნისი

ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი (8–18 წლამდე). ბათუმი. ნოემბერი
მსოფლიოს ქალთა გრან-პრი. თბილისი. ივნისი
საერთაშორისო ტურნირი – ნონას თასი.